# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 22 ივლისი 2011 №15(145)



1516
2011




გვანცა ჯობავას ლექსები

ხელოვანი კონსპირაციისა

შირლი ჯეკსონის ლატარია

ზღაპარში მოხვედრილი ბიჭი

ოლესია თავაძის მინიატურები

ლუკა აქიმიძის პოეტური დებიუტი

მაია ჯალიაშვილი სოსო მეშველიანზე

ქეთევან შენგელიას ლირიკული რკალი

ჯონ სტაინბეკის მოგზაურობის მიზანი

ბეთლემის ლეგენდიდან სინამდვილემდე

ნეტავ ყველა ინსტიტუტს თითო მემატიანე

იოსებ ჭუმბურიძე მიხეილ თუმანიშვილზე

# წიგნის თარო


ერიკ-ემანუელ შმიტი
პილატეს სახარება


რეი ბრედბერი
ბაბუაწვერას ღვინო


ერიკ-ემანუელ შმიტი
ულისე ბაღდადიდან


ლიტერატურის სოციოლოგია


ელიზბარ ჯაველიძე
ფუთუვვა – სულიერ-რაინდული ძმობა


ნანა ტონია
ანტიკური ლიტერატურული ტრადიციები და თანამედროვეობა


თამარ კოტრიკაძე
მითოსის ძიებაში
წერილები ლიტერატურის შესახებ


ხათუნა თავდგირიძე
მითოსური სიმულაციები
გაცნობიერებულნი და გაუცნობიერებელნი
In Illo Tempore

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ჩვენი ყოფა. წუთისოფელი | 2 | ვაჟა შუბითიძე **პარაზიტი სახელმწიფოები** |
| დაუვიწყარი სახელები | 3 | იოსებ ჭუმბურიძე **ქვის გათლიდან ტაძრის აშენებამდე** (მიხეილ თუმანიშვილი) |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 5 | ელგუჯა თავბერიძე **„ვექებ, ვექებ და ვექებ“** (მოამზადა ნატა ვარადამ) |
| პროზა | 6 | ოლესია თავაძე **კაკლის ქარები** |
| პოეზია | 17 | ქეთევან შენგელია **გაზაფხული თბილისში და სხვა ლექსები** |
| | 19 | გვანცა ჯობავა **საათის ისრები და სხვა ლექსები** |
| ერი და ბედისწერა | 21 | **ჯონ სტაინბეკის მოგზაურობის მიზანი** (ირაკლი ცხვედიანს ესაუბრება პიტერ ბრიჯისი) |
| მოგონებათა სკივრი | 25 | ნინო ვახანია **ნეტავ ყველა ინსტიტუტს თითო მემატიანე** (ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანე“) |
| | 27 | დოდო ბიძინაშვილი **სევდაც და რწმენაც** |
| დიალოგი | 28 | **„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა კოლექცია** (ნინო საბაშვილს ესაუბრება თამარ გეგია) |
| ბედი კაცისა | 30 | როსტომ ჩხეიძე **ხელოვანი კონსპირაციისა** (მონოგრაფია გიორგი დეკანოზიშვილზე) |
| ლიტერატურული ცხოვრება | 35 | ნინო დეკანოიძე **მწერლის ჯილდო — მკითხველის სიყვარული** |
| რეპორტაჟი | 36 | ეკა ბუჯიაშვილი **„მამის აჩრდილი ჰამლეტივით არ გამომცხადებია“...** (კონსტანტინე გამსახურდია ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებათა შესახებ) |
| კრიტიკა | 43 | ნინო ჩხიკვიშვილი **მხოლოდ ერთი წიგნით** (ლევან ბოლქვაძის „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“) |
| ახალი წიგნები | 46 | მაია ჯალიაშვილი **სასწაულის მოლოდინი** (შთაბეჭდილებანი სოსო მეშველიანის ახალ პოეტურ კრებულზე) |
| წუთები და წლები | 49 | თამარ ყალიჩავა **სწორს ფიქრს აძლევდე თემ-სოფელს, ცდუნება არა სძირავდეს** (შეხვედრა ქუთაისის პირველ სკოლაში) |
| ნავსაყუდელი სულისა | 53 | ანა გელაშვილი **ბეთლემის ლეგენდიდან სინამდვილემდე** |
| ახალგაზრდებო, ან კი თქვენ | 55 | ლუკა აქიმიძე **სიყვარული** |
| უცხოური ნოველა | 58 | შირლი ჯეკსონი **ლატარია** |
| მოზაიკა | 63 | **ელჩი ღალატობს სამშობლოს** |



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41
რედაქცია — (995 32) 96_20_62
რეკლამა — (995 93) 65_93_68
გავრცელება — (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაიბეჭდა სტამბა „ომეგა თეგი“ საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი — **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი — **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი — **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი — **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი — **კარლო ფაჩულია** დიზაინერი — **მალხაზ იაშვილი**
სტილისტ-კორექტორი — **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება — **თენგიზ რობიტაშვილი**
ოპერატორი — **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი — **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური — **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: მახუნცეთის ჩანჩქერი (აჭარა)
ფოტოეტიუდი ირაკლი ბლუიშვილისა


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 5 აგვისტოს

ვაჟა შუბითიძე

# პარაზიტი სახელმწიფოები

*ისტორია ბარბაროსობისა და მიმძლავრების დომხალია*
**იოჰან ვოლფგანგ გოეთე**

მსოფლიოს მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების გზაზე უმთავრეს დაბრკოლებას ყოველთვის წარმოადგენდნენ პარაზიტი სახელმწიფოები და ერები მათი ტერიტორიული და რაოდენობრივი (დიდი იქნება თუ მცირე) მაჩვენებლების მიუხედავად.

ამ პრობლემით გულშეძრული და დაზაფრული ვაჟა-ფშაველა მიუთითებდა: "თუ მთელი ერის განვითარებისთვის საჭირო კერძო ადამიანის აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა" ("კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი").

სწორედ ამ პარაზიტმა სახელმწიფოებმა და ერებმა წარმოშვეს და დააკანონეს საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი ტენდენცია — ტერიტორიის, რესურსებისა და სიმდიდრეების სხვათათვის წართმევის და მიტაცების, სხვის ხარჯზე ცხოვრების ტენდენცია, რომელიც დღემდე ძალაშია (პარაზიტი ბერძნული სიტყვიდან მოდის და მუქთახორას ნიშნავს. პარაზიტები ეწოდება ორგანიზმებს, რომლებიც სხვა ორგანიზმების (მასპინძლების) ხარჯზე იკვებებიან და ზიანს აყენებენ მათ. განარჩევენ ექტოპარაზიტებს (მასპინძლის სხეულის ზედაპირზე მცხოვრებნი) და ენდოპარაზიტებს (მასპინძლის სხეულში მცხოვრებნი). ქსე, ტ7, გვ. 476. თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველობას არც ექტოპარაზიტები კლებია და არც ენდოპარაზიტები).

პარაზიტი სახელმწიფოს კლასიკურ მაგალითს თავის დროზე წარმოადგენდა რომის იმპერია, რომელიც ძირითადად დაპყრობილი ხალხების ხარჯზე ცხოვრობდა.

ანალოგიური ხაზით ვითარდებოდა ყველა იმპერია — ირანის (სპარსეთის) თუ არაბების, თურქ-სელჩუკების თუ მონღოლთა, თურქთა თუ რუსთა, დიდი ბრიტანეთის თუ აშშ. ამ სახელმწიფოებიდან ზოგი მეზობლების ხარჯზე მდიდრდებოდა და ფართოვდებოდა (მაგ: რუსეთი, ნაწილობრივ აშშ), ზოგი კი მისგან ათასობით კილომეტრით დაშორებულ ერებს იმონებდა და ძარცვავდა (დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, პორტუგალია).

ეს პროცესი დღესაც გრძელდება, ოღონდ შეფარული ფორმით — ვითომდა სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის (მაგ: აშშ — ერაყსა და ავღანეთში) ან მცირე ერების დაცვის (რუსეთი "იცავს" აფხაზებსა და ოსებს ქართველებისგან) საბაბით. სინამდვილეში აშშ-რუსეთის მიზანია ამ ხალხთა დამორჩილება და ადგილებზე თავიანთი მარიონეტების დასმა, მათი ტერიტორიისა და რესურსების მიტაცება და, თუ გაუვათ, სამუდამო მისაკუთრება. ამას ემსახურება აშშ 724 სამხედრო ბაზა მსოფლიოში.

გლობალიზაციის პირობებში უფრო ეფექტური გახდა პატარა და საშუალო ქვეყნების ეკონომიკური ძარცვა და დაკაბალება, მათი გამოფიტვა, ვალებში ჩაგდება და მათთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გადაწყვეტილებების თავს მოხვევა. ამ მიმართულებით დიდი სახელმწიფოები შეთანხმებულად მოქმედებენ, ზოგი უხეში ფორმით აკეთებს ამას (რუსეთი), ზოგი კი — ამ ხალხის "დახმარების" საბაბით (აშშ, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია ), თუმცა არამზადა — არამზადაა, ჰალსტუხიანი იქნება ის თუ უჰალსტუხო და წვერგაბურძგნილი.

აშშ მოსახლეობა შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის 5-6%-ს, თუმცა ეს ქვეყანა "ნთქავს" მსოფლიო რესურსების 30-35%-ს და ესეც აღარ ჰყოფნის. სწორედ ამიტომაც დაიწყო გარედან თავსმოხვეული რევოლუციები ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ არაბულ სამყაროში, რათა აშშ-მა უფრო მეტი რესურსის გაკონტროლება შეძლოს მომავალში, თუმცა ეს მას ბუმერანგივით შეიძლება დაუბრუნდეს.

რუსეთი ასევე რესურსებისაგან ძარცვავს ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებს, ამას ემსახურება მათი ენერგეტიკული დიპლომატია და ზეწოლა ნავთობით, გაზით და სხვა წიაღისეულით მდიდარ ქვეყნებზე ( თურქმენეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და სხვ.), თუმცა არც ტერიტორიების აშკარად თუ ფარულად მისაკუთრებაზე ამბობს უარს (საქართველო), რაზედაც მხოლოდ დიპლომატიური პროტესტებით იფარგლებიან აშშ და მისი მოკავშირეები.

არსებობს სხვისი ტერიტორიის ათვისება-გაკონტროლების ისეთი ეშმაკური ფორმა, როგორიცაა დემოგრაფიულ-ეკონომიკური ათვისება ( ასე იქცევიან ჩინელები, რომლებიც მთელ მსოფლიოს მოედნენ და ზოგ ქვეყანაში რამდენიმემილიონიანი დიასპორა ჰყავთ, მაგ: რუსეთში, აშშ-ში, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, ასევე სომხები — საქართველოსა და რუსეთში, აშშ-სა და საფრანგეთში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში), ფინანსური ათვისება (ებრაელები ფლობენ მსოფლიო ფინანსების 75-80%-ს და თავის ჭკუაზე ატრიალებენ სამყაროს).

იაპონიაში მომხდარმა მიწისძვრამ და ფუკუშიმას ატომურ სადგურზე განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა თვალნათლივ აჩვენეს, რაოდენ უსუსური და უმწეოა მსოფლიო ანალოგიურ კატაკლიზმებთან ბრძოლაში, და ისიც აჩვენეს, თუ როგორი იქნება აპოკალიპსი და მსოფლიო წარღვნა, რაც ემუქრება კაცობრიობას ბუნების ასე ძარცვისა და მოუფრთხილებლობის პირობებში.

ეს დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. არ შეიძლება გაგრძელდეს სხვის ხარჯზე ცხოვრება, ძარცვა-გლეჯა, სხვისი ტერიტორიების მიტაცება, სხვისი სისხლის წოვა და პარაზიტობა. არ შეიძლება გაგრძელდეს სხვა ერების რუსიფიკაცია (აფხაზების, ოსების, ჩეჩნების, ინგუშების და სხვ.) და ამერიკანიზაცია (ამას მსოფლიო მასშტაბი აქვს), სხვათა კულტურების ნიველირება და ორიგინალური ტრადიციების, მახასიათებლების ხელოვნურად ნაშლა, მოსახლეობის გარყვნა და გახრწნა საეჭვო ღირებულებებით, (რაზედაც გაბრიელ მარკესი წერდა, რომ თანამედროვე ლიბერალიზმი — საკუთარ დედასთან დაწოლის უფლებააო), საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემების დანგრევა პატარა ქვეყნებში, უზნეობის, უპასუხისმგებლობის წახალისება, ნარკოტიკებითა და სხვადასხვა ვირუსებით სხვა ერების დეგრადაცია, ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის ქადაგება და აფიშირება, ულმერთობა და ურწმუნოება, კაცის ქალობა და ქალის – კაცობა. ამას ყველაფერს, რომელიც დიდ ერებსაც ემუქრებათ (მაგ; ფრანგები, ინგლისელები), ხალხები დიდხანს ვეღარც გაუძლებენ და ვეღარც მოითმენენ. ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალი კატაკლიზმები, მასშტაბური ტერაქტები, რელიგიათა და ცივილიზაციათა ახალი კონფლიქტები, რომელიც მსოფლიო ომში გადაიზრდება და საბოლოოდ დაასამარებს ყველას და ყველაფერს, პატარა ქვეყნებსაც და იმპერიებსაც (რომლებსაც ნებისმიერ შემთხვევაში მსხვრევა ელოდებათ წინ, ადრე თუ გვიან მონღოლთა იმპერიასავით, რომლებიც ახლაც კუმისს მიირთმევენ და მომთაბარე ცხოვრებით ცხოვრობენ).

იოსებ ჭუმბურიძე

# ქვის გათლიდან ტაძრის აშენებამდე

„ქალაქ შარტრში შევიდა მნირი, მოედანზე ქვისმთლელები დაინახა და ჰკითხა: აქ რას აკეთებთო? ორმა უპასუხა: ქვებს ვთლითო. მესამემ კი ამაყად მიუგო – შარტრის ტაძარს ვაშენებთო".

ამ ამბავს მიხეილ თუმანიშვილი უყვება მსახიობს, რომელმაც განუცხადა, ჩვენი პროფესია – ეს ჩვეულებრივი სამუშაოაო.

„ვფიქრობ, ამაშია საქმის არსი", – დასძენს რეჟისორი.


მიხეილ თუმანიშვილი

ჩვენი აზრით, მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებითი ბუნების გასაღებიც აქ დევს: ის, უბრალოდ, სპექტაკლებს კი არ დგამდა, თეატრს აშენებდა – თავის თეატრს, თავის ტაძარს.

თეატრს აშენებდა მაშინაც, როცა ფიქრობდა და მაშინაც, როცა ნაფიქრი ქაღალდზე გადაჰქონდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ მისი ნაფიქრ-ნააზრევი სამ წიგნშია თავმოყრილი.

ის, რაც დაწერილა, ანუ წერითი შემოქმედების ნაყოფია, ან მხატვრულ (სიტყვაკაზმულ) ლიტერატურას ეკუთვნის, ან – მეცნიერებას, ან – პუბლიცისტიკას.

მიხეილ თუმანიშვილმა წერითი მემკვიდრეობა ორ დარგში დაგვიტოვა – მეცნიერებასა და პუბლიცისტიკაში.

მეცნიერული ნააზრევით რომ თეატრის თეორია და სათეატრო პედაგოგიკა გაამდიდრა, ეს ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, ხოლო მისი პუბლიცისტური შემოქმედება ჯერ კიდევ შესასწავლი, შესაცნობი და შესაფასებელია. მითუმეტეს, რომ ხშირად ის ცალკე გამოკვეთილი კი არ არის, არამედ თეორიულ საკითხებშია შერეული და მეცნიერულ-პედაგოგიური შეხედულებების გამყარებას ემსახურება.

როცა ის მსახიობს „მეფე ლირში" გლოსტერის სახის ფუნქციაზე ესაუბრება, რეჟისორის მსჯელობა წმინდა მეცნიერულია. მეტიც, აქ მეცნიერული მიგნების მოწმენიც ვხდებით:

„მსახიობმა მკითხა, მთავარი რა უნდა ვითამაშო გლოსტერში? ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ, ბოლოს კი დავასკვენით – გლოსტერში მთავარია ის, რომ თვალხილული გლოსტერი სინამდვილეში ბრმა იყო, ხოლო როდესაც დააბრმავეს – თვალი აეხილა და ყველაფერს მიხვდა. ეს მხატვრული სახის მთელი ფილოსოფიური სისტემაა".

როცა რეჟისორი თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების შესახებ წერს და სწორი არჩევანის მნიშვნელობაზე მსჯელობს, ეს წმინდა წყლის პუბლიცისტიკაა.

ჟურნალისტიკის ცნობილი თეორეტიკოსი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე პუბლიცისტიკის რამდენიმე ძირითად თვისებას გამოყოფს: ტენდენციის გამჟღავნება პირდაპირ, შეუნიღბავად; აქტუალურობა; განზოგადება; ყოველივე მოაზრებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტით, აუდიტორიაზე უშუალო ზემოქმედების მიზნით.

მიხეილ თუმანიშვილის პუბლიცისტური ნააზრევი ყველა ამ თვისებას მოიცავს.

ეს ნააზრევი ზოგჯერ უაღრესად ეფექტური პუბლიცისტური სვლებითაც გვაოცებთ.

მაგალითად, ჯერ შემოგვთავაზებს დიალოგს აბიტურიენტის მშობელთან, რომელიც უმტკიცებს, რომ მისი შვილი ბავშვობიდან მხოლოდ თეატრზე ოცნებობდა. და ისეთი ნიჭიერია, რომ როდესაც მათთან სტუმრები მიდიან, ქალიშვილი, მათი თხოვნით, სხვადასხვა მსახიობს ჰბაძავს.

„– კი, მაგრამ საიდან ასეთი ხრინწიანი ხმა? – უკმაყოფილოდ შევეკითხე.

– გაციებულია.

ტყუის, ეს ბავშვის უნებლიე მკვლელი. მის შვილს, უბრალოდ, არ გააჩნია ის მდიდარი ხმა, რომელიც ასე აუცილებელია სცენისთვის".

არსად და არასოდეს არის მიხეილ თუმანიშვილი ისეთი მკაცრი და დაუნდობელი, როგორც ასეთ საკითხებზე მსჯელობისას:

„როგორ უშვებს თავის შვილს ამ გზაზე მკვლელი დედა. იმ გზაზე, სადაც (თუ შემთხვევით, ან უნებურად გაძვრება) მთელი თავისი ცხოვრება როლის მოლოდინით უბედური და მთელ ქვეყნიერებაზე ნაწყენი ივლის... არასწორი არჩევანი – საშინელი და უბედური შეცდომაა".

ამის შემდეგ რეჟისორი გვაცნობს დიალოგს სამუშაოს მომლოდინე მსახიობსა და თეატრის დირექტორს შორის.

დიალოგი უკიდურესად მძიმეა:

„**დირექტორი** – ნუთუ არ გესმით, რომ თეატრს არ შეუძლია თქვენი მიღება. არა გვაქვს ამის საშუალება. შტატი...

**მსახიობი ქალი** – შენ უკვე სამი წელია, მატყუებ.

**დირექტორი** – არცერთ მსახიობს არ უნდა შენთან მუშაობა, ვერ გხედავენ...

**მსახიობი ქალი** – შენც უბრძანე. შენი უნიჭო რეჟისორები ვერავის ხედავენ, გარდა...

**დირექტორი** – როგორ ვუბრძანო, როდესაც შტატში მყოფი თოთხმეტი მსახიობი ქალი წლობით უმუშევარია".

საკმაოდ ვრცელ დიალოგს რეჟისორის უაღრესად საინტერესო კომენტარი მოსდევს:

„ჩემი პირველკურსელები ამ სცენის მოწმენი რომ გამხდარიყვნენ, ყველა ერთად დაანებებდა თავს თეატრალურ ინსტიტუტს და გაიქცეოდა სხვადასხვა მხარეს – შორს, შორს ამ საშინელებისაგან!

მაგრამ, რატომღაც, არავინ არსად გარბის და მე შევდივარ მათთან პირველ გაკვეთილზე".

პუბლიცისტური ოსტატობის ერთ-ერთი გამოვლინება პორტრეტის ხატვის ხელოვნებაა. მიხეილ თუმანიშვილი ამის იშვიათი ოსტატია. მას შეუძლია, ერთი-ორი მონასმით, გამოკვეთოს ამა თუ იმ პიროვნების შემოქმედებითი ბუნება.

ცნობილია, რარიგ ძუნწი და ლაკონიური შტრიხებით დაახასიათა მან „შვიდკაცას" თითოეული წევრის ინდივიდუალურობა.

ძალზე საინტერესოა მის მიერ დახატული რობერტ სტურუას პორტრეტი. ამ შემთხვევაში, ის უჩვეულოდ სიტყვაუხვი და ქებაში ხელგაშლილია. ამასთანავე, გასაოცრად გულწრფელი.

თავის დროზე, შემძრა მისმა ასეთმა გულახდილობამ:

„ზოგჯერ მწყინდა კიდეც, რომ ჩემგან განსხვავებით, იგი სრულიად თავისუფალი იყო სტერეოტიპებისაგან. თუ ჩემთვის ყოველთვის არსებობდა გარკვეულ კანონთა ნუსხა, აკრძალვა, ლოგიკის მოდელები, ფორმათა განვითარების კანონზომიერებანი, ლიტერატურისადმი თანდაყოლილი პატივისცემა, სარეპეტიციო მეთოდი, რომლისაც მჯერა და ვირწმუნე – რობერტი არავის და არაფერს ეთაყვანებოდა ჩემს გარდა (ესეც დროებით). ის ყველაფერს თავისებურად აკეთებდა. კანონებს და მეთოდიკას არღვევდა, მაგრამ მე, ჩვეულებრივ, მკაცრი, – როცა საქმე სკოლის ურყევ ჭეშმარიტებებს შეეხებოდა, – მის ცდებს მიტევებით ვუცქერდი, იმდენად მოულოდნელი, საინტერესო და ორიგინალური იყო ხოლმე რეჟისორული გადაწყვეტა".

მიხეილ თუმანიშვილის ფიქრის უმთავრესი საგანი, რა თქმა უნდა, თეატრია, მაგრამ ის თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მოქალაქეა და გულგრილი ვერც სხვა მტკივნეული საქვეყნო საკითხების მიმართ დარჩება.

ასეთ საკითხებზე მის ნააზრევს დღემდე არ დაუკარგავს პუბლიცისტური სიმძაფრე და აქტუალურობა.

დაუკარგავთ კი არა, სწორედ დღეს დაწერილი გეგონება:

„ბუნებას რაღაც ემართება. გამუდმებით რაღაც უცნაური თავსხმა წვიმებია, ხანძრები, მიწისძვრები, კატასტროფები – გზებზე, ატომურ სადგურებზე; ქარბორბალები, ქარიშხლები. დახმარების ნაირ-ნაირი ფონდი ჩამოყალიბდა. ნომრებსაც კი ვერ დაიმახსოვრებ. ადამიანები ცდილობენ, თავისივე დანგრეული კულტურის ძეგლები გადაარჩინონ. თეატრი პრესტიჟული გახდა. მსახიობები... სახელმწიფო მოღვაწეებად იქცნენ, გაბღენძილი დეპუტატები გახდნენ. პრესამ და ტელევიზიამ იმდენი ადრე აკრძალული სიმართლის ლაპარაკი დაიწყო, რომ უცებ გაირკვა – თურმე, ჩვენ ერთ უზარმაზარ, სიბინძურით სავსე სანაგვეში გვიცხოვრია. გაქრა სულის სარგო თეატრები. განმანათლებლობა უკანა პლანზე გადავიდა. წინანდელი ინტელიგენციის ნარჩენნი საიქიოს წავიდნენ და საზოგადოებაც სულიერების, იდეალების, ოცნებების გარეშე დარჩა. სოფელმა თავისი პირველქმნადობა, გულუბრყვილო სიბრძნე და სისუფთავე დაკარგა, იგი ქალაქსა თუ დედაქალაქში გადმოსახლებული, ხეპრეობად და სირეგვნედ გადაიქცა..."

რა შეიძლება უწოდო ამას, თუ არა მაღალი რანგის პუბლიცისტიკა?

ღირებულ და საინტერესო პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, უმთავრესად და ჩვეულებრივ, მწერლები ქმნიან.

სხვა დარგის მოღვაწენი – საკმაოდ იშვიათად.

მიხეილ თუმანიშვილი ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია.

პუბლიცისტური ნაწარმოების შექმნა მას, ალბათ, მიზნად არასოდეს დაუსახავს. ის, უბრალოდ წერდა იმას, რაზეც ფიქრობდა, რაც აწუხებდა, რაც სტკიოდა ან უხაროდა.

ეს წერილი რომ წაეკითხა, ალბათ თავისებურად (თავმდაბლურად) გააპროტესტებდა – არავითარი პუბლიცისტიკა მე არ შემიქმნიაო.

არადა, იქიდან, რაც დაუწერია და რაც მეცნიერებას არ ეკუთვნის, პუბლიცისტიკაა.

მაღალი რანგის პუბლიცისტიკა.

ტალანტი შემთხვევით და ჰაიჰარად არაფერს ქმნის.

ის, უბრალოდ, ქვას კი არ თლის, ტაძარს აშენებს.

ელგუჯა თავბერიძე

# „ვექებ, ვექებ და ვექებ"

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა ჭირს სახელს დაარქმევ, მაგრამ იცი, რომ ვერ უშველი.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— სადაც დავიბადე, იქ ღრმად ვსუნთქავ, კარგად ვაზროვნებ, სადაც ვცხოვრობ, იქაც მშვენივრად ვარ. თუ ნატვრაა, ადგილის დედას დავუბრუნდებოდი.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— ალბათ მთის დაპყრობა. არასდროს ავსულვარ, ვერც ავალ. დიდი ტანჯვა-წვალებით საკმაოდ მაღალ გორაზე ავბობღებულვარ, იქიდან ანუ სიმაღლის მპყრობელი რომ გადმოხედავ დედამიწას, მაშინ შეიძლება იყო ყველაზე ბედნიერი.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ტომ სოიერი, გამზრდელი, დონ კიხოტი... და კიდევ მრავალი, მრავალი.

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— დავითი, თამარი, სოლომონ პირველი (ლომებრ მყეფე, სისხლმჩქეფე იმერთ მეფე, მგონია, დღესაც არაა ჯეროვნად დაფასებული), ალექსანდრე ორბელიანი.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— პიკასოთი „ვერთობი".

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ბეთჰოვენი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— მეგობრისთვის საყრდენად ყოფნას...

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— სათნოებას, ერთგულებას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მიმზიდველი?**

— რასაცა გასცემ შენია...

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— შენება. ცარიელ ადგილას რაღაც რომ გაჩნდება, ამაზე კარგი არაფერია.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ჩემად მიჯობს დარჩენა.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— ხელგაშლილობა.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— გულახდილობას.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— სიფიცხე.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ბედნიერებისათვის ძალიან ცოტაა საჭირო. ის „ცოტა" უნდა გქონდეს იმ მომენტში, როცა გჭირდება. შენც უნდა დაიჭირო გაცემის ჟამი.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— უმიზნოდ ყოფნა.

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ჭკვიანი და ფულიანი.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— სპილოსძვლისფერი.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— კვარაკუწჩხა — სახელიც და ყვავილიც სასწაულია.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— არწივი.

**— თქვენი საყვარელი პოეტი?**

— აკაკი, გალაკტიონი.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— მარკ ტვენი, სვიფტი, ოთარ ჩხეიძე, რეზო ჭეიშვილი და სხვები.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— ქართვლის დედა, თინათინი.

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— წარსულში ბლომად იყვნენ, ახლა ნაკლებად.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— თამარი, ქეთევანი.



*ელგუჯა თავბერიძე*

**— საყვარელი სახელი?**

— ვაჟა, ნინო, თეკლა, თამარი.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ლალატს, მლიქვნელობას.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— შაჰ-აბასი, სტალინი, ჰიტლერი.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?**

— ხრესილის ომი.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— სოლომონ პირველის რეფორმები. განსაკუთრებით ტყვეთა სყიდვის აკრძალვა.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— სიმღერის ნიჭი.

**— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— იმ სურვილით, რომ მერმინდელი საქართველო უკეთესი იქნება.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— ვეძებ, ვეძებ და ვეძებ.

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— უცოდინრობით ჩადენილი.

**— თქვენი დევიზი?**

— ჰქმენ სიკეთე.

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ყველაფერს სწორად აკეთებ.

## მიეძღვნა კონსტანტინე გამსახურდიას

ტრადიციული კონფერენცია, რომელსაც თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება ყოველწლიურად მართავენ, ამჯერად **კონსტანტინე გამსახურდიას** მიეძღვნა. სხვათა შორის, 2011 მისი საიუბილეო წელია. დიდ ქართველ მწერალს 15 მაისს 120 წელი შეუსრულდა და ამ თარიღმა ისე ჩაიარა, „ზემოთ" არც გაუგიათ.

კონფერენციას ყველგან და ყოველთვის საზეიმო განწყობილება ახლავს ხოლმე. წლევანდელი თელავური კი უჩვეულოდ სევდიანი იყო, რადგან მას აღარ ამშვენებდნენ წინანდელთა (მათ შორის შარშანდელის!) აქტიური მონაწილენი – **გურამ ბედოშვილი, მიხეილ ქურდიანი, კოტე კაკიტაძე**. თელავში ჩასულთ ველარ შემოგვეგებება პროფესორი **ლეილა შალვაშვილი** – შესანიშნავი მეცნიერი და პოეტური ბუნებით გამორჩეული, მართლაც კოლორიტული პიროვნება, ვინც სამოთახიანი ბინა ოროთახიანში მხოლოდ იმიტომ გადაცვალა, რომ მისი აივნიდან კავკასიონი მოჩანდა.

კონფერენციაში ვერ მონაწილეობდა თელაველი პროფესორი ქალბატონი **მაყვალა მიქელაძე** – ასევე შესანიშნავი ენათმეცნიერი, ვისაც ახლახან დიდი პირადი ტრაგედია გადაუტანია (გადაუტანია? – იქნებ შემთხვევით არ წამომცდა. ქალბატონი მაყვალა სულით ძლიერია და იმედია, ყველაზე დიდ დედურ ტკივილსაც გაუმკლავდება).

კონფერენცია კი, ტრადიციულად, საქმიანი და ნაყოფიერი იყო. საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს **ავთანდილ არაბულმა** („ხოგაის მინდიას" ხევსურეთი), **გიორგი გოგოლაშვილმა** („კონსტანტინე გამსახურდია და ქართული ენა"), **იოსებ ჭუმბურიძემ** („უკრაინის თემიდი", ჟანრის დასაზუსტებლად"), **ნუნუ გელდიაშვილმა** („კ. გამსახურდიას ნოველების ენისა და სტილის საკითხები"), **ნანა რჩეულიშვილმა** („კ. გამსახურდიას პოეზია"), **ლია ტალახაძემ** („პრედიკატული განსაზღვრება კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის" ენაში") და სხვებმა.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა პროფესორ **როინ ქიქაძის** მოხსენებას „საბა ორბელიანისეული მემკვიდრეობის ანარეკლი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით ნააზრევში". მარტო იმის ხაზგასმა რად ღირს, რომ **„იგავმიუწვდომელი"** კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვაქმნადობის ნიმუშია და დღემდე არცერთ ლექსიკონში არ შეუტანიათ.

მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მომდევნო კონფერენცია **ოთარ ჩხეიძის** შემოქმედებას მიეძღვნება.

ოლესია თავაძე

# კაკლის ქარები

*ყველაფერი წარმავალია, მაგრამ ყველაფერი რჩება. ჩემი ყველაზე სიღრმისეული შეგრძნებაა, რომ მთლიანად არაფერი ქრება, არაფერი იკარგება, არამედ სადღაც და რაღაცნაირად ინახება.*
*...ამიტომ, თუმცა მივტირით წარსულს, მაინც თან გვსდევს ცოცხალი შეგრძნება მისი მარადიულობისა.*

**მამა პავლე ფლორენსკის წერილიდან.**
**სოლოვკი. 1935 წ.**

## ელფერი

სახლს ვეძებდი ბავშვობის; ოთახებს მზიანს, ეზოს ლამაზს, თივის ზვინს, ალვისხეებს აშოლტილს, შორს ვენახებს, შორის შორს ალაზანს, თეთრ მწვერვალებს და ძვირფას აჩრდილებს...

ვიპოვე სახლი საბრალო, ოთახები ღარიბი, ეზო მივიწყებული, ზვინის სანაცვლოდ ნაგავსაყრელი, ალვისხეები გამხმარი, შორს ვენახები გაჩეხილი, შორის შორს ალაზანი და თეთრი მწვერვალები. აჩრდილი კი, თავად ვყოფილვარ...

## განწყობა

სახლში ნახევარი წელია ონკანი წვეთავს, მეზობელმა სალამი დაგიგვიანა, ავტობუსში ფეხზე დაგაბიჯეს, მაღაზიაში წონაში მოგატყუეს, ბაზარში დამპალი შემოგაჩეჩეს, შავებში ჩაცმულებს შორის ერთს ვერ ნახავ ნაირფერადს, ბუზღუნს ერთი შეკურთხება გირჩევნია, და დაინახავ — ახალგაზრდა ძონძებიანი კაცი, ფეხმოწყვეტილი, ცალი ხელით ჯოხს ეყრდნობა, მეორეთი ათიოდე წლის ბიჭის მხარს და ავტობუსში ასვლას ცდილობს. ასეთ დღეში ქართველს უჭირს სამშობლოში, გადამთიელს კი... რა უმადური ხარ!

## იდრისი

ერთმანეთს მიეწყო, მეტი მოგივიდა, გალა-კონცერტები, პრეზენტაციები, აკრედიტაციები...

მოკომპოზიტორო ბენდენ-ჩოხიანი ჯაზმენი რევანშისტული მარშებით მაღალ საზოგადოებას აბოლებს, ყველაზე კაი ბიჭის ბენეფისი მოიწყო, გასდის, ვინ გაუბედავს "მეფე შიშველიაო"!

ყველაზე კაი გოგოების დეფილე (ყველას რო ორივ ფეხი ერთიმეორეში ებლანდება). ყველაზე კაი გოგოებში ყველა სუმთლად კაი მაინც ვერ იქნება. მოიწყენ, იუცხოებ, არც შენ ხარ ყველაზე კაი, ვერც იქნები.

ან ეს პრეზენტაცია, კარგია, ჩასმულია, ქალალდი ჰენდმეიდია, ჩარჩო ჰენდმეიდია, შიგთავსი სეკონდჰენდი, საზოგადოება ჰაი ლაიფ, ყველას, ვისაც ყველა იცნობს, შენც იცნობ, მომდევნოები უფრო შენ გცნობენ და ა.შ.

და გახსენდება იდრისი. დაღესტანი, მაღალი მთა, ჩაკარგული სოფელი, კარავს შლით, გაშლას არ განებებენ, სახლში გიშლიან, იდრისის, სკოლის მასწავლებლის სახლში გიშლიან სუფრას, ლოგინს, გულს, მივიწყებული ქართულით თავს გაწონებენ ერთადერთ საფასურად — ურთიერთობის, ზიარების.



ფოტოაპარატს იმარჯვებ, მასწავლებელი მორცხვად გიყურებს ობიექტივში, იმედი არა აქვს ფოტოსურათს თუ გამოუგზავნი, ბევრი დაჰპირებია...

და გახსენდება – შენც დაპირდი... ეგების ჯერაც არაა გვიან...

ხვალ ისევ პრეზენტაციაა...

## მათე კაჭკაჭი და სხვანი

ეს ამბები არ გაგიკვირდებათ, ბატონი პავლეს ვინაობა რომ იცოდეთ. ბატონი პავლე ზოოლოგი იყო, ისეთი ზოოლოგი რომელიც უპატრონო კატის მკვლელობაშიც კი ეკოლოგიური თანაფარდობის რღვევას ხედავდა და გრძნობდა კიდევაც.

ლეკვი ბიბი, კატა ელიზავეტა და წიწილი კოკო ჩვილობიდან ერთად ცხოვრობდნენ, რომ შეყვიწჩილდნენ და უფროს-უმცროსობით დალაგდნენ, უერთმანეთოდ თავი ვერ წარმოედგინათ. ერთხელ ბიბი ავად შეიქნა, უგუნებოდ გულალმა იწვა და კვნესოდა, ელიზავეტა მის მტკივან მუცელზე იყო გაწოლილი, ათბობდა და კრუტუნებდა, კოკო კი ბიბის თავთან ეჯდა, თვალს არ აცილებდა, თვალებში ჩასცქეროდა, არ სცილდებოდა. დიდ ხანს იყვნენ ასე...

კაჭკაჭი მათეც ბატონი პავლეს ოჯახში გამოზარდეს. თბილისიდან ზაფხულობით ახალდაბაში დაჰყავდათ ზოოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, გალიიდან უშვებდნენ, ფრენით გულს იჯერებდა და ისევ გალიაში ბრუნდებოდა. ერთხელ მის პატრონს ინსტიტუტის თანამშრომელთან საქმის გარჩევა მოუწია. მათე კაჭკაჭი ბატონ პავლეს მიმინოსავით მხარზე ეჯდა, ამბავს თვალს ადევნებდა. მოპასუხემ ხმას აუწია, მათე კაჭკაჭმა კისერი წაიგრძელა, ერთხანს უსმინა, გულმოსული, პატრონს მოსწყდა, უზრდელს თავზე დააფრინდა, გაშლილი ფრთები ურტყა, თმა აუჩეჩა და ნისკარტს კეფაში უმიზნებდა. სახედაკარგულ დაზარალებულს გამხეცებული კაჭკაჭი თავიდან ბლუჯა თმებიანად ააგლიჯეს.

ზოოლოგი რისი ზოოლოგი იყო, ეს ამბავიც რო მას არ შემთხვეოდა. ისევ ახალდაბაში, ბაღში, დილით, ხელებალმართული იდგა ბატონი პავლე და არემარეს გულში იკრავდა. ამ დროს, ახალგალვიძებულ კოდალას ქორი თავზარივით დაატყდა. კოდალა პანიკურად აფართხალდა და ზოოლოგს იღლიაში შეუვარდა. ქორმა ზოოლოგის თავს საპატიო წრე შემოუფრინა და გაოგნებული გაეცალა. ბატონმა პავლემ კოდალა ფრთხილად ხეზე შემოსვა. კოდალა კი ისევ ზოოლოგის ფრთის ქვეშ იწევდა, ზოოლოგის ფრთის ქვეშ ეძებდა შველას...

## რეალობა

კახეთის გზატკეცილი. გზაზე ჭრიალა ურემში შებმული, ჯანგანყვეტილი, თავჩაღუნული ბებერი ვირი, ურემზე უშველებელი თივის ზვინი და სადავეს ჩაჭიდებული, თავჩაქინდრული მოხუცი კაცი თავზე კახური ქუდით.

ველად დაკლაკნილ უკაცრიელ გზაზე სივრცედ მიმავალი ბრმა მოხუცი, წინ გაშვერილი ჯოხის კაკუნით, თავანეული, ცას მიჩერებული მზერით, თითქოს ზემოდან ხმა ესმოდეს, ხმა დამაკვალიანებლის.

პატარძეულთან, მანქანების ბენზოგასამართთან, გულისსწორის საძებნელად გამოსული ფუფალა, თავითფეხებამდე გამჭვირვალეებში, ბრჭყვიალებში, ფოჩებში, ბაბთებში, ხანდაზმული და ქოლგიანი.

ტკივილის გარდა რეალობად არა არს...

## სიხარული

თავქვე ბილიკზე პატარა წითელპერანგა ბიჭი გამოჩნდა ორი პატარა ფინიათი, ერთმანეთს ეთამაშებოდნენ — ეტყობა სოფელს მივუახლოვდი. ბიჭუნამ უცხო დაინახა და ტალახში ფეხების ტყაპა-ტყუპით გაიქცა, ლეკვებიც თან გაჰყვნენ. და აგერ სოფელიც: ზორბა დედაკაცმა, ჩანთებით დატვირთულმა, უცხოს ეჭვიანად თვალი გააყოლა და მძიმედ მიესალმა, შუკაში საქმიანად იხვები მიაბიჯებდნენ, მამლები ქათმებს მწყემსავდნენ, ბოჩოლები თავით ერთმანეთს ებჯინებოდნენ, ახალნამოზრდილ რქებს იქავებდნენ, ფარლალალა ფიცრულ ბოსელში თხა და ბატკანი კიკინებდნენ, ღია ჭიშკარში წითელპერანგა ბიჭუნა იდგა, უცხოს უცდიდა, ინტერესით უყურებდა, სახე შემოანათა და გაუღიმა.

ბიჭუნა, შემოგევლე, რა კარგი ხარ, რო იცოდე, რატომ გამექეცი, პატარავ?

პატარამ დაიმორცხვა, თავი ჩაქინდრა და ხელებგაწვდილი სახლისაკენ გატანტალდა, ლეკვებიც თან გაჰყვნენ.

რა უცაბედია სიხარული!

## სტუმრობა

*ეთერ ბერიაშვილს*

თუ კავკასიონმა შუბლი არ შეკრა, ელოდები და აივანზე გახვედი — დაგხვდებიან "ის მწვერვალები", ალაზნის ველზე კიდით კიდემდე აღმართული. ზურგს უკან კი პატარა დაობლებული სახლია, გარეთ, ეზოში ქრისტესისხლა, მინაში ჩაზრდილი ომისდროინდელი "მოსკვიჩი", შიგნით - გრაგნილი რკინის ბავშვის საწოლი და იატაკზე, მტვერში, პირაღმა, თვალღია თოჯინა. გვერდზე, კაკლის ხეებით დაჩრდილულ სახლში მარტოხელა კაცი ცხოვრობს, ამბობენ, მხოლოდ თხილს და კაკალს ჭამს — თავს უფრთხილდება! მეორე მხრიდან, მიწისპირა პატარა სახლში, დედაბერი ცხოვრებულა, ახლა კი მისი ეზოს ხრიოკზე, სხვისი ციცრები და ქათმები იქექებიან. სოფლის თავზე დიდ, ჩაშავებულ სახლში, ზოგჯერ პატრონი ჩამოდის, სათითაოდ, ყველა ოთახში, იატაკზე, ცეცხლს ანთებს და სიშავეც, ალბათ, მაგისია. აქა-იქ მიტოვებულ ეზოებში, მასალად დაშლილი სახლების ქვა-ღორღის გორებია და ცაში აზიდული რიკულებიანი კიბეები, აქა-იქ, პატრონის მოლოდინში, მკვრივად ნაშენები ჩაგმანული სახლები — ზოგი პატრონი გლდანში ცხოვრობს, ზოგი ისანში, ზოგი რუსთავში, ზოგი სულაც თურქეთში მოჯამაგირედ. კვირაობით სოფლის ცენტრში, ბაზრობაზე ხალხი ჩამოდის, მაინც ბევრი ჩანს: ომში დაღუპული შვილის დედა მსხლის ჩირს ყიდის, მაწონი ჩამოაქვთ, ყველი, მატყლის ძაფი, დიდი ეზოს ცოცხები. მალაზიასთან, ბირჟაზე კაცები დგანან, არჩევენ "ოპელი" ჯობია თუ "მერსედესი". უცნობის დანახვაზე, ხმა ირხევა, მასწავლებელს სტუმარი ჩამოსვლიაო. უკანა გზაზე, სახლისკენ, თბილისისაკენ, სტუმარს ფიქრი სდევდა და სდევდნენ, ეძახდნენ, იზიდავდნენ ის მწვერვალები...

## ვარაუდი

უმთვარო ღამე იყო. სახლში მისულებს, ეზოს ჭიშკარს რომ ვაღებდით, ფეხებში ვილაცა შემოგვებლანდა. ფანარი მიუნათეთ, ძაღლი ყოფილა. კუდფუმფულას ცალი ყური დაცქვეტილი ჰქონდა და თაფლისფერი, მეორე — ვარდნილი და შავი, ყელზე შემოჭერილ ბალთიან ქამარზე ანყვეტილი კანაფის ნაგლეჯი ეკიდა. კუდის ქნევით ეზოში შემოგვყვა, აწრიალდა, აცქმუტდა, ხან ფეხზე გვეტმასნებოდა, ხან ზურგზე გვიწვებოდა — მუცელი მომფხანეთო, ხან მხიარულად ხტოდა და თავს გვაწონებდა. პური ვაძლიეთ, ზანტად ჭამა, არ შიოდა, უფრო ფერება უნდოდა. ჭიშკარი მაინც გავუღეთ და გავუშვით რომ არ შემოგვჩვეოდა. მეორე დღეს წნორის კვირა-ბაზრობაზე დავბოდიალობდით. ხახვისა და კარტოფილის მწკრივში, შემთხვევით, დახლის ქვეშ, დახლის ფეხზე მიბმული ძაღლი დავინახეთ, გაშეშებული, განწირულად იჯდა და ერთ წერტილში იყურებოდა. მისაფერებლად ჩაუცუცქდით, კუდფუმფულას ცალი ყური დაცქვეტილი ჰქონდა და თაფლისფერი, მეორე — ვარდნილი და შავი, ყელზე შემოჭერილ ბალთიან ქამარზე ახალი კანაფი ჰქონდა გამობმული. ძაღლი არ განძრეულა და ჩვენთვის ზედაც არ შემოუხედავს...

ვერ გვიცნო, ნაწყენი იყო, თუ თავისი შეურაცხმყოფელი მდგომარეობით დარცხვენილი?

## აი, კითხვა

ხეივნიანი გზით გამოვიარეთ. ხეივანი მაღალი, მიუნდომელი, გაუსხლავი, უპატრონო, გზის მარჯვნივ მესაკუთრის კიდევ უფრო მაღალი ბეტონის კედელი, შიგნით შეუცნობადობა, მარცხნივ დარბეული სათბურები, უკან – წარმატებული ქვეყნის საელჩო. ირგვლივ ძველის სულის ლაფვა — დარცხვენილი ეზო-ბალები, ახლის ამაყი, ურცხვი შემოტევა. წინ სახლი, მისი პატრონის მოსარგები, მისი პატრონის მოსაწონი, შიგნით თეთრი, თეთრი, თეთრი, ეზოში ღობემდე კაფელი, ფილებს შორის აქა-იქ პალმები, ღობის გარეთ ჩაჩეხილი, გადავარდნილი დიდი ბროწეულის ხეები ზედ შემხმარი ბროწეულებით. უკანა გზაზე, ბოლო წვეთად – დარბეულ სათბურში პატარა შავი ქალი თოკზე გამობმული დიდი შავი ძროხით და დამფრთხალი ქათმების კრიახი.

სუნთქვა გაჭირდა, რა სჯობს – ამას ყველაფერს დაეწიო თუ გაასწრო?..

## ბადიში

შეიძლება სიტყვამ ასე აგრიოს!?

სულხან საბას გადაშლი და – „ბადიში"! საიდანღაც, ყრუდ მივიწყებულიდან, დარბაისელი ქართველი კაცის სოფლად ნათქვამი მოგესმის – „ბადიში". ფესვები აგერევა, საბედისწერო ქართველობა ყელს მოგებჯინება, ძირძველ, ონტოლოგიურ ქართველობას გაგრძნობინებს.

ბადიშობა აღარ გახსოვს, ბოდიში კი მოსახდელი გაქვს, იმ ორთან, გვერდიგვერდ რომ წვანან, გაბზარულ მარმარილოზე გამქრალ მათ სახელებთან.

საბოდიშო გაქვს ბევრთან, ბადიშებთანაც მოგეძებნება...

ბალიშზე, სად თუ არა ბალიშზე გამოგიტირებია საბოდიშო, მიგიტოვებია საფიქრალი გათენებული ღამისა.

ბადეში, ცდუნების ბადეში ვართ მოქცეულნი, ბადიშობასა და ბადიშებს შორის.

და სანამ ბაგეში სუნთქვა გვილხინს, სანამ ქართული სიტყვა გვატკბობს და გვაქართველებს — მადლობა ქართულს!

## ბალი

*შოთა კუდავას*

ბალი, როგორც ტკივილი, ბალი, როგორც ზმანება, ბალი, როგორც სასჯელი, ბალი, როგორც იღბალი, როგორც ბოროტება, ლექსი და შვება. ბალი, დღეს რომ კარსმომდგარ პრესტიჟის ცდუნებას უძლებს, გუშინ კი ხეხილ-ბოსტნის გაშენებას. ბალი ქართველისთვის არამახასიათებელი — მტკაველ მიწაზე კიპარისები, კიპარისები, კიპარისები და თავნებად მიშვებული სუროს საფარი. უძლებენ ცათაბჯენი კიპარისები სანამ, გამშენებელი უძლებს და არის... მერე კი, როგორც ეტყობა, არც არაფერი...

## ბავშვობა

კავკასიონი, ალაზნის ველი, კახეთის ნიფლის ტყეები, ქედნების გადაფრენა, საშნოდ მხარზე "ტულკა" გადაკიდებული მოსეირნე ქართველი კაცი.

თელავის ბაზრობა, ხევსური ქალების ნაქსოვ-ნაქარგით აღფრთოვანებული რუსი ქალი, და რუსი ქალის სილამაზით პირდაბჩენილი თელაველები.

ირგვლივ ვენახი, სახლში ნახერხის ფეჩი, კარლ ლინეისა და კარლ ბრიულოვის ფოლიანტები, ძილისპირულად კი ნუკლეინმჟავასა და ფერთაშლის ამბები.

შედეგად ამის – სევდა და გაორება...

## ქართული გენი

*ნიკოლოზ ბერიაშვილს, გიორგი დონაძეს*

სად, რომელ ხუთკუნჭულაშია დაუნჯებული ქართული გენი, გენი ქართველი მამაკაცისა? მამაკაცის სოფლელის თუ ქალაქელისა, კახელის, თუ გურულისა, განსწავლულის თუ თვითნაბადისა, რომელიც ქეიფობს და არ თვრება, ხუმრობს და არ უხამსობს, გეტრფის და არ შეგურაწყოფს, წინაპართ ადათს რომ პატივს სცემს და ქარქაშში ხანჯალჩასვენებული, ლინკოლნ ცენტრის თანამედროვეობას ფეხს უბამს, მამაკაცის, რომელიც მღერის?!

ვისი ნებით იყვნენ მადლმოსილები ის გენიალური ანონიმები, მრავალხმიანობაში ასე ერთნი და ასე განუმეორებელნი. ქართულმა სიმღერამ შემოინახა ასე სრულყოფილად ქართული გენი, თუ სრულყოფილი ანონიმები, უბრალოდ, ასე გენიალურად მღეროდნენ?!

## ბიბლიური თემა

შორიდან მოვკარი თვალი – ქალს კაცი უშნოდ ელლაბუცებოდა, ვერ მორიგდნენ და გაეცალა.გზა მისკენ მქონდა. ქალი პარაპეტზე იჯდა ფეხებში თავჩაღუნული. ჩვენებური უნიფორმა ეცვა – ჯინსი და გამომწვევად შავები. თმაც ჭაღარამორეული უმოწყალო შავად შეღებილი, ხშირი ღებვისგან დრეკადობადაკარგული, უფრო გაფშეკილი ვიდრე გაშლილი. შავი, მხარზე გადასაკიდი ჩანთაც იქვე შორიახლოს ბუჩქზე ეკიდა. მივუახლოვდი. ჩემი ორი ძაღლის გამოჩენაზე თავი ასწია – ჯერ კიდევ ახალგაზრდა, გალეული, ნამთვრალევად გაცრეცილი. წყალწყალა თვალები შემომანათა, ძაღლებისკენ ხელი უშიშრად გაიწოდა და ალერსინად მკითხა:

– რა ჯიშიაო ეს, თეთრი. თეთრი, მისნაირი უჯიშო იყო, მაგრამ ტყუილი ვერ ვაკადრე, ისე, ქუჩისაა-თქო, ვუთხარი. გაეღიმა, ხელი უიმედოდ ჩაიქნია და თავი ისევ მუხლებში ჩაჰყო. ხასიათი სევდიანად გამომიკეთდა, და იქვე სხვა გამახსენდა.

უკიდურესად, მის იქით რომ აღარაფერია ისე, ჩაშვებული უსახლკარო, უმოძრაოდ მყოფი აღსაქმელია, მაგრამ თუ მოძრაობს და საითმე მიიჩქარის – გიკვირს. სად მიდის, სადა აქვს წასავლელი და ვინ უცდის, ვინ ელოდება? მაგისთანა უსახლკარო მიაბიჯებდა. გვერდზე მისნაირმა უსახლკარო ძაღლმა შიშით ჩაუარა. კაცს მის დანახვაზე ღრმო ხასიათი აემღვრა და უშვერი გინებით, შემზარავად ჩასცა წიხლი ფერდგალეულ ძუკნას. ძაღლს არ გაჰკვირვებია, ცემა არ აკლდა და მორჩილად გაეცალა.

ჩვენზე კნინს, გულმიუსვლელს, რა ფიქრს გააყოლებ, მაგით განვისჯებით, ალბათ, თორემ ფულის ტომარა კაცები ერთმანეთს რო ლოშნიან, რა მოწყალებაა.

## ჭა

არ მახსოვს ჩემს ეზოში ვინმე შემოსულიყო, მით უფრო ბავშვი, და ჭაში არ ჩაეხედა. ჩემი ჭა არცთუ ღრმა არის, საკრალურ 7 მეტრს არ ჩასცდენია, მაგრამ სავსებით იტევს იდუმალებას და წყალსაც, რა თქმა უნდა. ასეთია ჩემი ჭა — ირგვლივ მიწისპირზე რიყის ქვით შემოშენებული, ალუჩის ტოტებით დაჩრდილული, ალუჩის ყვავილ-ფოთლებისგან ჭოკით დამაგრებული თავსახურით დაცული, ოწინარის მაგივრად (ისევ ალუჩის ბრალით) ჭრიალა ბორბლიანი, ჯაჭვზე კარაბინით გამობმული ვედრით, თავისი საპირწონე ტვირთით. ჩემი ჭის ამოთხრის, ჩემი ჭაში ჩასვლა-ამოსვლის ამბავი მინდოდა მეთქვა, ჩემი არ ვიკმარე, წაკითხული გავიხსენე, გადავახალისე, თომას მანის „იოსები და ძმანი მისნი"-ს პროლოგი გადავიკითხე, სიმბოლოების ქართულ ლექსიკონს ჩავხედე და უდაბნოს უწყლობა დამემართა —

წიაღსვლებით ჩატანილმა, სიმბოლოებით დატვირთულმა, სიტყვამ მიმატოვა. სიტყვამ, და არა ჭამ, მისმა სინოტივემ, მისმა „მინის სიღრმიდან მომზირალმა წყლის თვალმა".

## ჩაის სმა

ჩაის სმა. ასეთი თბილი და რიტუალური. ქალაქის სტუმარია. ქალაქს სცივა, აბა გურიის მთებში რა იქნება, მოუთოვია — თავის ამბავს ჰყვება პატარა, მეურნე, ხანს მინეული ქალი. სულის მოსათქმელად თბილისს ჩამოვიდა, გადასაზამთრებლად. თავის ამბავს ჰყვება კოხტა, მარტო ქალი – ძროხები გაყიდა, თავი გამოინთავისუფლა, სახლი და ქათმები მეზობლებს მიაბარა, ჩემი ძაღლები კი მგლებს მოუვლიან, მოიგერიებენო, ოღონდ ნოკიას და ნაგანას თქვენ მიმიხედეთ, აჭამეთო და ხარჯებს გაზაფხულზე სიმინდით გაგისწორებთო. გაგვათბო ჩაის სმამ. მობილური ტელეფონიც კარგია, ხანდახან ცუდი ამბის მომტანი რომ არ იყოს. დაურეკეს. სურების ავტობუსის გაჩერებაზე სამი დღე ღამე მჯდარან ნოკია და ნაგანა მშიერ-მწყურვალი. სამი დღე-ღამე ელოდნენ პატარა მეურნე ქალს. მერე ნოკია აღმართს შეუდგა ზემო სურებში, სახლისაკენ, ნაგანა კი ჩოხატაურში წავიდა და იქ უნახიათ, იქ ეძებს თავის პატარა მეურნე პატრონს. ჩაის აღარაფერი ძალა ჰქონდა, ისევ სტუმრის მორთმეულმა სურების ჭაჭამ გვიშველა: იქაც რომ ვერ ნახავს თავის პატარა ქალს, გამჩენო, სახლში დააბრუნე ნაგანა, თუ შიმშილს გაუძლო და „მოყვასის" ხელს გადაურჩა. გაზაფხულამდე...

## ცოლ-ქმარი

როგორრია, ორ ნაკლულს ქორწინების ბაზარზე ნაკლულობის ნიშნით რომ შეაულლებენ. ეს ცოლ-ქმარიც ასე ერგო ერთმანეთს. ქალს უპატრონობით, ბავშვობიდან, სადრენაჟო სისტემა გამობმული ქილით, წელში ზნიქავდა, ამახინჯებდა, კაცი კი უბრალოდ ჯუჯა იყო და ხელის მტევნები იღლიებიდან ეზრდებოდა.

არაფერი ესთეტური და შესაშური... ერთ ხანს ასე შეეწყვნენ ერთმანეთს, ის კი არა, გამრჯე ქალი ჩაიშიც კი მუშაობდა, კაცმა კი ოჯახში იმარჯვა. და, ვინ იცის, ასეც შეაბერდებოდნენ დროს და ერთმანეთს, ქალს უარესი რომ არ გასჭირვებოდა. ქმარმა ავადმყოფი აჭარიდან რუსთავში ჩამოიყვანა და ცნობილ ექიმს იმედიანად მიაბარა, თვითონ კი აჭარას დაუბრუნდა, ასეთია მეურნე კაცის აუცილებლობა. ექიმი სასწაული ქირურგი იყო, და საბრალო ქალი სასწაულებრივი ოპერციებით სრულ ჯანმრთელად აქცია. თვენახევრის საავადმყოფოს კვებამ და უქმად ყოფნამ, ქალი წელში გამართა და უჩვეულო ხიბლი შესძინა. ასე რომ, ორი თვის თავზე წასაყვანად ჩამოსულ ქმარს, მშვენიერი, სრულქმნილი ქალი შერჩა ხელში. კაცმა ცოლი ვერ იცნო, მერე დაუჯერებელი რომ დაიჯერა, გულმოსულ-სასოწარკვეთილი ექიმს მივარდა, – ეს რა მიქენიო, მერე ქუდი დაიხურა და აჭარაში დაბრუნდა, ცოლი კი რუსთავში დატოვა, თან არ წაიყვანა...

რანი იყვნენ ერთმანეთისთვის ეს ორნი, ნაკლულნი, სულიერნი — ერთიმეორის შვება, სასჯელი, თუ საქორწინო ბაზრის ულმობელი სამართალი?..

## ჩვენ

საპატრიარქოს გვერდით პატარა ბაზილიკაში მიცვალებული ესვენა. შიგნით სანთლები, ყვავილები, შინაარსიანი დუმილი. გარეთ, ირგვლივ, მოვლილ ეზოში, შესაფერისად მოვლილი მიმსამძიმრებლები, ჩუმი გამოლაპარაკება, გამგებიანი თანხმობა. მოშორებით შემოღობილთან, ოდნავ განრიდებულნი, უფრო გაბედულად მოლაპარაკე: ქალები ჯანმრთელობასა და უკაცობაზე, კაცები ჯანმრთელობასა და უფულობაზე. შემოღობილში, კიბეების თავზე სამოწყალო პური რიგდებოდა. მოაჯირზე შეწირული ტანსაცმელი ეკიდა. უმწეონი გულში პურჩაკრულები ბრუნდებოდნენ, სხვანი, ერთიმეორის აზრის გაზიარებით, ტანსაცმელს საგულდაგულოდ არჩევდნენ და იზომავდნენ. ღობის გარეთ, სათათარიახნო ფარდულთან მარტო სასმელს შერჩენილნი, ბილწსიტყვაობა, ამბის გარჩევა და გაწევ-გამოწევა. ქალი, კაცი ერთიანად ურცხვი, ჯიბეზე ხელის შემორტყმით, სიგარეტის ძებნაში. მაგათ შემხედვარე, მოვლილ ქალსაც, საკუთარი საფიქრალით შეპყრობილს, ხსნად ერთი ღერი სიგარეტი გაახსენდა და წამის ჭეშმარიტი თანასწორობით, ლოთს, – სიგარეტი ხომ არა გაქვთო? – ჰკითხა. გაოგნებული კაცი ფიქრმა გაიყოლა და დაბნეულად – არაო.

უცებ მრევლი შეიძრა, განზე გაიწია – ბაზილიკის ეზოში პატრიარქი შემოდიოდა ამალით. მიცვალებულის ლტოლვილობა გაეგო, და უკანასკნელი ჯვრის გადასახვით უფლის გზაზე გაისტუმრა.

დედამიწა ბრუნავდა...

## დაბადება

*და ჰმონებდა იაკობ რაქელისთვის შვდ. წელ. და იყვნეს წინაშე მისა მცირედნი დღენი სიყუარულისა მისისათვის.*

**შესაქმისაი, XXIX.20**

თინა ექთანი იყო თვალის. იურის კბილი გაუჭირდა. ქუთაისის საავადმყოფოში კბილი უფრო უჭირდათ, "კბილში" ადგილი არ იყო, იური "თვალში" დააწვინეს. იურის თვალი არ უჭირდა და თინა თვალში ჩაუვარდა. იურის თინა გულშიც ჩაუვარდა. იურიმ თინას მამას, თინას ძმას თინას ხელი სთხოვა. თინას მამამ, თინას ძმამ - თინას თუ უნდაო, მარა შენსასაც შევხედავთო. მუხურაში არაფერი იყო შესახედი, გაჭირვების მეტი. თინას მამამ, თინას ძმამ, იურის - თინა გადასაგდები არ გვაქვენო.

იურიმ ხანი დააყოვნა, "გარდააგორვა ლოდი იგი პირისაგან ჯურღმულისა" და მაღაროში, ტყიბულში იწყო მუშაობა. იურიმ დრო დააყოვნა, იურიმ ტყიბულში ოთახი იქირავა და თინა მოიტაცა. თინა ის თინა იყო, რომლისთვისაც ყველაფერი ერთხელ ხდებოდა, ხდებოდა სამუდამოდ... დასტურად ამის, იურიმ სიმამრს შეუთვალა, – ლავროსიჩ, შენ ვინც გინდა, მოდი და მაი ხალხი მოიყვანე ჩემსასო.

ლავროსიჩი, თინას ძმა, ლავროსიჩის მეგობრები, თინას ძმის საძმო ეახლნენ სიძე-კაცს. ნაქირავებში სიყვარულის მეტი რა იქნებოდა. "ხაზეიკამაც" ზურგი უქცია: „თქვენი დასამტვრევი ჯამ-ჭურჭელი სადა მაქვსო". "სუფრა" იატაკზე "კომუნისტის" ფურცლებზე გაიშალა. როგორ იქეიფეს იმერელმა კაცებმა, რა სთქვეს, რა არა სთქვეს, რა იფიქრეს...

იურიმ ხანი დააყოვნა. შვიდი წელი იმუშავა იურიმ ჯურღმულში. შვიდი წელი მზის შუქი არ უნახია იურის. გრომში გრომზე აგროვა იურიმ - თავის თინას, თინას მოწონებული სახლი უყიდა, თინას მოწონებული სკამი-დგამი იყიდა, თინას მოწონებული "კუხნა" იყიდა, თინას შეთვალული ჭიქა- თეფშები იყიდა. შვიდი წლის თავზე იურიმ სიმამრის შეუთვალა:

– ლავროსიჩ, მაშინ ვინც ქე გყავდა მოყვანილი ჩვენსას, ახლა მოიყვანე, ლავროსიჩ, მაი ხალხი სუყველა.

შვიდი წლის თავზე მოვიდა ლავროსიჩი, მოვიდა თინას ძმა, მოვიდა ლავროსიჩის სამეგობრო, მოვიდა თინას ძმის სამმო.

მსახურობდა იური თინასთვის, შვიდ წელიწადს და თინას სიყვარულის გამო, რამდენიმე დღედ ეჩვენა ეს დრო.

## დილა

თენდება. სუსხიანი დილაა. სხვა არაფერი გახსენდება: „მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა...". იფუთები და პირველი სხივის „ტყორცნას" ელოდები. აი, საცაა! ნიავი ფრთხილად დაჰბერავს, გარინდული ხეები აშრიალდებიან, „ხიდან ხეზე" ჩიტი გადაიფრენს.

და აი შორი შეკივლებაც!

მოლოდინისაა თუ ჩივილის?

## დროსტარება

ამ ქვეყანაზე ერთმანეთის შეუჭმელობა თუ არ გამოდის, კი ბატონო. მაგრამ, რო მოგიყვებიან – სოფლის ბიჭება ხვლიკი როგორ დაიჭირეს, მოფართხალეს, სიგრძივ შამფურივით მავთული როგორ გაუყარეს და მწვადივით როგორ შეწვეს, რატომღაც, კითხვა არ გიჩნდება: ბოლოს ის მწვადი შეჭამეს თუ არა. უფრო სადიზმზე ფიქრობ, ვიდრე შიმშილზე. მაგაზე ყვავის ამბავსაც მოვაყოლებ: ბიჭმა ჯიუტად თავისი გაიტანა, თოფის სროლა უნდოდა, და ყვავი მოკლა. გულმოსულმა მამამისმა — მოკალი?! ახლა, ინებე და ჭამეო! და ის ყვავი ძალით, სულ ცხვირ-პირში სტენა. ამ დროს ყვავის ხორცი, თურმე, ისეთი მწარე ყოფილა, რომ პირი კი არა, ენას ვერ დააკარებ. მის მერე რის ყვავი, რის ჭილყვავი, "ვაჟკაცი" თოფს სათოფეზე აღარ გაკარებია.

ამ ქვეყანაზე შეუჭმელობა თუ არ გამოდის, ისე მაინც ნუ ვიზამთ, შესაჭმელად ერთმანეთს შევრჩეთ.

## ეჯე

ეჯე — თურქმენულად დედას ნიშნავს. ეჯეს დანახვაზე, ენა უნდა ჩაგივარდეს, უნდა გაოგნდე, უნდა დაეცე. ეს იგივეა, ნუბიელი ნომადი სტუმრად რომ ჩამოგივიდეს. აიათოლა ხომეინის ვიზიტი თბილისში, პირადად შენთან, რამე რომ იყოს, მეტად არ უნდა გაგკვირვებოდა. ეჯე თვითმფრინავს ქორისგან ვერ ანსხვავებს, მატარებელი, მანქანა, მოძრავი ბორბალი, თვალით არ უნახია, ყარა-ყუმის ქვიშას ცხოვრებაში არ გასცილებია. შესახედად ღირს, სამუზეუმო ექსპონატია...

კარებს აღებ, მშვიდად შემოდის, (უკან ათიოდე წლის თარჯიმანი შვილიშვილი მოჰყვება, ცოტაოდენი რუსულით). მშვიდად მიმოიხედა, ავეჯის სრული უსარგებლობის გამო, ფეხმორთხმულად იატაკზე დაჯდა, ტომრიდან, საჩუქრად, ქართული მწვანე ჩაი ამოიღო, ფლავის ინგრედიენტები (ძირა და ა.შ.), ამოალაგა, და მშვიდად იკითხა: ამდენი წიგნები რა საჭიროა. მეორე კითხვა სირანუშა-შემლოცველს ეხებოდა: ხომ იცნობთ, და ხომ იცით სად ცხოვრობსო?

გვარისა და მისამართის უქონლობის გამო, ვეცადეთ სიტუაციის სრული უიმედობა აგვეხსნა. ეჯემ მშვიდად ამოგვხედა. მეორე დღეს შემლოცველი სირანუშა ავლაბარში იპოვა. სტუმრობის ერთი კვირის თავზე მშვიდად გამოგვეთხოვა და ყარა-ყუმის ქვიშას დაუბრუნდა.

ეტყობა, ასეთი აუმღვრეველი სიმშვიდე მხოლოდ უდაბნოშია შესაძლებელი.

## ფიქრი

მინავლებული ბუხარი, შორიახლოს მოძუგძუგე, მშიერი ლეკვების ძუკნა დედა, მიჩუმებული თაგვები, მიძინებული ჩხიკვები. სიჩუმეა, გათენების იმედი.

დროს ატყუებ, სიტყვას თავს აფარებ, მომსმენი გეგულება. ურეკავ ნამძინარევს. თუ სცალია, თუ გისმინა, თუ გაელიმა — უთუოდ სიყვარულია, გათენების იმედი...

## ფოთოლი

კომშის ხეს ეულად შემოდგომის ფოთოლი შერჩენოდა, შიშველ ტოტზე ნარინჯისფრად ანათებდა და ნიავის ყოველ წამობერვაზე შიშით თრთოდა. ცოტაც და ნოხად ქცეულ თავისიანებს ნელი ფარფატით შეუერთდება.

რა ამჯობინა, ნეტავ, ტვირთი უკანასკნელი მოჰიკანისა, თუ ფეხებქვეშ ყველასთან ერთად შრიალი?

## გიორგობა

გიორგობა დადგა. სოფლელმა კაცმა სტუმრების მოლოდინში ეზოს მოუარა, მოლი გადაახალისა, ლეკვები გადაახარისხა, დედლებს და სუსტებს თავი მოუყარა და ხევში გადაყარა. სოფლის წმინდა გიორგის ბაზილიკასთან დიდი რიგი იდგა მომლოცველების და დიდი რიგი შესაწირი საკლავის. ეკლესიის ირგვლივ დიდი ველი იშლებოდა, შორს მთების მწკრივი და ღრუბლებში თეთრი კავკასიონი. ლეკვების კნავილის და საკლავის ყმუილის აგონიური ხმები სივრცემ შთანთქა. მიწაზე ნაქეიფარი ნაგავი დარჩა, ჰაერში კი ცელოფანის პარკები დაფრინავდნენ.

კავკასიონი ღრუბლებში იმალებოდა.

გასაქცევი არსაით იყო.

## გიტარისტი

ახალგაზრდა კაცი, ქერათმიანი, ნათელი, კედელს მიყუდებული იჯდა და ნებიერად გიტარის სიმებს აჟღერებ-

და. წინ, დიდ შავ ნაჭერზე ბლომად ხურდები ეყარა. იქვე მაღაზიიდან გამყიდველი გოგონა გამოცქრიალდა, გიტარისტმა დაინახა და შესძახა:

– ეკუშ, რა მოგივიდა გოგო, ერთი ღერი მომაწევინე, რა!

ეკუშამ მხრები აიჩეჩა, სიცილით ხელი აუქნია და ისევ მაღაზიაში გაუჩინარდა. ამის შემსწრე, გამვლელი ქალბატონი (უკანა გზაზე დაბრუნებისას) მუსიკოსს გაუჩერდა და საგანგებოდ მისთვის ნაყიდი სიგარეტის კოლოფი გაუწოდა. ბიჭი ჯერ შეცბა, მერე გაერკვა, მერე რაზე შეწუხდით, მე ხომ თქვენთვის არ მითხოვია, მერე, — მადლობთო, და ჩაფიქრდა. ქალი კარგა მანძილზე იყო მოცილებული, გიტარისტი რომ უცებ წამოხტა, მიედევნა და თვალებში ჩახედა:

– ქალბატონო, არ გეგონოთ მე მარტო გიტარაზე ვუკრავდე, ვმღერივარ კიდეც გიტარის თანხლებით. დღეს უბრალოდ ფორმაში არა ვარ, გავცივდი, ხმა ჩამიწყდა. ხვალ ნამდვილად კარგად ვიქნები!

ქალი ალერსით უყურებდა. იმ დღეს არც მას ემღერებოდა...

### ია

იავ, იავ, ჩემო იავ, სოფლად მივიწყებული სახლის ზღურბლზე კრძალვით ამოზრდილო, დეკემბრის მზით მოტყუებულო, ხავსის ნოხით გამთბარო. იავ, ჩემო იავ, კონად შეკრულო მორცხვო თაიგულო, ქალაქში ქუჩის სანაგვეში ჩაგდებულო, ასფალტზე დაყრილი ნაგვით შემორკალულო.

ჩემო იავ, cyclamen colchicum, მარტო კოლხეთში, მარტო ჩვენი მიწა-წყლით დაკბილულფოთლებიანო. შენს საძებნელად, შენს სანახავად, ენდემურო კავკასიელო, შენთვის ჩამოსულ რამდენ ბოტანიკოსს აკვირვებ, ჩვენთვის კი როგორ ამაოდ ჩქარობ და იშლები.

### ილბალი

ექიმ ანესთეზიოლოგს ქალი უნახავს დიდი რაოდენობით — ცოცხალი, მითვლემილი, ღრმა ძილში, გამოღვიძებული და არცთუ, მახასიათებლებით ყველანაირი. გამოისობით ამისა, მისი შეყვარება და მისმიერიც, იყო ძალიან სათუო და პატრონისათვის ძალიან სანერვიულო. იმედი რომ გადაეწურათ, მოხდა სასწაული - დიდი გრძნობა შეეყარა ექიმსაც და ობიექტსაც. ორივე აენთნენ და ლივლივებდნენ. მანდილოსანი გამოდგა სათნო, შესახედი, შენახული საკადრისის მოლოდინში. ასე და ამგვარად იქნებოდა ჯვრისწერა და ერთგულება კუბოს კარამდე, რომ არა...



ნახატები ავტორისა

ანესთეზიოლოგს საკოლექციო და სატრაბახო სასროლი გააჩნდა, და რისი მიჯნური იყო, მაგითაც თავი არ გამოეჩინა. იარაღი კი მოსაწონი იყო, მსროლელი არც თუ. ასხლეტილი ტყვია საცოლეს შეეხო, არ გათიშა, მაგრამ ფიქრში ჩააგდო. მსროლელის კვალიფიკაცია დაიწუნა, თუ რაღაცა დალანდა პერსპექტივაში, რომ ასეთი განაჩენი გამოიტანა; მე რომ დავზარალდი დიდი ფული ღირს და თუ გადამიხდი, თორემ ციხეში გაგიშვებო. აგატა კრისტი რომ ვიყვე, დანარჩენსაც მოვყვებოდი, მაგრამ დანარჩენს რა აზრი აქვს, ესეც კმარა დასაჯერებლად ბიბლიური შეგონებისა – ზოგი სიავე მორჩილებით (თუ არა მადლიერებით) უნდა მივიღოთ, როგორც ამცდენი მის უარესისა...

### იმედი

დაღესტნის მაღალ მთებში, სადაც ოჯახი ოჯახს ჰგავს და უფროს-უმცროსი ოდითგან დაარსებულ კალაპოტს მიჰყვება, უდრტვინველობა სუფევს და საუკუნოვანი სიმყარე. იქიდან ფეხით მომავალს, ზურგჩანთებით დამძიმებულს საფიქრალი გამოგყვება და ამ ქვეყნად უცოდველობის იმედი.

დაღესტნელ ბიჭს კი, ბარად წამოსულს, ტომარაში ხელბარგად ერთი წყვილი სამარაგო ფეხსაცმელი რომ უწყვია და საგზლად მთის უმწიფარი ვაშლი, იმედი გზადა აქვს.

ხიფათი ააცდინე, ღმერთო, და გულისტკენა!

### კაკლის ქარები

ნისლიანი შემოდგომის კაკლის ქარები, წინ გასახედზე უკან მოსახედი მეტია. კაკლის ცვენაა: ეს — კარგია, გულიანი, ის - ჭიის ბუდე, ეს — ფუტუროა, ის — კერკეტი, ეს — ლამაზი, მრგვალი, ის — ნამიანი, უშნო. თითო თითოს ეახლები, ქედს უხრი: ეს — ახლობელს ეს — შორეველს, ეს — მეგობარს, ეს — მეზობელს, ეს — მთის გადალმელს, ეს — ისე...

ფიქრს მიჰყვები, ძალლის შორი ყმუილი მოგაბრუნებს, ზამთრის პირი უჭირს მიტოვებულს, კატას, ძუკნას, ყველას უჭირს სითბო, მოფერება... ეს კაკალი — ახლობელს, ეს — შორებელს, ეს — მეგობარს, ეს — მეზობელს, ეს ისე... სიყვარულისა...

### კალმისტარი

იმ დროს მოსკოვში ებრაელებს ტკბილად არ ეცხოვრებოდათ, შესაძლოა, არც დღეს, მაგრამ, იმდროინდელს ვიგონებ. ლიდა პახტერი ებრაელი იყო. თანაკლასელებში ებრაელები სხვებიც იქნებოდნენ, მაგრამ ლიდა ებრაელობას

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერსად გაექცეოდა – შავი, ებრაულად ნაღვლიანი თვალები, განწირულობას შეჩვეული მწარე ღიმილი. მისი იყო ეს კალმისტარი, დღესაც რომ მიმშვენებს საწერ მაგიდას – ულამაზესი ვერცხლის ტოტი, იუგენდ სტილის ორნამენტით შემკული. ამისთანა კალმისტარს ოჯახში შემთხვევით ვერ წააწყდებოდი. ამისთანა კალმისტარი ოჯახს თაობიდან თაობაში დაჰყვებოდა, როგორც სიმბოლო განსწავლულობისა. არ ვიცი, მემკვიდრობითობა დამაკლდა, თუ ოდენ სილამაზით მოვიხიბლე... ჩუმად მივისაკუთრე. ებრაელმა გოგონამ ნაღვლიანი თვალებით თვალებში ჩამხედა და ცოდვა ჩუქებით მიმიტევა — ჩემგან სახსოვრად გქონდესო.

კიდევ ერთი მახსოვს. გამამწარებდა, თორემ ისე რაზე ვცემდი სოფელში ნაცხოვრების ჯანით. პატარები ვიყავით და ვის ვცემდი — არ დავეძებდი. ადმირალ ზახაროვის შვილი გამოდგა, ნადია ზახაროვა. ნაცემზე საშვილიშვილოდ დამამახსოვრებინეს. მეღიმება, გადავრჩი მგონია, ქართველის პირობაზე არც ისე ცუდად მომექცნენ. ლიდას გახსენებაზე კი გული მეკუმშება. ასეთი კალმისტრის მემკვიდრეებს კარგი არ ეწერათ, თუმცა არც ზოგიერთ ადმირალს...

ნამდვილად უკეთეს დროში ვცხოვრობთ, თუ დღესაც ჯობია იცოდე ვის უბათქუნებ?..

### მამალი

იმერელის ეზო – მისი ხასიათია. ჭიშკარში შემოსული შორიდან უნდა შეათვალიეროს, კოინდრის მოლზე გამოვლილს იერი შეუფასოს, გულზრახვას მიუხვდეს – ავანსცენაა, მოქმედების უვერტიურა. მოლზე არ უნდა შეგეშალოს, თორემ, მერე, შეიძლება სიტყვაც კი მოუგო. მოლი რაც დიდია და მოვლილი, მით უფრო უნდა უფრთხოდე კანჭებში მომზირალ მასპინძელს. მოლის აქეთ-იქეთ ჯერ ბუჩქოვანი ყვავილებია, მერე ხეები, მერე ტრიფოლიანტის ჯაგნარი. სახლის უკან არასასტუმრო მეურნეობა. მსხვილფეხა ჩლიქოსანი მოლს ვერ ელირსება, ვერ გაიჯეჯილებს. აი ქათამი კი, თუ არ კრუხობს ან საქათმეში არ დაგმანე, რას უზამ? ეს მამალიც მოლზე გავლა-გამოვლას არ იშლიდა, ვერც დაუშლიდი, (ერთი კვირის ხარშვით თუ აჯობებდი დეზებიანს). მაგრა მამლობდა - დედლებს დაჩინჩლავდა, ვარიებს წაუნისკარტებდა, ინდაურს ჩაფუშავდა, შუა მოლზე გაიჯგიმებოდა, და დუნიას თავის ვინაობას ამცნობდა. პატარა, ქალაქიდან ჩამოსული ბიჭიც მამლაყინწობდა — კაცურად გამოივლიდა მოლს, მოვედიო, იტყოდა და ხაჭაპურს მიირთმევდა. არც შეშველებაზე გეტყოდა უარს, თუ კაცობაში ჩაეთვლებოდა, არც მეზობლის ჭიდან დაოფლილი კოკით წყლის მოტანას დაგზარდებოდა. შუკაში მძიმე კოკით მოხრილი, მოლზე გასწორდებოდა და კოკას ცალი ხელით ებრძოდა. მამალმა კარგა ხანს უყურა ამ ამბავს, უთმინა მეტოქეობა, ერთხელაც არ მოეწონა, ბიჭის შემოსვლაზე დაირიბდა, დეზები დაილესა, და ფრთების ფართხუნით კონკურენტზე აილო გეზი... ბიჭის თავმოყვარეობას დავზოგავ, კოკისას ვიტყვი — სამუდამო სასუფეველი ჰპოვა, მაგრამ აღარც ჭინჭილით მოუტანია წყალი მის მერე დაზარალებულს,მოლზე გამოვლას კიდე-კიდე სიარულს ამჯობინებდა მსხლის ხეებში, მსხლის ჭამა-ჭამით, ჰყვარებია თურმე. მამალი წინანდებურად უკონკურენტოდ მამლობდა. აი, ბიჭმა იმამლა კი?!

### მარტოობა

ქონების სადარაჯოზე, გადაულახავი ღობით შემოვლებულში, ძაღლი ყმუოდა. ადამიანის მოშინაურებულს, ადამიანისგან მიტოვებულს, ადამიანი ენატრებოდა...

### მასწავლებლები

მასწავლებლები... ბევრს ჩამოთვლი, დედ-მამიდან მოყოლებული, რამდენი მასწავლებლის ვალი გვაქვს! ზოგი საგანს გასწავლიდა, ზოგი ზრდილობას, ზოგი ჭკუას, ზოგი გზაზე გაყენებდა, ზოგიც თავისი უცნაურობით ცხოვრების კარს გილებდა, აუხსნელს... ასეთი უცნაური სამი მასწავლებელი მეც მყავდა.

შუა საუკუნეების ისტორიას სქელი, ნებიერი, დიდგვაროვანი სომხის ქალი გვასწავლიდა. გვასწავლიდა, მაგრამ ყველაფერზე ეტყობოდა — თავს გიყადრებს. არანაირად არ გვებრძოდა, არ გვცნობდა, რაც არ უნდა გვექნა. ნიშნებს კი ერთი და იგივე, ურღვევი სოციალური პრინციპით წერდა. სუბორდინაცია ალმავალი იყო, სოციალური იერარქიის მწვერვალზე მყოფს, რა უნდა მოგემოქმედებინა, რომ ფრიადი არ მიგელო!

საქართველოს გეოგრაფიას ქართველი, შთამომავლობითი არისტოკრატი გვასწავლიდა. დიდს და პატარას თქვენობით მოგვმართავდა, ჩვენც ბატონობით ვპასუხობდით. გულით გვასწავლიდა, ამაღლებულად. ეკზეკუციურ მეთოდებს არც ის იზიარებდა. ნიშნების წერისას კი მასაც თავისი, ურღვევი პრინციპი გააჩნდა — ცოდნა ეთნიკური ნიშნით ფასდებოდა. ქართველს როგორ გაკადრებთ საქართველოს გეოგრაფიის გამოკითხვასო, და განაღდებული ფრიადი იწერებოდა. დანარჩენებისთვისაც თავისი ლოგიკა გააჩნდა.

ქართულს შალვა ვაშაყმაძე გვასწავლიდა, პატარა ტანის, თავმდაბალი კაცი. ქართულის სიყვარულმა ჩვენამდე, მოწაფეებამდე მოიყვანა. კი გვასწავლიდა, მაგრამ არა შემტევად, მშვიდად და ილბალს შეგუებულად. სადამსჯელო ღონისძიებებს არ მიმართავდა — თუ ისწავლიდი და იცოდი, სიხარული არ ეზარებოდა, თუ არა და ირონიული ტკივილით იტყოდა: ნიშანს კი დაგიწერ, მაგრამ, ვაი შენს პატრონს და ქართველობასო.

ცხოვრებაგამოვლილზე თუ მიხვდები, რაოდენ უტყუარად მართლები ყოფილან, სამწუხაროდ...

### მაუგლი

წარმოგიდგენიათ თუ არა, ბავშვი ბავშვის გარეშე იზრდებოდეს? ანუ ბავშვს ბავშვი არ ენახოს?! თუ წაგიკითხავთ, ალბათ, მაუგლი გაგახსენდებათ, ან რაიმე ამდაგვარი ამბავი. არა და, ჩვენში, სვანეთში, სოფელ იფარში, ცხოვრობს ასეთი ბიჭუნა და არავითარი მგლები. სოფლები ისეთი დაცლილ-დაცარიელებულია, რომ იფარში ერთადერთი შვილიანი ოჯახია, და ერთადერთი ბავშვი ისე იზრდება, ბავშვი არ უნახავს. მიმავალი სოფლის ერთადერთი მომავალი...

თუ არ გჯერათ, აუცილებლად ნახეთ გელა კანდელაკის დოკუმენტური ფილმი "სოფელი". მარტო მაგიტომ არა, ისედაც, საოცარი ფილმია.

## მიმსგავსება

პარიზში, ლუვრში ყოველ დღე რომ გევლო, ყოველ დღე მოხუც ქალარათმიან კაცს ნახავდი. სუფთად ჩაცმული, კარუსელის თალისქვეშ, სუსტ ფეხებზე იდგა, შავი პორტფელი და ქოლგა მინაზე ედო, ცალი ხელით დიდი პარკი ეკავა, მეორით პარკიდან საკენკს იღებდა და ხელისგულით იწვდიდა. აქეთ-იქიდან აუარება ჩიტები მოფრინავდნენ. მოხუცი ფრთხილად, ნაჩვევი მოძრაობით მტრედებს იგერიებდა. ჯერ ბელურებს და წვრილ-წვრილ ჩიტებს აპურებდა — რიგ-რიგობით აფრინდებოდნენ და ხელისგულიდან კენკავდნენ. მერე მტრედების ჯერიც დგებოდა. დროდადრო გამვლელებს ეძახდა, ხელზე საკენკს დაუყრიდა და, ბედნიერი, ჩიტების დაპურებას ასწავლიდა. ხშირად ბავშვებს შემოიკრებდა, რალაცას მშვიდი ხმით უყვებოდა, და ყველას პატარა ხელისგულებზე საკენკს უყრიდა, ჩიტებიც მშვიდ მოლოდინში, მათ თავზე ღრუბლად იკვრებოდნენ. მეც ერთი-ორჯერ მოხუცთან ჩიტების ტრაპეზზე გამიწია გულმა, და ყველაზე უფრო პარიზული განცდით დამამახსოვრდა. მის მერე ათენში მომიწია ჩასვლა, და ათენის შუაგულ-ეროვნულ პარკში ასეთივე ჩიტების მოყვარულს წავაწყდი. ჯანმრთელი, შავი კაცის ჩიტებთან მეგობრობის ტირაჟირებამ ევროკავშირის მასშტაბით სენტიმენტები, ცოტა არ იყოს, გამიწელა, მაგრამ ფრთოსნების დაპურებაზე აქაც უარი ვერა ვთქვი. ის იყო, ჩიტები შემომესივნენ, სად იყო და სად არა, ბუჩქებში ჩასაფრებული მეორე ჯანმრთელი ბერძენი გამომზეურდა. ხელში მზამზარეული ფოტოსურათი ეკავა – მე, და თავზე ჩიტები. პაპარაცმ წამი არ დააყოვნა და, – ფული მოიტაო. გულმოსულმა, ცივი უარი ვუთხარი. ახლა ორნიტოლოგი გამხეცდა: ფოტო არ გინდა? ჩიტებს რო აჭმევდი გინდოდა, არა? კარგი იყო? ახლა ბრინჯის ფული დადეო. ამ ორი ახმახის ისევ ბრინჯის ფასად მოცილება სჯობდა, მაგრამ, პარიზელი მოხუცის მიმსგავსებას არც იმათ, არც ჩემს თავს არ ვაპატიებდი.

## მაწვნის ქილები

ქართული პატარა სოფლის პატარა სასაფლაო, შემაღლებულზე, დიდი ბებერი ხეები, ხეებს შორის დიდი ლოდები, ლოდებს შუა ჩამალული, გაბზარული პატარა ბაზილიკა, ირგვლივ ქართული საფლავის ქვები, ჩიხტიკოპიანი დიაცები – მაკრატლით, კაცები – ხარ-ურმითა და თოფებით. ყველაფერი ხავსში, სიჩუმეში, მივიწყებაში. ერთი-ორ ჯიუტად სოფლად დარჩენილ ბებერსაც მიიბარებს აქაობა, მერე კი სიჩუმე საუკუნოვანი... ყველაფერს აკეთილშობილებს დრო და მივიწყება, და თავად კეთილშობილს, ხომ მით უფრო. პოეტებისა და მხატვრების საუფლო, და არა მხოლოდ დეკადენტების. გულს ნაღველი მოეფინა, სინანულით შევავლე თვალი იქაურობას. ქართულ თავმდაბალ მონოქრომულობას ერთი დეტალი არღვევდა - მიწიდან ამოჩრილი თიხის ყვითელი ჭიქური. შლიმანის სინდრომმა იჩინა თავი და ფრჩხილებით მიწიდან დღის სინათლეზე ათი მაწვნის ქილა ამოვთხარე - სხვადასხვა ზომის, ფერის და ტონალობის, მარტივი, სადა, უმეტესად ერთფერი, ყვითელი, მომწვანო, ნაცრისფერი, ზოგი მუქი ჩამონაღვენთებით. არა მგონია, მიწაში რაიმე დავტოვე, სუყველა წამოვილე, გულიდან მიწა ამოუყარე, დავბანე, და თვალის საამებლად ადგილი მიუჩინე. არაფერი ნეკროფილური, არც განწყობა, არც სინდისის ქეჯნა, შემდგომ მიწის მიყრამდე...

## მერვი

ჩვენში ხშირია ათასნაირი ანკეტები. ჩემთვის მოსაწონი ანკეტის პასუხებზე, რომ მიმდგარიყო საქმე, ასე ვუპასუხებდი:

1. ყველაზე იდუმალი ადგილი?
— უდაბნო.
2. ყველაზე მიმზიდველი ისტორიული სამყარო?
— მერვი.
3. ყველაზე მისტიკური არქიტექტურული ნაგებობა?
— კეშკ-ქიზ-კალა, სულთან სანჯარის მავზოლეუმი.
4. ყველაზე ეგზოტიკური ხალხი?
— ბელუჯები.
5. ყველაზე საყვარელი ცხოველი?
— აქლემი.

და ასე მოხდა, რომ ჩემი ახდენილი ოცნების სანახავად, (უდაბნოში, მერვში, სადაც კეშკ-ქიზ-კალა და სულთან სანჯარია).

აქლემების ქარავნები დადიან, და ბელუჯები მომთაბარეობენ), ჩემი არქიტექტორი მეგობარი წავიყვანე აღფრთოვანების გასაზიარებლად. აღფრთოვანება სრული იყო, დღემდე გაუნელებელი და, როგორც აღმოჩნდა, არა მარტო ჩვენთვის... ბელუჯების აქსაკალმა შუამავალი გამომიგზავნა, შენი მეგობარი ჩემი შვილისთვის მინდაო ცოლად და გამოსასყიდს 30 აქლემს მოგცემო. ამაზე მარაზმი სიტუაციაც, (ანკეტაში რომ ეკითხათ), ცხოვრებაში არ მექნებოდა, ჩემი არქიტექტორი მეგობარი რომ დათანხმებულიყო! რა უნდა გვექნა მე და აქლემებს? თბილისში აქლემებს ვერ ჩამოიყვანდი, ადგილზეც ცალ-ცალობით თუ გაყიდიდი, ერთიანად ცალკუზიანი აქლემებით კუვეიტის ემირი თუ მოიხიბლებოდა, ისიც, არქიტექტორის დანახვაზე, აქეთ მეტს თუ არ შემოგთავაზებდა.

ქართველი ქალის სილამაზე დღესაც ფასობს!

## მეარღნე

ახირებული კაცები, უმეტყველო, უბრები, ოჯახის ამწიოკებლები, უგუნებოები — მძიმე ხვედრია... ეგეთი იქნებოდა ბებერი მეარღნე. არღნების სანახავად მივაკვლიეთ და მივადექით. მეარღნე ზემო ვერაზე ეზოიან, შუშაბანდიან სახლში ცხოვრობდა. ეზოში ქათმები, სახლში ცოლშვილი, შვილიშვილები. დედაკაცი ბამბაზიის ხალათში, უკმეხი, შვილები გაბეზრებული, შვილიშვილები დამფრთხალი, ულუპაპა ზაქივით, აღრენილი — რაო, არღნებიო, რა არღნები აგიტყდათო, არა ვყიდი, არა და არაო, რა დაგკარგვიათ, მოდაში აღარააო. მოვუთმინეთ, მივეფერეთ, ისე, გვაინტერესებს-თქო. იჭვნარევად აგვყვა, არ გაგვყარა. ეშხში შევიდა — ეს არღანი გეორქასი იყო, მე დამიტოვაო, ეს ნიკალამ მოხატაო, ამას კბილანი გაუცვთაო... არღნებს ქალივით ეფერებოდა, ხელით მტვერს სწმენდდა, სალტეს მხარზე გადაიგდებდა და მონატრებული გულში იკრავდა. ვნება აეყარა, თითქოს სატრფოს მიატირა, სიყვარული რომ მიგატოვებს და აღარასდროს მოგიბრუნდება, აღარ გიწერია, დროს წაყვა, გული კი არ გაიხარჯა. გულის ბზარში ღვინოში ჩამხრჩვალმა სიკეთემ და არღნის ხმამ გამოაღწია, თვალებზე ტკივილიან ცრემლად დაემჩნა.

ნაუსვლელობა არ იქნებოდა, შეგვატყო. მკვახეთ ჩაკეტა გულის კარი, სახლის კარიც უმშვიდობოდ მოგვიხურა. ოჯახს ისევ ახირებული კაცი შერჩა... ეს მეარღნის ბოლო სიმღერა იყო.

## პრეზენტაცია

თბილისის იქითაც ყოფილა საქართველო, და წიგნის პრეზენტაცია სოფელში შესდგა, სკოლაში. სკოლა – მოვლილი, გალავნიანი. დირექტორი – ახალგაზრდა, ენერგიული. მასწავლებლები – მონდომებული, თავდადებული. ბავშვები, რაც მთავარია, ბავშვები – მომთმენი, ზრდილი, ბუნებრივი. სტუმრები და მასპინძლები ჩვეულმა პრეზიდიუმმა გაჰყო, სივრცობრივად, თორემ მწერლები – რიდიანი, მასპინძლები – თავმომწონე. თავისი კორტოხიდან არავინ იმზირებოდა ფარული ამპარტავნობით. სტუმრების გამოსვლა-მოხსენებები – მოზომილი. მასპინძლის ყურადღსმენა – ნამდვილი. ბავშვების სპექტაკლი გულსაკლავი – თაგვები აკაკი ხორავას პათოსით წიგნის გმირებს ასახიერებდნენ. კონკურსი კეთილი, ჯილდოდ – წიგნი, ჯერ კიდე სიმბოლო სულიერებისა. სუფრა, სოფლის შეწირული – შინაური, თავდაუზოგავი. გამოთხოვება – თვალებწყლიანი, დაუვიწყარი. ძნელია ასეთი სიკარგე, ძნელია ასეთი სიკარგე აღსაწერადაც, გამეორება კი ძლიერ სახიფათო...

## მუცო

სამნი იდგნენ ქუჩაში – დედა, მამა და შვილი. ეგრევე იტყოდი – სოფლიდან არიან, ძალიან შორი სოფლიდან. ქალაქში პირველად ჩამოსულებს ჰგავდნენ — გაოგნებული, დაკარგულები. ისინი მუცოელები ვერაფრით ვერ იქნებოდნენ, მაგრამ – ისინი იყვნენ.

კარგა ხნის წინ მუცოს უკაცრიელ ხეობაში ცხოვრობდნენ – დედა, მამა და შვილი. დედა ორსულად იყო, ზამთრის პირს მეორეს ელოდებოდა. მშობიარობა მუცოს ხეობაში უწევდა, სადაც სამად-სამნი ცხოვრობდნენ. ზურგჩანთიანებს კუშტად დაგვხვდნენ, გაუღიმებლად. მხოლოდ მომსვლელს უფრთხოდნენ, სხვას არაფერს – არცა ნადირს, არცა ბუნებას, არცა მუცოს განრისხებას.

ისინი ვერაფრით ვერ იქნებოდნენ, მაგრამ ისინი იყვნენ – ქალაქში ისევე დაკარგულები, როგორც ჩვენ მუცოს ხეობაში. რა უსუსურები ვართ ერთიმეორის ადგილას! მაგრამ, ნანატრი ქართველობა მაინც მუცომ უფრო შემოგვინახა.

## სუფრა

შემოდგომის გახურებული კაკლის ბერტყვისას სოფელს ქალაქელები დაატყდნენ. მოსეირნე ხუთეულიდან ერთი კატეგორიულად სოფელს ვერ იტანდა, მისი მეუღლე – ღორებს, მესამე– სიმწრით ჰოლანდიელობდა, მეოთხე – მიზანტროპიასა და ღვთიურობას შორის მერყეობდა, მეხუთე კი სულაც რუსი იყო, ორმოცი წელი საქართველოში ცხოვრობდა, „ქართველები კი მიყვარსო", მაგრამ ქართულის ინჩი-ბინჩი არ ესმოდა.

მასპინძელი მარტოხელა, ხმელი ქალი, იმხანად მოზვერმა „დაჩურთა" და სულ იმას ჰყვებოდა „განიორწყლებას" როგორ გადაურჩა. შეშის მჭრელ ჯმუხ ძმისშვილს მისი ხელიდან ვინც შენდობას ითხოვდა, საურთიერთობოდ ისინი ერჩივნა. მის დიდთავა შეგირდს სმა არ ეზარებოდა, მაგრამ „ზეციურ საქართველოს" მეზობლის ქალს ამჯობინებდა. მეზობლის ქალს კი „ქალაქელობის მეც რამე გამეგებაო" და „თუ რამეა, "პამერიანს" უნდა გაჰყვე ცოლადო, ნაკლებს არაო".

სუფრაზე მასპინძლის ხელით გამომცხვარი, მადლიანი მთელ-მთელი პურები ელაგა, მასპინძლის ხელით ამოყვანილი ყველი და მასპინძლის ხელით მოწველილი ქაფქაფა რძე, მასპინძლის ხელით მოყვანილი მწვანილი და მასპინძლის ხელით დაწურული ღვინო.

პირის გემო ყველას ერთი ჰქონდა.

## პალატა №11

თავდაცვაზე ხარ გადასული — შეკითხვებს არ იძლევი, პასუხებს ძუნწად. შენიანები მოიგერიე, ახლა ესენი უნდა მოაყომარო. თვალზე საძილე-საბნელებელი გადევს, მომაკვდავის გიჭირავს. მარტო რომ იყვეს, ეგ გაჭირვებულ-ნაოპერაციევი — თამაში მოგებული გაქვს, მაგრამ თავზე ადგანან, და თანაც ორნი. ხანდახან ახსენდები და ხმას დაუწევენ, თუ არა და თავისიანი ითმენს:

— დაიფარე, ამაღამ მე დავრჩები, არა მე დავრჩები, გშია? არ გაცივდე, შენ 9 საათზე მოდი, მე 10 საათზე წავალ, დაიძინა, ნუ ტრიალებ, ხაზეიკის ქირის ვალი მაქვს 100 ლარი, მშია, პროცენტიანი აიღე, ნუ იფარებ, არაკაცური ტიპია, კინოში გავისეირნოთო, ჭამე, კაცები სადღა არიან, არ გეძინება? სოფელში გივიას ბრმა ნაწლავი აქვს, ეგ ბრმა ნაწლავი არ იქნება, დაიფარე, გინდა? არ გინდა? და ა.შ. და ა.შ. და ა.შ.

უცებ სერიალი გაახსენდებათ, ტელევიზორის ჩართვას დააპირებენ, პულტის თავსა და ბოლოს არკვევენ. დროზე მიუსწრებ, კატეგორიულად მხოლოდ ერთს იტყვი:

— თქვენ გისმენთ, მაგრამ გრიგოლია-წურწუმია მეტი მომივა.

ცნობადი სახეებით დაპირისპირებულებს, თვითშეფასების კოეფიციენტი უმაღლდებათ — გოლი გატანილი გაქვს. დღე ასე უძლებ. ღამე თავზემდგომი ხვრინავს, ოხრავს, ფშვინავს, სკამზე ზის, სკამი საზიზღრად ჭრიალებს, თავი ნაოპერაციევის მუცელზე უდევს — ნანარკოზალი თუ აიტან! გაწერას დაგასწრებენ. კეთილი ხარ, გიხარია. ქირურგი თავშეკავებით აათვალიერებს და დაამატებს:

— ავადმყოფი მანქანით წაიყვანეთ, მეტროთი ნუ ივლით. დამშვიდობება — თაფლი და მურაბა. შვებით ოხრავენ, ნეტა სერიალში რა ხდება! წავიდნენ, თვალები გაახილე, მზე ყოფილა. ისევ ხუჭავ. ახლა ორნი შემოყავთ, ერთი საოპერაციო და თავზემდგომი ერთი. თავზემდგომი შემოსვლისთანავე შენს გასაგონად აცხადებს:

— ძირძველი თბილისელები ვართ, დიღომში და ვერცხლის უბანში ვცხოვრობთ. შენს ლოგინს გადმოხედავენ, თავის ზიზილ-პიპილოს აგებენ. კარგ რუსულ-ქართულს ურევენ, შენ გასაგონად ასჯერ ნათქვამს აბურთავებენ:

– კი, გენაცვალე, აქაურ თეთრეულსაც რა უშავს, ამაშიც შეიძლება წოლა. Помнишь, მუხაძე, академик, თავისი ცოლი,

რომ საავადმყოფოს თეთრეულში ჩაანვინა, სხვები სულ в кружевах лежали, (გადმოგხედავენ), красавица ცოლი ჰყავდა. ისე, ახლა ჩემი ჩამოსვლა გურიიდან ადვილი ხომ არ გგონია. რამხელა ეზო დავტოვე მისახედი. აბა არ დაგდგომოდი?!

ცალ თვალს გაახელ, ძირძველებს მოჭუტულად შეხედავ. სანამ შეკითხვას მოასწრებენ, სასწრაფოდ ხუჭავ. თემა ისევ მაღლივ სფეროებს უბრუნდება:

—ისე, კონიასაც რა ქალები ჰყავდა, ნუ конечно, все красавицы, წამწამებიან-პომადიანი.

შემოდის ანესთეზიოლოგი, ძირძველს წამში სედატივით აშტერებს, მაგრამ საოპერაციოდ გამზადებული და გათიშული ძირძველი, საკაცეზე გაწოლილი, კარებში გაყვანისას, მაინც ასწრებს:

—მე ჟურნალისტი ვარ, журналист-международник!

მეჟდუნაროდნიკი გაიყვანეს, თავზემდგომიც მიაყოლეს. მოდუნდი, ისვენებ, თვალები გაახილე, მზე ჩასულა. შუა გახურებულ ოპერაციის დროს, ძირძველი-თავზემდგომი პალატაში შემოვარდნას ახერხებს, ლოგინში ჩაჩურ-თულ ჩანთას ეძებს, ჩხრიკავს, ფული ამოაქვს, ითვლის. გაკვირვებულს შემოგხედავს და თითქოს გემართლებოდეს, გიხსნის:

— ფული ხელის ჭუჭყია, მაგრამ ყველას სჭირდება!

და ისევ უჩინარდება. უდანაშაულობა სახეზეა. მადლობა ღმერთს, შენც გაგწერენ. ყველა კარგად ამყოფოს უფალმა!

## ნუ მოვტყუვდებით

*ნუ მოვტყუვდებით — შავი კოსტუმი , რომელსაც ჩვენ დროს ატარებენ მამაკაცები — საშინელი სიმბოლოა. აქამდე მისვლისას ერთი მეორეს მიყოლებით უნდა ჩამოგვყროდა აბჯარ-აბგარი და ყვავილ-ყვავილ გამქრალიყო ოქრომკედით ნაქარგობა მუნდირებზე.*

**ალფრედ დე მიუსე**

*ფრანგი მწერალი, ფრანგული აკადემიის წევრი (1810, პარიზი — 1857, პარიზი)*

ქალი, კაცი, დიდი, პატარა – შავი უნიფორმა, შავი უნისექსი. რას იტყოდა ალფრედ დე მიუსე დღეს თბილისში რომ ჩამოსულიყო?

## ტკივილი

შიში, უკანასკნელი მზერის შიში. უკანასკნელი მზერის შიშს რომ გაგიჩენს, ცხოვრების ბოლომდე რომ გდევს, გტკივა, და ვერ იცილებ.

ევაკუაციაში უმისამართოდ მიმავალი გემი. გემი მძიმე, დატვირთული, მძიმედ სცილდება ნაპირს. ნაპირზე გრჩება ყველაფერი, წარსულიც და ნივთიერიც, ყველაფერი ნაპირზე დაგრჩა. გემს კი სულიერი მისდევს, ცურვა-ცურვით, შუა ზღვამდე, ნაპირის გაქრობამდე, დახრჩობამდე. ძაღლი მისდევს, უკანასკნელი ძალღონით მისდევს, წყალს ებრძვის, იძირება, გემბანზე პატრონის თვალებს ეძებს, თვალებში უყურებს, თვალს არ აცილებს მარტო დარჩენის შიშით.

ყველაფერი უკან დაგრჩება, ყველაფერი მინავლდება, ყველაფერი მიმქრალდება, იმ ბოლო მზერის გარდა, რომელსაც ვერ დაივიწყებ და გტკივა.

## თოვლი

ჯერ არ გათენებულა. ყველას სძინავს, შენ კი შენს ფიქრებს და ქიქა ყავას უზიხარ - ნეტარი წუთები ტკბობის და ხელალებისა. ყველას სძინავს. არც ძახილია, არც ჭყეფა, არც მანქანის ხმაური. თავმოყრილს არავისთვის და ყველაფრისთვის გცალია. ტანს რაღაც უცნაური უხარია. ფანჯრის ფარდას გადასწევ, და — თოვლი! თბილისში მოთოვა! ფანტელი ხეებს ფარავს, სახლებს, მინას. თოვლი ხმაურს შთანთქავს, სიჩუმეა, თითქოს ბამბის ფთილებით გაგუდული. სილამაზეა და სიმშვიდე, საჩუქარია დილის, ხელუხლებელი. მიუსწარი, უცებ გადნება, ჩამოიყრება, ჩამოილევენთება, ჩუმი სიხარული კი დაგრჩება. მეორე დილით, უთენია ადგები. ყველას სძინავს. ფანჯრის ფარდას ფეხაკრეფით მიეპარები, ფრთხილად გადასწევ...

თბილისის თოვლი თვითნება საჩუქარია.

## ტურისტი

ეგეთია ჩვენი ბედი – დრო იყო, აქედან არ გვიშვებდნენ, ახლა იქ არ გვღებულობენ. მოკლედ, აქედან რომ არ გვიშვებდნენ, იმ დროს, პროფესორი, ბედის ირონიით (თუ ლოგიკით?), ცნობად სახეებთან (მაშინ „ცნობილ სახეს" იტყოდნენ) გაათანაბრეს და, არც მეტი და არც ნაკლები, ინგლისში ამოჰყო თავი. ჯგუფი ცნობილიც იყო და მორჩილიც. პროფესორი არც ერთ ამ მაჩვენებელს არ აკმაყოფილებდა – ცნობილობას არ დაეძებდა, მორჩილებაზეც – ბოდიში. ამ დალოცვილი ინგლისის არაფერი არ აინტერესებდა, ყველაფერს ზუგდიდიდან უშგულამდე ფეხით სიარული ერჩია, სანუკვარი სვანეთის სანახავად. ბედად, ინგლისშიც ყოფილა მისი მოსაწონი — ბოტანიკური ბაღი და ჰაიდ-პარკი. ჯგუფმა ინგლისი მოიარა, მუზეუმები დაათვალიერა, სუპერმარკეტები შეისწავლა. პროფესორი კი, უკან ხელებშემოწყობილი, ჯიუტად ჰაიდ-პარკში ჩიტების ჟღურტულში მეოცნებეობდა. ასეთი იდილიური დროსტარების მერე და გამოც, რას იფიქრებდა, ჯგუფის ყველაზე სანდომიანი "პაგონებიანი" წევრი მის მოკვლაზე უკან რომ არ დაიხევდა, მაგაშიც რომ ჩინი მიეცათ... მის მერე პროფესორს ტირნოვოსა და კარლოვი-ვარის მეტი არაფერი ღირსებია. და მაინც ჯიუტად გაიძახდა: სანუკვარ სვანეთს არც ერთი არა სჯობიაო!

## წყენა

ვინლა არ იყო მუსიკალური საკრავების მუზეუმში, რაღა არ ითქვა აშულების სასახელოდ, მათდამი მიძღვნილ თავყრილობას არავინ დაჰკლებია, არც მომხსენებელი, არც მნახველ-მსმენელი. სიტყვა ჯერ მუზეუმის (უფრო) დირექტორმა (ვიდრე ქალმა) წარმოსთქვა, მერე ხან მოქადაგე მუსიკის მცოდნეები ლაპარაკობდნენ, ხან ფოლკლორის სპეციალისტები, ხან საკრავების ექსპერტები. ის კი არა, მედეა ძიძიგურმაც კი იმღერა, ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია. თავის გამოჩენით კიდევაც მოილხინეს, კიდევაც მოიწყინეს ერთი-მეორის ცქერით. ბოლოს რომ დაიშალნენ, ცარიელა დარბაზს, ყველასგან მივიწყებული, ორი მოხუცი შერჩა: ერთს დუდუკი ედო მუხლებზე, მეორეს თარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკავა — ორი ტფილისელი მესაზანდრე, ორი ტფილისური მუსიკის ცოცხალი მატიანე. საგანგებოდ, (და ამაოდ) მოყვანილებს, წასასვლელად თვითონ უნდა ეზრუნათ.

ისედაც უჩუმრად წამსვლელებს თუ მიეფერებოდი, თორემ რალა ჩანიხლვა უნდოდათ, მანამდე არც დათვი შევარდნიათ ნისქვილში, არც პატარა ფრიდემანივით თავი ჰქონდათ გუბეში ჩასაყოფი...

## ზეთისხილი

მატარებელი უდაბნოში გაჩერდა. შორს, მირაჟივით ოაზისის პალმები გამოჩნდა. ჩამსვლელი არავინ იყო, არც ამომსვლელი, ერთი ბიჭის გარდა. ბიჭს კაცურად ჩაცმულს, კაცურად ჩაფიქრებულს, მოზრდილი კალათი ეკავა, შიგ პატარ-პატარა მრგვალად დაწნული კალათები ელაგა, კალათის კალათებში კი თითოში ათიოდე ზეთისხილის მარცვალი. ბიჭი ზეთისხილს ჰყიდიდა და შორი გზის მგზავრებს, ქვეყნიერებას შენატროდა. პატარა ზეთიხილის კალათებში კი უდაბნოს სიმშვიდე იყო დაუნჯებული...

## წვიმა

იმერეთში წვიმს. შუკაში პატარა ნაცრისფერი კაცი პატარა ნაცრისფერ ჩოჩორს წკეპლით მიაჩიქჩიქებს, ჩოჩორს ზურგზე ფქვილის ტომარა აქვს გადაგდებული, ტომარას "KARMEN"-ი აწერია. ყვირილას პირას ლობედაირიბებულ შემოღობილში ერთი ცარიელი, თეთრადშეღებილი სკაა და ერთი მწკრივი ახალშემოთოხნილი, ახალამოსული პრასი. წასაქცევი წისქვილი გაჩერებულია, ბორბლებში ცელოფნის პარკებია გაჩხერილი, სახურავის კეხზე ლოდებია შემონყობილი. აქეთ-იქით გალუმპული პაკუსია ძაღლები დარბიან, ბეწვებგაბურძგნული ძროხები გაკაფული ტოტების კვირტებს წიწკნიან. მაღაზიის კარებთან "KARMEN"-ის ფქვილის ტომრები აწყვია, კაცები დგანან, იფურთხებიან, წვიმას არ ერიდებიან, გოგონები chupa chups ახრატუნებენ. სოფლის სასაფლაოს ჭიშკარს ჩაჟანგული ბოქლომი ადევს. გზად ორნი მოდიან, მოხუცი ქალი და უიმედოდ უგუნური კაცი, სალამს არ გაძლევენ.

ალბათ წვიმის ბრალია...

## ყვითელი ხე

გაყვითლებული ხე... მარტო ჩინელს შეუძლია უმცირესში უსასრულო ჩაატიოს, ლერწამმა ანტროპომორფულად მოიწყინოს. ლექსად შეწუხდები, და უმეტყველო, სხვისას იშველიებ:

**აგვისტოს დღეა,**
**ჯერ მწვანე ტყეა,**
**დროდადრო ჩხიკვის ისმის ხითხითი,**
**და ერთადერთი ყვითელი ხეა.**
**მგონი, რცხვენია თავის სიყვითლის.**
**ეტყობა, სხვათა წაბაძვამ სძლია,**
**ამ ყვითელ სამოსს რომ ვერ იფერებს,**
**და მიმქრალ, (მაგრამ მშვენიერ იერს)**
**მიაწერს ადრე დამდგარ სიბერეს.**

დასრულდა. ფოთოლდაყრილი, ნარინჯისფერ წრეში დგას ხე, შიშველი, ტოტებგაძარცული. ისევ ლექსი მოგეძალება, ისევ სხვისი:

**Ты также сбрасываешь платье,**
**Как роща сбрасывает листья,**
**Когда ты падаешь в объятья**
**В халате с шелковою кистью.**

## ზარი

მეგობარმა დამირეკა:

— ორნი ვართ, სტუმრად მესამე მიგვყავს მეოთხესთან, ხომ იცი, რა კარგია, არ წამოხვალ?

ჩავეკითხე, დავეთანხმე. ფანჯარაში გავიხედე. ქუჩაში პატარ-პატარა, დაუძლურებული ნაბიჯებით უბნის მათხოვარი მიჩანჩალებდა. მანქანების სავალ გზაზე კოჭლმა ძაღლმა გადაირბინა...

სახლში დავრჩი. ყველაფერი დალაგდა.

## ზვინი

აგვისტოს ღამე, თივის ზვინი და ცარგვალი მიწის მრკალავი. თივის სურნელში მამის მკლავზე მიგეძინება, და ყურთ ჩაგესმის:

– ვარსკვლავთცვენა, დიდი დათვი, ირმის ნახტომი...

წლები განვლენ, სხვის მკლავზე მიღლილს ჩურჩული გესმის:

— ჩემო ყველავ, ჩემო ნანატრო...

მაგრამ ის სიტყვა, რომ მიგყვება კუბოს კარამდე – ირმის ნახტომი, დიდი დათვი, ვარსკვლავთცვენაა...



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ქეთევან შენგელიას ლექსებს ყოველთვის გამორჩეული ინტერესით ველით, რადგან ვიცით, რომ მას აქვს პოზიცია, აქვს სათქმელი და ერთგულად იცავს პრინციპებს; არასოდეს ღალატობს კლასიკურ ტრადიციებს და, რაც მთავარია, თავის ერთგულებას ახალი ფორმებისა და მოტივების მეშვეობით ამტკიცებს. პოეზია თუ კულტურის ფენომენია, მაშინ პოეტს ევალება კულტურის დაცვა ყველა დონეზე – სოციალური იქნება ეს, ეროვნული, პოლიტიკური თუ ესთეტიკური. ლექსი მარტო „ტკბილ ხმათათვის" რომ არ იწერება, ეს ყველამ იცის, მაგრამ მის სოციალურად აქტიურ ფაზაში გადაყვანას სხვა ნებელობა სჭირდება. ამ კეთილშობილურ ნებელობას ვხედავთ ქეთევან შენგელიას ლექსებში და ამიტომაც გვჯერა, ამიტომაც ვენდობით. გულწრფელობა, უშუალობა, უბრალოება. პოეზია ამ ცნებების გარეშე არ არსებობს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ნამდვილი გრძნობების ნაცვლად იმიტაციებს გვთავაზობენ ხოლმე. ჩვენც მივეჩვიეთ წარმოდგენებით ცხოვრებას და ნამდვილი არსი მაშინღა გვახსენდება, როცა იმიტაციის ნაცვლად მართლა გულწრფელ, უშუალო და უბრალო სტრიქონებს ვკითხულობთ. ქეთევან შენგელიას ლექსებში არის ალტაცება და არის ალტაცების საგანი, არსებობს სიხარული და არსებობს სიხარულის საგანი. ყველაფერი არის ნამდვილი, მყარი და მეტისმეტად ადამიანური.

ქეთევან შენგელია

## დელფინარიუმთან

რა საოცარი ხმები ჰქონიათ,
ამ შენს მეგობარ კეთილ დელფინებს,
გარიჟრაჟია, მზის ამოსვლისას,
უკვე აივანს გადმოეფინე.
ქალთევზასავით გიზიდავს წყალი
და გიყვარს შენი თეთრი ქალაქი,
ეს რა თილისმა გკიდია ყელზე,
ილბლისაა თუ მზის და ბარაქის?
მივყვები ქუჩას, იქვე პალმებთან,
ჩახუტებია ბიჭი გოგონას,
საით მიცურავს გემი არ ვიცი...
აი, ბურთი კი, ჩემკენ მოგორავს.
ცოტა ხნის შემდეგ შინ დავბრუნდები
და ბათუმს კეთილ სიზმრებში ვნახავ,
მცივა თბილისში, ასე მგონია,
დალებული აქვთ ურჩხულებს ხახა.

## გაზაფხული თბილისში

მოდის ლაღი და ამაყი,
მოსასხამს მოაშრიალებს,
ყოჩივარდებით შემოდის,
ტოვებს ნარცისებს მზიანებს.
შხაპუნა წვიმა აცეკვდა,
ამღერებს ხეებს, კრამიტებს,
მოდი, თავიდან მითხარი,
ჩემზე მაგ გულში რა გიდევს?!

## იოანე შავთელი

ვიჯექ თამარ მეფის მდივნად,
შემდეგ ვწერდი იამბიკოს,
თუ მოყვასმა არ გამწირა,
მე უბრალოდ სხვამ რა მიყოს?!

სიბრძნით ვწერდი „საძიებელს",
„მასწავლებელს" ვწერდი სიბრძნით,
ვიბრძვი ქარად რომ არ ვიქცე,
მიწად ვიქცე, ამად ვიბრძვი.

## მშვიდობით სიხარულო...

რაღაც საოცრად მეზარება დღეს ყველაფერი,
არა იმიტომ, სიზარმაცე რომ მიზის სულში,
მე რაც ვაშენე, იმ საყრდენთა ნგრევას ცდილობენ
და ყვავილობა დამიშალეს ვარდის და ნუშის.

რაღაც საოცრად მეზარება მიყვარდე ძლიერ,
არა იმიტომ, რომ სიყვარულს ვერ ვგრძნობ სრულებით,
მე ეს ბუღვრიალა ნატვრისთვალი შემოგთავაზე,
შენ მაგრძნობინე, რომ არსებობს უტყვი გულები.

რაღაც საოცრად მეზარება მოვიდე თქვენთან
და მოგიტანოთ მოხატული სავსე ხურჯინი,
როცა გესტუმრეთ, ყველაფერი ამოგილაგეთ,
მე რომ დამჭირდით, გამოუშვით ჩემკენ ცრუ ჯინი.

რაღაც საოცრად მეზარება არ ვიყო მარტო,
არ მეშინია სიმარტოვის უკვე სრულებით,
მე ჩემი მწვანე ფოთლის ქოხის ფანჯარას ვაღებ,
და თვალს მიკრავენ გაბერილი ღრუბლის ქულები...

## ნადირობის ქალღმერთი დალი

ეს ფერმკრთალი გარიჟრაჟი,
ეს გიჟმაჟი ქარი,
ქარიშხლების უხვი ტაში
და წითრონი რაში...

ბრალი აბა რაში დამდე,
რაში დამდე ბრალი?!
გაშლილია იორს ბადე,
მთას ნადირობს დალი...

სადღაც დამრჩა აბრეშუმი,
დათმობილი კვერთხიც,
გამიმრუდე ვერცხლის შუბი
და სათქმელიც ვერ თქვი.

მთვარემ სხივი დამაბჯინა,
მხარზე მქონდა ხალი,
მეც მასწავლე ნადირობა,
გეხვეწები დალი!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ ფარჩაც სხვამ ამართვა,
სხვამ ამართვა მძივიც,
გელოდები იმ შამბნართან,
წყარო როა ცივი...

ნადირობდნენ ერთმანეთზე,
ჩემი ბეჭდის თვლებზეც,
გულლია და თვალდახშული,
როგორ უნდა ვთვლემდე?

ისე ქუხს და ისე ელავს,
ვერ დადგება დარი,
ამ ამინდში ნადირობა,
მეც მასწავლე დალი.

## ქართლის ცხოვრება

*2008 წელს რ. მეტრეველის რედაქტორობით ხელახლა გამოიცა „ქართლის ცხოვრება"; ამ წიგნის გამო პატრიარქმა დააჯილდოვა ოქროს მედლით. ლექსს ვუძღვნი აკადემიკოს როინ მეტრეველს.*

ჩვენი სამშობლოს ბედის ბორბალი,
რა წვალებით და მძიმედ ტრიალებს,
რუდუნებით და გულის ფანცქალით,
წერდა და წერდა მემატიანე.

იისფურცლება, ღვთივკურთხეული,
აი, ეს წიგნი, ჩვენი განძია,
ზეცა ხან მტრობით გადარეულა,
ხან ჩაგვიხატავს გულში ვარძია.

ალბათ თქვენგვარი ღვაწლით და ფიქრით,
დრო მხრებზე ედგათ ჟამთაალმწერლებს
და გააცოცხლეთ რაც წლების იქით,
ჯერ მოსაყოლი დარჩათ ნაწერებს.

ზედაზენს ილებს დავითი თითქოს,
იერთებს კახეთს, იერთებს ჰერეთს,
მიფრიალებენ დროშები დიდგორს,
ლოცვით ბრუნდება ბრძოლიდან მერე.

რამ ჩამოაგდო მთის წყარო ბარად,
როგორ ვიკმარეთ ომში ხმიადა?
სხვასავით მხოლოდ აწმყოზე არა,
თქვენ ჩვენს წარსულზეც ზრუნავთ ნიადაგ.

## სიზმარი ქართლში

ხან შხამი ვარ და ხან სათრობელა,
ხან მაყვლის ბუჩქი, ხანაც ფუტკარი,
უთხარი გულო, ვისიც არ გჯერა,
სიზმარში მაინც ნათლად უთხარი!
ყირაზე დგება მთელი სამყარო,
დღე იყო მთვარე, ღამე მზე იყო,
ხომ აღარ გინდა რაც ადრე გსურდა?
ისევ ისე ხომ ველარ ზეიმობ?

მოდის მაისი, მხვიარა ვარდი,
წითელ გვირგვინებს გზებზე დახატავს,
ნელი ნიავი ეჩურჩულება,
იქეთ ბინმენდს და აქით ახატანს.

## სოფლის ბილიკი

წითელი კაბით ასკილის ტოტი,
და გაძარცული პატარა ბალი,
ხელში ჩვილით და მომცრო კალათით,
ოქროსთმიანი ყმაწვილი ქალი.

უკან მიჰყვება ვნებებით მთვრალი
ვაჟი; მის ქმარზე ფიქრობს ნაკლებად
და ბევრი-ბევრი ერთხელ აკოცოს,
მსოფლიო რუკას რა დააკლდება?!

## წახემსება

ედგათ ბოლლიწო და ლუდიც ედგათ,
შამაიას და ტარანას ჭამდნენ,
– მიდი და ცივი წყალიც მოიტა...
ორი ნაბიჯი გვაშორებს ჭამდე.

ქართული ზეცა დასცქერის ტაბლას,
დამტვრეულ შოთებს, წითელ წიწაკებს,
შე უბედურო, ტყავსაც გაგაძრობ,
მამულს თუ კიდევ ერთხელ მიძაგებ.

* * *

ხეც წამოილო, ზუთხიც და მურწაც,
დგაფუნა ტალღამ და ჩაჰყვა მორევს,
საშიში კია, გადარეული,
მაგრამ არ მიყვარს მდინარე მდორე.
ნუ შემპირდები, რასაც ვერ იზამ,
თევზის მაგივრად რად მინდა ქიცვი?
სიტყვაც მეყოფა თუ მამყოფინებ,
რას მარგებს შენი ცრემლი და ფიცი?!
გარისკე, განა ვინმე დაგძრახავს?
განა აგყრიან ჩინსა და მედალს?
მზემ იცის-ხოლმე, ხანდახან თოვლში,
თავის სხივებით ცელქობას ბედავს.

## ძღვენი

დიდ აივანზე დგას ხის მაგიდა...
რამდენი რამე იტვირთა გულმა?!
სინზე აწყვია ნოემბრის ძღვენი,
მსხალი, ყურძენი, ვაშლი და ხურმა.

ისევ „ვლალადებთ ღმერთის დიდებას",
და მაინც ვარლვევთ ეშმაკის ფართობს,
უცხო მიყვება ამ ქვეყნის ზღაპარს,
მეც შენს მაგივრად ვილაცას ვართობ...



გვანცა ჯობავას ლექსების გაცნობისას ნება-უნებლიეთ ჩნდება კითხვა: საიდან იწყება ლექსი? ძველი, დავიწყებული სიმღერის ანალოგიით („საიდან იწყება სამშობლო") დასმულ შეკითხვას კონცეპტუალური სიღრმეებისკენ თუ არ გავყვებით, შეგვიძლია მარტივად ვუპასუხოთ: – იქიდან, საიდანაც იწყება სიყვარული... თუნდაც სამშობლო. ამაში თითქოს ახალი არაფერია, მაგრამ საერთოდ რა არის ახალი, თუ არა დავიწყებული ძველი, რომელიც სწორედ მაშინ გვახსენებს თავს, როცა კარგად გვავიწყდება. ავანგარდისტული გავლენების წყალობით პოეტური აზროვნება სხვა სიღრმეებისკენ წავიდა, სხვა გამომსახველობით საშუალებებს მიმართა და, კაცმა რომ თქვას, ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ამას ახლავს „გვერდითი მოვლენებიც", რომელიც რაღაცას ფარავს, რაღაცას გვავიწყებს. ამ დავიწყებულ „რაღაცას" გვახსენებს გვანცა ჯობავა და არის ამაში სასიამოვნო, ამაღელვებელი და, ცოტა არ იყოს, სანტიმენტალურიც. მკითხველს უთუოდ დაამახსოვრდება „საათის ისრების" მეტაფორა, განსაკუთრებული პიეტეტი მამის ფენომენისადმი, მშობლიური სიყვარულის უშუალო განცდა. აღსანიშნავია აგრეთვე მეორე პოეტური „მე"-ს თავისებური წარმოსახვა და სამშობლოს ხატება ესქატოლოგიურ კონტექსტში. ეს არის გვანცა ჯობავა – სევდანარევი იმედის პოეტი.

გვანცა ჯობავა

## საათის ისრები

მა, ახლა შენ გძინავს...
მე ისევ შენს საწერ მაგიდას ვუზივარ
და ისევე მინთია მაგიდის ნათურა,
როგორც ყოველ ღამე.
ვწერ ყოველ ღამე,
ხან რას, ხან რას,
და შენი სუნთქვა
სივრცეს ასხლეტილი მზის სხივივით
პირდაპირ ჩემს მაგიდას ეცემა,
წუთში ოცდაათჯერ
(გითვლი სუნთქვას ყოველ ღამე),
მელანივით ვაწობ შიგ თითებს
წუთში ათჯერ მაინც
და ვწერ,
ხან რას, ხან რას...
პო, ახლა შენ გძინავს.
ბოლო ხანია ჩემზე ადრე იძინებ.
იძინებ, მაგრამ საათში ერთხელ
ჩემი ნათურის შუქს ამოწმებ.
საათში ერთხელ გამომძახებ,
მომიკითხავ...
და როცა შუქს ვაქრობ და
ვემზადები დასაწოლად,
იმ წუთას თვალს ახელ და
მეძახი, მეკითხები,
ვწვები თუ არა.
და იმ წუთას არ მინდა მჯეროდეს,
რომ უკვე გავიზარდე.
ალბათ არც შენ გინდა.
არადა, ბოლო ხანია,
მე და შენ ერთად ვმალავთ
ჩემს პირველ ჭაღარებს
(მაკრატელს გაწვდი და ჭაღარებს
შენვე პოულობ).
მე მაინც ჯიუტად კედებით დავდივარ,
ვიცვამ ყველაფერს ბავშვურს
და სასაცილოს
(არ ვიცი, შენ ყოველთვის გეცინება,
როცა დილით სახლიდან გავდივარ,
და მაშინაც, როცა უკან ვბრუნდები).
არ მინდა მჯეროდეს, რომ გავიზარდე,
ალბათ არც შენ გინდა.
ყოველ საღამოს მეკითხები,
ამდენ ხანს სად ხარო,
მაშინაც კი, როცა იცი, რომ
სამსახურში.
ისე მეკითხები, როგორც ადრე.
მე აღარ ვდარდობ პასუხზე ძველებურად,
უბრალოდ გიღიმი,
შენ კი ძველებურად მელოდები,
საათს შესცქერი ყოველ საღამოს.
მა, შენ ახლაც ისევე წევხარ
და ელოდები ჩემს დაძინებას,
როგორც ყოველ ღამე,
თვალი გაახილე და გამომძახე,
ხომ არ გცივაო, მე მოკლედ
გიპასუხე, რომ არა და წერა გავაგრძელე,
შემეშინდა, სიტყვა არ გამიწყდესმეთქი,
შენც გაჩუმდი, იქნებ ცოტა გეწყინა კიდეც
(არადა, რა იცი, რომ ახლა სწორედ
შენზე ვცდილობ რამე დავწერო)...
მა, ახლა შენს ნაწყენ სუნთქვაში ჩავაწე
ცივი თითები... და დავწერე ბოლო სიტყვები:
მა, იცი, როგორ ვგავართ ისრებს ციფერბლატზე,
შენ დიდი, მე - პატარა.
მიდიხარ, მოგყვები...
მიდიხარ, მოგყვები...

## პატარა ნავი

ამბობ, რომ თამაშობ წვიმას,
ამბობ, რომ ქვიშის ლექსებს წერ...
და მიაქვს ისინი ზღვას...
მე კი მივდივარ ზღვასთან,
ვაგროვებ კენჭებს შენს ფერს,
და მინდა ზღვამ თვითონვე თქვას,
რომ მეტამორფულია შენი სიტყვები,
რომელსაც პარავს თავის ნაპირებს...
მეტამორფიზმი ხარ მისი ტალღების
მუსიკის. უჩუმრად დამხობას აპირებ
ყველა ხმაურის,

რაც კი დეკემბრის ზღვას აქამდე
ხმაური ეგონა.
ყველა კლავიშის,
რომელზეც ეგონა უკრავდა.
ყველა გზის,
რომელსაც დაადგა,
როგორც მუსლიმი დერვიში.
მეტამორფიზმი ხარ დეკემბრის ზღვის,
და მიჰყვები მას პატარა ნავივით,
შენთვის და ჩუმად,
და იცი, რომ უფრო ნელა მიხვალ
მეორე ნაპირთან...
და ფიქრობ, თუნდაც...
ამბობ, რომ თამაშობ წვიმას...
მე გეტყვი...
გთამაშობს ზღვა
და გთამაშობს დეკემბრის წვიმა...
მე ვიცი, გაცურავ პატარა ნავივით,
შენთვის და ჩუმად...

## თავი მიაბრუნე...

ვდუმთ და ... არაფერი,
ვყვირით... არაფერი,
ვცოცხლობთ შერისხულნი,
ვკვდებით დანანებით.

ჩემი ფანჯრებიდან
ომობს შემოდგომა,
შენი ფანჯრებისკენ
უკვე შემოთოვა.

დილა, დილის ლოცვა,
ყავა, თბილი პალტო,
ქუჩა, სამსახური,
მინდა განგიმარტო:

ვდაობთ არაფერზე.
ისევ თბილი პალტო,
ქუჩა, ცივი სახლი,
გვშია. კითხვა: რატომ?

ღამე, ღამის ლოცვა,
მინდა განგიმარტო:

ჩვენ ჩვენს დარაბებთან
ვომობთ მხოლოდ მარტო.

შენი ოთახიდან
ჩუმი ცრემლის წყარომ,
ჩემთან ჩამოწვიმა,
უნდა დავიხმარო,

რათა განგიმარტო:
ღმერთი კი არ გვართმევს,
მუდამ თავად ვკარგავთ,
ხვალ კი ჩვენს დაკარგულს
მაინც დაგვიბრუნებს,
სხვა გზით დაგვიბრუნებს,
თავი მიაბრუნე...

## ოსანა, სტეფანწმინდას!

ბუმბერაზ მთებზე ავიტანე დაღლილი სხეული,
ოსანა, სტეფანწმინდას, გერგეთის სამებას!
თითქოს ბარს შევატოვე გეენა ცეცხლოვანი,
ოსანა, მაღალთა შინა, ოსანა წამებას
უფლისათვის, — გალობდა ზეცით სტეფანწმინდა.
ივნისის ჩაჟამებულ თოვლივით შელახული
სული მომაქვს, უფალო, და შვება მე რად მინდა.
ციცაბო, ქვა-ღორღიან, ხვატიან სავალზე
წვალება შემარგე — ავსება მე თასიდან,
რომელიც ჩემამდეც ათასგზის დაღვრილა.

და მათგან "ვისაც სურს თავის სულს გაუფრთხილდეს,
ის დაკარგავს მას", — თქმულა და წერია.
და მათგან "ვინც უფლისთვის დაკარგავს სულს,
ის მოიპოვებს მას", — თქმულა და წერია.

ცოდვების მთელი ძნა გერგეთზე ავიტანე,
ვდგავარ და მაგონებს ის თვით გეთსიმანიას,
სამება — დაჩოქილ, მლოცველ მაცხოვარს.
მისთვის დავკარგო სული მე კი ძალიან
მინდა, თუმც არ ძალმიძს. ვხედავ, რომ აქვეა,
და მაინც ვერ ვხედავ... "ელოი, ელოი,
ლამა საბაქთანი?"... და ასე ვეძახი.

ბუმბერაზ მთებზე ავიტანე დღეს ჩემი ჯვარი,
ოსანა, სტეფანწმინდას, არს ზეცით ვენახი!

### ბანგკოკი წიგნის დედაქალაქი გახდა

იუნესკოს კომიტეტის გადაწყვეტილებით წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2013 წელს ბანგკოკი იქნება.

ეს საპატიო წოდება ყოველწლიურად ენიჭება ქალაქს, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს, პოპულარიზაცია გაუწიოს წიგნებს, კითხვას და გააძლიეროს შემოქმედებითი პროცესის სასიცოცხლო ძალა. ტაილანდის დედაქალაქმა ეს ტიტული პარიზში, ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამართულ სხდომაზე მიიღო ქვეყნის ძალისხმევისათვის, გააერთიანოს წიგნის გამოცემისა და წიგნით ვაჭრობის ყველა ეტაპი და ყველა მონაწილე საგამომცემლო პროექტებისა. თანაც კომიტეტის სხდომაზე განსახილველად წარდგენილი იყო ლონისძიებათა მრავალფეროვანი პროგრამა.

შესარჩევ კომიტეტში შედიან როგორც თვით იუნესკოს, ასევე წიგნის ინდუსტრიის წამყვან, პროფესიულ ასოციაციათა წარმომადგენლები, მათ შორის პროფესიონალები გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციიდან, წიგნით მოვაჭრეთა და ბიბლიოთეკის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციიდან.

წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2011 წელს ბუენოს-აირესია, ხოლო 2012 წელს — ერევანი.

ჯონ სტაინბეკის ორი ვიზიტი საქართველოში დღემდე ცოცხალი ინტერესის საგანია ქართულ საზოგადოებასა და აკადემიურ წრეებში, რასაც თუნდაც ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში" უკანასკნელ წლებში ამ თემაზე დაბეჭდილი პუბლიკაციები მოწმობს. ვფიქრობ, ჟურნალის რედაქციასა და მკითხველს დააინტერესებს ინტერვიუ ყოფილ ამერიკელ დიპლომატთან, მწერალ პიტერ ბრიჯისთან, რომელიც 1963 წელს ჯონ სტაინბეკს თან ახლდა საქართველოში მოგზაურობისას.

აქვე გთავაზობთ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს პიტერ ბრიჯისის შესახებ:

დაიბადა ნიუ ორლეანში 1932 წელს. 1953 წელს მიიღო ბაკალავრის ხარისხი დარტმუთის კოლეჯში, ხოლო 1955 წელს — სლავურ ენათა მაგისტრის ხარისხი კოლუმბიის უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში მუშაობდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ვაშინგტონში, ასევე აშშ საელჩოებში: პანამაში, მოსკოვში, პრაღაში, რომსა და სომალიში. 1984-1986 წლებში იგი იყო ამერიკის ელჩი სომალიში. 1986 წლიდან ტოვებს სახელმწიფო სამსახურს და მუშაობას იწყებს მსხვილი ნავთობკომპანიის ჰიუსტონის განყოფილებაში საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელად, მოგვიანებით კი საერთაშორისო ბანკში პრაღაში.

პიტერ ბრიჯისი რამდენიმე წიგნის ავტორია, სადაც ასახულია მისი, როგორც დიპლომატის, გამოცდილება, ასევე ამერიკული დიპლომატიის ისტორიის ზოგიერთი საკვანძო მომენტი. ასევე გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი წერილებისა პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში — მათ შორის აღსანიშნავია „სტაინბეკ რივიუ"-ში დაბეჭდილი ესეი „სტაინბეკის ვიზიტი საბჭოთა კავშირში 1963 წელს". იგი ასევე დღემდე კითხულობს ლექციებს ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებზე.

# ჯონ სტაინბეკის მოგზაურობის მიზანი

*

### ირაკლი ცხვედიანს ესაუბრება პიტერ ბრიჯისი

— ბატონო ბრიჯის, პირველ რიგში, დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ გამონახეთ დრო ამ ინტერვიუსათვის.

ქართველი ისტორიკოსები, ლიტერატურის კრიტიკოსები, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობათა მკვლევარები (ვახტანგ ჭელიძე, ვახტანგ ამაღლობელი, როსტომ ჩხეიძე და სხვები) ამტკიცებენ, რომ სტაინბეკი საქართველოში ორჯერ კერძო ვიზიტით კი არ იმყოფებოდა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ დაკისრებული საიდუმლო პოლიტიკური მისიით. თქვენს წერილში 1963 წელს სტაინბეკის საბჭოთა კავშირში ვიზიტის შესახებ, როცა თქვენ მას ახლდით როგორც თარჯიმანი და გიდი, მოგყავთ სტაინბეკის სიტყვები: „მე გამომაგზავნეს როგორც ჩემი მთავრობისა და ჩემი ერის წარმომადგენელი." თქვენი აზრით, ნიშნავს თუ არა ეს, რომ სტაინბეკი საბჭოთა კავშირში საგანგებო პოლიტიკური მისიით იმყოფებოდა? თუ თქვენ იზიარებთ ამ მოსაზრებას, იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რაში მდგომარეობდა ეს პოლიტიკური მისია? რა მიზანი ამოძრავებდა სტაინბეკს საბჭოთა კავშირში ვიზიტისას?

— თქვენს კითხვას რომ სრულყოფილად ვუპასუხო, აუცილებელია მთლიანად დავიმოწმო ის წერილი, რომელიც სტაინბეკმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამაგზავნინა კიევიდან მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა ჩვენს საელჩოს, რომ მე ვერ წავყვებოდი სტაინბეკს კიევიდან თბილისში, შემდეგ კი — ერევანში. სტაინბეკი წერდა: „ჩემი მეგობრისა და კოლეგის, პიტერ ბრიჯისისათვის მისი დიპლომატიური სტატუსის მომიზეზებით თბილისში ჩემს თანხლებაზე უარის თქმისას, როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხედველობიდან გამორჩა, რომ მე აქ გამოგზავნილი ვარ, რათა წარმოვადგენდე ჩემს მთავრობასა და ჩემს ერს. რამდენადაც მე არ მსურს დავარღვიო საბჭოური წესები და კანონები, ღრმა სინანულით უნდა გაცნობოთ – მომიწევს შევატყობინო ჩემს მეგობრებს საქართველოში, რომ ვერ შევძლებ ვესტუმრო მათ."

სტაინბეკი რომ რაიმე სახის საიდუმლო მისიით ყოფილიყო საბჭოთა კავშირში, არა მგონია, ეს დაეწერა. მან ეს მხოლოდ იმიტომ დაწერა, რომ სურდა მეც მასთან ერთად დავრჩენილიყავი საქართველოში მისი მოგზაურობისას. საბჭოთა კავშირში მისი პირველი ვიზიტისას, როცა II მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, სტაინბეკი გარკვეულწილად საბჭოური პროპაგანდისტული მანქანის მსხვერპლი გახდა და არ უნდოდა, რომ ეს ისევ მომხდარიყო. რუსულად კარგად ვლაპარაკობდი და საბჭოთა კავშირში (თუმცა არა საქართველოში) მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებსაც ასე თუ ისე ვიცნობდი (მაგალითად, ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლისას დავწერე ნაშრომი, რომელშიც გავაანალიზე ასი სტალინური რომანი). როცა ამ წერილს წერდა, რომელიც მე ტელეგრამით გავუგზავნე სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვში, მისი მიზანი იყო, საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის შეეცვლევინებინა გადაწყვეტილება და მიაღწია კიდევაც ამ მიზანს. არ ვიცი, ნამდვილად გადაიფიქრებდა თუ არა სტაინბეკი საქართველოში გამგზავრებას ჩემი თანხლების გარეშე. თქვენი კითხვის პასუხად შემიძლია გითხრათ, რომ სტაინბეკს საგანგებო პოლიტიკური მისია არ ჰქონია დაკისრებული... და მაინც, ფართო აზრით, შეგვიძლია ისიც ვამტკიცოთ, რომ მას ასეთი მისია ჰქონდა. კულტურული გაცვლითი პროგრამით საბჭოთა კავშირში გამგზავრებას სტაინბეკს მისმა მეგობარმა ლესლი ბრედიმ სთხოვა, რომელიც აშშ საინფორმაციო სააგენტოში მუშაობდა (ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტში შედის). რა თქმა უნდა, არავის უცდია, სტაინბეკისათვის რაიმე ინსტრუქციები მიეცა, მაგრამ სტაინბეკმა იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა შეეზღუდა კონტაქტები საბჭოთა ინტელექტუალებსა და მათ ამერიკელ კოლეგებს შორის, და მას სურდა, ყველაფერი ეღონა ამ კონ-

ტაქტების გასაღრმავებლად. ეს მისი პირადი მისია და მიზანი იყო და მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იგი იყო მხოლოდდამხოლოდ კერძო პირი.

**— ქართულ-ამერიკულ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობათა ახლახან გარდაცვლილი მკვლევარი, პროფესორი ვახტანგ ამაღლობელი და ცნობილი ქართველი ლიტერატურის კრიტიკოსი და მწერალი როსტომ ჩხეიძე მიიჩნევენ, რომ სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში განხილულ უნდა იქნას სსრკ-აშშ პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა კონტექსტში, ვინაიდან ამ ვიზიტს საიდუმლო პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, ხოლო კულტურული გაცვლითი პროგრამა საიდუმლო მისიის შესანიღბად იყო მოგონილი. თავის ესეიში „ჯონ სტაინბეკის საიდუმლო" როსტომ ჩხეიძე იხსენებს ქართველი მწერლის, ვახტანგ ჭელიძის სიტყვებს, რომელიც 1963 წელს სტაინბეკის საქართველოში ვიზიტისას მისი ერთ-ერთი მასპინძელი იყო: „ახლა სხვა დროა, ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, დიდი სახელმწიფოები დაიცავენ პატარა ერებს ... შეერთებული შტატები გაჭირვებაში არ მიგატოვებთ ... შეგიძლიათ ამის იმედი გქონდეთ." თუ გახსოვთ, ხომ არ უთქვამს სტაინბეკს ეს სიტყვები ქართველი მწერლებისათვის ან თუნდაც თქვენთან კერძო საუბრებში? თქვენი აზრით, იყო თუ არა იგი საბჭოთა კავშირში მოვლენილი ამ გზავნილის საბჭოთა ინტელექტუალებამდე მისატანად და მათში თავისუფლებისა და საბჭოთა რეჟიმისადმი წინააღმდეგობის სულის გასაღვიძებლად?**

— პირველ რიგში, ძალიან ვწუხვარ, რომ არ მომეცა საშუალება, პირადად შევხვედროდი პროფესორ ამაღლობელს, თუმცა ვიცოდი მისი მაღალი რეპუტაციის შესახებ და მასთან მიმოწერაც სასიამოვნო იყო ჩემთვის.

ვიდრე თქვენ დამისვამდით ამ შეკითხვას, წარმოდგენაც არ მქონდა, თუ არსებობდა მოსაზრება, რომ სტაინბეკი საბჭოთა კავშირში საიდუმლო პოლიტიკური მისიით იმყოფებოდა. მას ასეთი მისია არ ჰქონია ანდა იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ — მე კი, გარწმუნებთ, კარგად ინფორმირებული ვიყავი. სტაინბეკი სრულიად დამოუკიდებელი კაცი იყო და მასთან ჩემი შეხვედრებისას საბჭოთა კავშირსა თუ მოგვიანებით ამერიკაში (ჩვენ განვაგრძობდით მეგობრულ ურთიერთობას და სწორედ მან წამახალისა, რომ წერა დამეწყო) არასოდეს მიუნიშნებია, რომ იგი საბჭოთა კავშირში საიდუმლო მისიით იმყოფებოდა, თუმცა აქვე დავძენ, რომ სტეინბეკმა ნამდვილად გააღვივა თავისუფლების წყურვილი მწერლებში და თანაც – არა მარტო საბჭოთა კავშირში. წინა წელს, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მიღების ცერემონიაზე, მან განაცხადა, რომ მწერლებს „მაღალი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა აკისრიათ". ცხადია, იგი გააძლიერებდა თავისუფლებისაკენ სწრაფვის იმპულსს ქართველ მწერლებში, როგორც მწერლის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას, მაგრამ არა მგონია, რომ მას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ წინააღმდეგობის გაწევა შეეგულიანებინოს. მას შემდეგ ნახევარი საუკუნეა გასული და ძნელია ყველაფერის ზუსტად გახსენება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სტაინბეკი არ წააქეზებდა ქართველ მწერლებს, აშკარა წინააღმდეგობა გაეწიათ პოლიციური რეჟიმისათვის მაშინ, როცა ამას შეიძლებოდა მათთვის დიდი ვნება მოეტანა, თავად სტაინბეკი კი უსაფრთხოდ დაბრუნდებოდა ამერიკაში.

**— ესეიში „სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში სსრკ-აშშ-ის ურთიერთობების კონტექსტში" ვახტანგ ამაღლობელი ამტკიცებს, რომ სტაინბეკი საზოგადოდ კრიტიკულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ, თუმცა მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი რადიკალურად განსხვავებული გახლდათ. როგორც იგი აღნიშნავს, რუსეთის პირქუში და სულისშემხუთავი ატმოსფეროს შემდეგ საქართველოში სტუმრობა მისთვის ერთგვარი შვება იყო. თქვენ სტაინბეკს თან ახლდით ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში და მათ შორის — საქართველოშიც. თქვენი აზრით, ჰქონდა თუ არა სტაინბეკს განსაკუთრებული, განსხვავებული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ? შემთხვევითი იყო თუ არა ის, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაინცდამაინც თბილისში სტაინბეკის გამგზავრების წინ არ დაგრთოთ ნება თან ხლებოდით მას? ხელისუფლებას ასეთი სიფრთხილე არ გამოუჩენია უკრაინაში თქვენი გამგზავრების წინ. თქვენი აზრით, ნიშნავს თუ არა ეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას განსაკუთრებით ეშინოდა თბილისში სტაინბეკის ვიზიტის? შესაძლოა, მათ კარგად იცოდნენ, რომ, როგორც თქვენ აღნიშნავთ თქვენს ესეიში, უკრაინელ მწერლებს შეეშინდებოდათ სიმართლის თქმა, მაგრამ ხელისუფლება ამაში დარწმუნებული ვერ იქნებოდა საქართველოს შემთხვევაში.**

— მე არ ვიცი, რა ინფორმაცია ჰქონდა სტაინბეკს საქართველოს შესახებ იქ გამგზავრებამდე. მე გავუზიარე ჩემი ცოდნა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. მე ასე თუ ისე ვიცნობდი საქართველოს ისტორიას და რუსულ თარგმანში წაკითხული მქონდა რუსთაველი; საბჭოური ცენზურის ანგარიშებიდან ასევე ვიცოდი, რომ შედარებით ცოტა ქართველი ფლობდა რუსულს სრულყოფილად და შედარებით ცოტა რუსი ცხოვრობდა საქართველოში, ასევე ცოტა ქართველი — საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ეს იმას მოასწავებდა, რომ ქართველები ინარჩუნებდნენ თავიანთ კულტურულ და ეთნიკურ იდენტობას. რასაკვირველია, როგორც პროფესორი ამაღლობელი აღნიშნავს, სტაინბეკისა და მისი მეუღლის, ელენისათვის საქართველოში სტუმრობა ერთგვარი შვება იყო რუსეთის შემდეგ და სრულიად განსხვავებული გამოცდილებაც. არასოდეს დამავიწყდება ის წვეულება, რომელიც ირაკლი აბაშიძემ გაუმართა სტაინბეკებს. თამადამ (და მე ვერ ვიხსენებ, ირაკლი აბაშიძე იყო თამადა თუ ვინმე სხვა) პირველი სადღეგრძელო კენედისა და ხრუშჩოვს მიუძღვნა, თუმცა მალევე შესვა თამარ მეფის სადღეგრძელო. სხვაგან სად შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში?

წარმოდგენა არა მაქვს, ეშინოდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას თბილისისა განსაკუთრებულად; ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ქართველებისათვის დამითმია; არც ის ვიცი, რატომ ამიკრძალეს, თან ვხლებოდი სტაინბეკს მაინცდამაინც საქართველოში და არსებობდა თუ არა რაიმე განსაკუთრებული მიზეზი საამისოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ ნიჟარაძე

ქეთევან შენგელიას პორტრეტი

**— თქვენს ესეიში აღწერთ წვეულებას, „სადაც იყო ბევრი ღვინო და უამრავი სადღეგრძელო დაილია". მესმის, რომ მას შემდეგ დიდი დრო გასული, მაგრამ იქნებ უფრო დაწვრილებით გაიხსენოთ ეს წვეულება? კერძოდ, გაგონდებათ თუ არა საუბრები სტაინბეკსა და ქართველ მწერლებს შორის ასეთ არაოფიციალურ ვითარებაში? იყვნენ თუ არა ქართველი მწერლები საკუთარ პრობლემებსა და სატკივარზე საუბრისას ისეთივე თავშეკავებულნი, როგორც უკრაინელები?**

— წვეულება, რომელიც აბაშიძემ თბილისის გარეუბანში, თავისი ერთ-ერთი მეგობრის სახლში გაგვიმართა, ძალიან სასიამოვნო შემთხვევა იყო და მოგვიანებით სტაინბეკმა სიამოვნებით გაიხსენა ამერიკაში ჩემთან შეხვედრის დროს. ჩვენ შევექცეოდით ჩინებულ ქართულ ღვინოს, მაგრამ არა ღვინის, არამედ ნახევარი საუკუნის გასვლის ბრალია, რომ მიჭირს თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა. არ მახსოვს, ვინ სად და ვის გვერდით იჯდა და არც ის, თუ რამდენად გულწრფელად ესაუბრებოდნენ ქართველი მწერლები სტაინბეკს. ცხადია, გულწრფელობას ზღუდავდა ის, რომ ქართველებს უწევდათ რუსულად ელაპარაკათ, ვინაიდან არ მაგონდება, რომ რომელიმეს ინგლისური ცოდნოდა; და თუ მე არ ვთარგმნიდი, მათ ნათქვამს თარგმნიდა საბჭოური მწერალთა კავშირის მიერ სტაინბეკისათვის მიჩენილი თარჯიმანი ფრიდა ლური, რომელიც თუ სუკ-ის ოფიცერი არა, მისი შტატგარეშე თანამშრომელი ნამდვილად გახლდათ.



პიტერ ბრიჯისი

სტაინბეკს მეორე წვეულებაც გაუმართეს იმ დღეს, როცა ის და მისი მეუღლე მცხეთაში წაიყვანეს. წვეულება სოფლად გაიმართა ვილაში, რომელიც, როგორც გვითხრეს, ერთ დროს რომელიღაც ქართველ თავადს ეკუთვნოდა. ესეც ძალიან სასიამოვნო წვეულება იყო და ჩვენ გვართობდა მოცეკვავეთა ანსამბლი თბილისიდან, თუმცა რაიმე არსებითი ხასიათის დიალოგს ვერ ვიხსენებ.

**— თავის ესეიში ვახტანგ ამაღლობელი აგვიწერს სტაინბეკის შეხვედრას ქართველ მწერლებთან საქართველოს მწერალთა კავშირში. იგი წერს: „სტაინბეკი ამტკიცებდა, რომ მწერლის მოვალეობა იყო მთავრობის კრიტიკა და მისთვის ჩადენილი შეცდომებისა და უსამართლობისათვის პასუხის მოთხოვნა. მწერალთა უმეტესობას, განსაკუთრებით ბესარიონ ჟღენტსა და დემნა შენგელაიას, ეს შენიშვნები სერიოზულად არ მიუღიათ. ისინი პასუხობდნენ: „ჩვენ ვაკრიტიკებთ ჩვენს მთავრობას, როცა ეს აუცილებელია, თუმცა ამერიკული ცხოვრების წესისაგან განსხვავებით, მას ძალიან ცოტა ნაკლოვანებები გააჩნია." ამერიკელმა მწერალმა საკმაოდ პირდაპირ უპასუხა: შესაძლოა თქვენ გგონიათ, რომ მე მძულს ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყნის მტერი ვარ, რადგან მთავრობას ვაკრიტიკებ და უსამართლობაში ვადანაშაულებ. თქვენ მთავრობისათვის მუშაობთ. რატომ უნდა ერეოდეს მთავრობა ჩემს მუშაობაში? მას ამასთან არაფერი ესაქმება. შემდეგ სტაინბეკი წინ გადაიხარა, თავი თავის უზარმაზარ ხელებში მოიქცია და თქვა: „ეს ჩემი საკუთარი ტერიტორიაა, მე მეკუთვნის." ესწრებოდით თუ არა თქვენ ამ შეხვედრას? შეგიძლიათ გაიხსენოთ ამ შეხვედრის დეტალები? როგორი იყო სტაინბეკის შთაბეჭდილება?**

— მე ვერ გავიხსენებ ნახევარი საუკუნის წინანდელ დიალოგებს და თუ რა თქვეს ჟღენტმა ან შენგელაიამ ან თუნდაც სტაინბეკმა, თუმცა სტაინბეკის ბუნებიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია მას ეთქვა ის, რასაც პროფესორი ამაღლობელი წერს. მას მტკიცედ სწამდა, რომ მწერალი დამოუკიდებელი უნდა იყოს, თუმცა არ უნდოდა ეთქვა რამე ისეთი, რაც საბჭოთა რეჟიმის პირობებში მცხოვრებ მწერლებს დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა. მე დავამატებდი, რომ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს რამდენიმე ანგარიში გავუგზავნე სტაინბეკის საბჭოთა კავშირში ვიზიტის შესახებ და მათ შორის სულ ცოტა ერთი მაინც — საქართველოსა და სომხეთში ვიზიტის შესახებ. ამ მოხსენებათა ასლები მე არ მაქვს, მაგრამ ინახება ჩვენს ეროვნულ არქივებში და, ვფიქრობ, მკვლევართათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

**— ამერიკაში დაბრუნების შემდეგ სტაინბეკმა მადლობის წერილები გაუგზავნა თავის საბჭოთა კოლეგებს და მათ შორის ერთი წერილი საქართველოშიც გამოაგზავნა. ეს წერილები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გამოქვეყნდა, მაგრამ საქართველოს მწერალთა კავშირისათვის გაგზავნილი წერილი არ დაბეჭდილა. მისი გაანალიზების შემდეგ ხელისუფლება მიხვდა, რომ ეს მხოლოდ თავაზიანობის გამომხატველი ფორმალური სამადლობელი წერილი კი არ იყო, არამედ — საქართველოს პოლიტიკური მომავლის ერთგვარი წინასწარმეტყველება. აი, ციტატა წერილიდან: „ჩემი სანუკვარი სურვილია და მისიის არჩევა რომ შემეძლოს, ჩემს მისიადაც ამას ავირჩევდი — დავეხმარო გალიაში გამომწყვდეულ მგლებს და გალიის კარი გავუღო მათ." როგორ განმარტავდით ამ მეტაფორას?**

— მე არ ვიცოდი ამ წერილის არსებობის შესახებ, ვინაიდან სტაინბეკს იგი არ უხსენებია ნიუ-იორკში ჩემთან შეხვედრისას. არ ვიცი, რას გულისხმობდა სტაინბეკი. შემიძლია გითხრათ, რომ იმ დროს, ჩვენ, სახელმწიფო დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტამენტისა და საელჩოს თანამშრომლები, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ დადგებოდა დრო, როცა საქართველო დამოუკიდებლობას დაიბრუნებდა; არც ის ვიცოდით, თუ რას ფიქრობდნენ ქართველები სინამდვილეში საკუთარი მომავლის შესახებ. ვიცოდით, რომ რუსებმა ვერ შეძლეს გაენადგურებინათ ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი ვერც საქართველოში და ვერც იმ ქვეყნებში, რომლებიც მანამდე დამოუკიდებლები იყვნენ, ახლა კი საბჭოთა რეჟიმს ექვემდებარებოდნენ (მაგალითად, სომხეთი და ესტონეთი). მე და ჩემი კოლეგები ვფიქრობდით, რომ ერთ დღესაც აშშ-ს უნდა ეცადა სსრკ-სგან მიეღო თბილისში ამერიკული საკონსულოს გახსნის ნებართვა — ჩვენ იქ გვქონდა საკონსულო საბჭოთა არმიის მიერ 1921 წელს საქართველოს დაპყრობამდე, მაგრამ იმ დროს, როცა მე თავი დავანებე მთავრობაში სამსახურს 1986 წელს, ეს მაინც მხოლოდ ოცნებად რჩებოდა. პირადად მე (სხვებზე ვერაფერს ვიტყვი) ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ საქართველო ასე მალე მოიპოვებდა დამოუკიდებლობას.

**— საბჭოთა კავშირში სტაინბეკი არ მოიაზრებოდა ამერიკის მთავრობისაგან სრულიად დამოუკიდებელ ფიგურად მიუხედავად იმისა, რომ იგი ამერიკის ხელისუფლებას აკრიტიკებდა. რა კავშირები ჰქონდა მას აშშ ადმინისტრაციასთან, კერძოდ კი პრეზიდენტებთან — ჯონ კენედისა და ლინდონ ჯონსონთან?**

— სტაინბეკი, რამდენადაც ვიცი, კენედის გულმხურვალე მხარდამჭერი იყო. კენედი მოკლეს 1963 წელს, მას შემდეგ, რაც სტაინბეკმა სსრკ დატოვა და მეუღლესთან ერთად ვარშავაში იმყოფებოდა. სტაინბეკმა მომწერა, რომ ისინი იმდენად შეძრწუნებულნი იყვნენ ამ ამბით, თავდაპირველად აპირებდნენ შეეწყვიტათ ვიზიტი პოლონეთში და ამერიკაში დაბრუნებულიყვნენ (თუმცა ბოლოს გადაიფიქრეს). სტაინბეკი გახლდათ კენედის მომდევნო პრეზიდენტის, ლინდონ ჯონსონის მხარდამჭერიც და, ჩემი აზრით, 1968 წლამდე ანუ, გარდაცვალებამდე, სტაინბეკი სავსებით უჭერდა მხარს ჯონსონის პოლიტიკას ვიეტნამში, სადაც ჯონის ერთ-ერთი ვაჟი ჯარისკაცად მსახურობდა. სტაინბეკმა ახლოს გაიცნო ჯონსონი მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი პრეზიდენტი გახდა. მათ მრავალ საკითხზე ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ, მათი მეუღლეები კი ერთად სწავლობდნენ ტეხასის უნივერსიტეტში.

**—საბოლოოდ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველომ და მისმა კულტურამ სტაინბეკზე?**

— სტაინბეკი ძალიან დადებითად იხსენებდა საქართველოს იმისაგან განსხვავებით, რაც მან რუსეთში ნახა თბილისში გამგზავრებამდეც და მოსკოვში დაბრუნების შემდეგაც. თავისი მთავარი მოსკოველი მასპინძელი, ხრუშჩოვის სიძე აჯუბეი სტაინბეკს გაუთლელ ხეპრედ მიაჩნდა; ასევე უკმაყოფილო იყო იმით, რომ რუსები არ იცავდნენ მის საავტორო უფლებებს და მის უნებართვოდ აქვეყნებდნენ მის ნაწარმოებებს. მეორე მხრივ, სტაინბეკი შეხვდა (თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ჩემი წინადადებით) რამდენიმე რუს მწერალს, რომელნიც იმდენად გულწრფელად წერდნენ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო საბჭოთა რეჟიმის პირობებში. მათ შორის იყვნენ ვასილი აქსიონოვი და სოლჟენიცინის მეგობარი ლევ კოპელევი. მოგვიანებით ორივე ემიგრაციაში წავიდა: აქსიონოვი ამერიკაში, კოპელევი კი — გერმანიაში.

უდავოა, რომ სტაინბეკის აზრით, ქართველი მწერლები უაღრესად თავაზიანები და მახვილგონიერნი იყვნენ; თუმცა, ცხადია, როგორც ქართველი, ასევე რუსი მწერლები შეზღუდულნი იყვნენ თავიანთი აზრების გამოთქმისას პოლიციურ სახელმწიფოში.

**— თქვენი აზრით, რა იყო 1963 წელს სტაინბეკის სსრკ-ში ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი? რა გაგრძელება ან გამოძახილი მოჰყვა ამ მოვლენას ამერიკაში მისი დაბრუნების შემდეგ?**

— მჯერა, რომ სტაინბეკის ვიზიტი მნიშვნელოვანი გამამხნევებელი იმპულსი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრები იმ ინტელექტუალებისათვის, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ მომავალი მათ გამოხატვის მეტ თავისუფლებას მოუტანდა, თუმცალა საქმეს ამ მხრივ იმ დროს არც ისე კარგი პირი უჩანდა. ყველას გასაოცრად, 1962 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა სოლჟენიცინის რამდენიმე ნაწარმოები და მათ შორის - „ივან დენისოვიჩის ერთი დღე", მაგრამ მალევე ნიკიტა ხრუშჩოვმა თანამედროვე ხელოვნების გამოფენა ნახა „მანეჟში" და მაშინვე იფეთქა მძლავრმა რეაქციამ მოდერნიზმის წინააღმდეგ. ამის შემდეგ რეჟიმმა გაამკაცრა თავისი მოთხოვნა მწერლებისადმი, რომლის მიხედვითაც, მათ მკაცრად უნდა დაეცვათ „სოციალისტური რეალიზმის" პრინციპები, თუ სურდათ, რომ ემუშავათ და ლეგალურად გამოექვეყნებინათ თავიანთი ნაწარმოებები. თვითონ ამერიკაში, ჩემი აზრით, ადამიანთა უმეტესობა დადებითად აღიქვამდა სტაინბეკის ვიზიტს საბჭოთა კავშირში. სტაინბეკის შემდეგ მოსკოვს რამდენიმე თვალსაჩინო ამერიკელი მწერალი ეწვია, მათ შორის — ჯონ ჩივერი და ჯონ აპდაიკი, თუმცა არ ვიცი, ესტუმრნენ თუ არა ეს და სხვა ამ რანგის მწერლები საქართველოსაც. პირადად მე 1964 წლის შემოდგომაზე ვაშინგტონში დავბრუნდი და მთავრობის დავალებით განიარაღებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში ჩავები.

**— თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი ყველაზე მძაფრი და დაუვიწყარი შთაბეჭდილება, რომელიც საქართველოში მიიღეთ?**

— როცა სტაინბეკებს საქართველოში გამოვყევი, საბჭოთა კავშირში უკვე წელიწადზე მეტხანს ვიმყოფებოდი, ძირითადად მოსკოვში, თუმცა მე და ჩემი კოლეგები ვმოგზაურობდით, როცა და სადაც შეგვეძლო — საბჭოთა კავშირში მოგზაურობაზე უცხოელთათვის უაღრესად მკაცრი შეზღუდვები არსებობდა. რუსეთში სულის შემხუთავი ატმოსფერო იყო. მართალია, ჩვენ, უცხოელ დიპლომატებს იმუნიტეტი გვიცავდა, მაგრამ ჩვენც კი არ ვიყავით დაცული სუკ-ის მხრიდან შევიწროებისაგან. საქართველოში სრულიად განსხვავებულ, ახალ გარემოში, მომხიბვლელ ქვეყანაში ამოვყავი თავი. დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი მეტხანს და ვნახავდი მეტს, მათ შორის მთებსაც, და ყოველთვის სანანებელი დამრჩება, რომ ეს ვერ მოვახერხე. თქვენმა კითხვებმა გამახსენა ეს ხანმოკლე ვიზიტი, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ.

**— დიდი მადლობა თქვენ საინტერესო ინტერვიუსათვის.**

*ჩაწერილია 2011 წლის 8 აპრილს*

ნინო ვახანია

# ნეტა ყველა ინსტიტუტს თითო მემატიანე

„აქ არაფერია სხვაგან ნათქვამი, გამოგონილიც არაფერია", – ფრანსის ბეკონის ეს სიტყვები წაუმძღვარებია ეპიგრაფად ოთარ ჩხეიძეს მხატვრულ-დოკუმენტური რომანისთვის „ჩემი სავანე". გამოგონილი, შეთხზული, ფანტაზიით დაწერილი მართლაც არაფერია ამ რომანში, მაგრამ ყოველი შემთხვევა, ყოველი დეტალი ისე ცოცხლად, მხატვრულად, ექსპრესიით არის აღწერილი, როგორც მხოლოდ დიდ ხელოვანს ძალუძს. ყველაფრის („რაც თვალს უნახავს ან სმენას სხვისაგან გაუგონია") ზუსტად, სარკისებურად ასახვა არც არავის ხელეწიფება, არც არის ლიტერატურის საგანი და ვერ იქნება მკითხველისთვის საინტერესო. ზღვა მოვლენებში გასარკვევად დაკვირვებული, ფხიზელი და მართალი თვალია საჭირო, მწერლის თვალი. მკითხველს სურს „დაინახოს ის ფარული ნაკადები და ათასგვარი ნიუანსები, რაც მწერლის გარეშე ძნელი შესამჩნევია და ამაოდ დაშვრებიან ისტორიკოსებიც, ფსიქოლოგებიც, სოციოლოგებიც", – წერს წიგნის ბოლოსიტყვაობაში როსტომ ჩხეიძე. „ჭკუით გაზომილ-აწონილი" განზოგადებული, დამახასიათებელი ეპიზოდები მოუქცევია ავტორს თხრობის ქარგაში.




ერთი მთავარი და გამორჩეული პერსონაჟი რომანისა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი გიორგი ხარაულია, ასე რომ დამსგავსებია ყველა სხვა რექტორს თუ ისინი დამსგავსებიან მას. ილიასი არ იყოს, მისი ჭუჭყი რომ იმათ ცხებიათ და იმათი მას. ეს რექტორი ზოგადი სახეა საბჭოური ეპოქის რექტორისა. თანამშრომელთა, ხელქვეითთა დასჯა, რისხვა, ბრძანება, მუქარა, ძალის დემონსტრირება ითვლებოდა საუკეთესო მართვად. ასეთი აზროვნებისგან ჯერაც ვერ დაგვიღწევია თავი და ხშირ შემთხვევაში მოწმენი ვართ, თანამდებობის პირთ სხვათა მსახურად კი არ ჩაუთვლიათ თავი (სიტყვითაც კი), არამედ სწორედ ბატონად, მბრძანებლად. ბევრ ჩვენგანს ახსოვს ან იქნებ ახლაც მუხლს ჭრის შიში უფროსთან გამოძახების გამო. იმიტომაც, რომ „არავის იხმობდა მისაფერებლადა თუ სამადლობლადა, არა, არავისა, არც რო მიფერება სჩვეოდა თუ არც იცოდა". ეს იმ რექტორმა, ცხადია. და ასე იყო არა მარტო გორში, ყველგან, ყველა ინსტიტუტში. მყარდებოდა წესრიგი, შიშზე, ძალადობაზე დამყარებული დისციპლინა. „გამოცდილიყვნენ, გამობრძმედილიყვნენ, მოწესრიგებულიყვნენ", – ირონიულად შენიშნავს მწერალი ინსტიტუტის თანამშრომელთა შესახებ.

„ჩემი სავანე" ცოტა ირონიულია. ირონია ნაშანდობლივია ჩემი სტილისათვისა, ოღონდ აქ ეს ჩემს იმედგაცრუებასაც უნდა გამოჰხატავდეს, თვითირონიასაც უნდა გამოჰხატავდეს", – წერს ავტორი მოკლე წინათქმაში. საერთოდ, ეს წინათქმა გასაღებია მთელი რომანისა. ზუსტი, ტევადი მინიშნებები ნათლად წარმოაჩენს მწერლის მიზანს, გვეხმარება ნაწარმოების ჟანრის განსაზღვრასა და ავტორის სტილის შეცნობაშიც.

მწერალი პირდაპირ ამბის თხრობით იწყებს რომანს (ესეც დამახასიათებელია მისი სტილისთვის) და ისეთი ხალისით, მოზომილი იუმორით გადმოსცემს პირველი ხელფასის ვერაღების ამბავს, რომ მკითხველი უკვე ღრმად არის ჩართული ინსტიტუტის ცხოვრებაში და რომანის გასრულებამდე არც სურს იქიდან თავდაღწევა. კითხვის დამთავრების შემდეგაც არ იშლება მეხსიერებიდან უკვე ახლო ნაცნობები – წიგნის პერსონაჟები, სახელგანთქმული მეცნიერები თუ ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ან უცნობი ადამიანები.

სალაროდან ხელცარიელი გამომაბრუნეს, თუმცა არც ისეო, – ვკითხულობთ. ნეტა, ეს „არც ისე" რას უნდა ნიშნავდეს? თურმე ფულის მაგიერ რჩევა მიუცია მოლარეს, ბუღალტერიას მიაკითხეო. რჩევა იმედია, ნუგეშია, რწმენაა და რჩევით გამოშვება ხომ ხელცარიელად გამოშვებას არ ნიშნავს? საკუთარ თავსაც აშარჟებს, მოლარესაც, გაბატონებულ წესრიგსაც (ქაღალდომანიას) და დღევანდელობასაც. ექვსი დღის ხელფასის მაგიერ რჩევა! იმის გამო, რომ გამოცხადებისთანავე არ მოაწერა ხელი რაღაც რვეულში. იდეალური წესრიგია, ვერაფერს იტყვი, ოღონდ „ერთი რამ მაინც თავიდანვე მიკვირდა: ვერა და ვერ დადგინდა ჩემი ცხრილი, სხვებისაც ვერა, რა თქმა უნდა", ამის წაკითხვა სავსებით საკმარისია, რომ მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს იმ გარეგნულ ბრწყინვალე წესრიგში რა შინაგანი უწესრიგობა, უპასუხისმგებლობა, არეულობა იყო.

ინსტიტუტი კი ერთი ადამიანისა გახლდათ – რექტორის. განა ყველა მაღალ თანამდებობაზე პატარა ბელადები არ ისხდნენ? გამონაკლისი ის რექტორი რატომ უნდა ყოფილიყო? „თვითონ ეკიდა ხელი ყველაფერზედა, ყველაფერზედა მისაღები გამოცდები იყო თუ კადრების შერჩევა იყო, ზარის დარეკვა იყო თუ „მასტიკის" განაწილება იყო დამლაგებელთა შორისა, თვითონ ეკიდა ხელი..." სხვები კი მადლიერებით, მოკრძალებით, სასოებით შეჰყურებდნენ თავიანთ პატრონს, მწყალობელს, მამასა და მარჩენალს. ის კი მართავდა. მწერალი შთამბეჭდავად აღწერს საბჭოური მმართველობის სურათებს: „არც არას აკითხებდა და არც მათრახებს გამოულევდა... ოღონდ ისე, ისე რბილადა, მოხვდეთ და არ ეტკინოთ, მოისუსხონ და არ ემწვავოთო". მორჩილი თანამშრომლები თვალ-წარბში შეჰყურებდნენ მბრძანებელს, ის მართავდა ძველი, ნაცადი, გამოცდილი ხერხით – ყველას ერთად კიცხავდა, უსაყვედურებდა, ემუქრებოდა, ცალკე არავის არ გამოჰყოფდა, არ გაალიზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანებდა. პიროვნების დაპირისპირებას ერიდებოდა, ბუნტს, არეულობას, ვინმეს მტრად მოკიდებას არ დაუშვებდა.

მწერალმა მოგვცა განზოგადებული სახე ხელმძღვანელისა და ამით დახატა დრო, ეპოქა ზნეობრივი ღირებულებანი, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

მაგრამ განსაკუთრებული ღირსება რომანისა ისაა, რომ ავტორი ხატავს პერსონაჟთა ინდივიდუალურ, სხვათაგან გამორჩეულ თვისებებს. გორის ინსტიტუტის რექტორი ზოგადად ხელმძღვანელიც არის და ამავე დროს კერძო კაციც თავისი ხასიათით. მოლხენის, ხალისის, ხუმრობის ნიჭი რომ არ ებოძებინა მისთვის ღმერთს. ზემდგომთა დავალებას რომ ვერსად გაექცეოდა, სტუმრები უნდა მიელო და გამასპინძლებოდა, მაგრამ პურადობის და ხელგაშლილობისა არაფერი ეცხო... სახალისო, დასამახსოვრებელი ეპიზოდები კალეიდოსკოპურად ცვლის ერთმანეთს.

რექტორის ის ცნობილი, ყდაშემოცვეთილი, ლამის პერსონაჟად ქცეული ბლოკნოტი თავიდან ბოლომდე გასდევს თხზულებას, როგორც სიმბოლო ერთად თავმოყრილი ავისაც და კარგისაც, სიახლის საბურველში გახვეული ძველი აზრებისა.

პორტრეტებისა და ხასიათების ხატვასთან ერთად საერთო-საქვეყნო საფიქრალ-სატკივარი ძალდაუტანებლადაა ჩართული თხრობაში, სულაც ფონს ქმნის სიუჟეტის განვითარებისათვის. ნიმუშად მრავალთაგან ერთს მოვიყვან. პურობის, ლხინის, სუფრის აღწერისას ასეთი პასაჟი: „ესეც რო უცნაური გახლდა, სახელები რო წაართვეს ქართულ ღვინოებსა და ნომრები დაადეს, სათარეშოდაც ადვილი გახლდა, გასაქარწყლებლადაც ადვილი, ცხადია".

დიდი მწერლის მხატვრული სიტყვის სიძლიერე და სტილური მიგნებები არც უნდა აკვირვებდეს მკითხველს, მაგრამ როგორ გინდა, გაოცება დამალო, როცა ერთი ფრაზით, მეტიც, ერთი სიტყვით მთელი ეპოქაა დახასიათებული და თვალწინ გვეშლება ამბის დაფარული შრეები, ქვეტექსტი, იოლად ამოსაცნობი სათქმელი...

„ჟღენტს თუ იცნობო, ერთხელაც რო მკითხეს ლენტეხშია.

მე ცოტა მოვიქუშე, — რომელ ჟღენტსამეთქი.

ვახტანგ ჟღენტსაო.

გულსაც მომეშვა და გამეხსნა შუბლიცა". – თხრობა ვახტანგ ჟღენტის შესახებ გრძელდება. ხელშესახებადაა გამოკვეთილი სახე და საქმეები იმ, ნაგულისხმევი ჟღენტისა.

ძირითადი ამბავი, სიუჟეტი რომანისა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვითარდება. მეორე სიუჟეტური ხაზი კი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, არის ლიტერატურული ცხოვრება, თბილისში გამომავალი ჟურნალები, მათი რედაქტორები, გორში დაარსებული სალიტერატურო ჟურნალები, მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი, ინსტიტუტში გამართული საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ მწერლებთან, მეცნიერებთან... ყველაფერი, ერთი მხრივ, თითქოს არც სცილდება გორის ინსტიტუტს, ამავე დროს კი მთელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს წარმოაჩენს.

ივანე ამირხანაშვილი: „ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებში ფიზიკური დროის სვლა ხშირად უგულვებელყოფილია. დრო დროში, – ასე შეიძლება გავიაზროთ მწერლის სტილის ეს ნიშანი. სიუჟეტური ქარგის განვითარების პარალელურად კალეიდოსკოპურად მოძრაობს დრო, ერთ პლანს მეორე პლანი ენაცვლება, პრობლემას პრობლემა... (რომანისათვის „ამაღლება" დართული ესეი „ისტორიის ღია კომპოზიცია").

ოთარ ჩხეიძის სტილის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ასეთი მანერაც. მწერალი ვითომ შემთხვევით, გაკვრით, სხვათაშორის ახსენებს პერსონაჟის გვარ-სახელს, თითქოს უფერულ-უსახურობისთვის არის განწირული ასეთი პერსონაჟი, რამდენიმე გვერდის შემდეგ კი ისე მოხდენილად, „თავის ადგილას" შემოიყვანს და ისეთ სასწაულებს ახდენს, ისეთ ფეიერვერკს ქმნის, სერიოზული და ირონიული კილოს მონაცვლეობით ისე ცოცხლად ხატავს ადამიანს, რომ მისი დავიწყება შეუძლებელია. ასე, ამ პრინციპითაა დახატული, მაგალითად, პორტრეტები ნიკოლოზ ჯულაბიშვილისა და მისი ვაჟის, ლეონარდ ჯულაბიშვილისა.

სერგი მაკალათია, სოლომონ ხუციშვილი, იპოლიტე ვართაგავა, სიმონ გაჩეჩილაძე... რომელ ერთს ჩამოთვლი. თავიანთი ღვაწლით ცნობილი პიროვნებები გააცოცხლა, ყოველდღიურ ყოფაში გაგვაცნო, გარეგნობის, ხასიათის, საუბრის მანერის, სხვა თვისებების გამოკვეთით დაგვამახსოვრა და ახლო ნაცნობებად გვიქცია ისინი მწერალმა.

„ნაღვაწი აცოცხლებს სახელსა, უღვაწლო სახელი ფუჭია ცხადია, არა ჰლირს არცა რო ჭირიან კაკლადა". და კიდევ მწერლის მადლიანი კალამი აცოცხლებს ადამიანს.

„მთხრობელი აქ უფრო მოწმეა, მოწმეი სხვათა...", — წერს რომანის ბოლოს ავტორი. მკითხველიც უყოყმანოდ ეთანხმება, რომ ეს ნაწარმოები არ არის ჩვეულებრივი მოგონება, არამედ მხატვრული თხზულებაა, რომანია. იაკობ ხუცესიც მოწმეა „შუშანიკის წამებაში" გადმოცემული ამბებისა. მოწმეა, მართალი მთხრობელი და პერსონაჟიც. სასახლიდან წასული შუშანიკის პირველივე მონახულებისთანავე ჩაეთქვა ავტორს მისი ღვაწლის აღწერა. „ხუაშიადად-რე" ეკითხებოდა, რა ჰქონდა განზრახული. რას აპირებდა შემდგომში. თითქოს ეშინოდა, ფრთხილობდა, არაფერი გამორჩენოდა, არაფერი მოჰფარვოდა თვალს და რეალურად მომხდარ მოვლენებზე უფრო მეტად შუშანიკის სულის ყოველი მოძრაობა, თრთოლვა, სიმის შერხევა აინტერესებდა, მისი გამოსახვა სურდა მწერალს.

რას ეყრდნობა ოთარ ჩხეიძე „ჩემი სავანის" წერისას? საკუთარ მოგონებებს, სხვათა ნაამბობს თუ რამე დოკუმენტურ წყაროს? საკვლევი და საძებარიც არაფერია.

ნაწარმოებში მწერალი რამდენიმეგზის გვთავაზობს დღიურის ჩანაწერებს შეუცვლელად, ჩასწორება-ჩამატების გარეშე. უშუალო შთაბეჭდილებაზე დაყრდნობილი ჩანაწერები უდევს საფუძვლად შემდეგი დროის მოგონებებსაც.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მთხრობელის, მწერლის კეთილგანწყობა პერსონაჟების მიმართ. არსად დაცინვა, არსად მათრახი, დაუნდობლობა. თვით ნაკლის მხილების დროსაც კი მხოლოდ სითბო და სიყვარული გამოსჭვივის ყოველი სიტყვიდან თუ ფრაზიდან. მაშინ კი, როცა შეგუება, შერიგება, თანაგრძნობა შეუძლებელია, მწერალი აზოგადებს პერსონაჟის („დარჩენოდა ასპარეზი ყალიჩავასა") თვისებებს, ქმნის ტიპს, ხედავს და ხატავს ტენდენციას, როგორ მრავლდება ყველგან და ფეხს იკიდებს „ყალიჩავობა". ეს განგაშის ზარის შემოკვრაა.

„დოკუმენტური პროზა თავისი არსით თამამია... სათქმელს რეალური (და არა გამოგონილი გვარ-სახელის)

პერსონაჟების კონტექსტში გაცილებით მეტი სიმძაფრეც ენიჭება... ჩნდება თუ არა ე. წ. „მოქალაქეობრივი უხერხულობის განცდა?" – ეკითხება რუსუდან ნიშნიანიძე ბატონ ოთარს ლიტერატურულ დიალოგში.

პასუხი ჩვეული პირდაპირობითა და გულწრფელობითაა აღბეჭდილი: „უხერხულობა უთუოდ შეიქმნება, სინამდვილეს თუ ასცდება, სიმართლეს თუ ასცდება ავტორი...საჩხუბარი არ უნდა ჰქონდეს ავტორსა ცოცხალ პერსონაჟთანა, სადაოც არა, საალერსოც არა, ასე არც უნდა გამოიჩინოს თავი – დაჰხატოს ისე, როგორიც არის, როგორც რო მოსჩანს იმწუთში."

გაჩერებული საათი კი ისევ იმავე დროს უჩვენებს ყველგან და ყველასთვის. არაფერი შეცვლილა. ნეტა ყველა ინსტიტუტს თითო მწერალი, თითო მემატიანე მაინც გამოსჩენოდა. თუმცა ისიც საკითხავია, კერძო შემთხვევებისა და დეტალების გარდა, რამე განსხვავებულს ვნახავდით? და მაინც არ გვტოვებს სინანულის განცდა– ნეტა ყველა ინსტიტუტს თითო ჟამთაალმწერელი მაინც ჰყავდეს, ოღონდ უსათუოდ მართალი და სანდო. „უმწერლოდ (ხომ) ცხოვრება დაიკარგებოდა, ცხოვრების ისტორია არავის ეცოდინებოდა, კაცთა ვნებას ვერავინ ჩასწვდებოდა, სიცოცხლის აზრს ვერავინ გაიგებდა" (ოთარ ჩხეიძე).

გაჩერებულ საათს კი, თუ გულით მოინადინებთ, ახლაც ნახავთ უმაღლესი განათლების დაწესებულებათა შესასვლელებში, შორს წასვლა არ დაგჭირდებათ, აქვე, ყურის ძირში...

**დოდო ბიძინაშვილი**

# სევდაც და რწმენაც

„მე ვიცნობდი ოთარ ჩხეიძეს", – ასე იწყება ლია კუხიანიძის წერილი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" ოთარ ჩხეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნომერში.

მეც ასე მინდა დავიწყო.

მეც ვიცნობდი ოთარ ჩხეიძეს. იგი გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსს მიკითხავდა. ამ დროს უკვე აღიარებული მწერალი იყო. მისი სახელი მხოლოდ განსაკუთრებული მოწიწებით და სიყვარულით მოიხსენიებოდა, ერთგვარ ცოცხალ ლეგენდასავით ქცეულიყო... ამიტომ დიდი ინტერესით ველოდით მასთან პირველ შეხვედრას. და აი ისიც, ოდნავ მხრებში მოხრილი, სანდომიანი, მოსიყვარულე ღიმილით, თავისებური ხმის ტემბრით, რომლისთვისაც არასოდეს აუწევია, რადგან არასდროს დასჭირვებია ვინმესთვის შენიშვნა მიეცა, მის ლექციაზე სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ მისივე ხმა არღვევდა. ყოველ ლექციაზე რაღაც უჩვეულო ხდებოდა: ყვებოდა ჰომეროსსა თუ დანტე ალიგიერზე, შექსპირსა თუ გოეთეზე, და ჩვენც, სტუდენტები, მისი თხრობის საოცარი ხიბლის წყალობით თავისთავად ვექცეოდით ამ ჯადოსნურ სამყაროში.

ჩვეულებრივი მეტყველების დროსაც საოცრად პოეტური იყო. განსაკუთრებული წონა, ხიბლი ჰქონდა მის ფრაზას. საუბარი იქით მიჰყავდა, რომ ყოველთვის რაღაც მოულოდნელობის ეფექტით იყო დამუხტული, თითქოს არც გვაკვირდებოდა, მაგრამ ყოველთვის ზედმიწევნით გრძნობდა აუდიტორიის განწყობას და მის ფონზე თხრობა ფერადოვან სურათებად იშლებოდა და ვხედავდით აქაველთა მხედრობას ბრძოლის ველზე, ვისმენდით ჰამლეტის გულისშემძვრელ მონოლოგს, ვფიქრობდით „ღვთაებრივ კომედიაში" გადმოცემულ კაცობრიობის ოცნებაზე, და ასე გადაიქცეოდა ხოლმე მისი ყოველი ლექცია ერთგვარ ზეიმად.

გადმოცემის თავისებური მანერა ჰქონდა, ქართლური სიბრძნე-სიდინჯით შეზავებული. ერთნაირად აღგვაფრთოვანებდა მწერლით, ნაწარმოებით, კომენტარებით. ვერ ვიხსენებ ვერცერთ შემთხვევას, თავისი ნაწარმოებები ეხსენებინოს, ან მათი მისამართით გამოთქმულ დაუმსახურებელი კრიტიკის ავტორები გაექიქებინოს ოდესმე. ეს კი ნათლად მეტყველებდა მის დიდბუნებოვნებაზე, იმაზე, რომ იგი მაღლა იდგა ყოველდღიურობასა და წვრილმანებზე.

ერთფეროვნებას მხოლოდ მწერლობაში არ გაურბოდა, ორიგინალური, ყველასგან განსხვავებული იყო. ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, ყოველი ლექცია ჟურნალიდან სიის ამოკითხვით და არ დამსწრე სტუდენტების აღრიცხვით იწყებოდა. ოთარ ჩხეიძეს არასოდეს ამოუკითხავს სია, თუმცა II, III ლექციიდან ჩვენდა გასაოცრად ყველას სახელითა და გვარით გვიცნობდა. დღევანდელმა სტუდენტებმა შეიძლება ვერც გაიგონ, ჩვენ კი კარგად გვახსოვს, რას ნიშნავდა თითოეული „არას" აღნიშვნა ჟურნალში. ხშირ შემთხვევაში სტუდენტები სწორედ ამ „არას" შიშით ესწრებოდნენ ლექციებს. ოთარ ჩხეიძე კი „არებს" ჟურნალში არ წერდა, მაგრამ გაცდენას სწორედ მის ლექციებზე ერიდებოდნენ.

მაგონდება ერთი შემთხვევა. ჩვენს კურსზე ბატონ ოთარს ახალი დაწყებული ჰქონდა ლექციების კითხვა, ალბათ III ან IV ლექციას გვიტარებდა. მისი ლექციები მაშინდელი ლიტერატურის კაბინეტში, ქუჩისპირა აუდიტორიაში ტარდებოდა. ჩვეულებისამებრ კითხულობდა ლექციას. უცებ თხრობა შეწყვიტა, სახეზე უჩვეულო გაბრაზებამ გადაუარა, ჟურნალი მოითხოვა და ერთ-ერთ ჩვენს კურსელს, რომელიც ლექციას არ ესწრებოდა, ისე, რომ ჩვენთვის არაფერი უკითხავს, „არა" ჩაუწერა. ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი „არა" ჩვენი კურსის ჟურნალში. მერელა მივხვდით, რომ ის გოგონა ჩვენი აუდიტორიის ფანჯარასთან იდგა და მშვიდად საუბრობდა მეგობრებთან. ალბათ სწორედ ეს იწყინა ბატონმა ოთარმა. ჩვენ კი გვეგონა, რომ ჯერ ვერც გვცნობდა, გვარის დამახსოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

საოცარი ადამიანური ხიბლი ჰქონდა. იყო უშუალო და სადა. მის გვერდით თავისუფლად გრძნობდი თავს. მისი ცოდნა და ერუდიცია არასოდეს გთრგუნავდა, რადგან გრძნობდი მის კეთილგანწყობას და თანაც სულ უმნიშვნელო, აუცილებელი ცოდნის გამომჟღავნებისასაც კი უთუოდ შეგვაქებდა, წაგვახალისებდა.

30 წელზე მეტი დაჰყო გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც თავის სავანედ თვლიდა. ნიჭიერი სტუდენტები მუდამ გვერდით ჰყავდა და უხმაუროდ აკეთებდა დიდ ეროვ-

ნულ საქმეს. სწორედ მას უმადლის არაერთი ცნობილი პოეტი თუ პროზაიკოსი ლიტერატურის სარბიელზე გამოსვლას. სწორედ მის სახელს უკავშირდება სალიტერატურო ჟურნალების – „ლიახვისა“ და „კლდეკარის“ გამოსვლა, იყო ინიციატორი და სულისჩამდგმელი გორის ინსტიტუტში სიმონ ჩიქოვანის, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ლევან გოთუას, გრიგოლ აბაშიძის სტუმრობისა, აგრეთვე მრავალი სხვა ლიტერატურული საღამოსა თუ შეხვედრის გამართვისა.

მწერალი უპირველეს ყოვლისა ენის შემოქმედია, ამიტომ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა მის დამოკიდებულებაზე ენასთან. ოთარ ჩხეიძის ენობრივი სტილის შესახებ უამრავი მოსაზრებაა გამოთქმული. ერთნი ხელაღებით იწუნებენ მას, მეორენი კი ცდილობენ ამოხსნან მისი ენის სტილურ თავისებურებათა საიდუმლო. მე იმ მკვლევართა მოსაზრებას ვიზიარებ, ვისაც მიაჩნია, რომ ოთარ ჩხეიძემ, როგორც მაძიებელმა შემოქმედმა, უარი თქვა დამკვიდრებულ ენობრივ სტილზე, წერის მისეული მანერით კი ცდილობდა მკითხველისთვის შეეხსენებინა, რომ ლიტერატურა პირველ რიგში ენაა, ყველა სიტყვა გარკვეული ღირებულების მატარებელია და ყოველი მათგანის გამეორებას თუ სინონიმებით ჩანაცვლებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.

მწერალი თითქოს სწორედ ამ სტილურ-გამეორება-დაზუსტებაში, თემატურ გადახვევ-გადმოხვევაში ცდილობს თავისი მთავარი სათქმელის ჩამალვას, რათა მან მხოლოდ იმ ღირსეულ, ჭეშმარიტ მკითხველამდე მიაღწიოს, ვისაც ამ აზრის სწორად გაგება და შეფასება შეუძლია! ალბათ ამიტომაც შეაფასებს ასე მაკა ჯოხაძე მის ქართულს: „ოთარ ჩხეიძის სტილი ერთგვარი მედიუმია, გამტარია მზესა და მინას შორის, ცასავითაა, მზის ენერგიას რომ ფილტრავს და აკავებს“. ალბათ ამიტომაც მიიჩნევს იოსებ ჭუმბურიძე, რომ ქართული ენის სიმდიდრე და სილამაზე, მისი მთავარქართულობა, ჩვენ დროში გალაკტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგ ორმა მწერალმა – პოეტმა ანა კალანდაძემ და პროზაიკოსმა ოთარ ჩხეიძემ – დაიცვა. ალბათ ამიტომაც ზოგი ქართველ პასტერნაკად, ზოგი კი ქართველ ფოლკნერად მოიხსენიებს. ალბათ ამიტომაც აღიარეს იგი ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის ღირსეულ მემკვიდრედ.

გმირობის ტოლფასი იყო სიცრუის ეპოქაში მართალი სიტყვა ასე მოეტანა მკითხველამდე – ენის მისეულ განზომილებაში გამოხატული. ადამიანი, რომელმაც შექმნა 22 რომანი, მოთხრობები, პიესები, მონოგრაფიები, ნოველები, ესეები, ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები, მხატვრული თარგმანები, რომელმაც ფაქტობრივად შექმნა საუკუნის მატიანე, XX საუკუნის ქართლის ჭირიც რომ უწოდეს მოხდენილად, ხშირად ნუხდა, რომ დრო თვალსა და ხელს შუა გაეპარა და ბევრი ვერაფრის გაკეთება მოასწრო...

ალბათ დრო იქნება ის პირუთვნელი მსაჯული, რომელიც შეაფასებს ოთარ ჩხეიძის ნაღვაწს.

ოთარ ჩხეიძის ყველა ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს იდეა, რომ ნამდვილი ადამიანური არსებობა შეუძლებელია წარსულის გარეშე. ოთარ ჩხეიძის გახსენება ჩვენს უახლოეს წარსულთან გვაკავშირებს. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვისი მოგონებაც სევდის გარდა ძალას გვმატებს, საკუთარი თავის რწმენასაც გვანიჭებს, მისი სიმაღლის ზიარად გვაქცევს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა კოლექცია

**შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი დედანი, ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ შემორჩენილი არ არის, პოემა ხალხში ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა და ისე გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მისი შექმნიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ პირველი ფრაგმენტული დადასტურება ვანის ქვაბების დედათა მონასტრის კედელზე გვხვდება, რომელიც XV საუკუნით თარიღდება.**

**„ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი არსებობს. რამდენიმე კერძო კოლექციონერების საკუთრებაშია, რამდენიმე – უცხოეთის ბიბლიოთეკებში, მათი უდიდესი უმრავლესობა კი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.**

**ამ საკითხებთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს, თამარ გეგიას ესაუბრება ჟურნალისტი ნინო საბაშვილი.**

— შოთა რუსთაველის ავტოგრაფული ნუსხები, ანუ უშუალოდ რუსთაველის ხელით დაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, ბუნებრივია, არ შემოგვრჩა. თუმცა, რა თქმა უნდა, იარსებებდა ადრეული ხელნაწერები, რომლებმაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ერთ-ერთი პირველი დადასტურება ვანის ქვაბების მონასტერში გვხვდება. წარწერა ტაძრის კედელზე შავი საღებავით, მხედრულითაა შესრულებული.

ვანის (ვაჰანის) ქვაბები VIII-XVI საუკუნეების კომპლექსია, რომელიც მდებარეობს ისტორიულ ჯავახეთში, ვარძიის მონასტრის მოპირდაპირე მხარეს, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

ეს იყო კლდეში ნაკვეთი დედათა მონასტერი, რომელიც 16 სართულისგან შედგებოდა და 200-ზე მეტ სხვადასხვა დანიშნულების გამოქვაბულს მოიცავდა (სადგომები, ქვაბები და სამეურნეო დანიშნულების სათავსები, ეგვტერ-სამარხები, საძვალე, თავშესაფარი), რომლებიც ერთმანეთს გვირაბებით უკავშირდებოდა.

საუკუნეთა განმავლობაში მონასტერი რამდენჯერმე დააზიანა ძლიერმა მიწისძვრამ. თუმცა XIV-XVI საუკუნეებში აქ ისევ გამოცოცხლდა სამონასტრო ცხოვრება. XVI საუკუნეში კი ჯერ სპარსელთა და შემდეგ ოსმალთა მიერ დარბევის შედეგად გაუკაცრიელდა.

გამოქვაბულთა ბოლო სართულზე კლდეში ჩაშენებულია წმ. გიორგის პატარა ეკლესია, რომლის კედელზეც შემორჩენილია XV საუკუნის II ნახევარში ქალების მიერ მელნით შესრულებული მხედრული წარწერები, რომელთა ავტორები არიან გულქანი, ანა რჩეულიშვილი, თუმიან გოჯიშვილი, მისი და შალაბანი სულთანი და სხვანი.

აქ გვხვდება „როსტომიანის“ ერთი სტროფი, სასულიერო და საერო ხასიათის ლირიკული ლექსები (უმთავრესად სატრფიალო-სამიჯნურო) და მათთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტიც. სწორედ ეს გახლავთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ერთ-ერთი პირველი დადასტურება.

**– რომელი სტროფია?**

– ტაძრის კედელზე შესრულებულია ორი სტროფი ნესტან-დარეჯანის წერილიდან, რომელსაც ქაჯეთის ციხიდან სწერს ტარიელს.

XV საუკუნით თარიღდება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კიდევ ერთი ადრეული დადასტურება – ბერთის სახარების ერთ-ერთ გვერდზე ვინმე იორდანეს ნუსხური ასოებით მიუწერია: „მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქმს სიყვარულსა“. აღნიშნული ხელნაწერი XII საუკუნის ძეგლი გახლავთ, მინაწერი კი მოგვიანებითაა შესრულებული.

**– სხვა აღმოჩენები თუ არსებობს ამ ორის გარდა?**

– „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ადრეული მინაწერები, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია. შესაძლოა არსებობდეს რაიმე ძეგლი, რომლისთვისაც ჯერ კიდევ არ მიგვიგნია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ეს ორი შემთხვევაა დადასტურებული, ერთი – ტაძრის კედელზე, მეორე კი სახარებას ერთვის.

**– პალესტინასა ან იერუსალმში თუ არის?**

– იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახულია შოთა რუსთველის ფრესკა, რომელსაც მკვლევართა ნაწილი რუსთაველის მოღვაწეობის თანადროულად მიიჩნევს და ფიქრობენ, რომ ის ავტოპორტრეტია და XII საუკუნის იერუსალიმში რუსთველის ჩასვლასა და ჯვრის მონასტრის რესტავრირების ხანას განეკუთნება. ნაწილი კი ვარაუდობს, რომ 1643 წელს, ტაძრის მეორე რესტავრაციისას ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა გამოსახა იმ პიროვნებებთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ მონასტრის ისტორიასთან.



*თამარ გეგია*

„ვეფხისტყაოსნის“ იერუსალიმში არსებობის შესახებ ცნობები აქ მოგვეპოვება.

შემდგომი ხანის ხელნაწერთა შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები გვაქვს – თუ დაახლოებით სად უნდა ყოფილიყო ხელნაწერები და რომელი პერიოდის; თუმცა, ვიმეორებ, ეს არის მხოლოდ ცნობები, კონკრეტული ხელნაწერთა ბედის შესახებ, სამწუხაროდ, არაფერი ვიცით.

მაგალითად, 1900-იან წლებში გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, რომ კახეთში ერთ-ერთ ქალბატონს ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერი, რომელიც დაახლოებით XV საუკუნით თარიღდებოდა. როგორც ჩანს, ქალბატონმა ეს ხელნაწერი არ დათმო, მისი გარდაცვალების შემდეგ კი კვალი ქრება და ჩვენთვის უცნობია, რა ბედი ეწია აღნიშნულ ხელნაწერს.

ასეთივე ცნობები აქვს პლატონ იოსელიანს, რომელიც 1870-იან წლებში მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს და საუბრობს ორ ძალიან ძველ ნუსხაზე: ერთს უკავშირებს ალექსანდრე დიდის ხანას, XV საუკუნის 40-იან წლებს, და ამბობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო მეფის პირადი ხელნაწერი, დაახლოებით 1440-იან წლებში გადაწერილი, თუმცა ამ ხელნაწერის ბედიც უცნობია ჩვენთვის.

პლატონ იოსელიანისავე ცნობით, მას უნახავს კიდევ ერთი ძველი ხელნაწერი, რომელიც არ ყოფილა დათარიღებული.

**– ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ყველაზე ადრეული ფრაგმენტი ან „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი რომელი საუკუნით თარიღდება?**

– ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული ყველაზე ადრეული ფრაგმენტი XVI საუკუნით თარიღდება, რომელიც ახალციხის მუზეუმში აღმოჩნდა. ამ ფრაგმენტის მიგნებას საინტერესო ისტორია აქვს: 1963 წელს, მაშინდელი ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიცია (მ.ქავთარია, ც.ჭანკიევი) დირექტორ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით ახალციხის მუზეუმში მუშაობას ამთავრებდა, რომ ბატონ მიხეილ ქავთარიას ბატონი ილიასათვის მიუმართავს და უთქვამს, რომ რაღაც უნდა ეჩვენებინა, რაზეც ბატონ ილიას უპასუხია – წამოწამო, შენც „ვეფხისტყაოსნი“ არ აღმოაჩინოო. ისე მოხდა, რომ ბოლო ხელნაწერს, რომლის აღწერილობასაც აკეთებდა ბატონი მიშა, ყდის დამცავ ფურცლად „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი ჰქონდა გამოყენებული. სწორედ ეს არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ფრაგმენტი (XVI ს.), რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

XVII საუკუნიდან უკვე გვაქვს „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერები სრულად. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნუსხა, რომლის კონკრეტული თარიღიც ჩვენთვის ცნობილია, არის ე.წ. „თავაქარაშვილისეული“ „ვეფხისტყაოსანი“, 1646 წლით დათარიღებული. გადამწერი და მომხატველი მამუკა თავაქარაშვილია. ამ ხელნაწერის გადაწერასაც საგულისხმო ისტორია აქვს: მამუკა თავაქარაშვილი იყო იმერეთის მეფის მდივანბეგი, ცნობილი კალიგრაფი და პოეტი. იგი 1634 წელს ტყვედ სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს წაუყვანია და მის ტყვეობაში 23 წელი გაატარა. მთავრის დავალებით აქ გადაწერა "ვეფხისტყაოსნის" ეს ხელნაწერი და თვითონვე შეამკო ილუსტრაციებით. როგორც ჩანს, თვითნასწავლი, არაპროფესიონალი მხატვარი უნდა ყოფილიყო, მის შემოქმედებას ეს ნამდვილად ეტყობა, მაგრამ ძალიან საინტერესო და თვითმყოფადი მხატვრობა აქვს. ეს ხელნაწერიც ჩვენთან, ცენტრში ინახება.

**– დაახლოებით რამდენი ხელნაწერი არსებობს საქართველოში და თქვენთან რამდენი ინახება?**

– 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. მათი უდიდესი უმრავლესობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. რამდენიმე კერძო კოლექციონერთა საკუთრებაშია, რამდენიმე ცალი უცხოეთის ბიბლიოთეკებშიც, თუმცა, როგორც აღვნიშნე, მათი დიდი ნაწილი ჩვენთან, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ინახება.

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ხელნაწერი ნიმუში გვაქვს ისეთი, რომელსაც დეტალური ცნობები გააჩნია, იმის შესახებ, თუ რა გზა განვლო, ვიდრე ცენტრში მოხვდებოდა. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი" იღბლიანი აღმოჩნდა – ბევრია ისეთი ნუსხა, რომელთაც საინტერესო წინაისტორია აქვთ.

ასე მაგალითად საინტერესოა ე.წ. „წერეთლისეული" ნუსხის ისტორია:

1879 წლის თებერვალში გაზეთ „დროების" ფურცლებიდან ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა (რომელიც „ვეფხისტყაოსნის" ახალ გამოცემას ამზადებდა) თხოვნით მიმართა საზოგადოებას, პოემის ხელნაწერები გვათხოვეთო. ამ ცნობას გამოეხმაურა გრიგოლ დავითის ძე გურიელი და რედაქციას აცნობა, რომ მის ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ წერეთლის მეუღლეს, უნდა ჰქონოდა ერთი ძველი ხელნაწერი და არ იქნებოდა ურიგო მისთვის მიემართათ.

1880 წელს ხელნაწერის პატრონმა დიმიტრი ყიფიანის ხელით გადასცა დროებით სარგებლობისთვის პოემის დამდგენ კომისიას. კომისიის მუშაობის დამთავრებისთანავე ხელნაწერი პელაგია წერეთელს დაუბრუნდა.

ბოლოს ამ ხელნაწერის მფლობელი გამხდარა გიგო წერეთელი, რომლის ვაჟს ფრიდონს ხელნაწერი საჩხერიდან თბილისში ჩამოუტანია და კარგ ყდაში ჩაუსმევინებია, მაგრამ ეტლში დარჩენია. სადაც ცნობილი ქართველი ვაჭრის ფორაქიშვილის ერთ ნოქარს უნახავს და ძალიან გახარებია. ფორაქიშვილს ექვთიმე თაყაიშვილთან გაუგზავნია ნოქარი, წერა-კითხვის საზოგადოება შეიძენსო. მაგრამ ექვთიმე არ დახვედრია ადგილზე და შემდეგ ფორაქიშვილის სიძისთვის დავით სარაჯიშვილისთვის მიუტანია, რომელმაც სამ თუმანად შეიძინა ხელნაწერი.

ცოტა ხნის შემდეგ სარაჯიშვილთან სტუმრად მყოფ ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს ეს ხელნაწერი და უთქვამს — მცირე ხნით წავიღებ და საფუძვლიანად შევისწავლიო.

სარაჯიშვილმა არა ერთხელ მიაკითხა თაყაიშვილს ხელნაწერის წასაღებად, რომელიც მისი ფრანგი მეგობრისათვის ბარონ დებაისათვის უნდა ეჩუქნა.

მალე ე. თაყაიშვილმა ხელნაწერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში შეიტანა და მისი აღწერილობაც გამოსცა. მოგვიანებით სარაჯიშვილსაც უჩვენა ხელნაწერის აღწერილობის ტომი, სადაც „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი სარაჯიშვილის სახელით იყო შეტანილი. სარაჯიშვილს გაეცინა და „კარგი, კარგიო!" უთქვამს. ასე გადარჩა აღნიშნული ხელნაწერი საფრანგეთში გატანას.

**– საზღვარგარეთ არსებული ნუსხების შესახებ რა ცნობები მოგვეპოვება?**

– „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და ასევე მდიდრულად მოხატული ხელნაწერი, რომელიც მე-17-ე საუკუნით არის დათარიღებული, დიდ ბრიტანეთში, ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში ინახება.

როსტომ ჩხეიძე

# ხელოვანი კონსპირაციისა

*

## მონოგრაფია გიორგი დეკანოზიშვილზე

XX ასწლეულში, მოგეხსენებათ, საქართველოს ორჯერ მოუწევდა სახელმწიფოებრიობის აღდგენა: ერთხელ დასაწყისში – 1918 წელს, და მეორედ მიწურულს – 1991 წელს.

და ისიც მოგეხსენებათ, ორივეჯერ რომ დატრიალდებოდა ერთი და იგივე აზრი: საქართველომ მხოლოდ რუსეთის იმპერიის დანგრევის წყალობით მოიპოვა დამოუკიდებლობაო.

კაპიტულანტური თვალსაზრისია?

სწორედ ასე წარმოუდგება დიმიტრი შველიძეს და მის გასაბათილებლად შეახსენებს ამ „ბრძენკაცთ" იმ ისტორიულ „წვრილმანებს", თუ რა ანგრევდა ძველ და ახალ იმპერიებს:

– რუსეთის ორივე იმპერია ათეული წლების განმავლობაში ინგრეოდა მასში მომწყვდეული ხალხების მუდმივი ბრძოლით თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლას მეთაურობდნენ საკუთარი სამშობლოსა და თავისუფლებისმოყვარე ძლიერი პიროვნებებისაგან შემდგარი წრეები, ჯგუფები, კულტურული და პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები.

ესეც ის ყველაზე მართებული ხედვა, ის მეთოდოლოგიური პრინციპი, ურომლისოდაც ამოუცნობი დარჩება ეს ისტორიული მოვლენები, მათი წანამძღვრები და არსი; და ნაცვლად სრულფასოვანი ისტორიული თუ მხატვრული თხზულებისა ხელთ შეგვრჩება პროპაგანდისტული ნანარმოები, ეროვნული ნიჰილიზმით განმსჭვალული და მხოლოდ დამაზიანებელი საზოგადოებრივი ცნობიერებისა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურთაგან კი ამჯერად დიმიტრი შველიძის არჩევანი გიორგი დეკანოზიშვილზე შეჩერდებოდა; და საგულისხმოა, რომ თანაავტორად ამოიყენებდა ახალი თაობის ერთ-ერთ ისტორიკოსს, მაგისტრ გიორგი გაფრინდაშვილს. ხოლო ერთობლივი გარჯის წყალობით ისე ხელშესახებად და ცხოვლად, ისე დინამიკურად და შთამბეჭდავად გამოიკვეთებოდა ამ დიდებული მოღვაწის ისტორიულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი მონოგრაფიაში „გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება" („უნივერსალი", 2010), ჩვენი ისტორიოგრაფიის ამჟამინდელ რანგს რომ შეჰფერის, რანგს, რომლის მნიშვნელობის განსაზღვრისთვისაც აუცილებლად უნდა ვახსენოთ თვითონ დიმიტრი შველიძის აქამდელი ძიებანიც, ასე შესანიშნავად ხორცშესხმული თუნდაც მონოგრაფიებში: „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები" და „აი, ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი".




ნაადრევი აღსასრული ამოაკლებდა გიორგი დეკანოზიშვილს გადამწყვეტი ბრძოლიდან სახელმწიფოებრიობის ამოსაგებად, თუმც ეროვნული მოღვაწენი ასეთი თავგამოდებით რომ ესწრაფოდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, თვალწინ გიორგი დეკანოზიშვილის თავდადებაც ჰქონდათ – მისითაც შთაგონებულიყვნენ და აღვსებულიყვნენ იმ რწმენითა და სიმხნევით, ურომლისოდაც ის ეფემერული თავისუფლებაც არ გვერგებოდა, სული რომ მოგვათქმევინა და დაშრეტილი ჰეროიკული გზნებაც გამოაცოცხლა.

თურმე შესაძლებელი ყოფილა დიდ და გაბედულ საქმეებთან შეჭიდებაც და წარმატებით აღსრულებაც – თორემ, აგერ გიორგი დეკანოზიშვილი, ვინც ისეთი შეუპოვრობით მიჰკვალავდა გზას, გული ვერ გაგიძლებდა, რომ არ მიჰყოლოდი.

ნიშანდობლივია, გრიგოლ რობაქიძე იმ ისტორიულ ფოტოსურათს რომ დახედავდა, რომელზეც ექვსი ქართველი პატრიოტი აღბეჭდილიყო, და სათითაოდ დაწურავდა თვითეულის პიროვნულ ხასიათს ლიტერატურულ ფორმულაში, გიორგის ამ ეპითეტებს მიუსადაგებდა:

– ურყევი და უტეხი, სჯერა ყველაფერს გადაიტანს.

ძალიც შესწევდა ქადილისა, სჯეროდა და აკი კიდეც ყველაფერს წარმატებით მოაბამდა თავს.

იარაღის ფარული შემოტანით ახალი ერა იწყებოდა საქართველოს პოლიტიკურ ბრძოლაში დამოუკიდებლობის ამოსაგებად.

გურიის 1841 წლის აჯანყების შემდეგ იარაღი აღარ შეგვიტრიალებია რუსეთის წინააღმდეგ და ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა შემობრუნებულიყო ის ხანა, რათა დაშრეტილი ჰეროიკული სული კვლავაც განგვეცადა და მისი აღორძინების მოწმენი გავმხდარიყავით.

და ვინ ითავებდა ამ აღორძინებისათვის ძალის შთაბერვას, თუ არა ურყევი და უტეხი ნების კაცი, ვისაც სჯეროდა, ყველაფერს გადავიტანო.

მცველად კარდუს აჩრდილი აფარებიათო, – გრიგოლ რობაქიძეს, ამ სახეთა შემხედვარეს, რა გასაკვირია, ჩვენი ისტორიული ფესვებიც მოლანდებოდა და მითოსური წინაპარიც ამოსჩენოდა თვალწინ, მის მიერვე სახელშერქმეული.

დიდი განცდანი და ვნებათაღელვანი ჩატეულა ამ მონოგრაფიაში, ყველა ცნობას რომ უყრის თავს, რაც შემონახულა ამ პოლიტიკურ მოღვაწეზე, ამთლიანებს, აზუსტებს, საერთო ფონსაც მარჯვედ აღადგენს და კაცისა და ერის ბედისწერას ისევე გადაჯაჭვულად წარმოგვიდგენს, როგორც სინამდვილეში იყო; და იმ მონუმენტურობით წარმოსახება გიორგი დეკანოზიშვილის ბიოგრაფია და პორტრეტი, უანგარო პიროვნება რომ აღწევს სულიერად.

უანგარობა პოლიტიკაში?

ეს სულაც არ არის რაღაც უჩვეულო, დაუჯერებელი მოვლენა ჩვენს იმჟამინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და თუ ბევრნი არა ყოფილან ამ ბუნებისანი, გიორგი დეკანოზიშვილი სულაც არ გახლდათ ერთადერთი გამონაკლისი.

1905 წლის 24 ოქტომბერს რაც ჩაუნიშნავს, ეს წუთიერი განწყობილების გამოხატულება კი არ არის, არამედ მისი ცხოვრების სტილი, ის ზოგადეროვნული თვისება, ურომლისოდაც უსახურობაში ინთქმევა ქვეყანა და სიცოცხლის აზრი არსებობასლა გულისხმობს:

– საშინელი ბურუსი იდგა. საშინლად ციოდა. პალტოც რიგიანი არ არის. სასაცილოა, 200 000 ფრანკს ვხარჯავ გემისთვის და თბილი პალტო ვერ მიყიდია! როგორ ვიყიდო, როცა ყოველი ფრანკი გამოანგარიშებულია.

ეს თბილი პალტო ფუფუნებისათვის ხომ არ სჭირდება – არცთუ ჯანმრთელი კაცისათვის თავის გაფრთხილება აუცილებელია, რათა ტუბერკულოზმა ულმობლად არ დარიოს ხელი და კიდეც გამოასალმოს სიცოცხლეს. ყოველი ფრანკი რომ გამოანგარიშებულია, მისი დღეებიც განა გამოსაანგარიშებელი არ იყო? არადა, ნაკლებ აღელვებდა დიდ პოლიტიკურ ვნებათაღელვაში ჩართულს, არც თავს რომ არ იზოგავდა და არც სხვას. ერთადერთი არჩილ ჯორჯაძის სნეულებას ვერ უყურებდა გულგრილად და წუხდა და სიმწრით ანგარიშობდა, კიდევ რამდენ ხანს დასცალდება ჩვენს შორის ყოფნა, დაე თუნდაც ველარაფერს გაწვდეს, ბოლოსდაბოლოს მის საკეთებელსაც ჩვენ ვიტვირთებთო.

თბილი პალტოც ვერ მიყიდიაო...

სინანულისა არ არის ეს სტრიქონები, ღიმილისა უფროა. ასეთ პასაჟებს ყოველთვის უხდება ღიმილი, რაც აქაც ასე ხელშესახებად გამოსჭვივის.

ასიათასობით თანხა გადი-გამოდიოდა მის ხელთ და... თვითონ კი უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილიყო და ამ მხრივ არც რაიმე სანუგეშო ისახებოდა ჰორიზონტზე.

ასე სხვანიც მოიქცეოდნენ მის ადგილას.

და სამაგალითოდაც ისევე დარჩებოდნენ, როგორც გიორგი დეკანოზიშვილი შემოსილა ამ შარავანდით შთამომავლობის თვალში... თუმც საბჭოური ჟამი ამოაგდებდა მის სახელს საზოგადოებრივი ცნობიერებიდან და მცირე წრე თუ გადაარჩენდა მის ხსოვნას კანტიკუნტად შემოღწეული ცნობების მეოხებით, და კიდევ თედო სახოკიას იმ გამოსათხოვარი სტატიისა, 1911 წელს რომ გამოქვეყნებულიყო და ბიოგრაფიულ ეპიზოდთაგან გამოტოვებული იყო იმისი მონაწილეობა ეროვნული დამოუკიდებლობის ლიგის დაარსებაში, ვარშავაში რომ შეიქმნა 90-იანი წლების მიწურულს, და იარაღით დატვირთული ხომალდის გამოგზავნა სამშობლოსაკენ 1905 წელს.

ეს ყოველივე თედო სახოკიას თვალწინ მომხდარიყო, თვითონაც ენერგიულად ჩართულიყო ორივე მოვლენაში, მაგრამ ჯერაც სახიფათო გახლდათ ამ ყველაფრის გამოტანა სააშკარაოზე და დადასტურება. ამიტომაც დადუმება სჯობდა და იმედოვნებდა, ადრე თუ გვიან ამის გაცხადების დროც დადგებაო.

1904 წლის 26 ივლისს საქართველოდან ჩამოსულ სამ ქალს მიაკითხავდა გიორგი დეკანოზიშვილი, თან ფეხი უკან რჩებოდა, შარში როგორ გავხვიოო, თან „საქართველოს" უკანმობრუნებულ ნომრებს გავრცელება ხომ სჭირდებოდა, პარიზიდან საქართველოში ჩამოტანა, თორემ რისთვის იკლავდნენ თავს იქ გადახვეწილნი და რედაქციის შემქმნელნი, თუ მართალ სიტყვას ვერაფრისდიდებით ვერ მოაწვდენდნენ სამშობლოს.

ისინი უშიშრად რომ დათანხმდებოდნენ გაზეთის ფარულად შემოტანას საქართველოში, გიორგის შეეუხერხულებოდა, ასეთ სარისკო საქმეში რომ ითრევდა და ახსნას დაუწყებდა: მაგისთვის მოგელით ციხე 2-3 წლიანი, თანაც როგორი ციხე – რუსეთისაო. და ეს მტკიცება რომ ვერ შეაცბუნებდათ და ხელს ვერ აალებინებდათ გადაწყვეტილებაზე, გიორგი წუხილით აღნიშნავს, რომ კაცი ამას ძნელად გაბედავდა და ვითარებიდან გამოძრომას ამ სიტყვებით მოინდომებდა: მე იქ გამოგადგებით, იქ ვიმუშავებო. და რასაკვირველია, თითსაც არ გაანძრევდა.

– ქალები უფრო სვინდისიერათ და უშიშრათ იქცევიან, მეტადრე, ახალგაზრდები.

იმავე მოსაზრებისა გახლდათ პოლიტიკაში ქალების მონაწილეობაზე, გი დე მოპასანს როგორც სწამდა და აკი ამ სიტყვებით დაეწყო ესეი მრავლისმეტყველი სათაურით – „ქალი და პოლიტიკა":

– ქალები, მათი თანდაყოლილი მოქნილობით, თითქოს საგანგებოდ არიან შექმნილნი პოლიტიკისთვის. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რა აზრისაა ამის თაობაზე.

მზადაა, არ დაუთმოს ქალების მიმართ უნდობლად განწყობილ ადამიანებს და წინასწარვე აგრძნობინოს, აქ საკამათო და საპოლემიკო არაფერიაო.

თანამოაზრე ბევრი ეყოლებოდა, და აგერ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეც, ვისი გამოცდილებაც ადასტურებდა ფრანგი მწერლის ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიურ (და ფილოსოფიურსაც!) დაკვირვებას.

ქალები უფრო სინდისიერად და უშიშრად იქცევიანო...

კიდევ კარგი, ისინი მაინც რომ ინარჩუნებენ იმ მუხტს, გიორგი დეკანოზიშვილს ხელს რომ არ ჩააქნევინებს, თორემ ბევრი კი არაფერი უკლია მის სკეპტიციზმს, მთლად ნიჰილიზმში რომ არ გადაიზარდოს.

არ უკვირს, ვთქვათ, მადამ რენო, „საქართველოს" ფრანგული ვერსიის პასუხისმგებელი რედაქტორი, მეტად იშვიათად რომ პოულობს საზღვარგარეთ წამოსულ ქართველებში მძლავრ და პრინციპებით განმსჭვალულ ადამიანს.

ჩვენები შორს არიან მაგაზედ, საშინლად გულგრილი და დაუდევარი ახალგაზრდობა გვყავსო, – გულისტკივილით რომ აღიარებს გიორგი დეკანოზიშვილი, ახსნით ასე ხსნის გულგრილობისა და დაუდევრობის გაჩენას ეროვნულ ხასიათში, როგორც საზოგადო თვისებებისა, თორემ ცალკეულ ადამიანთა ნაკლოვანებანი რა მოსატანია:

– ან რა უნდა იყვნენ რუსის დესპოტის შკოლებში გაზრდილნი.

დღიურის შედგენას მოჰკიდებდა ხელს და უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტურ რეალიებს დაგვიტოვებდა, არადა, ცნობები გაცილებით და გაცილებით მეტი იქნებოდა, ასე ძალიან რომ არ უჩიოდეს დროის ნაკლებობას. ნაკლებობას? სულაც უქონლობას, თორემ...

აგერ 1905 წლის 12 აპრილის ჩანაწერი. წინა დღის დაბრუნებულია ჟენევიდან, ყველა პარტიის ერთობლივი კონგრესი სადაც გაიმართა მისი და არჩილ ჯორჯაძის თაოსნობით, და თუ სოციალ-დემოკრატები მიატოვებდნენ კრებას, იმედოვნებს, ამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისინიც მოგვეკედლებიან, დაანებებენ თავს ფანატიკოსობას და მიჰყვებიან ნამდვილ გზას, ცხოვრება თვითონ აიძულებთ. პარიზის კონფერენციაზე სრულებით არ მოვიდნენ, ახლა ცოტა ხნით მაინც გამოჩნდნენ, მესამე კონფერენციაზე კი, რომელსაც თვითონ მოიწვევენ, კიდეც მოვლენ და ჩვენთან ერთადაც იმოქმედებენო.

კონგრესზე ყველაფერს ილონებდა, ეს განხეთქილება რომ არ მომხდარიყო; და თუმც ვერ აირიდებდა, იმას ხომ მაინც შეძლებდა, რომ სოციალ-ფედერალისტური პარტია დაფუძნებულიყო, როგორც რეალური პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლო მკვეთრად დაპირისპირებოდა არამარტო იმპერიულ ხელისუფლებას, არამედ სოციალ-დემოკრატიასაც.

– ათი დღე ვილაპარაკე. ათი დღე თითქმის არ მეძინა, ჩემი გული უარესად გახდა, ისე სცემდა, ასე მეგონა გასქდება მეთქი. ეხლა ძალიან დაღალული ვარ და მოწყვეტილი ჩამოველი. მუშაობა-კი დამიხვდა, ნომრები დასაბეჭდი და გასაგზავნი. უნდა დავაჩქარო, რადგან ეხლა შემთხვევა არის.

და აქ უნდა ამოიგმინოს. ეს არის ამოკვნესა შთაბეჭდილებებითა და განცდებით პირთამდე სავსე კაცისა, ვისაც ხელი მიუწვდის ამ ყველაფრის გადასატანად ფურცელზე, დოკუმენტური ქრონიკის შემოსანახად, ცალკეულ სილუეტთა გამოსაკვეთად, მაგრამ უდროობა აგდებინებს ხელიდან კალამს.

– კიდევ არ მექმნება დრო ჩემის დღიურის წერისა, კიდევ დამრჩება ეგრე, თუმცა საწერი ბევრი მაქვს. რამდონი რამ გავიგონე, რამდონი გამოჩენილი კაცი ვნახე, მაგრამ სად არის დრო ამის აღწერისა.

და მკრთალი, ბუნდოვანი, მეტად საეჭვო იმედი:

– თუ ცოცხალი დავრჩი, მაშინ როდისმე ყველაფერს ავწერ.

სრული სურათის გადმოცემისას, რასაკვირველია, მოუხდებოდა ყველა მონაწილის ვინაობის გამხელაც, პოლიტიკურ ფსევდონიმებს რომ შეფარებოდნენ და მათგან გიორგი ლასხიშვილი ხუთი პიროვნების შიფრს გახსნიდა თავის მემუარებში: ნოე ჟორდანიასი, არჩილ ჯორჯაძის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, გიორგი გოგელიასი და ალექსანდრე გაბუნიასი. სხვათა ვინაობის ამოცნობა კი დიმიტრი შველიძის დამსახურებაა: გიორგი დეკანოზიშვილის, მიხაკო წერეთლის, ვლადიმერ დარჩიაშვილის, არჩილ ჯორჯაძის, მ. ორჯონიკიძის, დიომიდე თოფურიძის, თედო სახოკიასი, რევაზ გაბაშვილის, ანდრია დეკანოზიშვილის. მონოგრაფიაში გულისტკივილითაა აღნიშნული, რომ რამდენიმე ფსევდონიმი ჯერაც გასახსნელია.

ოდესმე ყველაფერს აღვწერო...

არადა, რა გაბედული განზრახვით მოჰკიდა ხელი სახელდახელო ჩანაწერების შედგენას – როგორც მასალებს გაბმული ქრონიკის შესაქმნელად ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის იმ მონაკვეთისა, რომლის არამარტო თვითმხილველი გახლდათ, არამედ ბევრი რამის განმსაზღვრელიც, ძირისძირობამდე მცოდნე ისეთი ნიუანსებისაც, რაც ისტორიკოსთათვის მიუწვდომელი ან, უკეთეს შემთხვევაში, სავარაუდო იქნებოდა.

კალამი უჭრიდა.

მოვლენათა განჭვრეტა-შეფასება მისი ხელობა გახლდათ.

ფსიქოლოგიური დაკვირვებანიც არაერთ საგულისხმო რასმე ამცნობდა ამა თუ იმ პიროვნების ნიშანდობლივ თვისებებსა თუ საგულისხმო ბიოგრაფიულ „წვრილმანებზე".

ოდესმე ყველაფერს აღვწერო...

თუმც ეგაა – თუ ცოცხალი დავრჩიო...

იარაღის შემოტანის ოდისეა ასე თუ ისე შემონახულია „დღიურის" წყალობით. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერები ნაადრევად წყდება კულმინაციურ ადგილას და ისედაც ფრაგმენტულია, სრული სურათის აღდგენისას მეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ცნობებით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას იაპონური და რუსული წყაროებით ცალმხრივად მოწოდებულს („წვრილმანთაგან" კი ჯერ მარტო ის რად ღირს, თოფების რაოდენობა, სხვა წყაროებით არასწორად შემორჩენილი, აქ რომ ზუსტდება – 8000).

რაც მთავარია, თითქოს კარდიოგრამას შევყურებდეთ, ისე ხელშესახებად წარმოისახება გიორგი დეკანოზიშვილის დაუმცხრალი მღელვარება და ორგანიზატორული საქმიანობა, რათა წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაშიც ძალიან შეაშფოთოს იმპერიული ხელისუფლება და აიძულოს, საქართველოსათვის ტერიტორიული ავტონომიის მინიჭებაზე იფიქრონ. პოლონეთისა და ფინეთის წინაშე ასეთ დათმობას რომ აპირებდნენ, ეს გულმოწყალებით კი არ მოსვლიათ, არამედ მათმა განუწყვეტელმა იატაკქვეშა ბრძოლამ და თავგანწირულმა სულისკვეთებამ აიძულათ, ჩათრევას ჩაყოლა ემჯობინებინათ.

დაე საქართველო ახალ რგოლად მოვლენოდათ ამ პოლიტიკურ პროცესში, გიორგის რწმენით – სულაც გარდაუვალში; ოღონდ ერთადერთი პირობით – ჩვენც ხელი უნდა გამოგვეღო და უფალიც მაშინ შეგვეწეოდა.

მთლად ისე რომ ვერ აღსრულდებოდა ეს დიდად მნიშვნელოვანი განზრახვა, არაერთი საყვედური და ბრალდება გაისმოდა თანამოაზრეთა შორის. და თვით მთავარი ორგანიზატორი ყოველდღიური ჩანაწერებისას თანაპარტიელებსაც ამტყუნებს და გემის ეკიპაჟსაც – იმათ სამყოფი ნავები როგორ ვერ გაამზადეს, თავით ბოლომდე რომ გადმოეტვირთათ იარაღი, ეკიპაჟმა კი თოფების დარჩენილი ნაწილი ზღვაში როგორ გადაუძახაო... მაგრამ ამასობაში საკმარისი ცნობები რომ მიაღწევდა მის ყურამდე და უფრო გულდასმით აწონ-დაწონიდა ყოველივეს, აღარც ფედერალისტებზე დარჩებოდა ნაწყენი და აღარც ხომალდის კაპიტანზე, კიდეც გაამართლებდა და საქციელსაც მოუწონებდა. კაპიტანს ყოჩაღ და მარდ კაცად იხსენიებს, იმ ქართველ მეომრებზე კი, ფოთში ბრძოლას რომ გაუმართავდნენ რუსის ჯარისკაცებს, აღტაცების სიტყვებს არ დაიშურებდა:

– მაგრამ ეს უკვე კარგია, რომ მოუხერხებიათ, თავი შესწირეს, არ შეშინდნენ, პირდაპირ წავიდნენ. ეს იქმნება პირველი დაწყება აშკარა ბრძოლისა იარაღით ხელში.

მონოგრაფიის ავტორები „დღიურის" ამ პასაჟს მოიხმობენ საბოლოო და მიუკერძოებელი შეფასების ნიმუშად, სავსებით იზიარებენ და მიიჩნევენ, რომ ქების ღირსნი არიან ყველანი, ვინც „სირიუსის" ოპერაციაში მონაწილეობდნენ.

ავტორები არამარტო გზამკვლევად იყენებენ გიორგი დეკანოზიშვილის ჩანაწერებს, არამედ დაურთავდნენ კიდეც თავიანთ წიგნს, რითაც ცხადყოფდნენ, რომ „დღიურს" აქვს არა მხოლოდ ისტორიული წყაროს მნიშვნელობა, არამედ თავისთავადი მხატვრულ-დოკუმენტური ღირებულებაც და მიკარგული არ უნდა იყოს ჟურნალ „კავკასიონის" ფურცლებზე, სადაც ის ვიკტორ ნოზაძემ გამოაქვეყნა.

დაე მკითხველი თავიდან ბოლომდე გაეცნოს, როგორც ამ ჟანრის ჩინებულ ნიმუშს.

ქების ღირსნი არიან ყველანი, ვინც „სირიუსის" ოპერაციაში მონაწილეობდნენო...

უპირველესად, ცხადია, ის კაცი, ვინც, გამოცდილების შესაძენად, მანამდეც მონაწილეობდა მსგავს ოპერაციაში, ოღონდ იმჯერად იარაღის შეტანას რუსი რევოლუციონერები ამზადებდნენ.

წიგნში საგანგებოდაა გამოკვეთილი, რომ გემ „ჯონ გრაფტონის" ოდისეაში მონაწილეობდა რამდენიმე უძლიერესი პარტია – რუსი სოციალისტ-რევოლუციონერები, რუსი ბოლშევიკები, ფინელი აქტივისტები, გაპონის მრავალრიცხოვანი მუშათა ორგანიზაცია, ნამყვანი რევოლუციური ავტორიტეტები. ხოლო გიორგი დეკანოზიშვილი მარტო იყო, თანაც რუსეთის საიდუმლო სამსახურების მხრივ 24-საათიანი თვალთვალის პირობებში.

მონოგრაფიის ავტორები დამაჯერებლად აბათილებენ რუს ისტორიკოსთა მცდელობას: დააკნინონ იაპონელთა ფულით დაფინანსებულ პოლიტიკურ ღონისძიებათა როლი, თითქოს ამ ყოველივეს არავითარი გავლენა არ მოუხდენია რუსეთ-იაპონიის ომის მიმდინარეობაზე და არც რუსეთის რევოლუციის მსვლელობაზე.

საპასუხოდ გახმიანებულია, რომ ნიკოლოზ მეორე იძულებული შეიქნა მანიფესტი გამოეცა და ოდნავ, მაგრამ მაინც ნება დაერთო პოლიტიკური თავისუფლებისათვის.

აკი რიჩარდ პაიპსმა ჯერ კიდევ როდის აღნიშნა: მონარქისტულმა აბსოლუტიზმმა რუსეთში სული განუტევა ერთი წლის აგონიის შემდეგ, რომელიც დაიწყო პარიზის ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიათა კონფერენციით 1904 წლის ოქტომბერში და დამთავრდა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტითო.

იმ გაღიზიანების ახსნასაც ცდილობენ, თუ რატომ იხსენიებენ გიორგი დეკანოზიშვილს რუსი ისტორიკოსები იაპონიის სამხედრო-სადაზვერვო ბიუროს შეფის მოტოძირო აკაშის აგენტად, თანაც თვალსაჩინო ადგილს მიაკუთვნებენ მის აგენტურულ საქმიანობას, აკაშისა და ფინელ ცილიაკუსთან ერთად ელიტარული სამეულის წევრადაც რომ ესახებათ.

ქართველი ისტორიკოსები ცხადყოფენ, რომ მათ რუს კოლეგებს არა სურთ აღიარონ, რომ გიორგი დეკანოზიშვილი უპირველესად თავისი ერის ღვიძლი შვილი გახლდათ, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავგადადებული, და ამ და მხოლოდ ამ მიზნით იყენებდა იაპონურ დაფინანსებას.

სამხედრო-პოლიტიკური კაბალისაგან თავდასახსნელად ერი პირველ ყოვლისა საკუთარი თავის იმედად უნდა იყოს, მაგრამ ∴ ჰასთან უნდა მოებღაუჭოს ყველასა და ყველაფერს, რაც შეეწევა ბრძოლისას. მითუფრო, ასეთი უთანასწორო ბრძოლისას, ჩვენსავით მცირერიცხოვან ერს რომ უწევს. და თუ ქართველ პატრიოტთა და იაპონიის ხელისუფალთა ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, გიორგი დეკანოზიშვილს ვითომ რატომ არ უნდა ესარგებლა ამ მოულოდნელად მოვლენილი საჩუქრით?!.

რუს ისტორიკოსებს იქნებ აკაკი წერეთელიც იაპონელთა დაქირავებულ პოეტად მოეჩვენოთ, მათი პოლიტიკის მეხოტბედ, რაკილა დითირამბი შეასხა მათ სარდალს ოიამას პორტ-არტურიდან რუსი ჯარისკაცების გამორეკვისათვის (ისე გამჭვირვალედ მიანიშნებდა ლექსში, თან ყველა ადვილად მიუხვდებოდა და თან ცენზურაც ვერ წაედავებოდა).

ან იქნებ ლორდ ბაირონი აღასრულებდა აგენტურულ საქმიანობას, თავგანწირვით რომ გადაეშვა ჯერ იტალიელთა და შემდეგ ბერძენთა გამათავისუფლებელ ბრძოლებში იქ ავსტრიისა და აქ თურქთა წინააღმდეგ? ის გარემოება, რომ ინგლისის ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი გახლდათ ეს აჯანყებანი და თავს არ დაზოგავდნენ, რათა ორივე ბრძოლა მეამბოხეთა გამარჯვებით დასრულებუ-

ლიყო, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ლორდ ბაირონის სწრაფვაში რაიმე ანგარება დავინახოთ. თუ ვინმესთვის იყო მიუღებელი ინგლისის ხელისუფლება, მათ შორის „დონ ჟუანის" შემოქმედისთვის, ვინც შეუპოვარ დავას უმართავდა თავისი სამშობლოს მთავრობას და ირლანდიელთა გამათავისუფლებელი მოძრაობის შემყურე მათ გვერდით ამჯობინებდა დადგომას და არა ინგლისის ხელისუფლების.

გიორგი დეკანოზიშვილი თავისი მოქმედებით სწორედ ლორდ ბაირონის გვერდით დგება და მისი პოლიტიკური ღვაწლის გააზრება-შეფასება ამ რაკურსიდან უნდა მოხდეს და არა ტენდენციურ ისტორიკოსთა ჭუჭრუტანიდან.

„სირიუსის" ოდისეა უკანასკნელი გაბრწყინება აღმოჩნდებოდა მის ბიოგრაფიაში, რაკილა უკვე მალე უნდა გადასულიყო ისტორიაში.

შორს დარჩენილიყო ის დრო, როდესაც „ივერია" 1892 წლის ერთ-ერთ ნომერში დიდი სიხარულით ჩამოთვლიდა იმ ახალგაზრდებს, რომელთაც პეტერბურგში დაასრულეს სწავლა და სხვადასხვა პროფესიას დაუფლებულნი დაუბრუნდნენ ყოფილ საქართველოდ გამოცხადებულ მიწა-წყალს, და მათ შორის მოიხსენიებოდა სამთამადნო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ინჟინერი გიორგი დეკანოზიშვილი.

ჯერ ესეც იმედით აღავსებდათ, და თურმე მისი სახით ქვეყანას უბრუნდებოდა კაცი – მონოგრაფიის ავტორთა თქმისა არ იყოს – არა მხოლოდ ერთი ვიწრო სპეციალობისა, არამედ მრავალმხრივი ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული მოქალაქე, რომელიც თავისი მოღვაწეობით შეეცდებოდა ამოევსო ის ნაპრალები და ხარვეზები, რასაც ხედავდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მისი პორტრეტის სრულყოფისათვის აღნუსხულია არამარტო მისი თეორიული და პრაქტიკული ნაბიჯები მარგანეცის მრეწველობის განვითარებისათვის (საამისოდ ბრაზილიაშიც მოუწევდა გამგზავრება), არამედ ისიც, იმხანად ჩვენში გავრცელებული ფილოქსერის პრობლემითაც დაინტერესდებოდა და... დრამატული საზოგადოების ხაზინადრობასაც იკისრებდა და ავჭალის აუდიტორიის ამოქმედება მის სახელსაც დაუკავშირდებოდა.

და ისიც საგანგებოდაა გახსენებული, თუ რაოდენ სასიკეთო ნაყოფი გამოიღო მისმა არაჩვეულებრივმა საორგანიზაციო თვისებებმა და თავდადებამ ქოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად. მის მიერ შექმნილი მოხალისეთა ჯგუფი მოახდენდა ქართლის 17 სოფლის დეზინფექციას. გიორგი დეკანოზიშვილი მთელი არსებით რომ ჩაფლულიყო ამ საქმეში და სიფრთხილეზე არა ფიქრობდა, ამიტომაც დაავადდებოდა თვითონაც ქოლერით, კიდევ კარგი დროული ჩარევა და მკურნალობა იხსნიდა სიკვდილისაგან.

როგორ არ გაგახსენოს 1892 წელს მომხდარი ამ ამბის შეტყობამ ექვსი ათეული წლის წინანდელი შემოჭრა შავი ჭირისა საქართველოში და მაშინ ალექსანდრე ორბელიანის თაოსნობით შედგენილი მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც თავს არ დაზოგავდა საშინელი ეპიდემიის ჩასაქრობად.

მონოგრაფიის კომპოზიციური ქარგის შესაკვრელად ავტორები გიორგი დეკანოზიშვილის ოჯახურ გარემოს გააცოცხლებდნენ და თვალნათლივ გამოკვეთდნენ სილუეტს იმ ფრანგი ქალისა, ჰანრიეტა ფრენუასი, ვინც გულწრფელად შეიყვარებდა მეუღლის სამშობლოს და შეეცდებოდა ეს სიყვარული საქმითაც დაედასტურებინა – ეხმარებოდა „საქართველოს" ფრანგული დამატების „ლა ჟეორჟი" მომზადება-გამოცემაში, ასწორებდა ფრანგულ ნაწერებს, აკეთებდა კორექტურას, შოულობდა ფულს, როდესაც რედაქციას გაუჭირდებოდა, არადა, გასაჭირი იშვიათად სულაც არ დგებოდა... ის კი არა, ქართულ პრესაშიც გამოაქვეყნებდა რამდენიმე სტატიას „ფრანგი ქალის" ფსევდონიმით, საბავშვო ბაღებს რომ ეხებოდა.

გიორგი ძალიან განიცდიდა, შვილებს დიდი ხნობით რომ ვერა ხედავდა და დღიურშიც ჩაუნიშნავს: საწყლებს ბევრჯერ არ ხვდებათ მამის ალერსი, მაგრამ ძნელია, რომ ხალხსაც ემსახურო და ოჯახსაც, სულ ბრძოლაში ვიყავი, მუდამ მოუსვენრად, მუდამ მოგზაურობაშიო. და იქვე ნატვრა:

– იქმნება შემდეგში მეც შემხვდეს ოჯახის სიამოვნება.

განუკურნებელი სენი მკრთალად, შორეულად, მაგრამ მაინც განაცდევინებდა ოჯახურ მყუდროებას. ახალ საქმეს ველარ შეებმოდა, ველარც თვითონ წამოიწყებდა და ველარც თანამებრძოლთა თაოსნობას შეეწეოდა რითიმე. საფრანგეთის სამხრეთში მოუწევდა გადასახლება ავადმყოფობისაგან გათანგულს, ქალაქ კანში, ჰავა იქაური მოუხდებოდა და ცოტა მაინც გაუხანგრძლივებდა სიცოცხლის დღეებს.

მეუღლეს ორ ანდერძს დაუბარებდა:

ერთი ის, რომ მისი ნეშტი აუცილებლად საქართველოში უნდა დაკრძალულიყო; და მეორე – შვილებს ტექნიკური განათლება მიეღოთ.

შვილების ბედს მთლიანად ჰანრიეტას მიანდობდა, საქართველოში ნეშტის მოხვედრის გეგმას კი თვითონვე დაამუშავებდა ყველა წვრილმანის გათვალისწინებით.

ფარულ გეგმას – აბა, ხელისუფლება ნებას როგორ დართავდა მის ნათესავებსა თუ თანამებრძოლთ, სახელმწიფო დამნაშავედ შერაცხილი კაცის აქ დაკრძალვას. ჯერ პროცესია გადაიქცეოდა მღელვარების მიზეზად, ხალხი მიაწყდებოდა და ვაითუ სულაც ეროვნულ მანიფესტაციაში გადაზრდილიყო. მერე კიდევ საფლავი შეიქნებოდა საკულტო ადგილად, ფედერალისტები იქ თავშეყრას რომ არ მოიშლიდნენ და ყოველ მისვლაზე სულიერი სიმტკიცით აღივსებოდნენ.

უსათუოდ ექნებოდა გიორგი დეკანოზიშვილის სამარეს ეს გამოსხივება, ეს მადლი და ძალა.

მონოგრაფიაში ერთი ფრაზითაა აღნიშნული, რომ: ჰანრიეტა ფრენუამ მეუღლის ორივე ანდერძი შეასრულა.

არადა, კარგი იქნებოდა, უფრო გამოკვეთილიყო ნეშტის მალულად შემოტანისა და დასაფლავების სურათი. სხვა თუ არა, ეს რიტუალი ხომ პირადად გიორგის მიერ ნიუანსობრივად გააზრებული გეგმის წყალობით აღსრულდა, როგორც მისი კონსპირაციული მოღვაწეობის დამაგვირგვინებელი აკორდი. იმიერ ქვეყნიდანაც თვითონ წარმართავდა პროცესს, თვითონ მიჰყავდა ყველაზე ლოგიკურ დასასრულამდე. ამასთან, დაკრძალვაზე თავშეყრილ მცირერიცხოვან ადამიანებს პოლიცია დაარბევდათ და გაფანტავდათ. არც ისაა გამოსატოვებელი, არჩილ ჯორჯაძე იძულებული რომ შეიქნებოდა ოფიციალურ პრესაში („სახალხო გაზეთი", 10 ნოემბერი, 1910) ისეთი სახით გამოექვეყნებინა გამოსათხოვარი სტატია, მეგობრის გვარ-სახელი არ მოეხსენებინა, თუმც მიხვედრით ყველა მიხვდებოდა, ვის დასტიროდა ასე გულდათუთქული, ვის გულისხმობდა „დიდ პიროვნებად" თუ „სულ პატარა ადამიანის სხეულში მყოფ დიდ სულად", ვისთვისაც არ არსებობდა პირადი სიცოცხლე, რადგანაც ეს ყოველივე სხვას მისცა, სხვას გაუზიარა და ეს სხვა მისი ტანჯული სამშობლო გახლდათ.

ასეთი ბიოგრაფიის კაცი განა შეიძლება ბედნიერი ყოფილიყო?

არჩილ ჯორჯაძე დარწმუნებული გახლდათ, ბედნიერი იყოო. და ეს იმიტომ, რომ თავის სამშობლოსთან „კრებულად" იმყოფებოდა, რაც მის სულს კმაყოფილებას ანიჭებდა, გულს კი უთბობდა ოცნება, გულს – სხვა მხრივ უნუგეშოდ დაობლებულსა და დანყლულებულს.

არც ის რეალიაა მისაყრუებელი, ფედერალისტები გადასახლების წინ ამ საფლავთან რომ მოიყრიან თავს და ამ დიდი სულიერი აქციით აღივსებიან იმ მხნეობითა და იმედოვნებით, რომ მთავარი და გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ წინაა და ეს მოხდება მაშინ, როდესაც აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ ქვეყანასა და ამ სამარის შემოგარენს.

და ცხადია, არც ის – საქართველოს თითქმის ყველა ეკლესია რომ გადაიხდიდა გიორგი დეკანოზიშვილის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს.

ეს ყოველივე ხომ მისი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც თედო სახოკიას ხშირი ტრიალი კუკიის სასაფლაოზე, ვინმე ნაცნობს მოჰკრავდა თუ არა თვალს, მაშინვე რომ ხელს წაავლებდა, ალაყაფის კართან მიიყვანდა, კედლის გასწვრივ მარჯვნივ ექვს დაგრძელებულ ნაბიჯს გადადგამდა და მტკიცედ განაცხადებდა:

– გახსოვდეს, კარგად დაიხსომე, რომ აქ, ამ ადგილზე დაკრძალულია გიორგი დეკანოზიშვილი.

რას წარმოიდგენდა, ხანგრძლივი სიცოცხლე თუ ერგუნებოდა, ლამის საუკუნეს მიატანდა და მეხსიერებასაც ძველებურს შეინარჩუნებდა, და ჩქარობდა ყველასათვის ეცნობებინა, რომ ეს სამარე არ დაკარგულიყო.

მონოგრაფია მთავრდება საგულისხმო დეტალის აღნიშვნით, რომ კანში, გიორგის სახლში, რომელსაც „ლა ჟეორჟი" ანუ „საქართველო" ერქვა, ამჟამადაც მისი შთამომავალნი ცხოვრობენ.

ჩვენს მიწა-წყალზე დაიკარგებოდა მისი საფლავი, „მერანის" თავგანწირული მხედრისაგან განსხვავებით თავის მამულში დამარხვა კი ეღირსებოდა, მაგრამ კვალს ველარ ვიპოვნიდით, თითქოს ტრიალ მინდორზე ქარიშხალს მიეყაროს მისთვის მიწა ზარითა და ზრიალით...

საფრანგეთის მიწაზე ხომ მაინც გადარჩენილა მისი მემორიალური სახლი, ერთი ყველაზე გამორჩეული პოლიტიკოსის უკანასკნელი თავშესაფარი, გაჟღენთილი სულიერი ტკივილით: ვაითუ აქ დასრულდა ჩემი ბრძოლაო, – და იმედოვნებით: ისე როგორ იქნება, ჩემს გზასავალს კვლავაც არ დავუბრუნდეო.

ოცნება ოცნებად და... აღთქმულ მიწაზე უიმისოდაც უნდა შეებიჯებინა საქართველოს.

და ისიც ისევე უნდა მოესაკლისებინა ახლადაღდგენილ სახელმწიფოს, როგორც ამ ბრძოლის ყველაზე დიდი წინამძღოლი, წინამურის ველზე აღსრულებული, და ყველა მისი თანადასელი, გიორგი დეკანოზიშვილიც მათ შორის რომ იგულისხმებოდა იმთავითვე და თავგანწირვის აუცილებლობაც იმისგანვე შეეთვისებინა.

ეგაა, ეს აფიქრებდა: რატომ ხდება ყოველთვის ისე, რომ მმართველობას ის ვერ იგდებს ხელთ, ვინც ყველაზე შესაფერისიაო.

...გახსოვდეთ, კარგად დაიხსომეთ, რომ აქ, ამ ადგილასაა დაკრძალული გიორგი დეკანოზიშვილიო, – მოგვდევს თედო სახოკიას სიტყვები თხოვნად, რჩევად, შეგონებად!..



# მწერლის ჯილდო — მკითხველის სიყვარული

22 ივნისს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური აღზრდის ცენტრში ლიტერატურული ღონისძიება დაეთმო **ვანო ჩხიკვაძეს** – თანამედროვე ავტორს, ქართული მწერლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს.

ტრადიციულად ტკბილქართულობდა თაოსანი – **ერეკლე საღლიანი**. ხოტბას უძღვნიდა ქართლს, შესაბამისად, მეტაფორებისა და ეპითეტების ხავერდს აფენდა ხალხმრავალ აუდიტორიას; რომ ქართლი მარტო ტერიტორიულად კი არ ამთლიანებს საქართველოს, მიიჩნევა ეროვნული მწერლობის აკვნად. სუფთად და შეურყვნელად, მადლიანი, საოცარი ძარღვიანი ქართულით ლაპარაკობენ ამ კუთხეში. გაიხსენა ფაქტი მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიიდან, როცა რუსეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდა მწერლისთვის ურჩევიათ, ენის უკეთ გახსენების მიზნით სწვეოდა სამაჩაბლოს. მოწიწებით ახსენა აგრეთვე მწერლები – ამ კუთხის შვილები – რომელთა შემოქმედებითაც გამდიდრდა ეროვნული კულტურის საგანძური. ტრადიციის უწყვეტობის ნიმუშად დაასახელა ვანო ჩხიკვაძის შემოქმედება; რომ მწერალი წლებია გორში ცხოვრობს და მოღვაწეობს. არამხოლოდ ლიტერატურული, პიროვნული თუ მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერებით სიმპათიას იმსახურებს.

თავყრილობა გასიმბოლოვდა ორი ქალაქის, თბილისისა და გორის ინტელიგენციის შეხვედრად. დარბაზი დალოცეს მეუფეებმა **თადეოზმა** და **ესაიამ**. **ჭაბუა ამირეჯიბის** (მამა დავითის) წერილი წაიკითხა **ზეინაბ მეტრეველმა**. ღვაწლმოსილი მწერალი უმცროს კოლეგას კალამს უწონებს, ძმობასა და სიყვარულს უდასტურებს.

როგორც წესი, ბევრი იყო სიტყვით გამომსვლელი და შესაბამისად მსურველი, რომ გულის სითბო, შემოქმედებითი აღიარება გაეცხადებინათ მწერლისათვის. მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: **ჯემალ ინჯია, მარინა გიგაშვილი, ვახტანგ დავითაია, დემიკო ლოლაძე, მერი მარწყვაშვილი, ქეთი ქიქოძე, ზაალ ბოტკოველი, რობერტ მაღლაკელიძე, ელზა მიქელაძე**. შეუფასებელი არ დარჩენიათ ვანო ჩხიკვაძის შემოქმედების არც ერთი მხარე: მშვენიერი პროზა, მამულიშვილობით ანთებული პუბლიცისტიკა, სამოქალაქო პოეზია, სატრფიალო ლირიკა, დრამატურგია. ითქვა რომ თითოეული ჟანრი კრებს დიდებულ მთლიანობას – თანამედროვე მოღვაწის სახელს.

აქვე უნდა ითქვას, მრავალი მათგანი წიგნებითა და სხვადასხვა სასიამოვნო სუვენირით იყო ხელდამშვენებული. თავის წილ არც ვანო ჩხიკვაძე დარჩენილა ვალში. ბევრმა ირგო საჩუქრად მისი ახალი გამოცემები.

აუდიტორიის ხალხური სიმღერებით დატკბობას შეეცადა ანსამბლი „ივანანა".

ვანო ჩხიკვაძემ წაიკითხა თავისი პოეტური ნიმუშები და გაცხადდა კიდევ ერთხელ მრავალჯერ თქმული: ავტორის მიერ გახმიანებული ლექსები საუცხოო მოსასმენია, გულთბილი შეხვედრისათვის კი დასძინა: წლის ეს ასტროლოგიურად ყველაზე დიდი დღე დაუვიწყარი იქნება მისთვის, რადგან მწერლისთვის ჯილდოა მკითხველის სიყვარული და იმ სიყვარულისთვის, რაც აუდიტორიამ კიდევ ერთხელ დაუდასტურა, არის უაღრესად მადლიერი.

**ნინო დეკანოიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ბუჯიაშვილი

# „მამის აჩრდილი ჰამლეტივით არ გამომცხადებია“...

**გეხსომებათ ალბათ აკუტაგავას ცნობილი ნოველა „უსიერ ტყეში“, სადაც უამრავი მოწმე – მათთან ერთად გარდაცვლილის სულიც კი – ყვება ამბავს, როგორ დაიღუპა ადამიანი. საბოლოოდ ყველაფერი სრულ აბსურდამდე მიდის, რადგან ჩნდება უამრავი წინააღმდეგობა და ასეთ გაურკვევლობაში იკარგება სიმართლე.**

**ამ საქმის მასალებშიც, პირველ ყოვლისა, თვალში მოგხვდებათ წინააღმდეგობანი მოწმეთა ჩვენებებს შორის და გარემოებანი, რომლებიც ბევრ რამეს საეჭვოს ხდისო, – იტყვის როსტომ ჩხეიძე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ შეკრებაზე, სადაც კონსტანტინე გამსახურდიამ საზოგადოებას დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ძიების მასალები და პარლამენტის საგანგებო კომისიის დასკვნები გააცნო.**

## უსიერ საქმეში ანუ გაუხმაურებული მასალები გახმაურებული მკვლელობიდან

– ასეთი მრავალმხრივი ინტერესებისა და ერუდიციის პიროვნება ბევრი არ ჰყავს საქართველოს. ოჯახითაც მოსდგამს და ბუნებრივი ნიჭითაც. ის წიგნები, სტატიები, რომლებიც ქვეყნდება მისი ავტორობით, აღბეჭდილია დიდი სიღრმით და არა მხოლოდ თვითკმარი ღირებულება აქვს, სხვებსაც უბიძგებს კვლევისაკენ არაერთი საგულისხმო თეზისითა თუ მიგნებით.

კონსტანტინე გამსახურდია ნატიფი ბუნების ლიტერატორია. მისგან არც აზრის სიღრმე და ლოგიკაა მოულოდნელი და არც პოეტური აღმაფრენა. იგი თავმჯდომარეა საპარლამენტო კომისიისა, რომელმაც არაერთი საინტერესო ცნობა შეაგროვა ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულის გარემოებათა შესახებ. გამოქვეყნებულია საბოლოო დასკვნა, რომელიც 300 გვერდს მოიცავს და ცალკე დამუშავებას საჭიროებს ლიტერატორების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ფსიქოლოგებისა თუ სოციოლოგების მხრიდან.

რატომ შეირჩა იგი ამ კომისიის თავმჯდომარედ?

სწორედ იმიტომ, რომ ყველამ იცოდა – იგი იქნებოდა მაქსიმალურად მიუკერძოებელი და ამ თემას მოეკიდებოდა არა როგორც შვილი ტრაგიკულად აღსრულებული პრეზიდენტისა, არამედ როგორც მკვლევარი, რომელიც ვალდებულია სიმართლე გაარკვიოს ყოველგვარი სუბიექტურობის გარეშე და მომავალ თაობას სანდო დასკვნები დაუდოს.

კომისიის შესაძლებლობანი იყო შეზღუდული. მის წევრებს არ ჰქონდათ საშუალება ყველა დაეკითხათ. მოწმეთა მონაწილეობა უფრო მეტად კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. მთავარი პერსონაჟი, ვინც პირველ რიგში უნდა წარმდგარიყო კომისიის წინაშე – ედუარდ შევარდნაძე – დაუკითხავი დარჩა, თუ არ ვიგულისხმებთ მის რამდენიმე ზოგად განცხადებას, გამოქვეყნებულს გაზეთის ფურცლებზე, რაც სრულიად უკმარია ამ თემისათვის.

წინააღმდეგობანი კი მოწმეთა ჩვენებებს შორის აქაც თვალშისაცემია. კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის აუცილებელი რომელიმე მოწმე განზრახ ცრუობდეს, შესაძლოა სავსებით გულწრფელიც იყოს, უბრალოდ, არასწორად ახსოვდეს, თავის წარმოსახვას უმატებდეს ან რაღაცას თავის მეხსიერებაში ამთლიანებდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეს ასეთი მხრივაც სჭირდება შესწავლა. მთავარია, ის არ იქცეს სენსაციების თემად და მას საკადრისად მოვეკიდოთ.

– ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლაო, – თითქოს დადგენილი ვერსიაა, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც (ოფიციალური თუ არაოფიციალური), რომ იგი მოკლულია.

როგორც უნდა იყოს, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება მაინც მკვლელობა გახლდათ, ისევე როგორც გალაკტიონზე ვამბობთ სრულიად სამართლიანად, რომ იგი მოკლა იმ პოლიტიკურმა რეჟიმმა, რომელშიც უწევდა ცხოვრება, – ასე გახსნის შეხვედრას ბატონი როსტომი და სიტყვას გადასცემს **კონსტანტინე გამსახურდიას,** ვინც დოკუმენტური ნოველასავით გაგვაცნობს მასალებს პრეზიდენტის გარდაცვალების ტრაგიკული ეპიზოდის შესახებ, დღემდე ბურუსში რომ არის გახვეული.

* * *

ბატონი კონსტანტინე თავის გამოსვლაში ყურადღებას გაამახვილებს გარემოებებზე, რომლებიც საეჭვოს ხდის ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას.

უპირველესად ისაუბრა პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის მარშრუტზე 5 ნოემბრიდან – აფხაზეთის დატოვებისა და ენგურზე გადმოსვლის დღიდან – 27 დეკემბრის ჩათვლით, როცა ისინი დაბინავდნენ სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას ოჯახში.

მან გამოკვეთა წინააღმდეგობანი, რომლებიც აღინიშნება მოწმეთა ჩვენებებში ამ მარშრუტის შესახებ.

საუბრისას გამოჩნდა გამოძიების არათანმიმდევრული და ტენდენციური მოქმედება 1994-2003 წლების სისხლის სამართლის საქმის მიმართ და აღნიშნა, რომ მისი გამოძიების პოლიტიკური ნების არარსებობის გამო განადგურდა ყველა კვალი, რამაც თავისთავად შეაფერხა სიმართლის დადგენა.

ბატონი კონსტანტინეს თქმით, ურთიერთგამომრიცხავი და შეუსაბამოა მოწმეთა ჩვენებანი პრეზიდენტის ნატყვიარის აღწერილობაც. ასევე: უცნობია, სად გაქრა მასრა და გულა, რომლისგანაც დაიღუპა პრეზიდენტი. მასთან ერთად გამქრალია ყველა ნივთი, საიდანაც შეიძლებოდა სისხლის კვალის აღება – კერძოდ, ლეიბი, საბანი, ბალიში და ნაწილი პრეზიდენტის სამოსისა.

ასევე წინააღმდეგობრივია რობინზონ მარგველანის ჩვენება, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტმა თავი მოიკლა „სტეჩკინის" კონსტრუქციის მაუზერიანი იარაღით. ის, როგორც ნივთმტკიცება, არ ამოუღიათ და არ გამოკვლეულა. მაუზრის არსებობა კი უკვე თავისთავად გამორიცხავს თვითმკვლელობის ვერსიას, რადგან კიდევ უფრო აგრძელებს იარაღს, რის გამოც შეუძლებელია მისი ხელში დაჭერა და გასროლა იმ კუთხით, რომელზეც მიუთითებს როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა.

კომისია ურთიერთგამომრიცხავად მიიჩნევს ჩვენებებს პრეზიდენტის ავადმყოფობის შესახებ. მისი აზრით, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება პრეზიდენტის ტკივილებზე მუცლის არეში მიზნად ისახავს კიდევ ერთი საფუძვლის გამოძებნას თვითმკვლელობის ვერსიის გასამართლებლად.



ბატონმა კონსტანტინემ განსაკუთრებულად აღნიშნა ზუგდიდის ყოფილი კომენდანტის ბადრი ზარანდიას დღიური, რომელიც კომისიამ მოიპოვა. ამ დღიურმა სინათლე მოჰფინა პრეზიდენტის ყოფნას წალენჯიხის რაიონში აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ.

და კიდევ:

გარდა ზემოთქმულისა, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება: 1994 წელს – გენერალი გია გულუა, 1998 წელს – ზურაბ შონია, იგივე „პუშკინა", 2003 წელს კი – ბადრი ზარანდია.

ბატონი კონსტანტინეს თქმით, უკვალოდ გაქრა დაცვის ორი წევრი, რომელთა ბედით გამოძიება არ დაინტერესებულა.

საბოლოოდ, ამ საქმეში არაერთი წინააღმდეგობა და ბუნდოვანება იჩენს თავს, რაც გასარკვევი და ასახსნელია. კომისიამ კი თავისი საქმე შეასრულა და მის ხელთ არსებულ ყველა გარემოებას გულდასმით ჩაუკვირდა.

## როგორ გაიმეტეს პრეზიდენტი

**ვახტანგ ბახტაძე:**

– თავის დროზე, კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე, ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით, როგორც თქვენ, ასევე კომისიისა და ქვეკომისიის წევრებმა, არაერთხელ აღნიშნეთ შესაძლო ხელახალი ექსჰუმაციის შესახებ. რამდენად მაღალი სტანდარტით არის ჩატარებული 2007 წლის როსტოვის დასკვნის დნმ-ის ანალიზი? და კიდევ: როგორც ვიცი, პროკურატურა სწავლობს ამ საქმეს. თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ვიმედოვნებდეთ, რომ პროკურატურა მართლაც დაადგა რეფორმის გზას და შეისწავლის ამ მძიმე და საეჭვო მომენტებს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეში?

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– როსტოვის დასკვნა, ერთი შეხედვით, ძალიან სოლიდურად გამოიყურება. ეს ინსტიტუტი ეკუთვნის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს და აქვს საერთაშორისო სერტიფიკატი. დნმ-ის ანალიზი მოიცავს რამდენიმე გვერდს და სავსებით დაცულია ფორმა გენეტიკური იდენტიფიკაციის დადგენისა. განმეორებითი ექსჰუმაციის ჩატარებამდე ამ დასკვნით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნეშტი ნამდვილად ზვიად გამსახურდიასია. მათ პასუხები გასცეს მხოლოდ იმ შეკითხვებზე, რომლებიც დასმული იყო. ჩანს, როსტოვის დასკვნის ექსპერტებიც თვითმკვლელობის ვერსიის ზეგავლენას განიცდიდნენ. მათ არც დაუსვამთ საკითხი – ეს მკვლელობა იყო თუ თვითმკვლელობა, მხოლოდ ამბობდნენ, რომ სიკვდილი უნდა გამოეწვია ტყვიას, რომელიც გასროლილია 9-მილიმეტრიანი იარაღიდან. რაც შეეხება დაზიანებებს, მათ განიხილავდნენ როგორც შედეგს მიწის ზემოქმედებისა. სხვა ვერსიას ამ საკითხის ირგვლივ არ გამოთქვამდნენ. პროკურატურაში ეს საქმე 24-25 თებერვალს გადაიგზავნა. მახსოვს, გამოვიდა ქრისტიანულ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ვეფხვაძე, რომელმაც წამოჭრა საკითხი, რომ პარლამენტს ყოველ სამ თვეში ერთხელ პროკურატურისგან მოეთხოვა გარკვეული ანგარიში ამ საქმის შესახებ. სამი თვე გავიდა, მაგრამ მძიმე დღეები დაემთხვა, აქციების ხანა, ანონსირებული რევოლუციები და ა.შ. ამიტომ ეს საკითხი რაღაცნაირად გადაიდო. შესაძლოა ინფორმაციას განგებაც არ ახმაურებენ – გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. ტრანსლაცია – დაგეგმილი საძიებო ოპერაციების შესახებ – მხარეს, რომელიც თავს იცავს, საშუალებას მისცემს, უკეთ მოემზადოს. სხვათა შორის, მათ ბევრი რამ ჩვენგანაც გაიგეს. მაგალითად, რობინზონ მარგველანმა, ვინც სამი დღე იმყოფებოდა ლურწკაიების სახლში, არც კი იცის მასპინძლის სახელი.

**ნინო დეკანოიძე:**

– თქვენ როგორ ხსნით ამას?

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– ბევრი რამ შეიძლება ვივარაუდოთ. შესაძლოა ის მართლაც რამდენიმე საათი იყო სახლში (საერთოდ, ეს სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი რაღაცნაირი ბურუსითაა მოცული); ვარაუდით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკვლელობა მოხდა ხიბულას სახლში ან ჯიხაშკარი-ძველი ხიბულას გზაზე. ასეთ შემთხვევაში მასპინძელს შესაძლოა მართლაც არ გახსოვდეს. უცნაურია თვითონ მასპინძლის, კარლო ღურწკაიას ნაამბობიც:

– გაჩერდა მანქანა, გადმოვიდა მაღალი, წვერიანი კაცი ნაბდით (მე მითხრა: შენზე მაღალი იყოო, რაც ასე არ არის – კ.გ.). თავზე ეხურა ჩეჩნური ფაფახი და ხელში კომბალი ეჭირა. მან იკითხა: სითბო თუ გაქვთ სახლშიო? მერე ავიდა მეორე სართულზე და არც ის ჩამოსულა დაბლა, არც მე ავსულვარ, ვიდრე თვითმკვლელობის შესახებ არ შევიტყვეო.

გაზ 24-ის ტიპის მანქანაში უკანა სავარძელზე, სადაც ოთხი კაცი იჯდა, ერთი თურმე ნაბდიანი ყოფილა, რაც ძნელი წარმოსადგენია, რადგან უბრალოდ ვერ მოთავსდებოდნენ.

მახსოვს კარლო ღურწკაიას ვაჟის ჩვენებაც: სისხლი მე იქ საერთოდ არ დამინახავსო. არადა, შემავალი და გამავალი ჭრილობა ორივე სისხლმდენია, და ძალიანაც სისხლმდენი. თურმე არც გვერდით მწოლიარე ადამიანს შესხმია სისხლი, გამომავალი ტყვიაც არ მოხვედრია...

**ქეთევან შენგელია:**

– პრეზიდენტის გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე გავრცელდა ინფორმაცია: ზვიად გამსახურდია მოწამლესო. აქედანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრეზიდენტის მოკვლას სხვადასხვანაირი გზით აპირებდნენ. მოწამვლასაც ფიქრობდნენ ალბათ, მერე კი გადაიფიქრეს და ეს გზა აირჩიეს.

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– ეს ნამდვილად საყურადღებო და საგულისხმო მომენტია. მოწამვლის ფაქტორი შესაძლოა გამოდგომოდა ზოგადად ავადმყოფობის სურათს, რამაც იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. იგივე იგორ გიორგაძის ჩვენება რომ გავიხსენოთ, მისი თქმით, იყო ორი მომენტი: ერთი, შევარდნაძის ლეგიტიმაციის პრობლემა და მეორე, მეთოდი – როგორ უნდა მოეშორებინათ ზვიად გამსახურდია. შევარდნაძის ლეგიტიმაცია ვერ ხერხდებოდა, რადგან კანონიერი პრეზიდენტი ცოცხალი იყო. ამის შესახებ ედუარდ შევარდნაძე ცოტა ხნის წინათ თვითონაც წერდა ერთ-ერთ ინტერვიუში – როგორ უთხრა მას ჯეიმზ ბეიკერმა: თქვენი ლეგიტიმაცია საეჭვოა და ამის გამო გარკვეული ფინანსები საქართველოში ვერ შემოვაო.

შესაბამისად, დადგა ზვიად გამსახურდიას მოშორების საკითხი. ეს შესაძლებელი იყო სპეცოპერაციით, მისი ალყაში მოქცევით და განადგურებით; მეორე ვარიანტი იყო მისი დაკავება და თბილისში ჩამოყვანა, რასაც ავტომატურად უნდა მოჰყოლოდა სასამართლო პროცესი. მაგრამ ეს პროცესი უსიამოვნო იქნებოდა – ის გადაიქცეოდა შევარდნაძის სასამართლო პროცესად – ამიტომ გამონახეს სათავისოდ ყველაზე „ჭკვიანური“ გამოსავალი – იმიტირებული თვითმკვლელობა. ამ ყველაფერს ფონად გასდევდა პრეზიდენტის ავადმყოფობა, რომელიც ფსიქო-სომატურ დაავადებათა ფართო სპექტრს მოიცავდა. ერთი მხრივ, თითქოს გაუგებ ადამიანს – ის დამარცხდა, სასოწარკვეთილია, ამას თან ერთვის მძიმე ავადმყოფობანი... ამ ფონზე აიღო ხელში იარაღი და მოიკლა თავი, გასაკვირიც არაფერია. ამის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ ქვეყანა ათი წელი მართა, ყველაფერი „თავის ადგილზე“ დადგა, ე.წ. „სტაბილიზაციაც“ დამყარდა, კუთხემაც მოისვენა და, საერთოდ, ქვეყანამაც.

## სივრცე, სადაც სახელმწიფო მოიგებს

– ილიას მკვლელობის ამბავი დღესდღეობით მეტ-ნაკლებად მაინც გარკვეულია, მაგრამ მისი მკვლელები აღარ არიან ცოცხლებიო, – ასე იტყვის კომისიასთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის წევრი **მალხაზ გორგასლიძე**, ვისი აზრითაც ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსია პირველ რიგში დაცვისთვის და, საერთოდ, გარემოცვისთვის იყო მისაღები, რადგან შემდეგ დაცვის რომელიმე წევრს რამე რომ დაშავებოდა, თვითმკვლელობის ვერსია საეჭვო გახდებოდა მოტივით – მოწმეებს იშორებენო.

– ის, რომ დაცვის ერთ-ერთმა წევრმა არ იცოდა მასპინძლის სახელი, იმითაც აიხსნება, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ზვიად გამსახურდია დასავლეთ საქართველოში რჩება დაცვის გარეშე. ჩვენ შემდეგ მასალებიდან ვარკვევთ, რომ დაცვის წევრები იმხანად სხვადასხვა ქალაქშიც აღმოუჩენიათ.

მოტეხილობებთან დაკავშირებით თავიდანვე ეჭვი აღგვიძრა იმან, რომ გარემოცვა და პირადი დაცვა პირდაპირ ამბობდა:

– ტანკგადავლილი ჩეჩენის ცხედარი ჩამოასვენესო.

სულ მიკვირდა, რატომ მაინცდამაინც „ტანკგადავლილის“. ეს ალბათ იმაზე მიგვანიშნებს, რომ გვამი ძალიან დაზიანებული იყო.

იმასაც ამბობდნენ, ის ტერიტორია დაიბომბაო, მაგრამ საფლავი დაზიანებული არ იყო. იქაურობა უბრალოდ გადაასწორეს და ხმა დააგდეს, ცხედარი გადაასვენესო. ჩვენც ისეთი ცნობა გაგვივრცელეს, თითქოს ჩვენი პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევის გვერდით დაკრძალეს, სინამდვილეში ადგილზე დატოვეს.

არც სასახლე იყო ძალიან დაზიანებული. თანაც ის თავის დროზე ქვიშით ამოავსეს, რომ ექსჰუმაცია იოლი ყოფილიყო. უცნაური ის არის, რომ სუსტი ძვლები გადარჩა და მაგარი ძვლებია დამტვრეული. როცა ექსპერტებს ვეკითხებოდით ამ უცნაურობის შესახებ, ისინი გვეუბნებოდნენ: ძვლები ერთად რომ დალაგდება, ყველაფერი გაირკვევა, რადგან მოტეხილობებსაც თავისი სპეციფიკა აქვსო. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ ეს დაზიანებანი შესაძლოა მექანიკური ზემოქმედების – ბლაგვი საგნის – დარტყმის შედეგი ყოფილიყო. მაშინ ისმის კითხვა:

– რატომ აწამეს ასე? კი, სძულდათ, თავიდან მოშორებაც უნდოდათ, მაგრამ ასე სასტიკად მაინც რატომ გაუსწორდნენ?

და პასუხად ჩნდება ასეთი ვერსიაც:

როგორც ჩანს, მათ სჭირდებოდათ, ზვიად გამსახურდიას კამერის წინ ეღიარებინა, რომ დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის ფრონტის მოსაშლელად დაბრუნდა... და შემდეგ მისთვის დაებრალებინათ სოხუმის დაცემაცა და მრავალი სხვა უბედურებაც. როცა ამას ვერ მიაღწიეს, დადგა მისი ლიკვიდაციის დრო. თან ეს ისეთი ფორმით უნდა ჩაე-

დინათ, რომ თვითმკვლელობად შეფუთულიყო. ედუარდ შევარდნაძე ცხედარს არ გაატანდა გროზნოში, თუ გარანტია არ ექნებოდა, რომ იქ ექსპერტიზა არ ჩატარდებოდა.

ჩვენ წინააღმდეგ გარკვეული პიარკამპანიაა აგორებული. მე პირადად – და ბატონი კონსტანტინე კიდევ უფრო მეტად – დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან პირდაპირ დაპირისპირებას ედუარდ შევარდნაძის მხარედ ჩამოყალიბებული ადამიანები ვერ შეძლებენ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, იმ ხალხს დაგვიპირისპირებენ, რომლებიც, გარკვეული თვალსაზრისით, ზვიად გამსახურდიას მხარედ მოიაზრებოდნენ საზოგადოებაში. აკი თვითონაც ამბობდნენ: იძულებითი დუმილი გვქონდაო. სწორედ ის იძულებითი დუმილი დაარღვიეს და, როგორც ჩანს, ეს შეთანხმებული იყო ედუარდ შევარდნაძესთან, ვინც აბსოლუტურად ყველაფერი აღიარა, რისი აღიარებაც შეძლო.

ისმის კიდევ ერთი კითხვა: რატომ გაატანეს ცხედარი გროზნოში? ჩემი აზრით, ზვიად გამსახურდიას საფლავი, ადრე თუ გვიან, პილიგრიმობის ადგილი გახდებოდა. წარმოიდგინეთ, სხვადასხვა კუთხიდან დასავლეთ საქართველოში რომ ჩავიდოდნენ ამ საფლავზე, ეს რა შედეგს მოუტანდა ედუარდ შევარდნაძეს.

როცა ადამიანი გარდაიცვლება, სახელმწიფო იურიდიულად ვალდებულია, დაადგინოს გარდაცვალების გარემოებანი. აქ კი საუბარია ქვეყნის პრეზიდენტზე. პატიოსანმა ადამიანმა უნდა თქვას: კონსტანტინე გამსახურდია, გარდა იმისა, რომ ხარ პარლამენტის წევრი, ზვიად გამსახურდიას შვილი, ამ კომისიის თავმჯდომარე, ქართველი კაცი ხარ და შენი ქვეყნის მორალი, ზნეობა და, ბოლოსდაბოლოს, კანონი გთხოვს, რომ სიმართლე დაადგინოო. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია ასეთი თავდასხმები ჩვენს კომისიაზე... და როცა პრესაში ქვეყნდება ბესარიონ გუგუშვილის ინტერვიუ, რომელშიც ამბობს, რომ თურმე თვითონ, ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრები და შევარდნაძის პროკურატურა შეთანხმებულან – გამოძიება არასოდეს იქნებაო, ეს ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო. მე შეუთანხმდი პროკურატურას, რომელმაც საქმე აღძრა ზვიად გამსახურდიასა და მის თანამოაზრეებზე, არაერთი მათგანი აწამა (ყველამ ვიცით დავით ლოლაძის ამბავი), შეუთანხმდი იმაზე, რომ გამოძიება არ ჩატარებულიყო და ახლა შენს აზრებს ახვევ თავს საქართველოს?! ასეთი ადამიანის საუბარზე კომენტარიც ძნელია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასა და მისი ოჯახის წევრების ლანძღვით რომ არის გაჯერებული, მეტიც, ღალატშიც ადანაშაულებს მათ. გუგუშვილის გამოსვლა ერთი ერთზე ემთხვევა იმას, რასაც შევარდნაძე ამბობდა და მისი სპეცსამსახურები და პროკურატურა ავრცელებდნენ.

აი, ამ ყველაფერთან გვიწევს ბრძოლა, და ის, რომ ასეთი საზოგადოება, ამ დარბაზში რომ იმყოფება, დაინტერესდა კომისიის მუშაობით, ჩვენთვის სტიმულიც არის და გარანტიაც იმისა, რომ ქართველი საზოგადოება სწორად აზროვნებს და აინტერესებს თავისი პრეზიდენტის, ქვეყნის თავისუფლების ერთ-ერთი დიდი მესაძირკვლის ბედი.

ილიას მკვლელობის ამბავი კი... დღესდღეობით მეტნაკლებად მაინც გარკვეულია, მაგრამ ილიას მკვლელები აღარ არიან ცოცხლები.

ზვიად გამსახურდიას მკვლელები კი დღესაც ჩვენ გვერდით ცხოვრობენ – თუ ამას ცხოვრება ჰქვია – და მე თუ მკითხავთ, პოლიტიკოსის ვალია შექმნას სივრცე, სადაც სახელმწიფო მოიგებს.

აი, სწორედ ამას აკეთებს ბატონი კონსტანტინე, ჩვენი კომისიის წვლილიც აქ არის და, დარწმუნებული ვარ, თქვენი დიდი მხარდაჭერითაც მალე გაირკვევა სიმართლე და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

## ვინ ინანიებს წარსულს

**მანანა გაბაშვილი:**

– საქმის მასალებზე მუშაობისას, პირწმინდად ადამიანური თვალსაზრისით, სინანული თუ შეგინიშნავთ მისი მოწინააღმდეგეებისათვის. ხომ ხდება ასეც – გაივლის რალაც ხანი და ადამიანი ძალიან განიცდის თავის ამა თუ იმ საქციელს?

და კიდევ:

ფსიქოლოგები აღწერენ ფაქტებს, რომ ადამიანები ხშირად სხვადასხვანაირად ხედავენ ამა თუ იმ მოვლენას. ასეთი რამ გასათვალისწინებელია, მაგრამ... არსებობს ტყუილი, რომელსაც ვერანაირი ფსიქოლოგია ვერ უშველის.

**მალხაზ გორგასლიძე:**

– აი, წარმოიდგინეთ, გარემოცვის მასალების გაანალიზებისას ასეთ ფაქტს წავაწყდით: ისმის გასროლა. იღვიძებს მის გვერდით მყოფი ადამიანი – დაღლილი, ორი თვეა შეუსვენებლივ დადის – ხედავს მომაკვდავ კაცს, მაშინვე მოდის აზრზე, დგება, სათვალეს იკეთებს, გარბის, დაცვას ხვდება კარში... და ამ ყველაფერს ანდომებს სამ წამს.

ფსიქოლოგების აზრით, ეს ერთადერთ ადამიანს შეუძლია – მას, ვინც თვითონ ესროლა. სხვაგვარად ასეთი რამ წარმოუდგენელია – ჯერ მარტო „სტეჩკინის" გასროლაზე უნდა ჩავარდე შოკში, მერე მომაკვდავს რომ დაინახავ...

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– შესაძლოა ადამიანს რალაც დაავიწყდეს – ვთქვათ, შვიდი საათი იყო თუ ცხრა, ოდნავ დაბნელებული იყო თუ ძალიან ბნელოდა. ჩვენ თოთხმეტ თემატურ ქვეთავში მოვაქციეთ ეს ოთხმოცამდე წინააღმდეგობა, მაგრამ ჩვენი დასკვნები დაყრდნობილია არა იმდენად წინააღმდეგობებზე, რამდენადაც კრიმინალისტიკაზე. ჩვენ ასევე ვერ დავეყრდენით იგორ გიორგაძის, თენგიზ სიგუას და თენგიზ კიტოვანის განცხადებებს, რომლებშიც პირდაპირ მკვლელობაზე იყო საუბარი – დაკვეთაზე ედუარდ შევარდნაძის მხრიდან. ვერ დავეყრდენით იმიტომ, რომ არანაირი სხვა მტკიცებულება არ გაგვაჩნია. საიდან უნდა ვიცოდე, რომ ისინი მართლები არიან? ცხადია, ეს ყველაფერი გავითვალისწინეთ და დოკუმენტებშიც ჩავრთეთ, მაგრამ ამით არაფერს ვამტკიცებთ.

რაც შეეხება სინანულს... თენგიზ სიგუას ადამიანურად ნამდვილად შევატყვე ძალიან დიდი სინანული, კიტოვანსაც შევნიშნე, აი, გიორგაძეზე ძნელია რამის თქმა... ის ამბობს, რომ გარკვეული დროის შემდეგ გაეცალა ამ ყველაფერს, მაგრამ იმავე პრინციპით, ესეც საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ ასე იყო?! მას აქვს ალიბი – ის, რომ ხელი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწერა 17 თებერვლის დათვალიერების ოქმს, რომელშიც საუბარი იყო თვითმკვლელობაზე. იგი ამბობდა: მე ექსპერტიზის ჩატარება მოვითხოვეო. სიგუა და კიტოვანი კი, ასე მგონია, დღეს ისევ იქ რომ დააყენო, ამას აღარ გააკეთებდნენ.

ჩვენ ასევე დავკითხეთ ზუგდიდისა და ფოთის უშიშროების მაშინდელი ხელმძღვანელები, პათანატომები და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმომადგენლები, მაგრამ ისინი პირდაპირი მონაწილენი არ იყვნენ, ამიტომ მათზე ვერაფერს გეტყვით.

**ნანა ერემაძე:**

– როდესაც ზუგდიდში ჩამოვიდა ზვიად გამსახურდია, ყველა მიტინგს ვესწრებოდი. მის გვერდით ყველგან ჩანდა გურამ აბსანძე. მაშინ საზოგადოებაში გავრცელდა აზრი, რომ ზუგდიდში პრეზიდენტის ჩამოყვანის ორგანიზატორები იყვნენ აბსანძე და ოთარ ფაცაცია.

ასევე ტრიალებდა აზრი, რომ სამეგრელოში დიდი ძალა იყო მობილიზებული. შემდეგ აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტს ეს ინფორმაცია არასწორად მიაწოდეს. ასეთ ვითარებაში იგივე გურამ აბსანძე ძალიან ცუდად გამოჩნდა – კარგად ვიცით, რითაც დამთავრდა პრეზიდენტის ჩამოსვლა ზუგდიდში. მე თუ მკითხავთ, პირველ რიგში სწორედ ის უნდა დაიკითხოს...

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– როცა მოსკოვში ჩავედი, შევეცადე შევხვედროდი გურამ აბსანძეს – იგი თურმე იმყოფება სმოლენსკში და ლიმონათის ბიზნესშია ჩართული – მაგრამ შეხვედრა ვერ მოვახერხე. ძალიან კი გვინდოდა, რომ ჩვენს მასალებში მისი ჩვენებაც ჩაგვერთო. რაკი ეს არ გამოვიდა, დავკმაყოფილდით იმ მწირი ინფორმაციით, რასაც დოკუმენტებში წავაწყდით.

ზვიადის ზუგდიდში ჩასვლის შესახებ კი ის შემიძლია გითხრათ, რომ მან თვითონ დაავალა გურამ აბსანძეს, მოეძებნა თვითმფრინავი. ბოლო დღეს, როცა პრეზიდენტი ყოყმანობდა, გურამ აბსანძემ უთხრა: ეს ბოლო თვითმფრინავია, თუ უარს იტყვი, კიდევ ერთს ველარ ვიშოვნიო.

რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს ზუგდიდში, როგორც აღმოჩნდა, მათი რაოდენობა თურმე ათასი კაცით განისაზღვრებოდა, ანუ ძალიან მცირე იყო.

**ინგა მილორავა:**

– ზვიად გამსახურდია, ყველაფერთან ერთად, იყო მწერალი, რომელმაც მთელი ცხოვრება სიტყვასთან გაატარა. თუ არსებობს მისი იმდროინდელი ჩანაწერები? ეს რაღაცნაირად დაგვეხმარებოდა სიმართლის დადგენაში.

და კიდევ: ამ ადამიანების, აი თუნდაც ბესარიონ გუგუშვილის დაკითხვის გარეშე ძნელი იქნება რეალური სურათის აღდგენა. ნუთუ არ არსებობს რამე მექანიზმი მათ დასაკითხად?

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– ჩანაწერების შესახებ არაფერი ვიცი. მისი არქივი მთლიანად რუსეთის ფეესბე-შია. ბესარიონ გუგუშვილმა ჩვენების მიცემაზე უარი თქვა. ის კატეგორიულად წინააღმდეგია ყოველგვარი გამოძიებისა. ამბობს: მე მივიჩნევ, რომ ეს იყო თვითმკვლელობა და მორჩა!

ჩვენების მიცემას მას მხოლოდ სასამართლო აიძულებს. ჩვენს ძალებს ეს აღემატება.

## ეს საცნაური ბედისწერა

მის ცხოვრებაში კი ყველაფერი უცნაურად გასიმბოლოებულიყო. თითქოს ფეხდაფეხ ადევნებულ ბედისწერას ეს სიმბოლოებიც წინასწარ მოეხაზა და დროდადრო მიანიშნებდა ხოლმე ტრაგიკულ ხვედრზე, მის გარდუვალობაზე, გზაზე, რომელსაც მიჰყვებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი და ასეთი მივიდოდა მარადიულობის საზღვრამდე – ბედნიერიც და სასოწარკვეთილიც, დიდების ზენიტში მყოფიც და დამარცხებულიც, ნაერთგულევიც და ნალალატევიც, უმძიმესი ადამიანური განცდებით... და **ვაჟა შუბითიძე** რომ დაინტერესდება:

– ბატონო კონსტანტინე, თქვენ თუ გქონდათ ურთიერთობა ბოლო დროს ზვიად გამსახურდიასთან და მისი განცდები თუ იცით? ან სამეგრელოში პრეზიდენტის ჩამოსვლა რა იყო, ხომ არ ფიქრობთ, რომ ის ჩამოიტყუესო? იგი უპასუხებს:

– ასეთი ცნობები არ გაგვაჩნია. მაგრამ ჩვენ ვიცით ფაქტი – ჯოჰარ დუდაევი საუბრობს იმაზე, როგორ აფრთხილებდა ის ზვიად გამსახურდიას, რომ მისი ჩასვლა დასავლეთ საქართველოში არაფრით არ შეიძლებოდა, ეს არ დამთავრდებოდა წარმატებით და რუსეთი ყველა საშუალებით ჩაერეოდა, რათა ხელი შეეშალა გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენისთვის. ჩვენ დაახლოებით ვიცით, რა უპასუხა ამაზე პრეზიდენტმა, იგი ეყრდნობოდა იმ დეპუტატებს, რომლებიც იყვნენ სამეგრელოში, ასევე სამეგრელოს წინააღმდეგობაზე და თავის მორალურ ვალდებულებას – არ მიეტოვებინა ეს მოძრაობა, ყოფილიყო იქ, სადაც ერისთვის უმძიმესი ჟამი იდგა, მზადდებოდა სოხუმის დაცემა.

ცნობილია ჯოჰარ დუდაევის კომენტარიც: „მას არ სურდა გამოჩენილიყო მშიშარა და მოღალატე". ამიტომ იგი დგამს ამ ნაბიჯს და ფიქრობს, რომ ან მოიგებს, ან ყველაფერს დაკარგავს.

ზვიად გამსახურდია ერთგული დარჩა საპრეზიდენტო ფიცისა, რომელიც დადო 1991 წლის 26 მაისს ქართველი ერის წინაშე.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჯოჰარ დუდაევმა იწინასწარმეტყველა. ჩანს, მას კარგი ნაცნობობა ჰქონდა რუსეთის გენშტაბში და იქიდან უტყუარ ცნობებს იღებდა. მათ იცოდნენ, რომ ოქტომბრის აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთში გამარჯვებული ძალა ნებას არ დართავდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენას საქართველოშიო.

რაც შეეხება ბოლოდროინდელ ურთიერთობებს:

ავსტრიაში ვიზიტისას შეხვედრიან ერთმანეთს. შვეიცარიაში დევნილი შვილი და ევროპაში დახმარების საძიებლად ჩასული მამა – პრეზიდენტი ავბედითი ჟამით თავზარდაცემული, ნაიარევი და სისხლშედედებული ქვეყნისა.

ვერა, ვერ შერგებოდა დამოუკიდებლობის მოპოვების სიხარული საქართველოსაც და მის პრეზიდენტსაც.

ბედისწერას ასე განესაზღვრა ხვედრი ზვიად გამსახურდიასიც და მისი სამშობლოსიც.

მაინც რა უცნაურად გასიმბოლოებულიყო ყველაფერი მის ცხოვრებაში. ვენის ცენტრში მდებარე სასტუმროს,

რომელშიც ცხოვრობდა მამა-შვილი პრეზიდენტის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, „ტყვია" ერქვა თურმე.

ვენიდან კი... ველარც წინ წავიდოდა და ველარც უკან. მას ხელს უშლიდნენ, რომ დაბრუნებულიყო გროზნოში. გერმანიამ უარი განუცხადა თავშესაფრის მიცემაზე იმ მიზეზით, რომ მისი შესვლა ქვეყანაში მემარჯვენე რადიკალისტთა ტალღას ააგორებდა თურმე – ნეოფაშისტურ ფრთას შექმნის და გერმანიის სახელმწიფოს საფრთხე დაემუქრებაო.

– ნუ გეღიმებათ, – შეკრებილებს მიმართავს ბატონი კონსტანტინე, – სერიოზულად ვამბობ, ხალხო, ჩემი თვალით რომ არ მენახა **კლაუს კინკელის** (ვინც შეცვალა გენშერი) ეს დასაბუთება, არ დავიჯერებდიო.

ამის შემდეგ ზვიად გამსახურდია ცდილობს შევიდეს საფრანგეთში, მაგრამ საფრანგეთის სახელმწიფოს წინაბა ასეთია:

– მზად ვარ მივცე ვიზა, თუ ჩვენი ქვეყნის ქართული სათვისტომო მოიწვევს მას ოფიციალურადო.

და იცით რა ხდება?

იკრიბება ქართული სათვისტომო და ხმები იყოფა სამი ოთხზე – ოთხი წინააღმდეგია.

მომავალი ალბათ მათ ვინაობასაც დაადგენს და ეს სახელებიც დაიწერება, მანამდე კი...

– ნეტა როგორ წარიმართებოდა მისი და საქართველოს ბედი, საფრანგეთში რომ ჩასულიყოო?.. – ჩაილაპარაკებენ დარბაზში.

რა უცნაურად...

რა საცნაურად...

რა სავალალოდ გასიმბოლოებულიყო კაცის ხვედრში ქვეყნის ბედისწერა.

თუმცა ისტორიამ – ავბედით ჟამიანობას გაშინაურებული ქვეყნის ისტორიამ – ხომ ასეთი სიმბოლოებიც არაერთი იცის.

### სწორედ ასე უნდა მომხდარიყო

**ემზარ ხვიჩია:**

– პოლიტიკური გამიზნულობის შესახებ მინდოდა მეკითხა: ლეგიტიმაციის პრობლემა მაშინ იმდენად არ ყოფილა, რადგან არჩევნების ჩატარება მოახერხეს აფხაზეთის ომის დროს – იმ ტალღაზე, და ლეგიტიმურობაც გარანტირებული იყო თითქოს. პრეზიდენტი გროზნოდან სამეგრელოში ჩამოვიდა მაშინ, როცა ცხენისწყალზე მეორე ფრონტი უკვე გახსნილი იყო. ე.ი. ამას ინიციატივად ვერ ჩავთვლით. რა გამოდის? მე გარემოცვაზე ვფიქრობ – ვის ემსახურებოდა ის? ჩამოიყვანეს პრეზიდენტი და ისე გამოვიდა, რომ გაღრმავდა სამხედრო კონფრონტაცია, ვერ მოხერხდა მხარდაჭერა სოხუმისათვის... ეს ადამიანი გამოიყენეს იმისთვის, რომ საქმე მისი პოლიტიკური ხელისუფლებისთვისაც და ქვეყნისთვისაც უარესობისკენ შეცვლილიყო. აქ რაღაც გარეგანი კვალიც ხომ არ არის? ჩვენ რატომღაც შიგნით ვიკეტებით. სოხუმის დაცემა ჩვენს მაშინდელ ხელისუფლებას ნამდვილად არ აძლევდა ხელს. რაღაც დიდი შეთქმულების კვალი ჩანს, ეს მარტო საქართველოს შიდა პრობლემა არ ყოფილა... ამ პიროვნებას მეტი რეზონანსი ჰქონდა.

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– კი, იგივე რუსეთის პრობლემა იყო, ამერიკის შეერთებული შტატებისაც... მახსოვს, ბილ კლინტონმა პირდაპირ მოუწოდა ბორის ელცინს, სამხედრო დახმარება აღმოუჩინეთ შევარდნაძესო. ხედავთ როგორი გლობალური საკითხი იყო?

რაც შეეხება ლეგიტიმაციას, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი არჩევნების მართლზომიერებაზე მსოფლიოში ეცინებოდათ, ედუარდ შევარდნაძე იმ არჩევნებამდეც სცნეს – მანამდე ჩამოვიდა გენშერიცა და ბეიკერიც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლეგიტიმაცია სრული იყო, ის მოიკოჭლებდა. მახსოვს ზვიად გამსახურდიას განცხადება მას შემდეგ, რაც ის ჩავიდა ოჩამჩირეში – იგი გამოვიდა ტელევიზიით და თქვა: ახლა დრო არ არის დაპირისპირების. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ძველი წყენა, გავაერთიანოთ ძალები და ფრონტი, რათა ერთად დავიცვათ აფხაზეთი.

ზვიად გამსახურდია შეხვდა შევარდნაძის ძალოვნებსა და სარდლობას. ყველა თანახმა იყო, ერთი-ორი კაცის გარდა, მათ შორის იყო თენგიზ კიტოვანი. მაგრამ მოხდა სხვა რამ – ნაცვლად იმისა, რომ მომარაგებულიყო აფხაზეთის ფრონტი, დაიწყო შემოტევები სამტრედიის მხარეს, ბლოკადა, ზუგდიდი გადაიტვირთა ლტოლვილებით და შევარდნაძე მათ არაფრით ეხმარებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ჩაიშალა ბობოყვათის მოლაპარაკება, რომელიც ასლან აბაშიძის ინიციატივით უნდა შემდგარიყო. ამ მოლაპარაკებაზე განიხილებოდა ასეთი საკითხი: ზვიად გამსახურდიას მხარე ამბობდა: – ჩვენ გცნობთ თქვენ ფაქტობრივ ხელისუფლებად, თქვენ გვცანით როგორც კანონიერი. ერთობლივად ჩავატაროთ არჩევნები და ხალხმა თვითონ აირჩიოსო. მაგრამ „იმელში" განთავსებული ხელისუფლება ასეთი კომპრომისისათვის მზად არ აღმოჩნდა, ოფიციალურმა თბილისმა ორივე შემოთავაზება უარყო – აფხაზეთში ერთობლივი ფრონტის გახსნისაც და ერთობლივი არჩევნებისაც.

**მალხაზ გორგასლიძე:**

– ლეგიტიმაციის შესახებ მინდა ვთქვა: არსებობს ოფიციალური გამოსვლები, მათ შორის მოგვიანებითიც, რომლებშიც ამერიკის კონგრესის წარმომადგენლებიც კი ამბობდნენ, რაც უნდა რთული პიროვნება იყოს ზვიად გამსახურდია, ლეგიტიმაციის პრობლემა ედუარდ შევარდნაძეს მაინც აქვსო. რაც შეეხება ერთობლივ ფრონტს, ეს თავიდან იყო – დაიწყო წარმატებულად, მაგრამ შემდეგ მათ, ვისთანაც მოახერხა შევარდნაძემ დაკავშირება – ანუ მისმა გენერალიტეტმა – პირველებმა დატოვეს პოზიციები აფხაზეთში.

**მანანა გაბაშვილი:**

– როცა ავსტრიაში შეხვდით ზვიად გამსახურდიას, ალბათ მოვლენებიც გააანალიზეთ. აი, ეს ანალიზია.

არსებობს ასეთი აზრიც:

მაშინ პრეზიდენტი რომ დარჩენილიყო, უკეთესი იქნებოდაო.

და კიდევ:

ზვიად გამსახურდიას დაბრუნებასთან დაკავშირებით ათასგვარი ვერსია გავრცელდა. ერთ-ერთი ძალიან საინტერესო იყო: ამბობდნენ, რომ შავი ზღვიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ჩამდგარიყო სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ჯარი... და თითქოს პრეზიდენტის ჩამოსვლამ ეს გეგმა ჩაშალა.

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– მისი სურვილი იყო, ვიზიტი ბრიტანეთში გაეგრძელებინა. იქიდან ვიზა სამი დღის დაგვიანებით მოვიდა, ის უკვე ვენაში აღარ იმყოფებოდა. ბრიტანეთში რომ ჩასულიყო, შესაძლოა ბევრი რამ სხვაგვარად წარმართულიყო. მაშინ ზვიადს საქართველოში დაბრუნება სურდა. მახსოვს, მას დაურეკა კოტე კემულარიამ და უთხრა: თუ თანახმა იქნები, შევარდნაძე ხვალვე გადმოფრინდება ვენაში და დაგელაპარაკებაო. რამდენიმე დიპლომატმაც დარეკა ამ საკითხთან დაკავშირებით. ზვიად გამსახურდიამ უპასუხა: მე მზად ვარ, დაველაპარაკები, მაგრამ ჯერ ის კრიმინალი მოიშოროს, მარჯვენა ხელად რომ ჰყავსო.

მაგრამ შევარდნაძე ვერც ჯაბა იოსელიანს მოიშორებდა და ვერც „მხედრიონს". ზვიად გამსახურდია კი კრიმინალებს მოლაპარაკების მაგიდასთან ვერ დაუჯდებოდა.

**დალი ქვირია:**

– ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის წინა ხანს „ნეზავისიმაია გაზეტაში" დაიბეჭდა ბორის ელცინის გამოსვლა სამხედროების წინაშე, რომელშიც იგი გარკვევით ამბობს:

„ჩვენ გვაქვს წინასწარი მოლაპარაკება ედუარდ შევარდნაძესთან საქართველო-რუსეთის საზღვრის თაობაზე".

ე.ი. შევარდნაძე გამოუშვეს იმ პირობით, რომ აფხაზეთი ჩაებარებინა. ასე რომ, აქ საკითხავიც აღარაფერია...

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– პრეზიდენტ რუზველტის სიტყვებს შეგახსენებთ: „პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება. თუ რამ მოხდა, სწორედ ასე იყო დაგეგმილი".

**ქეთევან შენგელია:**

– ზვიად გამსახურდია იყო საქართველოს პრეზიდენტი, ვისთვისაც „ხმა ღვთისა" იყო „ხმა ერისა". პრეზიდენტი ჩამოვიდა იმიტომ, რომ ის ხალხის ნებას ვერ გადავიდოდა. მე მახსოვს ის მრავალათასიანი მიტინგები, რადგან ყველა შეკრებას ვესწრებოდი. ვიცი, რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გვარბევდნენ, გვდევნიდნენ, გვესროდნენ... და როცა ასეთ ვითარებაში ხალხი გითხოვს როგორც პრეზიდენტს, უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ რას ფიქრობს, რუსეთში რა გადაწყდა და ა.შ. ზვიად გამსახურდია უნდა ყოფილიყო თავისი ხალხის გვერდით... და დადგა კიდეც.

## „მე ისტორია გამამართლებს"

ესეც საინტერესო ეპიზოდია საქართველოს პრეზიდენტის ცხოვრების ბოლო პერიოდიდან – აფხაზეთში შესვლა.

5-6 ნოემბერს გადაუკვეთიათ საზღვარი. საერთოდ რამდენჯერმე გადაუკვეთიათ და გადმოუკვეთიათ, მაგრამ ერთხანს – ვიდრე მთიან სამეგრელოში გადმოვიდოდნენ და ტყეში დასცემდნენ ბანაკს – გარკვეული ხნით გაჩერებულან აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ილორში, ტუჟბების ოჯახში. პრეზიდენტი იქ შეახვედრეს მერაბ ქიშმარიას. გუდაუთიდან ჩამოსულან აფხაზური სეპარატისტული რეჟიმის მაღალჩინოსნები და ასეთი საუბარიც ჰქონიათ – მათ უთქვამთ ზვიად გამსახურდიასთვის:

– თქვენ უნდა აღიაროთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ჩვენ კი გცნობთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად და დაგეხმარებით სამხედრო ძალით, რათა დაიბრუნოთ უკანონოდ წართმეული ძალაუფლება.

ეს იყო აფხაზურ-რუსული შემოთავაზება, რაზეც ზვიად გამსახურდიას მტკიცე უარი უთქვამს.

მათ კი:

– თუ ეს შეუძლებელია, მაშინ თქვენ უნდა დატოვოთ აფხაზეთის ტერიტორია... და იცით კი სად მიდიხართ?

– დიახ... ძალიან კარგად ვიცი, – იყო პრეზიდენტის პასუხი.

ზვიად გამსახურდიამ – დამარცხებულმა, მიტოვებულმა, ნალალატევმა, ფიზიკურად თუ სულიერად გატეხილმა, მაგრამ ასეთი სასოწარკვეთის დროსაც საკუთარი პრინციპებისა და სამშობლოს ერთგულმა – იცოდა, რომ სხვა გზა აღარ დარჩენოდა. იგი მიდიოდა... სიკვდილისაკენ.

– მე მიმაჩნია, რომ ეს თვითმკვლელობა იყოო, – მერე თავისას ამტკიცებდა ბესარიონ გუგუშვილი და გაგონებაც არ უნდოდა გამოძიებისო.

– ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება ჩვენი სახელმწიფოსთვის და, საერთოდ, ცივილიზებული კაცობრიობისთვის მნიშვნელოვანი საკითხია – ის შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იყოს, დამნაშავენი კი უნდა დაისაჯონ, – ამას კომისიასთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის წევრი **ლუკა მაჭუტაძე** იტყვის და „ქართლის ცხოვრების" მნიშვნელობას რომ გაიხსენებს წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით, ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის ეპითეტსაც წამოწევს – „წიგნი მართალი და პატიოსანი", როგორც ისტორიის ლოგიკური განვითარების აღმნიშვნელი და აღმნუსხველი – და დასძენს:

– XXI საუკუნეში კიდევ ერთი მართალი წიგნი დაიდო ამ საქმით, რომლის გამოძიებაც თაობებისთვის არის საჭირო. ერთი რამ კი ცხადია:

ზვიად გამსახურდიას თავი რომ მოეკლა, ედუარდ შევარდნაძე აუცილებლად ჩამოიყვანდა მაღალკვალიფიციურ ექსპერტებს, ჩაუტარებდა ცხედარს ექსპერტიზას და დღეს სადავო არც მასთან იქნებოდა რაიმე და არც სხვასთან.

– ეს თვითმკვლელობა იყოო, – დაეჩემებინა ბესარიონ გუგუშვილს, მას, ვინც მოგვიანებით, 2007 წლის 12 აპრილის გაზეთ „7 დღეში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში დაწერს:

„არა მგონია, რაიმე ხელისშემშლელი გარემოება არსებობდეს იმისთვის, რომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ზვიად გამსახურდია წმინდანად შერაცხოს".

„მე ისტორია გამამართლებს", – ეს თვითონ პრეზიდენტს უთქვამს.

ბატონი კონსტანტინე კი შეხვედრის შემდეგ პირად საუბარში ასეთ რამესაც გაუმხელს როსტომ ჩხეიძეს:

– მამის აჩრდილი, ჰამლეტივით, არ გამომცხადებია. ეტყობა მას იქ – სადაც არის და როგორც არის – ყველაფერი უკვე გადახარშული აქვსო.

ნინო ჩხიკვიშვილი

# მხოლოდ ერთი წიგნით

ჯერ კიდევ სულ რაღაც ორი-სამიოდე წლის წინათ ჩვენს ლიტერატურას, ისევე როგორც ხელოვნების თითოეულ დარგს, მკაცრი ცენზურა აკონტროლებდა და კომუნისტური დიქტატის დროს ნამდვილ სულიერ და ეროვნული ფასეულობაზე საუბარი, მით უფრო მომავალ თაობებთან, უბრალოდ, აკრძალული იყო.

მაშ რა უნდა ელონა იმ შემოქმედს, რომელიც ცდილობდა სათქმელი როგორმე მიეტანა მკითხველამდე, როგორ გამოეხატა პოლიტიკური პროტესტი არსებული რეჟიმისადმი?!

რა თქმა უნდა, მოიარებით, ალეგორიულ-სიმბოლურად. საამისოდ პროტესტანტმა მწერლებმა საყმაწვილო ლიტერატურა აირჩიეს, რადგან ზღაპარსა თუ იგავ-არაკში გადმოცემული სიმართლე შედარებით ნაკლებად შესამჩნევი და გამაღიზიანებელი გახლდათ იდეოლოგთათვის... გარდა ამისა, უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ზოგჯერ ცენზორთა შორისაც გამოერეოდნენ ისეთნი, შეგნებულად რომ ხუჭავდნენ თვალს ამგვარ პროტესტანტულ ლიტერატურაზე. ხშირად ზოგიერთი აშკარა რისკზედაც მიდიოდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, გასული საუკუნის 50-70-იანი წლებიდან მოყოლებული, რომ არაფერი ვთქვათ X1X საუკუნის საყმაწვილო ლიტერატურაზე, მწერლები ამგვარად ახერხებდნენ სათქმელის შედარებით თავისუფლად გამოხატვას. ამგვარი მწერლური ჩანაფიქრი ხშირ შემთხვევაში ნამდვილად ამართლებდა.

შეიძლებოდა ასეც დამეწყო ეს წერილი ლევან ბოლქვაძეზე, რომ არა მაკა ჯოხაძის შესანიშნავი შეფასება: „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი" – სასონარკვეთილთა „ზეიმი", თანამედროვე საქართველოსთვის უაღრესად აქტუალური წიგნი და მაინც საბედისწეროდ მარადიულიო..." რომ დასძენს.

კიდევ უფრო ადრე მაკა ჯოხაძე კიდევ ერთი საინტერესო წერილით გამოეხმაურა ამ წიგნის გამოსვლას და, რაკი ეს წერილიც იმავე დროსა და ვითარებაში შეიქმნა, როცა წიგნი გამოვიდა, ამიტომაც ესეისტი იძულებული იყო ერთგვარად დაშიფრული ტექსტით გამოხმაურებოდა ლევან ბოლქვაძეს. „როცა ტინიტოც შენკენაა" ასე ერქვა ამ წერილს. ახლა არ მოგიყვებით მის შინაარსს, მხოლოდ პატარა ამონარიდს შეგახსენებთ: „თუ სვიფტზე დღეს თამამად ვამბობთ, „კასრის ზღაპრების ავტორმა" ცხოვრება ლიტერატურიდან იცოდა და 30 წლის შემდეგ, როდესაც „გულივერის მოგზაურობის" ავტორად მოგვევლინა, დავიჯერეთ, რომ მან უკვე თავად გაიარა ცხოვრების სკოლა, ასევე „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის" შესახებ დაწერილი წიგნიდანაც ჩანს, რომ ლიტერატურაში კარგად გაცნობილი ცხოვრების გადატანა საკუთარ მხრებზე მოუწია მის ავტორს."

მოგვიანებით კი მწერალი საინტერესო ვრცელ ესეიში – „მეფე ჩიგიდის ქვეყანაში"– ზღაპარს დაწვრილებით აანალიზებს, თან ურთავს ლევან ბოლქვაძის მეტად საინტერესო ბიოგრაფიულ შტრიხებს (თუნდ იმის გახსენება რად ღირს სოლჟენიცინთან ერთად რომ მჯდარა საკანში) და ასე, მკითხველთან ერთად, თანდათან იქმნება შთამბეჭდავი სურათი იმ ეპოქისა, რომელიც გვეგონა რომ ბოლოსდაბოლოს დასრულდა, მაგრამ დასრულდა კი?! მოვიპოვეთ კი სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება?!

თუმცა ამ რიტორიკულ შეკითხვას კვლავ რიტორიკად დავტოვებ და წერილს დავიწყებ ყოველგვარი შესავლის გარეშე, თუნდაც ასე:

დიდხანს ვეძებდი ლევან ბოლქვაძის ერთადერთ წიგნს „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავს" (აღმოჩნდა რომ წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს). ბოლოს ძლივს მივაკვლიე... რატომ? მხოლოდ ერთი მიზეზის გამო – იმიტომ, რომ... პოლიტიკურ პამფლეტს წარმოადგენს.

ვერავინ დამაჯერებს, რომ მისი დასტამბვის შემდეგ, როცა განცვიფრებული მკითხველი ამდენ მინიშნებას ამოიკითხავდა წიგნში (რის გამოც შეიქმნა ესეთი ტექსტი) და ატყდებოდა ერთი ამბავი: ნახეთ, ეს რა დაუწერია ბოლქვაძესო! საბჭოთა ქვეყნის იდეოლოგნი, ბუნებრივია, შეეცდებოდნენ მთელი ტირაჟი საგულდაგულოდ გაენადგურებინათ, ან სადმე გადაემალათ.

ალბათ, თავის დროზე ამ წიგნის გამოსვლა იმ მნიშვნელობის მოვლენა იყო (მეტიც თუ არა), როგორიც არჩილ სულაკაურის ზღაპრების „სალამურას თავგადასავლისა" და „ცისფერი ირმის" დასტამბვა. ეს ზღაპარიც, არც მეტი, არც ნაკლები, დისიდენტურია. არადა, ლევან ბოლქვაძეს, როგორც დისიდენტ მწერალს თითქმის არავის იცნობს, უფრო მეტიც, მას სხვა ნაწარმოები არცა აქვს შექმნილი და ეს ზღაპარიც თურმე არ შეიქმნებოდა, ნუ გაგელიმებათ და, შინ რემონტი რომ არ წამოეწყო და ფული არ დაჭირვებოდა... დიახ, სწორედ ასე უთქვამს ბატონ ლევანს მაკა ჯოხაძისთვის, მაშინ, როცა მისი წიგნით გამოწვეული აღფრთოვანება ვერ დაუმალავს მწერალ ქალს.

ვერაფერს იტყვი, უცნაური და მოულოდნელი პასუხია!..

კარგი ლიტერატურის ფასი იცოდა და თავს არასდროს იმის უფლებას არ მისცემდა, რომ მწერალი დარქმეოდაო! – ამასაც შენიშნავს ესეისტი.

თუმცა არც ასეთი შესავალი მომწონს მაინც და მაინც. რა საჭიროა ამდენი ახსნა-განმარტება?! ხომ არ სჯობს პირდაპირ ასე დავიწყო?!

კარგი იქნება თუ მოვიძიებთ ლევან ბოლქვაძის 1978 წელს გამოცემულ „ზღაპარში დაკარგული ბიჭის ამბავს".

რატომ?

იმიტომ, რომ...

ეს წიგნი როგორც ყმაწვილებს, ასევე ჩვენ, დიდებსაც, ბევრ ისეთ რამეს მოგვიყვება, გამოგვაფხიზლებს და ბავშვებისთვის ჩვეული სილაღით, თამაშით-თამაშით „გაგვიყვანს ფონს". გარდა იმისა, რომ დაგვანახებს უახლეს წარსულს, იმაზეც დაგვაფიქრებს, თუ როგორ არ უნდა ვიცხოვროთ აწმყოში. ეს საყმაწვილო მხატვრული ტექსტი მრავალშრიანია და, გარდა მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებისა, პოლიტიკური პროტესტის შესანიშნავ, ვიტყოდი, შესაშურად მაგალითსაც წარმოადგენს.

პატარა ანოტაციაში ვითომცდა გულუბრყვილოდ, ისე, სხვათაშორისაა „ახსნილი" ზღაპრის სიუჟეტი: „ამ

წიგნის გმირი – ვაჟკაცურ საქმეებზე მეოცნებე ბიჭუნა – ერთი საბედისწერო შემთხვევის წყალობით ცხრამთასიქეთში მოხვდა. ეს ბიჭი არც ძალ-ღონით გამოირჩეოდა თავის ტოლებში და ვერც იმას ვიტყვით, მისმა გულმა შიში არ იცოდა რა იყოო, მაგრამ რა საქმეებიც მან ზღაპრის ფათერაკიან გზებზე გადაიხადა და რა სიკეთეც იქ დათესა, რომელ უშიშარ გმირსაც გინდა ეყოფოდა სახელად."

გარდა ანოტაციისა, შემდეგ უშუალოდ ტექსტში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ ეს ყველაფერი, ანუ მთავარი მოქმედება, არა ჩვენთან, არამედ გამოგონილ, ზღაპრულ ქვეყანაში, ცხრა მთას იქეთ ხდება. რომ არა ეს უწყინარი, „გულუბრყვილო" მინიშნება, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ზღაპარი დღის სინათლეს ვერ იხილავდა...

სწორედ ამიტომაა ეს ზღაპარი ასეთი საინტერესო და ასეთი რეალური უფროსთათვისაც. ამისნათელსაყოფად იმ პოეტური ტექსტების მოხმობაც კი კმარა.

აი, რას მღერის მოხეტიალე ჯამბაზი:

**ზაფხულში გვაქვს ზამთარი,**
**მზე აცხუნებს — გვყინავს,**
**მსუქანი ვართ გამხდარი,**
**ფხიზლადა ვართ — გვძინავს.**
**მაძღარნი ვართ — გვშია,**
**მხიარულნი — ვტირით,**
**კაცისა გვაქვს იერი,**
**ნამდვილად ვართ ვირი.**
**დღეგრძელობა მეფე ჩიგიდს!**
**მუდამ ამას ვყვირით.**

მეფის მასხარას ყოველთვის ჰქონდა სიმართლის თქმის უფლება! ამიტომაც შემოჰყავს ზღაპარში ეს პერსონაჟი ავტორს და მათთან ერთგვარ პიროვნულ იდენტიფიკაციას ახდენს. მხოლოდ ამ ერთი მაგალითიდანაც შეიძლება იმისი მიხვედრა, თუ როგორი მკვეთრი და თამამი მახვილებია დასმული პოლიტიკურ პლანში.

ჯამბაზის ამ სიმღერის მოსმენისას უმალ მოგვაგონდება საბჭოთა კავშირისდროინდელი ყოფა. ამისთანა ირონიასა და სარკაზმს ალბათ რომ უფრო დიდი მხატვრული თხზულებები მოითხოვს, იქნებ აქ ზოგიერთს გადაჭარბებულიც კი მოეჩვენოს, მაგრამ ეს ყოველივე ამ კონტექსტში სწორედ ორგანულადაა შერწყმული ტექსტთან და სულაც არ არის უადგილო და კონტექსტიდან ამოვარდნილი.

გარდა ამისა, მინდა კიდევ ერთ მინიშნებასაც მიაქციოთ ყურადღება: ნაწარმოებში მხოლოდ საბჭოთა ყოფა როდია აღწერილი. ავტორი საკუთარ ფესვებს, სადაურობასა და წარმომავლობასაც შეფარვით ახსენებს პატარა ქართველთ. საამისოდ რამდენიმე მინიშნებაც კმარა: თუნდაც ის, რომ ტინიტო სოლომონ მეფის უსაყვარლესი მსახური აღმოჩნდება.

მეფე სოლომონის ხსენებისას მაშინვე ამოტივტივდება ცნობიერებაში საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ მეფეთა ის სახელები, რომელთა გახსენება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღზევებასა თუ მისი დაბრუნებისათვის ბრძოლასთან ასოცირდება, და თუ ყმაწვილი ამ ერთი მეფის ხსენებისას უნებურად დაინტერესდება არა მარტო ერთი, არამედ კიდევ სხვა ქართველი მეფის ბიოგრაფიით, მით უკეთესი, ესე იგი, მწერლის ერთგვარმა, დაფარულმა ხერხმა გაამართლა – პატარა მკითხველი საკუთარი ქვეყნის ბედიღბლით დააინტერესა და ქვეყნის წარსულისკენ მიახედა. და მერე ეს როდის ხდება? გაგანია კომუნისტური რეჟიმის დროს, მაშინ, როცა საქართველოს ნამდვილი, გაუყალბებელი ისტორიის სწავლება აკრძალული იყო და მასზე საუბარი მხოლოდ ასე დაშიფრული ტექსტით შეიძლებოდა...

ზღაპარში თითქოს ზედმეტად, სათქმელის გასამძაფრებლად, მკვეთრ ფერებშია გადაწყვეტილი ორი – ერთმანეთისგან განსხვავებული – სამყარო. ეს დაპირისპირება მეტად თვალნათლივია:

გავიხსენოთ ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟი. ვთქვათ, უფლებააყრილი მწიგნობარი, ვითომცდა საქვეყნოდ ცნობილი პროფესორის თითქმის ყველა გამოსვლასა და ქმედებაში, გამოსჭვივის კომუნისტური ეპოქის ინტელიგენტის ბევრი თვისება; ეს კეთილშობილი მოაზროვნე ნამდვილად საიმისოდაა მოწოდებული, რომ წინ აღუდგეს იმ დემონოკრატიას, რომელიც გამეფებულია მეფე ჩიგიდის სახელმწიფოში, მაგრამ რაკი ამის ძალა არ მოსდევს, მხოლოდ უსუსური იდეებითა და შეგონებებით შემოიფარგლება. მისი კეთილშობილური იდეები, მიხეილ ჯავახიშვილის თეიმურაზ ხევისთავისა არ იყოს, ოცნებადღა რჩება, რადგან ამ სამეფოში სიკეთისა და კეთილშობილების ქადაგება მხოლოდდამხოლოდ უძლურებასთან ასოცირდება...

დავუკვირდეთ ამ სიმღერის ტექსტს:

**ყველაფერი სიზმარია მხოლოდ,**
**სიზმარშია სინამდვილე, ცხადი.**
**გაჭირვებას აქვს თავისი ბოლო**
**ეკლებიდან გაგვიღიმებს ვარდი.**

ვკითხულობთ და, ბუნებრივია, იქვე ჩნდება უნებური ალუზია აკაკი წერეთლის „სულიკოსთან", რომლის მთავარი სათქმელი თავის დროზეც ასევე დაშიფრულ-დაქარაგმებულად იყო მოწოდებული მკითხველისთვის...

აკაკის ეპოქიდან მოყოლებული ჩვენს ეპოქამდე თითქმის არაფერი შეცვლილა. ეგ იყო მხოლოდ, რუსმა ფერი იცვალა, გაწითლდა და ახლა უკვე ვითომცდა „კეთილშობილური იდეებით" კვლავ შემობრუნდა საქართველოს დასაპყრობად და... ვითომ ამ „კეთილშობილურმა" ლოზუნგებმა მოატყუა სოციალ-დემოკრატები?! არა, ისინი, როგორც საქმემ უჩვენა, სინამდვილეში ბოლშევიკური იდეოლოგიის გამტარებელნი იყვნენ. მათი იდეებიც ისეთივე არაეროვნული გახლდათ, დაღუპეს და გააჩანაგეს საქართველო... ჰო, თუმცა, ახლა ამაზე საუბარი წერილის მთავარ სათქმელს დაგვაშორებს და ამიტომაც ისევ ზღაპარს მივუბრუნდები:

ბუნებრივია, ალბათ, ყველა დამეთანხმებით, რომ მხოლოდ და მხოლოდ საყმაწვილო ლიტერატურას ამოფარებულ ავტორს, მხოლოდ რისკის ფასად თუ შეეძლო ასე აშკარად პროტესტის გამოხატვა...

გავიხსენოთ თუნდაც ერთი ასეთი ეპიზოდი ზღაპრიდან – მაისის თვეში მეფე გამოაცხადებს, რომ გასული წლის დეკემბრის ხუთშაბათია და ვაი იმას, ვინც ამ აბსურდულ ბრძანებას, არ მიიღებს, როგორც უზენაეს სიმართლეს:

„მეფის კაცები დადიოდნენ და ხალხს გარეთ ერეკებოდნენ თოვლის საგველად, თან ყური დაცქვეტილი ჰქონდათ, ვინ რას ამბობს, ეჭვი ხომ არავის ეპარება, რომ ქუჩაში დეკემბრის თოვლი დევსო. მთელი ქალაქი გულმოდგინედ ცდილობდა ეჭვი არაფერში შეეტანა. ვინც განსაკუთრებით გამოიჩენდა თავს ამ „საზამთრო" საქმიანობაში, იმას მეფისა და პრინცესის სახელით უხვად ასაჩუქრებდნენ. ერთმა შარახვეტია მეეტლემ, მთელი ღამე რომ მისი ღრიალისაგან ქალაქს მოსვენება არ ჰქონდა, ყველას აჯობა, როგორღაც მოახერხა და ცალი ხელი მოიყინა. უბნის პოლიციამ და ექიმბაშმა ფაქტი დაადასტურეს და მეეტლე სათანადო ცნობით ხელში სასახლეში მიიყვანეს. აქ მას II ხარისხის სანიმუშო მოქალაქის ორდენი მისცეს და კარგადაც აქეიფეს. ბედნიერებისგან გაოგნებულმა იმდენი სვა, რომ ბოლოს ყველაფერი დაფქვა სასახლის მსახურებთან: განგებ მდულარე გადავისხი ხელზეო. მეფეს მოახსენეს, ყალთაბანდი ყოფილა ის მეეტლეო, მაგრამ ხელმწიფემ ყველას აუკრძალა ამ ამბის გარეთ გატანა. მოლაყბე მეეტლე მაგრად სცემეს, გამოაძინეს და დილით ორდენიან-საჩუქრებიანად გაისტუმრეს. თან დაემუქრნენ, როგორც კი ვინმესთან კრინტს დაძრავ მდულარეზე, მაშინვე ოქროს გალიაში გიკრავთ თავსო."



მხატვარი კარლო ფაჩულია

ან მეფე ჩიგიდის საზეიმო გამოსვლა და უსამართლოდ დაჩაგრულთა, დასჯილთა მსვლელობა და მათი თხოვნა-საჩივრების მოსმენის რიტუალი რად ღირს, ამაზე მეტი ირონია და გამჭვირვალე მინიშნება, რაღა გნებავთ, რაც ამ პატარა ეპიზოდში იკითხება;

ცალფეხა კაცი მიადგება მეფეს, ომში ცალი ფეხი დავკარგე და იქნებ შემწეობა დამინიშნოთო. მეფე წვრილად გამოკითხავს, სად, ვისთან ბრძოლაში დაკარგა ფეხი, და როცა დაადგენს, რომ ამ მეომარს ფეხი „უსამართლო ომში" დაუკარგავს, მდივანს დაავალებს, ცალფეხა კაცისთვის იმის დამადასტურებელი სიგელი მისცენ, რომ იგი „სინამდვილეში" ორფეხაა.

„მეფე მხლებლებს მიუბრუნდა და ხმადაბლა იკითხა:

– იქნებ რაიმე დახმარება შეიძლებოდეს?

პირველმა მინისტრმა მხრები აიჩეჩა:

– უსამართლო ომში უომია და...

– აფსუს! – ეწყინა მეფეს, – რაიმე სიგელი მაინც მიეცით, რომ ცალფეხა არ არის.

სიგელი იქვე დაამზადა მდივანმა, პირველმა მინისტრმა ხელი მოაწერა, ბეჭდის მცველმა ბეჭედი დაუსვა და გადასცეს ცალფეხას, რომელიც ამიერიდან ყველგან, ბედნიერი სამეფოს ტერიტორიაზე, უმაღლესი კანონის ძალით, უკვე ორფეხა იყო."

მიაქციეთ ალბათ ყურადღება, ამ სამეფოს ბედნიერი სამეფო ჰქვია, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირს ერქვა თავის დროზე თავისუფალ ერთა თუ რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი, ძმური კავშირი... ეს იყო ქვეყანა, ერთი საბჭოთა პოეტის თქმისა არ იყოს, სადაც თავისუფლად სუნთქავდა ადამიანი.

ასეთი და მსგავსი მაგალითები შემიძლია კიდევ მოგიყვანოთ, მაგრამ მხოლოდ ორიოდეს დავასახელებ და სიუჟეტური ქარგის გაგებისთვის შეგახსენებთ: ამ ზღაპარში დრო გაჩერებულია, ბოროტ მეფეს დრო – ყველაზე დიდი მესაათის მიერ გაკეთებული საათი – თვითონ აქვს დასაკუთრებული და ამიტომაც ბატონობს განუკითხავად ყველასა და ყველაფერზე, და როცა ბოროტი იძლევა, ანუ როცა დროს დაიბრუნებენ ამბოხებულნი, ისევ და ისევ კეთილ და საზრიან პერსონაჟთა მეშვეობით ხდება სასწაული. ამ შემთხვევაში პირობითად ზღაპართან რომ არ გვქონდეს საქმე, ასე ვიტყოდი – როცა რევოლუცია მოხდება, ნანატრი თავისუფლება ისევ ხალხს დაუბრუნდება, მეფე ჩიგიდი თოჯინად იქცევა. და აქ მინდა მწერლის კომენტარსაც მიაქციოთ ყურადღება, გარკვევით ამბობს: „მეფე-თოჯინა ამიერიდან მუზეუმში ჰყავდათ საგანგებო ტახტზე წამოსკუპული და ბავშვებს ძალიან უყვარდათ სასაცილო ჩიგინო."

კიდევ ერთი ირონია, კიდევ ერთი გამჭვირვალე მინიშნება: აშკარად ლენინს გულისხმობს. განა ლენინი არ ჰყავდათ ათეულ წლობით მავზოლეუმში დასვენებული და განა კომუნისტები არ ჩაგვჩიჩინებდნენ გამოგონილ მითს იმის შესახებ, თუ როგორ უყვარდა ლენინს ბავშვები?.. ლენინს უყვარდა ბავშვები, ბავშვებს უყვარდათ კანფეტი! — ასეც ვოხუნჯობდით სიყმაწვილისას და მახსოვს დიდედა-პაპების შიშისგან გაფართოებული თვალის გუგები, რომ შემოგვიწყრებოდნენ — გაჩუმდით, არავინ გაიგონოსო!..

რატომ ეშინოდათ?.. რეპრესიების წლები ჰქონდათ ნანახი და გადატანილი. რაკი სიტყვამ მოიტანა და რეპრესიები ვახსენე, დავძენ, რომ როცა ზღაპრის პერსონაჟი მაგიურ ციფრებად ასახელებს 694137. დაშიფრულად 30-იანი, 40-იანი წლების რეპრესიებსაც გადაწვდება... ან რაღა დაშიფრვა უნდა, როცა პირდაპირ წერს ლევან ბოლქვაძე: „ასე ერთი საათის შემდეგ შავი კარეტით მოიყვანეს ხელფეხშეკრული სილვაო. ხუთი წლის შემდეგ სილვიო გამოუშვეს, მაგრამ მალე ისევ დაიჭირეს. იმხანად იჭერდნენ ყველას, ვინც ადრე იყო ნაჯდომიო."

გეცნოთ ალბათ კომუნისტთა ხელწერა. ბერიას რეჟიმიც მოგაგონათ? შორს ნუღა წავალთ და სამაგალითოდ თუნდაც, მიხეილ ჯავახიშვილისა და გიორგი ლეონიძის

ძმის – ლევან ლეონიძის ტრაგიკული აღსასრული კმარა, რომ არაფერი ვთქვათ სხვებზე, თვალსაჩინო თუ უჩინარ ადამიანებზე, რომელთა სიცოცხლეც არაფრად უღირდათ კომუნისტური დიქტატურის მომხრეთ.

ისე ამ „ბედნიერ სახელმწიფოშიც" არიან განსხვავებულად, დისიდენტურად მოაზროვნენი, რომლებიც „ღირსეულად ისჯებიან", და რომლებთანაც ურთიერთობა ოჯახის წევრებსაც კი ეკრძალებათ.... ესეც ეგრეთწოდებულ ხალხის მტრის ოჯახებისა და მათი შვილების ყოფას მოგვაგონებს.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ამ ზღაპარში კომუნისტური ეპოქის სრული, შეულამაზებელი სურათია მოცემული და, ვიდრე სათქმელს დავასრულებდე, კიდევ ერთ მინიშნებაზე მინდა გავამახვილო ყურადღება; როცა ზღაპრის მთავარ პერსონაჟს ამ სამეფოში უკვე აღარ დაედგომებოდა, თავისი ჯადოსნური ლექსისა და ქვის წყალობით, ახლა უკვე სხვა, როგორც მწერალი გვეუბნება, მშვიდი ქალაქისკენ მიუწევს გული.

ამ ქალაქში შესაშური ჰარმონია სუფევს და ეს ყველაფერი ძალიან მოგვაგონებს იმ საოცნებო კომუნიზმს, რომელშიც უნდა ეცხოვრა, სხვებს თუ არა, ჩვენი თაობის ადამიანებს მაინც... მაგრამ ესეც ხომ მტკნარი ტყუილი და მწარე დაცინვა გახლდათ და რატომღაც მგონია, რომ სწორედ ეს ილუზიური კომუნიზმი ასახა მწერალმა „მშვიდი ქალაქის" მეშვეობით.

თუმცა შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, მშვიდი ქალაქის არსებობით კომუნისტურ სამყაროს კაპიტალისტური ქვეყნების ყოფა დაუპირისპირა ავტორმა. არ ვიცი, ამის გადაჭრით მტკიცებისგან თავს შევიკავებ და მხოლოდ ერთს დავძენ:

ავტორი თავის პერსონაჟს არ ტოვებს მშვიდ ქალაქში და ისევ იქ აბრუნებს, საიდანაც გამოიქცა, რათა გასაჭირში ჩავარდნილ მეგობრებს დაეხმაროს თავისუფლების მოპოვებაში, გავიხსენოთ, განა ნებისმიერ დისიდენტის გადახვეწა შვება არ იყო კომუნისტური ეპოქის ფუნქციონერთათვის?!! მაგრამ დისიდენტები სწორედ იმისთვის იყვნენ დისიდენტები, რომ თავიანთ სამშობლოში რჩებოდნენ და როგორც შეეძლოთ ისე ებრძოდნენ არსებულ სახელმწიფო წყობილებას. შორს ნუღა წავალთ და გავიხსენოთ თუნდაც უახლოესი წარსულის პოლიტიკური მოღვაწენი, დისიდენტნი – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომელთა ქვეყნიდან ემიგრაციაში გამგზავრება დიდი შვება იქნებოდა კომუნისტთათვის, მაგრამ...

„– იქ მეგობრები მელოდებიან. ნამდვილი ადამიანი ის არის, ვინც სიკეთისთვის იბრძვის. ასე მასწავლა მამაჩემმაო"! – მიმართავს ბიჭუნა იმას, ვინც ეს საქმე უნდა აღასრულოს და უკანვე დააბრუნოს. და მართლაც, ზღაპრის ბოლო კეთილია! – ეს არის ის აუცილებელი პირობა, რომელსაც ყოველი ზღაპარი ემორჩილება, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ ფინალს სულ სხვა სიმბოლური დატვირთვაც აქვს!

ამ შემთხვევაში მარცხდება დიქტატორი.

ნადგურდება ბოროტების სამეფო, რომელსაც ავტორი მართალია არსად მოიხსენიებს ბოროტების იმპერიად, მაგრამ ეს ხომ სტრიქონთა მიღმა თავისთავად იგულისხმება!

და... ეს ყველაფერი ჩვენი ქართული ლიტერატურის ისტორიის ნაწილიცაა, ამავე დროს ფურცელია ჩვენი უახლესი ისტორიისა. იმ ისტორიისა, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ჯალიაშვილი

# სასწაულის მოლოდინი

პოეზია მზერის გადანაცვლებაა ხილულიდან უხილავისკენ. მერე იმ უხილავის სიტყვებით მოხელთება და წარმოსახვაში იმგვარი ხორცშესხმა, რომ სხვამაც დაინახოს, შეიგრძნოს მატერიალურისაგან სრულიად განსხვავებული პოეტური განზომილება, სადაც ერთმანეთს ეწყვილებიან უცხო, დაშორებული საგნები და მოვლენები და სამყაროც, ასე დაშლილი, დაქუცმაცებული, დაფლეთილი უეცრად აღდგება, როგორც ერთი მთლიანობა, ჰარმონიული და მშვიდი, სიკვდილთან შეგუებული, რადგან გარდაცვალებაც ამ განზომილებაში მხოლოდ და მხოლოდ ცვლილებაა და სხვა არაფერი. ეს ფიქრები აღგვიძრა სოსო მეშველიანის ახალი პოეტური კრებულის „ღამესასწაულის" წაკითხვამ.

წიგნის სახელწოდება ერთსიტყვიანი პოეზიაა, მრავალმნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი. ის დამოუკიდებლად იწვევს ასოციაციათა ნაკადებს, სხვა რომ არაფერი, მხოლოდ ამ სიტყვასთან უკვე სამუდამოდ გაიგივდა ამ პოეტის სახელი. ეს სიტყვა კონკრეტული, ძალიან ლამაზი ლექსის კონტექსტშია დაბადებული, მაგრამ დამოუკიდებლადაც ღირებულია. ჩემს წარმოსახვაში მან გააცოცხლა ხატი „შუაღამის მზისა", რომელიც უფლის სახეა. ყოფის წყვდიადში გასაოცრად სიხარულის მომგვრელია მოლოდინი იმ დიდი სინათლისა, რომელიც სიბნელეს სიყვარულით გაარღვევს. მთავარია, გჯეროდეს და ფხიზლობდე, რათა არ გაგეპაროს ის წამი, როდესაც ღამესასწაული მოხდება – გაიღება უცხო კარი და შეხვალ შეუცნობელ სამყაროში, რომელსაც მოკვდავნი მარადიულობას ვუწოდებთ.

არის საღვთო ბილიკები, როგორც გალაკტიონი იტყოდა, იმ შორეულ სანახებთან მისასვლელი და მიდის პოეტი „წმინდა პოეზიის" ხატით გულანთებული, საგზლად სიტყვები აქვს, რომლებიც წკრიალებენ ათას ხმად და სურნელი აქვთ უცხო და მრავალგვარი.

სოსო მეშველიანისთვის პოეზია კარია, საიდანაც გადის სხვა სამყაროში, რომელშიც თვალი სხვანაირად ხედავს, ყურიც სხვანაირად ისმენს და აქამდე უცნობ სურნელსაც შეიგრძნობს. მაგრამ ეს ზეციური კარი მაშინ უფრო იოლად იღება, როცა მიწასთან ახლოა:

„ისევ მაღვივებს, ისევ მავსებს მიწა ალერსით" („ზაფხულის ღამე მშობლიურ სახლთან"), ან „ამობურცულა სიტყვის ბოლქვი მსუყე მიწიდან".

ამიტომაც არის მისთვის მიწა ლოგოსთან დაკავშირებული, ოთარ ჩხეიძის თედორეს სიტყვები გვახსენდება „მიწა არს ღმერთი" („თედორე"). აღარ გვიკვირს, რომ მის ლექსებში მიწიდან ამოდიან სიტყვები და ლექსებად ყვავილობენ.

პოეტმა იცის „მიწისა და სიტყვის გემო" („სიტყვები შაქარლამასავით პირში მადნება") და ელის „მიწის სასწაულს" და მოლოდინი მართლდება: „მიწიდან ჭარხალივით

ამოთხრილ სიტყვებს" ლექსის სტრიქონებად ალაგებს „მიწად ქცეულ წინაპრების გავლებულ კვალში".

ან კიდევ; „ვფშვნი სიტყვებს მიწის გოროხივით მსუყეს და მსუქანს" („ლამით"). ამ უცხო მეტაფორებით პოეტმა არაჩვეულებრივად გამოხატა ის მისტიკური განცდა, რასაც წინაპრებთან ერთობა ჰქვია. პოეზიაში, ამ იდუმალ, უდროო და უსივრცო ზერეალობაში, პოეტი შეიცნობს სიცოცხლის საიდუმლოს.




სოსო მეშველიანის პოეზიაში ახალ სიცოცხლეს იძენენ მთები, ყვავილები, მდინარეები... თვით გაცვეთილი მთვარეც კი განახლდება და გრძნობებით ივსება. ამ ლექსების კითხვისას გაქვს განცდა სიცოცხლის მშვენიერებისა, სამყაროს ჰარმონიულობისა, სიცინცხლისა. აქ ჰაერს ხედავ სუფთასა და გამჭვირვალეს და ლაღად ისუნთქავ ახლადაყვავებული ნაბლის ხეების სურნელს.

და აღარ გიკვირს პოეტის ამგვარი ალტაცებ: „ვხვრიპავ ჩანჩქერებს", „მთას აქლემივით ბეჭებში მოხრილს ზურგზე ვაჯდები და მივაჭენებ", „სახეზე ღრუბელი მკოცნის" („განდიდება"). საგულისხმოა, რომ პოეტისთვის ბუნებასთან სწორედ ამგვარი სიახლოვეა „განდიდება" და არა რაიმე მატერიალურ ღირებულებათა ფლობა, პირიქით, როგორც კი პოეზიის სამყაროდან რეალობაში ბრუნდება, თავს დამცრობილად, უსუსურად, მარტოსულად გრძნობს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ესპანური ლექსების ციკლში.

სოფლის იდილიურ სურათებთან ერთად აქ ქალაქიც იხატება, „სიზმრებში ჩაყოლილი კოშმარი", მაგრამ მთავარი მაინც ბავშვობიდან გამოყოლილი სანახებია, სადაც „სიცოცხლე იწყება".

მხოლოდ ამგვარი გარემოს ხატვისას ჩაესმის და ხედავს:

**მძინარე ჩიტის სუნთქვა არხევს ალუბლის ფოთლებს**
**და იკრავს ფიქრებს წებოვანი ჰაერის სიტკბო.**

ჯერ მძინარე ჩიტი უნდა შეამჩნიო, მერე ისე უნდა გაგიფაქიზდეს სმენა, რომ მის სუნთქვას მიაყურადო, მერე ამ სუნთქვით შერხეული ალუბლის ფოთლები დაინახო (სხვაგან: „მსხლის ხეზე ჩიტი ხორციანი კვირტივით ფეთქავს"), და მერე თაფლივით ტკბილ ჰაერს მიწებებული ფიქრების შემჩნევაც აღარ გაგიჭირდება. ამასაც იგრძნობ: „პეპლის გულისცემაც ბალახს არხევს" („ლამესასწაული").

ამ მეტაფორებში უწონადო და უსხეულო, უფერო და უხილავი ისეთი ხელშესახები ხდება, თან ისე ბუნებრივად, არც კი გიკვირს, თუ აქამდე ეს ყოველივე უცნობი იყო და მხოლოდ სოსო მეშველიანის სტრიქონებმა გახადეს შესაგრძნობი.

და წარმავალისა და ქკნობადის ხელახალი შობის სასწაულის მომსწრენი ვხდებით, პოეზიას ხომ წამკითხველი აცოცხლებს და ხანდახან სრულიად სხვა მნიშვნელობებით ტვირთავს სტრიქონებს, მთავარია, რომ ლექსი გამოძახილს პოულობს და ყველასთან განსხვავებულ ექოებად ხმოვანდება.

მის ბევრ ლექსში ფიქრია იდუმალზე, შორეულზე, არამატერიალურზე; რა ანალვლებს? გალაკტიონივით მასაც შესძრავს კითხვა: „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს?" ამიტომაც არის ნამდვილი პოეტი, რომ ამგვარად დაფიქრდება ხოლმე:

**იქნებ მინდვრის პეპლებს ესიზმრებათ**
**ეს ღამის პეპლები — ალქაჯები.**

ან:

**იქნებ მართლა ზეცა ეწვეთებათ**
**ამ ლურჯ მდინარეებს სათავეში.**

*(„ბავშვობის მოგონება*
*ანუ ელფების სალამო")*

იქნებ...

ეს მისი პოეტური ვარაუდებია, რომლებიც ნაცნობსა და დავიწყებულს სრულიად სხვაგვარად განგაცდევინებენ, სიკეთისა და სიყვარულით გავსებენ, ამ განცდას ლია სტურუა „ესთეტიკურ სათნოებას" უწოდებს.

პოეტს გაფაქიზებული მზერა აქვს, ამ თვალსაზრისით, ეს თითქოს მისი პროტესტია თანამედროვე სამყაროს სულამოცლილი, დამახინჯებული რეალობის მიმართ. იტყვიან ხოლმე, ლირიკული პოეზია იმიტომ კვდება, რომ ადამიანი სულიერად გაღარიბდაო (ანტონიო მაჩადო). ეს ლექსები უპირველესად სოსო მეშველიანის სულიერ სიმდიდრეს ამხელენ, მას არ სურს მკითხველში უსაშველობისა თუ მიუსაფრობის, გაუცხოების განცდის გამოწვევა, ყველგან ხედავს და ამჩნევს სილამაზეს, სიჩუმის ფასი იცის.

**თვალებში ელავს ლამარიას მაცხოვრის ფრესკა,**
**საკმევლის სუნი მომაფრქვიეს მშრალმა ნისლებმა,**
**აქ ყველაფერი ამ სამყაროს გაჩენის დღეს ჰგავს.**

*(„მონადირის უკანასკნელი ღამე")*

დედის სახის ხატვით ქართულ პოეზიაში ვერავის გააოცებ, მაგრამ სოსო მეშველიანმა ეს შეძლო, როცა დაწერა:

**ღრუბელს შეაწმინდავს მიწით დასვრილ ხელებს,**
**შემდეგ გარეცხავს და ქარში გადაკიდებს.**

ეს ჩემთვის გულშიჩამწვდომი სიურრეალისტური ხატია, რომელიც დედას, როგორც დედამიწას, როგორც სამყაროს, როგორც მარადიულ მშობელს, ისე წარმოაჩენს. ეს არის განცდა იმისა, რომ ყველგან, სიხარულსა თუ ჭირში, დედის მზრუნველი თვალები გიცქერენ და არამცთუ სიცოცხლეს, სიკვდილსაც გიადვილებენ. და ამიტომაც ასეთი ყოვლისმომცველია ხილვა:

**ყოველ მზის ჩასვლისას ჩრდილი დედაჩემის**
**მწვერვალებს ივლის და მყინვარზეც გადადის;**

ან კიდევ: „აგიყვავდება, დედაჩემო, ხელისგულები" („დედაჩემს").

ამ ლექსის სტრიქონები სინათლეს და სითბოს ასხივებენ და სიკეთის რწმენით გავსებენ. და გიჩენენ ცდუნებას, რომ იფიქრო, ეს დედა თვითონ ღვთისმშობელია, ჩვენი მფარველი და მანუგეშებელი.

როცა შორეულ ქვეყანაში სიზმარში დედა ლოცავს, მაშინ ქარი, ლიმონის ბაღს რომ არხევს: „სულაც არ მემჟავა, მემოცარტა, ტკბილ მინორივით" („ფოთლების სასაფლაო"). აქ ეს უცნაური ახალი სიტყვა „მემოცარტა" ზუსტად გამოხატავს, რა ღვთაებრივი მუსიკა ჩაეღვარა გულში.

ლექსებში ასევე ამაღელვებლად ხატავს მამის სახეს:

**გმადლობ, უფალო, ყველაფრისთვის,**
**რაც მიწყალობე!**
**ცრუ სამყაროში შენ ერთი ხარ, ვისაც ვენდობი.**
**გზა გადის მამის სამარიდან მამის წყარომდე;**
**გზა, ბილიკებით დაძარღვული მწვანე ფერდობით.**

*(„უმისამართო სონეტი")*

თუმცა ხორციელი მამაც და დედაც სიმბოლურ მნიშვნელობებს იძენენ, სიტყვების კონკრეტული შინაარსი რაღაც ზოგადით გადაილახება და დროის სამანებს გაარღვევს წყურვილი მარადიული მამის ხილვისა და მასთან ზიარებისა.

ზემოთ ვახსენეთ, პოეტი როგორ „ანედლებს", როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, დამჭკნარსა და გაცვეთილ სახეებს, მაგალითად, მთვარეს:

„წვეთავდა მთვარე დაბეჟილი უმი ვაშლივით" – ამ მეტაფორით პოეტი გამოხატავს სამყაროსთან შერწყმის წყურვილს და ჩვენც ვხედავთ მწვანე მთვარეს და მასავით ვგრძნობთ „მარადისობასთან სიახლოვეს", რასაც ლექსის შემდეგი სტრიქონები უფრო ამძაფრებენ:

**უსახურავო ქოხი მიდგას ნაძვნარებს ქვემოთ,**
**რომ აღმართულან ულრანები ცოცხალ კედლებად,**
**მძინავს, სიზმარში ჩამყოლია შამბნარის გემო,**
**სიზმრის გუბეში არეკლილ ცას რა შეედრება.**

ასე გახსნილია პოეტის გული და ამიტომაც ჩაესმის, როგორ „დულს მუსიკა ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ".

ესპანურ ციკლში მიწა უფრო „პირქუში" ხდება, რადგან ეს სხვა მიწაა, სხვა ტკივილებით დათესილი, თუმცა ამ უცხო მიწაზეც ცოცხალია განცდა მთვარისა: „ქალაქის სივრცე ჩამოლუნა მთვარის სიმძიმემ". ეს მეტაფორა პოეტის სულიერ სიმძიმეს ამხელს უპირველესად, თვალი ეხლება ქაოსს და ჩნდება ტკივილი, რომ „რომანტიკული შეღამება" აქ მხოლოდ „ჯართია ეპოქისა" („ქალაქი ღამით"). თუმცა ეს „ჯართია" სხვებისთვის, მისთვის კი გაუხუნარია განცდა: „ცის სილურჯეს ისუნთქავენ ჭარხლის მინდვრები" („მგზავრი"), ან „ჰაერი ბგერების ბუსუსებით, სულივით სუფთა და ჟღერადია. ცაზე ვარსკვლავები ფუსფუსებენ..." („ერთი ევროპული სოფელი").

ქალაქის ხელოვნურ ჭახჭახა განათებას პოეტის წარმოსახვაში შემოჭრილი მხატვრები, პოეტები, მუსიკოსები ცოცხალი ხმებითა და ფერებით გადალახავენ და აძლებინებენ, მათ შორისაა გარსია ლორკა, რომლის პოეზიაზე ფიქრი ასეთ სტრიქონებს შთააგონებს:

**აი, საცაა ფორთოხლებიც დამწიფდებიან,**
**დაეკიდება მწვანე ტოტებს მზე მსხვილ წვეთებად,**
**გრანადის ახლოს გაშტერდება მარადისობა.**

უცხოთა ზეიმი თითქოს ეჭქვეშ აყენებს მის „უსაშველო ქართველობასაც", მაგრამ თანვე გვაფიქრებინებს: მე ვარ ქართველი და ამას არაფერი ეშველება. რატომ არ შეუძლია დავიწყება საკუთარი ფესვებისა, რატომ არ შეუძლია სხვათა ზეიმში სინდისის უქენჯნელად მონაწილეობა? ამის პასუხი ამ ლექსებშია მიმობნეული. ამ ტკივილიანმა განცდამ გალაკტიონის ცნობილი სტრიქონი გაგვახსენა: „წვეთი სისხლიც არ არის ჩემში არაქართული".

პოეზია მას შვებასა და ტკივილს ერთდროულად განაცდევინებს, ეს არაჩვეულებრივად გამოხატა ესმა ონიანისადმი მიძღვნილ ლექსში:

**და ილვენთება მარილდაყრილ ლოკოკინასავით**
**საშინელ ტანჯვასა და ნეტარებაში**

*(„გუაში")*

„პოეზია არის ის, რასაც პოეტი დროის დინებიდან ამოზიდავს და უკვდავჰყოფს; ძალზე ძნელი საქმეა ეს და დროც საკმაოდ სჭირდება, ლამის მთელი ის დრო, რაც პოეტს აქვს განკუთვნილი. პოეტი მებადურსა ჰგავს, ოღონდ იგი ჩვეულებრივ თევზს როდი იჭერს, იგი იჭერს ისეთ თევზს, წყლიდან რომ ამოიყვან და მაინც იცოცხლებს, ანუ უკვდავს".

ეს სიტყვები ანტონიო მაჩადომ თქვა, რომელსაც კრებულში ერთი მშვენიერი ლექსი აქვს მიძღვნილი.

სოსო მეშველიანი ზის ცხოვრების ზღვის ნაპირზე და ასეთი თევზის დაჭერის მოლოდინით წერს მშვენიერ ლექსებს.

### პატარა უფლისწულის სახლი

სენტ-მორის-დე-რემანის სასახლეში, სადაც ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ბავშვობამ გაიარა, 2014 წლის 29 ივნისს მწერლის მუზეუმი გაიხსნა. „პატარა უფლისწულის სახლის" პროექტი საზოგადოებას 29 ივნისს, მწერლის დაბადების დღეს წარედგინა.

XVIII საუკუნის უძველესი სასახლე, სადაც ეგზიუპერი არდადეგებს ატარებდა, უკვე 20 წელზე მეტია დაცარიელებულია. 2009 წელს ის მესამე მცდელობით გამოისყიდა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა. ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას ოლივიე დ'აგეიმ, მწერლის ერთ-ერთმა შთამომავალმა, აღნიშნა: „ამ მუზეუმის შესაქმნელად უკვე 20 წელია ვიბრძვით". მუზეუმის შექმნისათვის საჭიროა 200 მილიონ ევროს ინვესტიციათა ათვისება. პროექტის ინიციატორებს განსაზღვრული აქვთ წელიწადში 100 ათასი დამთვალიერებლის სტუმრობა. დღესდღეობით მსოფლიოში სენტ-ეგზიუპერის ერთადერთი მუზეუმია სენტ-მორის-დე-რემანის სასახლის ასლი ხაკონეში (იაპონია).

თამარ ყალიჩავა

# სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს, ცდუნება არა სძირავდეს

*

## შეხვედრა ქუთაისის პირველ სკოლაში

**„ქუთაისის პირველი სკოლა ძალიან ბევრი მწერლის აღმზრდელია, მაგრამ დღევანდელ თაობას სჭირდება სწორი მიმართულების მიცემა და საგანგებოდ აღზრდა“**, – ამ სიტყვებით გახსნის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პირველ საჯარო სკოლაში ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ლალი მიქაძე**. ქალბატონი ლალი სტუმრებს მიესალმა და მოსწავლეებს მიმართა.

შემდეგ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაზე ვრცლად **ლია კუხიანიძემ** ისაუბრა, ლიტერატურის მეცნიერებათა დოქტორმა, რომელსაც თავის სადისერტაციო ნაშრომში ოთარ ჩხეიძის შემოქმედება უკვლევია. ქალბატონი ლია მრავალ საგულისხმო დეტალს გაიხსენებს გასული საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და იმასაც იტყვის, რომ ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მთავარი გმირი ხალხია, რომელიც ანგარიშგასაწევ ძალად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა ზნეობა გაიმარჯვებს. „ხალხი ყველაფერია, მაგრამ ჯერ ხალხია მოსაპოვებელი. ხალხი რწმენაა, რწმენა ზნეობა, ზნეობა 10 მცნება. მერე იწყება ერი“ – დაიმოწმებს ქალბატონი ლია ოთარ ჩხეიძის სიტყვებს, როგორც მწერლის ცხოვრების კრედოს: ოთარ ჩხეიძისათვის ხომ ზნეობა ქართველი ერის ტრადიციული ადათ-წესების ბრძმედში გამოწრთობილი ქრისტიანული ღირებულებებიაო.

მომხსენებელი მიმოიხილავს იმ უამრავ ხერხს, რითაც საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა მწერლის დათრგუნვასა თუ გადაბირებას, მაგრამ მიუხედავად გაუსაძლისი წნეხისა, ოთარ ჩხეიძე ვერ აქციეს ბოლშევიზმის მეხოტბედ. სრული იგნორირებითაც უცდიათ მასში შემოქმედებითი იმპულსების ჩახშობა, მაგრამ ვერც ამან გატეხა. იგი შეუსვენებლად განაგრძობდა მუშაობას და, როგორც იტყვიან, კალამი ხელიდან არ გაუგდიაო.

„– ბევრი ცნობილი ადამიანის სიტყვები შემიძლია დავიმოწმო, მაგრამ ყველაზე მეტად მეძვირფასება ზვიად გამსახურდიას ფრაზა ოთარ ჩხეიძის შესახებ თქმული: „ჩვენ სად ვიყავით მაშინ, როდესაც ოთარ ჩხეიძე მარტო ებრძოდა კრემლსო“. ამ სიტყვებმა ყველაფერი დაიტია.

მე ბედნიერი ვარ რომ იმ ეპოქაში მომიწია ცხოვრება, როდესაც ჩვენს გვერდით ასეთი დიდი ადამიანი, ასეთი დიდი მწერალი იყო.

ვინც ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას იცნობს, ის იცნობს საქართველოს და მის ისტორიას. მინდა გისურვოთ ისეთ საქართველოში ცხოვრება, როცა მოიცლით ოთარ ჩხეიძის შემოქმედების საკითხავად და განიცდით იმ ბედნიერებას, რასაც ჰქვია, იყო ოთარ ჩხეიძის მკითხველი“.

**რეზო ჭეიშვილი** ოთარ ჩხეიძესთან თავის პირად ნაცნობობას მოიგონებს. მოსწავლეებს მოუთხრობს, რომ ბატონი ოთარი არ ყოფილა სამწერლო ორგანიზაციებსა და კრებებში ათქვეფილი. უხმაუროდ წერდა და აკეთებდა თავის საქმეს. გაიხსენებს, როგორ გაუცვნია ვახტანგ ჭელიძეს მისთვის ოთარ ჩხეიძე სოფელ ყელქცეულში – „მართლაც, ყელქცეულს როგორი სახელიც ჰქვია, ისეთი სურები ჰქონდა – ბროლის, საუკეთესო ღვინო და ძალიან დამამახსოვრდა თავისი თამადობითაც“.

შემდეგ ბატონი რეზო ცნობილ ფილმს „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობასაც“ უნდა შეეხოს „– ძალიან გამიკვირდა, გიორგი შენგელაიამ ალღო რომ აუღო ერთ მნიშვნელოვან საკითხს, – მთელ ფილმს გასდევს რომ რაღაც ხდება, ხდება სადღაც. არავინ არ იცის, სად ხდება... ეს ფილმშია დაჭერილი, სწორედ ეს იყო ოთარ ჩხეიძის შემოქმედების ძირითადი ნაწილი. რაღაც ხდება, შენს გარშემო, შენს ირგვლივ, შენში და ბოლოს უნდა შესულიყავი იმ თავისუფლებაში, იმ ტყავში და იმ სიტუაციაში. გეგრძნო ის და თუ ბოლომდე იკითხავდი, ბევრს წაიკითხავდი, შენც დაგეუფლებოდა გრძნობა, რომ რაღაცა ხდება შენს ირგვლივ. ეს იდუმალება ახლავს ამ ფილმსაც.

მე ამ სკოლას, ამ შენობას ძალიან კარგად ვიცნობ. მოხარული ვარ, რომ დავესწარი ამ შეხვედრას. ძალიან კარგია, ეს ბავშვები რომ უსმენენ და იმახსოვრებენ ამას. ახლა ისეთი დრო მოვიდა, აღარ სცალიათ ალბათ, მაგრამ საჭიროა მეტი წაიკითხონ, განსაკუთრებით ის რომანები, ნოველები, წერილები და პიესები, რომლებიც აქ ახსენეს“.

სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის **ნინო ვახანიას** გამოსვლა ამ შემთხვევაში სკოლის მოსწავლეებისთვის იყო სამაგალითო. ქალბატონი ნინო ოთარ ჩხეიძის სახელს ყოველთვის საოცარი მოკრძალებითა და მორიდებით ახსენებს, როგორც ერთ-ერთი იმ დიდი შემოქმედისა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ერის ზნეობრიობის მეციხოვნედ მდგარა. რომლის მხრებზეც XX საუკუნის მეფისტოფელურ სინამდვილეში ეროვნული ცნობიერების, სულიერების შენარჩუნების სიმძიმეს გადაუვლია.

„ – პირველ რიგში, არ შემიძლია სიამოვნება არ გამოვთქვა, რომ ეს შეხვედრა სკოლაში მოეწყო, რადგან ქვეყნის მომავალი სწორედ ახალგაზრდებზეა დამოკიდებული.

ბ-ნი ოთარი დიდი მწერალია. ეს არც ახალი ამბავია და არც მარტო ჩემი სათქმელი. ისეთი მორიდებული და მოკრძალებული დამოკიდებულება მაქვს ამ სახელის მიმართ, როგორიც უნდა მქონდეს. ჩემთვის ის საკრალურ შარავანდედშია გახვეული და საუბარიც კი მერიდება. იმიტომ კი არა, რომ რაიმე ტყუილს ვიტყვი, ან რაიმეს გადავაჭარბებ. ასეთი რამე უბრალოდ შეუძლებელია. უბრალოდ, როგორც გითხარით, ის ძალიან დიდია. მისი შემოქმედება მრავალმხრივია, მრავალფეროვანი. ყველგან, ყველა სფეროში, სადაც კი რაიმე დაწერა, მან თავისი სიტყვა თქვა, თავისი კვალი დააჩნია. სიახლე შემოიტანა და იმდენად მნიშვნელოვანი სიახლე, რომ თავის თანამედროვეებზედაც მოახდინა გავლენა და რაღა თქმა უნდა მომავალი თაობის მწერლებზეც.

სათქმელად თითქოს ადვილია – „სიახლე შემოიტანა და გავლენა მოახდინაო", მაგრამ აღსასრულებლად ძალიან ძნელი გახლავთ.

ბ-ნი ოთარი სულიერი მემკვიდრეა ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგისა, როგორც ისინი ესაუბრებოდნენ ღმერთს, ასევე ისიც ესაუბრებოდა ღმერთს. მზის შვილია ისიც თავისი წინაპრების მსგავსად. რაც შეეხება იმას, რომ ძალადობას წინ აღუდგა. თვითონ, ბატონი ოთარი ამბობდა, – მე არც კი მეგონა, ვინმეს რომ ვებრძოდიო. ჩვეულებრივ ეს ასე ხდება ხოლმე, როდესაც ადამიანი გულწრფელად ამბობს სიმართლეს, მას არ ჰგონია, რომ ვინმეს ებრძვის, რაიმეს ებრძვის, უბრალოდ არ შეუძლია, რომ სიმართლე არ თქვას. აი, თქვენ ვაჟა-ფშაველა ნასწავლი გაქვთ და იცით, ალბათ, რომ არც ალუდა დაპირისპირებია თავის თანამოძმეებს და არც ჯოყოლა. ისინი დაუპირისპირდნენ პირიქით აქით. ისინი აკეთებდნენ რასაც თვითონ გრძნობდნენ და განიცდიდნენ.

ოთარ ჩხეიძე სიტყვის მცველი იყო, სიტყვის ქომაგი, სიტყვის შემნახავი და, როგორც ნაღვერდალს ინახავდნენ თავის დროზე, რომ მერე ცეცხლი არ ჩამქრალიყო, ასე დარაჯად ედგა ერის სულიერებას. ასეთი ადამიანების მხრებზე გადადის კიდეც სულიერების შენარჩუნება და მიტანა შემდგომ თაობებამდე.

ცალკე საუბრის თემაა ოთარ ჩხეიძე როგორც მასწავლებელი, როგორც ლექტორი. ის წლების განმავლობაში გორის ინსტიტუტში მოღვაწეობდა. ბატონმა როსტომმა მამამ დაწერილ წიგნში „აგვისტოს შვილები" , რომელმაც სავსებით სამართლიანად დაიმსახურა „გალას" პრემია, საგანგებოდ გამოტოვა ოთარ ჩხეიძის მოღვაწეობის ეს სფერო იმიტომ, რომ ამას მართლაც ცალკე წიგნი სჭირდება.

ბ-ნი ოთარი თვითონ იქცა სხვა მწერლების ხელში პერსონაჟად. მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა და მერე მეგობრებმა ზაურ ნაქაძემ და ჯემალ ინჯიამ წიგნები დაწერეს, მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდისა, სადაც სწორედ ბატონ ოთარზეა საუბარი როგორც პიროვნებაზე, როგორც პედაგოგზე, როგორც აღმზრდელზე.

ის ღვთიური მადლი, რომელიც ბატონ ოთარს ჰქონდა, საბედნიეროდ, გადმოვიდა ბატონ როსტომზე და საერთოდ ჩხეიძეთა დიდ საგვარეულოზე".

**ელგუჯა თავბერიძე:**

„– ოთარ ჩხეიძე იყო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მწერალი. იშვიათია შემოქმედი, რომელიც სწორად ხედავს როგორი უნდა იყოს მისი სახელმწიფო, როგორ ცნობიერებაზე უნდა დაფუძნდეს მისი ქვეყანა და რა უნდა ქნას თუნდაც დღევანდელმა თაობამ, რომ ხვალინდელი საქართველო უკეთესი იყოს. მთელი ოთარ ჩხეიძის შემოქმედება, მისი კვლევის ცენტრი არის იმის საუკეთესო მაგალითი, თუ რა გვჭირდება ჩვენ. რა გვჭირს დღეს და რა სენი და უბედურება უნდა მოვიშოროთ.

მან იცხოვრა ძალიან ცუდ დროში, ისეთ დროში, როცა ამ სიმართლის გამხელა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მაქსიმალურად ამხელდა ამას „ბურუსით", „ბორიაყით", „გამოცხადებით" და სხვა რომანებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს სინამდვილეზე მოგვიანებით შექმნილი რომანებიც არ სიამოვნებდა ბარე ორს. ბარე ორიც ძალიან გალიზიანებული იყო, მაგრამ ოთარ ჩხეიძე არასოდეს არ მორიდებია არავის და არავისთვის ქედი არ მოუხრია.

მე მომიწია მისი ორი რომანის გამოცემა – „მორჩილი" და „ლაზერშოუ". ეს რომანები იმ სინამდვილეზეა, რომელიც შეიძლება თქვენც გახსოვთ, თქვენს მშობლებს აკი აუცილებლად ემახსოვრებათ. ეს სიმართლე ძალიან ძნელი სათქმელი იყო იმ დროს და, თქვენ წარმოიდგინეთ, როცა ოთარ ჩხეიძე სამწერლო ასპარეზზე გამოდიოდა რა ძნელი იქნებოდა. იგი თვითონ ძალიან ტრაგიკული ყოფის პიროვნება გახლდათ. მას მამა-ბიძები 37 წელში დაუხვრიტეს. თვითონაც ძალიან ძნელად გაიკვლია გზა მწერლობაში, მაგრამ მას ერთი წარბიც არ შეუხრია, სიმართლისთვის არასდროს უღალატია.

ნოველაში „პაგანინის თითები" იგი წერს, რომ ლევან გოთუამ, მე და გიორგი შატბერაშვილმა ერთხელ ვთქვით, 1924 წლის აჯანყებაზე, 37 წლების ამბებზე რაღაც ჩვენ-ჩვენთვის დავწეროთ და შევინახოთო. ბუნებრივია, იმ დროს ამის გამოქვეყნება წარმოუდგენელი იყო, ლევან გოთუას უთქვამს, – შეიძლება ამის გაკეთებაო. გიორგი შატბერაშვილს – კი, მაგრამ ვინ დაგვიბეჭდავს და კიდევაც რომ დაგვიბეჭდონ, ამით ხომ სხვა ბედი და სხვა ტრაგიკული ყოფა გველისო... ოთარ ჩხეიძემ მთელი სამწერლო ცხოვრება მიუძღვნა იმის დაუფარავად და შეულამაზებლად თქმას, რაც იყო სინამდვილეში.

ჩვენ, ჩვენმა თაობამ და განსაკუთრებით თქვენ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბევრი რამ არ გვეცოდინებოდა, რომ არა ოთარ ჩხეიძე, ის რომანები, რომლებიც მან დატოვა – 24 რომანი.

წელან „პაგანინის თითები" ვახსენეთ, სადაც აღწერილია ის ყოფა, როცა საკოლმეურნეო ცხოვრება შემოდის, და მართალია ბევრი რამის წაკითხვა შეიძლება, სადაც საკოლმეურნეო ცხოვრებაა აღწერილი, მაგრამ ასე შთამბეჭდავად ბევრი რამ არ იქნება აღწერილი. მე საგანგებოდ დავათვალიერე ამას წინათ სასკოლო სახელმძღვანელოები და მხოლოდ XII კლასის სახელმძღვანელოში აღმოვაჩინე მისი ესეი მკითხველზე და რატომ არ უნდა ისწავლებოდეს თუნდაც „პაგანინის თითები" და „ჩემი სოფლის ეტიუდების" ცალკეული ნიმუშები? ის ეპიზოდები, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს ახალგაზრდობამ და უნდა იცოდეთ თქვენ.

თუ თქვენ აიღებთ გეზს ოთარ ჩხეიძისაკენ, ძალიან კარგი ქართველები იქნებით, ძალიან ბევრი გეცოდინებათ საქართველოს ბედისწერაზე და გეცოდინებათ როგორი სულისკვეთებითაც უნდა იცხოვროთ. ამას ძალიან კარგად გასწავლით ოთარ ჩხეიძის შემოქმედება.

კომუნისტური კრიტიკის გამოგონილი იყო ის, რომ ოთარ ჩხეიძე ძნელად საკითხავი მწერალია, პირიქით, ძალიან ადვილად საკითხავია. უბრალოდ, ერთი ალღოს ალება უნდა და მთელი მისი შემოქმედება პოეზიასავით იკითხება, მუსიკასავით ჩაგესმის და იმედია და ჩემი სურვილი, რომ დღეიდან, ხვალიდან მის სიღრმეს აუცილებლად ჩანვდებით. როცა გაიგებთ ოთარ ჩხეიძეს, უკეთესად გაიგებთ და შეიყვარებთ საქართველოსაც. ჩვენი შეხვედრაც ამის საწინდარია".

**თემურ ამყოლაძე:**

„– ოთარ ჩხეიძეს აქვს ბრწყინვალე ეტიუდები, რომელთაგანაც არაერთი უნდა ისწავლებოდეს სკოლაში. იმდენი მაინც, რამდენსაც სასკოლო პროგრამა აიტანს. სხვათაშორის, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ოთარ ჩხეიძის ენის სირთულე პრობლემა იქნება ახალგაზრდებისათვის, ეს სრულებითაც არ არის ასე. რადგანაც სწორედ თქვენი ასაკის ვიყავი, ალბათ სადღაც მე-9 კლასში, პირველად რომ წავიკითხე ოთარ ჩხეიძის ეტიუდები და მაშინვე საოცრად გამიტაცა იმ ენის ფაქტურამ, რასაც ბევრი მისი კოლეგა მაშინ ნაკლად უთვლიდა და შეიძლება დღესაც ნაკლად უთვლის. ერთხელ თუ წაიკითხე, ველარ გამოხვალ იმ ხიბლიდან.



*თამაზ ცხადაძე, როსტომ ჩხეიძე და ლია კუხიანიძე ქუთაისის I საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად*

თუ ვინმეს უცხოური ლიტერატურა აინტერესებს, აუცილებლად უნდა წაიკითხოს ოთარ ჩხეიძის „იტალიური დღიურები ბაირონისა". არა მხოლოდ იმისთვის, რომ ეს არის ბაირონზე და ქართული ბიოგრაფიული რომანის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუში, არამედ ზღვა ინფორმაციას გაიგებთ თუნდაც ამ შემოქმედის შემოქმედებასა და ბიოგრაფიაზე...

ნურავის შეგეშინდებათ ოთარ ჩხეიძის ენის სირთულისა. როცა პირველ წინადადებებს წაიკითხავთ, განსაკუთრებით ბოლო რომანებს, ვინც პირველად ჩახედავს, შესაძლოა ოდნავ შედრკეს, მაგრამ ერთი გვერდის წაკითხვის შემდეგ, როგორც მორევი, ისე ჩაგითრევთ ეს განუმეორებელი სტილი და შეიძლება სხვა რომანებისკენ არც კი გაიხედოთ. გირჩევთ დაინტერესდეთ საბჭოთა დიდი ეპოქის, XX საუკუნისა და XXI საუკუნის დასაწყისის მწერლის შემოქმედებით და ძალიან ბევრ რამეს ისწავლით, ძალიან ბევრ რამეს გაუგებთ გემოს".

მოგვიანებით როსტომ ჩხეიძე გვიამბობს ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს უეცრად გაბმულ ნაცნობობაზე, რომელიც გელათში, დავითის წყაროსთან დაწყებულა. იტყვის, რომ თამაზ ცხადაძე სწორედ ამ დიდებული მონასტრის მონახულებისას გამოეცნაურა, როგორც ოთარ ჩხეიძის ყოფილი სტუდენტი და აწ უკვე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი. იქვე ჩაუფიქრებიათ ლიტერატურული შეკრების გამართვა, რომელიც საქართველოს ბედისწერას გადაჯაჭვული მწერლის ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას მიეძღვნებოდა.

ჩანაფიქრი იმის ჩანაფიქრია, რომ ადრე თუ გვიან განხორციელდეს.

სწორედ ამ ჩანაფიქრის აღსრულება ახარებს **თამაზ ცხადაძეს**. ყველაზე უკეთ მან იცის ოთარ ჩხეიძის ფასი, როგორც მისმა აღზრდილმა. ბატონი თამაზის თქმით, მწერალი ფიზიკურ გარდაცვალებასთან ერთად კი არ წყვეტს ცხოვრებას, არამედ აგრძელებს ბრძოლას, რომ არ იმძლავროს „ფესვმან უკეთურმან". დღეს კი მომავალ თაობებს უპირველესად სწორი ორიენტირი სჭირდებათ და ვიდრე თაობები ისეთი მწერლების შემოქმედებაზე აღიზრდებიან, როგორიც ოთარ ჩხეიძე გახლდათ, ქართველ ერს გადაშენება არ უწერია.

„– ოთარ ჩხეიძე იმხანად არ ყოფილა პოპულარული, თორემ დიდი მწერალი კი იყო. არც ბოლო პერიოდში სიამოვნებდათ, 90-იან წლებში „არტისტული გადატრიალება" და „თეთრი დათვი" რომ დაწერა, მის წამკითხავთ არ მოეწონებოდათ, იმიტომ რომ მათი დატრიალებული იყო ეს კალო საქართველოში. მე გეტყვით როგორი პიროვნება იყო. უნივერსიტეტის კორიდორში სულ ხელების ფშვნეტით დადიოდა. ეს ბატონი ოთარის მანერა მგონია. ჩუმად, წყნარად... ზოგიერთი ლექტორი დაიწყებდა ომახიანად საუბარს სხვა თემაზე. ამ პიროვნებას კი არ ჰქონდა მოთხოვნილება უსაგნო მუსაიფი გაება.

ახალი გამოსული იყო რომანი „იტალიური დღიურები ბაირონისა". ვკითხულობ მას... ჯერ არაჩვეულებრივად არის დაწერილი ბაირონზე, მაგრამ საქართველოზეც წერია. აი, ასეთი რამ წერია: მოვა მტერიო, შენს გრძელ ისტორიას დაგიმოკლებს, მიიწებებს თვითონ და თავის ისტორიას დაიგრძელებსო. ვფიქრობ, რაც წერია, რუსებზე ხომ არ არის? შენს ტრადიციას მოგისპობენ, დაგიმოკლებენ ისტორიას, მიიკერებენ, როგორც ჩოხა ჩაიცვეს და ჩოხა თავისი ჰგონიათ... კითხულობ და საქართველოზე წერია... ეს 70-იანი წლებია. გავბედე და მივედი ბატონ ოთართან. ჯერ მერიდებოდა მეკითხა, რომ არ ეფიქრა, ვერ ვგებულობდი მის ნაწერს. მივუტანე წიგნი, „იტალიურ დღიურები ბაირონისა". ვეკითხები, იტალიაზე კი არ არის, ეს საქართველოა-მეთქი. გაიცინა და მითხრა, – ესო არისო ქართველი ბარათაშვილიო. ესო, საქართვე-

ლოზეაო. ის წლები იყო, როცა საქართველოზე ვერაფერს დაწერდი. შეფარვით უნდა გესაუბრა საქართველოზე. ეს დრო იყო და ასეთი ადამიანები პოპულარულები იქნებოდნენ იმათ ხელში?

ჩვენთვის, ჩვენი თანაკურსელებისათვის ოთარ ჩხეიძე არის სამაგალითო პიროვნება მისი პიროვნული თვისებების გამო. ცოტანი იყვნენ იმჟამად ისეთები, რომლებიც ასე აშკარად საუბრობდნენ ერზე. არ ერიდებოდნენ არაფერს. და თუკი სკოლას რაიმე სჭირდება, ეს სჭირდება – მისაბაძი, ღირსეული ადამიანები. მისაბაძი სჭირდება, სამაგალითო სჭირდება, რომ გზა გააგრძელოს ამ სამყაროში".

**როსტომ ჩხეიძემ** თხრობა იმ ფაქტების მოხმობით დაიწყო, რომელიც ჭეშმარიტი ლიტერატურისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული საბჭოთა, ჩეკისტური კრიტიკის დაუნდობლობას წარმოაჩენდა. მოსწავლეებმა გასული საუკუნის ჯოჯოხეთურ სინამდვილეზე დაუჯერებელი და გამაოგნებელი ფაქტები მოისმინეს. გაიგეს, რომ ოთარ ჩხეიძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას წინ მეტად ტრაგიკული წლები უძღოდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დახვრეტილი მამა-ბიძების მემკვიდრეობისთვის და მისი თავადური წარმოშობისთვის მას სკოლაში მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ.

მრავალ საგულისხმო ფაქტს შორის იმ გამაოგნებელ ეპიზოდს გამოვარჩევთ, რომელიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესითა და ბატონი როსტომისთვის დამახასიათებელი იუმორისტული, ექსპრესიული თხრობის წყალობით ერთგვარი ხალისითაც კი მოისმინეს.

ეს პასაჟი ოთარ ჩხეიძის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენას ეხება, უნიკალურ შემთხვევას მსოფლიო ისტორიაში, როცა ჩეკისტურმა კრიტიკამ მწერალზე დაბეჭდვამდე მიიტანა იერიში:

„– ოთარ ჩხეიძე არის ალბათ ერთადერთი მწერალი მსოფლიო ისტორიაში, რომელიც ჯერ გააკრიტიკეს და მერე შემოვიდა ლიტერატურაში. საერთოდ, ლოგიკურია, რომ ჯერ უნდა დაბეჭდო და მერე უნდა გაგაკრიტიკონ, ან შეგაქონ, ან დუმილი არჩიონ. ოღონდ ჯერ უნდა დაიბეჭდოს...

ვინც ბატონი რეზო ჭეიშვილის რომანებსა და მოთხრობებს წაიკითხავს, იფიქრებს, რომ ეს არის ფანტაზიის ნაყოფი. სამწუხაროდ, ეს არის რეალობა. თუ დასავლელ მწერლებს აბსურდის დასახატად სჭირდებოდათ ფანტაზია, ჩვენთან, რეალობას დახატავდი და ეგ იყო...

იყო ასეთი ჟურნალი, „ჩვენი თაობა" და 30-იან წლებში აქ იბეჭდებოდნენ მწერლები, რომელთაგან ბევრი ტრაგიკულად დაიღუპა. თუნდაც ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია, კოტე ხიმშიაშვილი, რომელიც დახვრიტეს, ადამ ბობლიაშვილის ლექსები იბეჭდებოდა, რომელიც მოკლეს და თავი მოკვეთეს... ამ ჟურნალში მიაქვს ოთარ ჩხეიძეს თავისი პირველი ნოველები. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო. მათ კარგი შთაბეჭდილება დარჩათ და უნდოდათ მაშინდელი გამოჩენილი მწერლისთვის – პანტელეიმონ ჩხიკვაძისთვის მიეცათ და, როგორც ხდება ხოლმე, მას დაერთო კომენტარები.

მისცეს პანტელეიმონ ჩხიკვაძეს მოთხრობები და მან დაწერა მწვავე წერილი. ნუთუ არ იცის ამ ახალგაზრდამ, რა დროში და რა ეპოქაში ცხოვრობსო, – პოლიტიკური სარჩული დაუდო ამ ყველაფერს. წარუდგინა ეს წერილი რედაქციას. რედაქციას ამის მერე აღარ მოუნდა პოლიტიკურად არასანდო მოთხრობების დაბეჭდვა. მაგრამ პანტელეიმონ ჩხიკვაძე არის აღიარებული მწერალი, წერდა რევოლუციაზე, აღმშენებლობაზე. ღებულობდა პრემიებს და ვერ გაუბედეს რომ უარი უთხრან და არ დაუბეჭდონ სტატია. გადადეს ოთარ ჩხეიძის მოთხრობები და დაბეჭდეს პანტელეიმონ ჩხიკვაძის კრიტიკული წერილი. ეს იყო ოთარ ჩხეიძის შემოსვლა ლიტერატურაში.

მეორე შემთხვევა 1947 წელს მოხდა. მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებულია. წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირი თავისი ძლიერების მწვერვალზეა. ტარდება მწერალთა საკავშირო ყრილობა და იქ უნდა მიეჩინოს ყველას თავისი ადგილი. ნიკოლოზ ტიხონოვი არის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, როგორც შეაფასებს, ისე იქნება ყველაფერი, ის რა თქმა უნდა ადიდებს ისეთ მწერლებს, რომლებიც ქმნიან კონიუნქტურას, და ძალიან მძაფრად აკრიტიკებს კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუასა და ოთარ ჩხეიძეს, როგორც ნაციონალისტებს. და ნაციონალიზმი, ეროვნულობა მაშინ ითვლებოდა ყველაზე დიდ დანაშაულად. გამოგაცხადებენ ნაციონალისტად და ან ციხეში უნდა წახვიდე, ან უკეთეს შემთხვევაში შევიწროებული ხარ და ველარაფერს ველარ ბეჭდავ. კონსტანტინე გამსახურდიაც იყო მაშინ თარგმნილი და ლევან გოთუაც. ოთარ ჩხეიძის არცერთი სტრიქონი რუსულად არ ყოფილა გადათარგმნილი. თან ორი მოთხრობა გაუკრიტიკეს. ერთი, როგორც ისტორიული და მეორე იყო თანამედროვეობაზე, ომის თემაზე, მეორე მსოფლიო ომზე და იმაზე ეწერა – მეორე მსოფლიო ომის ასე მახინჯად დანახვა როგორ შეიძლებაო. მახინჯად – საბჭოური აზრით, ცხადია".

მოსწავლეებმა რამდენიმე კითხვაც დაუსვეს როსტომ ჩხეიძეს.

**მარიამ ჩიხლაძე:**

**– ჩვენ სკოლაში ოთარ ჩხეიძის ესეი „მკითხველი" შევისწავლეთ და მაინტერესებს, ვინ იყო მისთვის იდეალური მკითხველი?**

– ოთარ ჩხეიძე იცნობდა იდეალურ მკითხველებს. მას ჰქონდა ბედნიერება ყოფილიყო მოსწავლე ერეკლე ტატიშვილისა, ყოფილიყო უმცროსი მეგობარი გერონტი ქიქოძისა, ყოფილიყო უმცროსი მეგობარი თედო სახოკიასი. ესენი არიან მისთვის იდეალური მკითხველები და ჩვენთვისაც იდეალურ მკითხველებად რჩებიან. თვითონ ოთარ ჩხეიძე იდეალური მკითხველი გახლდათ, ადამიანი, რომელიც წაუკითხავს არ გაუშვებდა არაფერს და ძალიან აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა გარშემო. ეს არის სწორედ იდეალური მკითხველი.

**ნინო კიზირია:**

**– თქვენ, როგორც ლიტერატურათმცოდნესა და მწერლის შვილს, ოთარ ჩხეიძის რომელი ნაწარმოები მოგწონთ ყველაზე მეტად?**

– ასე ძნელია თქმა... ამბობენ ხოლმე, რომელი ნაწარმოებიც გიჭირავს იმ წუთას ხელში, ის მოგწონს ყველაზე მეტადო. მეც ასე ვარ.

ყოველშემთხვევაში, სალიტერატურო კრიტიკა გამოყოფს „ბორიაყს". გურამ ასათიანმა უწოდა ამ რომანს მწვერვალი, გიორგი გაჩეჩილაძემ ამ რომანზე თქვა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არის XX საუკუნის მონაპოვარი და ერთი საუკეთესო ქმნილებათაგანი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებსა" და კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებასთან" ერთად. ნაირა გელაშვილმაც შეაფასა მწვერვალად. ლიტერატურათმცოდნეობა გამოყოფს „ბორიაყს" და მეც შეიძლება უფრო აქეთ ვიხრებოდე. თუმცა, როგორც გითხარით, რაც ხელში მიჭირავს ის მიყვარს და არა მარტო ოთარ ჩხეიძისა. ყველა ნაწარმოები ასეა და ყველა მწერალიც ასეა ჩემს თვალში. ფოლკნერს რომ ვკითხულობ, მიმაჩნია, რომ მასზე დიდი მწერალი არ არის. ტომას ვულფს რომ ვკითხულობ, მასზე დიდი მწერალი არავინ მგონია... ეს ბუნებრივია. საერთოდაც, ლიტერატურა იმიტომ გვიყვარს, რომ აქ არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ნორმები და კლიშეები.

**თამაზ ცხადაძე:**

**– თვითონ ბატონ ოთარს რომელი მწერალი უყვარდა გამორჩეულად. თქვენ, ბავშვებს რომელი მწერლის წაკითხვას გირჩევდათ?**

– არასოდეს უთქვამს ეს წაიკითხეთო... მე და ჩემს დას ყველაფერი უნდა წაგვეკითხა. ჩვენ თვითონ უნდა გავრკვეულიყავით. არ გვეუბნებოდა, ეს სუსტია და არ გინდათ, ან ეს კარგიაო... ისიც უნდა წაიკითხოს ბავშვმა. ის სუსტიც უნდა ნახოს. კარგიც უნდა ნახოს და სჯობს თვითონ გაიკვლიოს გზა. მე მგონი, ეს ყველაზე სწორი დამოკიდებულებაა. არ გვიკრძალავდა არაფერს.

**ნათია გიორგაძე:**

**– თქვენ რომ რეჟისორი იყოთ, ოთარ ჩხეიძის რომელ ნაწარმოებს გადაიღებდით?**

– იცით რა არის? ოთარ ჩხეიძის რომანები, ბატონი რეზო ჭეიშვილი დამეთანხმება, შინაგანად არის მზამზარეული სცენარები. ყველა შეიძლება გამოდგეს სცენარად, რომანებიც და ეტიუდებიც. ძალიან კარგია რომ „ბორიაყი" გასცენიურდა. კარგი ფილმია. მაშინ, საბჭოთა პირობებში, უკეთესად ვერ გადაიღებდი. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო რეჟისორი. რაც მოახერხა გიორგი შენგელაიამ, არის სასწაული... ხოლო დღეს შეიძლება კიდევ გადაიღოს ადამიანმა და სულ სხვანაირად. იმავე გიორგი შენგელაიამ გადაიღოს. ყველა რომანი იძლევა ამის საშუალებას.

* * *

ასე დასრულდა პირველი შეხვედრა პირველ სკოლაში. საწინდარი მომავალი მეგობრობისა. მოსწავლეები როსტომ ჩხეიძესა და რეზო ჭეიშვილს ავტოგრაფებს სთხოვენ. გაბრწყინებული თვალები სიხარულის შუქს აფრქვევენ. ოქტომბრის მზიანი დღეა, სულიერი აღმაფრენისა და მამულისათვის სამაგალითო კაი ყმის ღვაწლით აღტაცების ჟამი.



ანა გელაშვილი

# ბეთლემის ლეგენდიდან სინამდვილემდე

**ბეთლემის კარზე ჰკიდია ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მოუვლის ომის წადილი, ხანდისხან შასძრავს ქარიო.**

მყინვარწვერის მისადგომებთან არსებული ბეთლემის სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შედის ბეთლემის ეკლესია, ქვაჯვარი, „ამირანის ნაქოხარი", „მარიამ წმინდის საბრძანისი", „ირმების საწველი", „ბერების აბანო" მრავალი მღვიმე და გამოქვაბული, ორმოცამდე სხვადასხვა ნაგებობის ნაშთებს მოიცავს და მდებარეობს 4108 მეტრზე. ის ყველა დროში იქცევდა ყურადღებას და აქაურ მცხოვრებთა ყოფაში ხალხური თქმულებებით, ლეგენდებით და ლექსით ვლინდებოდა.ეს ლექსიც ხომ ამ ლეგენდის გამოძახილია. დრომ ბევრი შექმნა და შემოინახა ამ წმინდა ადგილის შესახებ. ბეთლემსა და კავკასიონის მარადთოვლიან მწვერვალებს არქაულ გადმოცემებსაც უკავშირებენ. მოგვიანებით კი ძველი და ახალი აღთქმის გადმოცემები ენაცვლება და გრძელდება მისი ლეგენდა თუ სინამდვილე აგერ ჩვენამდე.

მართლაც „ვინ მისწვდა და მყინვარწვერზედა ვინ შეაბა რკინის კარები..."

წერილობითი ცნობები ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის, ეფრემ მცირის ნაშრომში გვხვდება.

შემდგომში XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღწერს : „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გადმოკიდებული ქვაბიდამ, და მით აღვლენ, იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ და სხვათაცა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ, კვალად ძირსა მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ და აწ ცალიერი".

ვახუშტის მიერ მოხსენიებული გადმოცემა ბეთლემში აბრამის კარვის არსებობის შესახებ იოანე ბატონიშვილის (1768-1830) „კალმასობაშიც" იხსენიება, იგი მოგვითხრობს, მღვდელ იოსებ მოხევის ცხოვრებაზე, რომელიც ყოფილა „ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარხული, ავიდა მყინვარსა მთასა შინა, კაცთაგან მიუვალსა და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრაამისა მამამთავრისა, რომელ ჯერეთაც არავინ არსლულ არს მთასა მისა."

ბეთლემის ქვაბული და გერგეტის სამება წყაროებში მოხსენიებულია „მცხეთის სამკაულის სახიზნად". საქართველოს ძნელბედობის ჟამს ბეთლემის მღვიმეებში გახიზნულ განძს მოხევე-მთიულნი იცავდნენ. განძთა მცველნი იყვნენ „საყდრიშვილნი", რომელთაც ტაძრის მსახურება ევალებოდათ, ეს იყო ხევში არსებული ინსტიტუტი და ამ წოდების მქონენი რიგით მეთემეებზე მაღლა მდგომნი იყვნენ, მათი სისხლი კი სამჯერ ძვირად ფასობდა.

განძის მცველთა თავდადებაზე ერთი ადრინდელი შეფიცულთა თქმულება გადმოგვცემს: „უსჯულოები ჩთას მთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან (მაღალმთიანი გადასასვლელი დარიალის დასავლეთით) შემოესივნენ ხევს, აიღეს დარიალის ციხე, დაიპყრეს ხევი და ვიდრე საქართველოს დედაქალაქზე გაილაშქრებდნენ, სცადეს სამების განძეულის ხელში ჩაგდება... მწყემსმა ლუგამ დატყვევებული ძმისგან შეიტყო მტრის განზრახვა; განძი, რომლთა შორის იყო „ოქროს აკვანი“, „წმინდა ნინოს ოქროს ჯვარი“ და „სულის სახარება“, მყინვაწვერის გამოქვაბულში გადამალა და მცველად დაუდგა... მას მიეშველნენ ცხრა შეფიცული და ვიდრე ვახტანგ გორგასალი მხსნელად მოევლინებოდა ხევს, განძი საიმედოდ იყო დაცული; როცა ხევი დამშვიდდა, მეფის ბრძანებით განძი ისევ სამებაში იქნა ჩამოტანილი...

გამარჯვებულ მეფეს კი ულოცია სამების ქედზე, გადმოცემის მიხედვით ამ დროინდელია მოხეური ლექსი: **„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკვა, მყინვარწვერზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა...“**

ძალზედ საინტერესოა თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის აღწერა: „მუნით მოიქცა ქრისტეთის გზით და მუნით მოვიდა ხევსა მთიულეთისასა ლომეკის მდინარესა ზედა (რომელსა სახელ დებენ თერგად) და აღვიდა ძირსა საშინელსა მის კავკასიურისა მთისა, რომელსა ეწოდების მყინვარი... მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ჩამოსწვრივ პირი მისი, აღმართა მუნ ჯვარი,არს ადგილსა დაბა და ადგილსა მას, სადა იგი ჯვარი აღმაღთა წმინდამან ამან მოციქულმან აწ არს მას ზედა ეკლესია, დიდი მონასტერი."



*ბეთლემის კარი*

როგორც ირკვევა, საქართველოში დაარსებულ პირველ ქრისტიანულ კერებთან ერთად აშენდა ბეთლემის ადგილას თავდაპირველი სამლოცველო, სტეფანე პირველმოწამის სახელზე. თვით ის ფაქტი, რომ სტეფანე პირველმოწამის სახელი იხსენიება, კიდევ ერთხელ მოწმობს აქაურობის სიძველეზე, რადგან ახალია ქრისტიანობა, პირვანდელ მოწამეთა სახელებს არქმევენ იმდროინდელ ეკლესია-მონასტრებს, თვით წმ. სტეფანეს ისტორიას ხომ წმინდა წერილი გადმოგვცემს.

სამონასტრო ცხოვრება ბეთლემში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, VI საუკუნიდან, ასურელი მამების მოსვლასთან ერთად იწყება. „და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.“

როდის შეწყდა აქ „განდეგილ ძმათა“ მოღვაწეობა დანამდვილებით არავინ იცის,

ვინ და რა გარემოებაში დატოვა აქაურობა საბოლოოდ? იქნებ მართლაც ილიას განდეგილია ის ბოლო მეუდაბნოე? ერთ-ერთი გადმოცემით აქაურობის უკანასკნელი მეუდაბნოე ყოფილა XVIII სუკუნის მოღვაწე, ბერი ბესარიონ ფავლენიშვილი. დაცარიელდა და გაუკაცრიელდა ეს სანახები.

ბეთლემის ირგვლივ დუმილი სუფევდა კარგა ხანს, თუმცა აქა-იქ პერიოდიკაში ქვეყნდებოდა მწირი მასალები.

რვაკაციანმა ექსპედიციამ, რომელიც 1948 წლის 7 იანვარს შედგა, ალექსანდრა ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა, ექსპედიციაში შედიოდნენ: ლევან სუჯაშვილი, შალვა წერეთელი, სტეფანე ალიბეგაშვილი, არჩილ კობაიძე, გრიგოლ შადური; მთამსვლელები: ირაკლი იმნაძე და ვალერიან სუჯაშვილი. მათ განახორციელეს ასვლა ბეთლემზე, მათ შორის ლევან სუჯაშვილს უკვე ნანახი ჰქონდა ბეთლების სენაკი. ექსპედიციამ დაათვალიერა და აზომა სენაკი, ალექსანდრა ჯაფარიძემ კი აღწერა სამლოცველო.

ბეთლემის სადგომი მცირე ზომის სამლოცველოა, რომლის სიგრძე 3.90 მ და სიგანე 4.10 მ თაღოვანი ხის კარით, რომელსაც რკინის ფენა აქვს გადაკრული, კარზე კი მიუმაგრებულია სქელი ჯაჭვი, რომელიც ქვემოთ ეშვება. სწორედ ამ ჯაჭვით ადიოდნენ გამოქვაბულში.

ჩრდილო-აღმოსავლეთით დგას ანდეზიტის ტრაპეზის ქვა, რომელზედაც გადაფარებულია თეთრი ქსოვილი. ტრაპეზზე აწყვია სხვადასხვა ნივთები: მოზრდილი, სამფეხა ბრინჯაოს შანდლის ძირი, მარჯვნივ კუთხეში ხის ლამბაქი, მეორე კუთხეში – ხისავე ჯამი, შუაში იყო ხის პატარა კოლოფი ორნაწილიანი, რომელშიაც ათიოდე ვერცხლის ფული შეენახათ. შუაშივე იყო მუცელგანიერი პატარა ხის ჭურჭელი გახვრეტილი თავსახურით, რომელიც შესაძლოა მირონისთვის გამოიყენებოდა. აქვე ინახებოდა ჭედური ხატი ასომთავრული წარწერით, რომელზედაც დაეფარებინათ ჯვრის გამოსახულებიანი ნაქარგი ნაჭერი. აგრეთვე სანთლები, რომელთა პატრუქად გამოუყენებიათ ადგილობრივი ბალახი (ქუჩი).

ასეთი დახვდათ ჯგუფის წევრებს მრავალი წლის მდუმარების შემდეგ ბეთლემის სამლოცველო.

ექსპედიციის წევრებმა მოიძიეს სულ ოციოდე ნივთი.ისინი ჩამოიტანეს და გამოკვლების შედეგად ზოგიერთის სავარაუდო ეპოქა დადგინდა; ჭედური ხატი XII-საუკუნისა, შანდლის ნაშთი და რამდენიმე მონეტა-XV საუკუნის II-ნახევრისა, ნაწილი კი ირანული წარმოშობის, XVII საუკუნისა. ნივთების ნაწილი, მათ შორის ბეთლემის კარი და ჯაჭვიც. დღეისათვის ნაწილი ნივთებისა, ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიულ მუზეუმშია დაცული.

ბეთლემს მოშორდა მრავალსაუკუნოვანი საიდუმლოების ფარდა, დღეს შეგვიძლია ვიხილოთ ის ნივთები, რითაც „უწინდელ დროში ღვთის მოსავთა“ მიერ მსახურება აღევლინებოდა. „სად უწირავთ უფლისა მიმართ მსხვერპლი ქებისა და ღაღადების“ რჩეულთ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის კი საიდუმლოებას წარმოადგენდა და საკრალურ, მიუწვდომელ მყინვარებში დაედოთ ბინა.

ბეთლემში ჩვენს დროში აღსდგა მსახურება, პირველად ლიტურგია სწორედ შობის დღესასწაულზე ჩატარდა 1997 წელს.

დაიბადა 1994 წლის 2 აპრილს. 2000 წელს შევიდა წმ. გიორგის სახელობის სკოლაში. 2007 წლიდან სწავლობს ბრიტანულ აკადემიურ სკოლაში. 2010 წელს მონაწილეობდა ევროპის სახლში გამართულ ჯგუფურ გამოფენაში. დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო ლექსებისა და მინიატურების წერა. იბეჭდება პირველად.

ლუკა აქიმიძე

## ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

თითის წვერებზე აიწიე, ჰაერს რომ შეეხო.შენ, ცხოვრობ ზღვისპირა ქოხში.

არ გაქვს თვალები, მაგრამ ყველა ფერს გრძნობ. წყალს ვერ სვამ, ცრემლებით იკვებები.

ზიხარ ზღვისპირას და ფიქრობ ზღვიდან ატყორცნილ წითელ სხივებზე. ცა და მიწა ერთი ფერის გგონია, რადგან ჯერ ბავშვი ხარ.

არ იცი ღმერთის არსებობა, მისი სახელი არასდროს გაგიგია.

შენ მხოლოდ სინათლეს ხედავ და გაქვს ყველაზე ღრმა შუშის თვალები. როცა ზღვა ღელავს, გეშინია და ტირი, ზღვა ჩერდება და მხოლოდ შორს შრიალებენ ნუშის ხეები. და შენ იღიმი, როგორც კეთილ მომაკვდავს უნდა უკანასკნელი ღიმილით გაათბოს ყველაფერი. შენი საყვარელი სათამაშო ზღვის კულულებია.

გჯერა, რომ არსებობს ქალაქი ზღვაში, რომელსაც ვერასდროს ნახავ, რადგან მე სიტყვებში ჩაგამწყვდიე და არ ვიცი როგორ გამოგიშვა. შენ, ამიერიდან რამდენიმე კაცის თვალის სათამაშო იქნები, მაგრამ მინდა იცოდე, რომ მიყვარხარ და არასდროს ვიპოვი გზას, შენს გამოსახსნელად, რადგან შენ მხოლოდ ჩემთვის არსებობ და მხოლოდ ჩემთვის ხარ თავისუფალი.

## ᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

ჩვენ ვხედავთ ჰორიზონტზე შემდგარ სკულპტურებს, მზის გასწვრივ.

ისინი ნისლში კრთებიან, ცხოვრების პერსპექტივა მიჰყვებათ...

თეთრი თითები როიალზე უკრავენ და რობინ-ჰუდი ბუმბულს ლოკავს მოჭუტული თვალებით.

...

ჩამავალი მზე ეგებებათ ომიდან დაბრუნებულებს (დაბრუნებამდე მათ ცოლებს მთვრალი პოლკოვნიკები აუპატიურებდნენ). მოლიპულ ქუჩაზე ბავშვები დახტიან, ბავშვების დაბრუნება უხარიათ.

კარებში შემოდის თვალებით. ყვირის: "კარაქი მაჭამეთ!".

მათთვის ომი არასდროს დასრულდება, მათ მაგივრად ცა იტირებს, რადგან ცრემლი დაუშრათ. იოცნებებენ სიკვდილზე და ერთხელ მთვრალები ითამაშებენ "რულეტკას" და ყველა წააგებს. ამ დროს ოთახში იქნება სიჩუმე და გულწასული მეზობელი ვერ გამოიძახებს სასწრაფოს გადარჩენილის დასახმარებლად. მათ გულებს გაახსენდებათ შიშველი მედდა საწოლში და შემდეგ შიშველი მედდა სისხლში (მობანავე) დაბომბვის შემდეგ. შორეულ ვილაში პრეზიდენტები დალევენ მათ სადღეგრძელოს, მოიგონებენ, როგორ სამშობლოს ღირსეულ გმირებს... და სავალდებულო სიჩუმის შემდეგ რომელიღაც მინისტრი გაბედავს და თავშეკავებით იხუმრებს.



ჩვენ წავალთ სასაფლაოზე და მათ საფლავებს მივაყურადებთ. მოისმინეთ! ისინი წითელ დღეებზე გვიყვებიან, რომლებიც ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცების ტვინებში დღემდე დნებიან.

* * *

სოფელში. დილით ბებო გუშინდელ ნაკვერჩხალზე ცეცხლს ანთებდა.

ნაკვერჩხალს ამომავალი მზის ფერი ჰქონდა, თუმცა შინ თბილოდა, გარეთ არა...

ხშირად ვფიქრობ, მზეს უფრო ვუყვარვარ თუ ბებოს, შემდეგ ზაფხული მახსენდება და ვიბნევი...

* * *

ნათურაზე მიმდნარი პეპელა ჯერ კიდევ ცოცხალია.

შენ ამ ტრაგედიას სიტყვებით ვერ აღწერ. მასზე მხოლოდ ზღვა მოგვიყვება, პირისპირ. ნათურა აგრძელებს ნათებას (ის მზე არ არის), პეპელა კვდომას. მან ვერ მოასწრო ფანჯრის მიღმა სამყაროს შეცნობა, ვერ მოასწრო გამხდარიყო ფილოსოფოსი.

ჩვენ, სიგარეტს ვეწევით და პეპლის კივილს ბოლის აბსტრაქციაში ვახვევთ. ჩვენ ფუტურისტები ვართ!

## ᲛᲘᲛᲝᲘᲮᲔᲓᲔ

თითის ცერივით დაბლებს და მსუქნებს,
ოქროს ჯაჭვიან ბობოლა ბიძებს გამოვექეცი.
ეს იყო ორი დიდი წლის წინათ,
ძარღვებზე ახლო,
თვალებზე მაღლა,
როდესაც ნისლით დასერილ მთაზე,
ვეძებდით სხვისთვის უცნობ ბილიკებს
და ინსტრუქციებს გვაძლევდა ქარი.
ჩვენს და ცას შორის,
მკრთალი ფრენით არღვევდა საზღვარს,
პეპლების გუნდი.
მიმოიხედე,
როგორც კრიალა ცაზე მზის სხივი
გაკვალავს სივრცეს.
განწირულ თვალებს დაინახავ,
ბავშვების ფეხით გათელილ ხნულში.
და გამოფხიზლდი,
ნამძინარევმა მოიფშვნიტე ღამის თვალები,
ღამის ნარჩენი
გააგდე მკაცრად,
როგორც უზრდელი ვილაცა მდგმური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაინახავ, როგორ ახლოს ვართ ხეებთან ახლა,
რომ შევეზრდებით ერთ-ერთ ტოტად,
დაღალულ ტანზე.
მიმოიხედე,
ჩვენ ვეძებთ სხვისთვის უცნობ ბილიკებს,
ნისლით დასერილ პატარა მთაზე.

## დრო

*(აბსურდული ლექსი)*

შორეული ბოლის ნაფლეთი,
ჩემს ფილტვებშია.
ჩვენ,
არარსებული სიმბოლოებით ვწერთ,
ვიწვით წყალში
ვარსკვლავებთან
და ცალ-ცალკე.
ჩემში შემოდიხარ,
როგორც ტალღა.
მისტიკური ტაძრის ბოლო,
თეთრი სულთანია (ოქროს საყურით).
საათს ვიხსნი,
გრუქნი,
რომ დამივიწყო,
როგორც უცნობი მხატვრის პეიზაჟი.
თვალებით მანიშნებ
და მე გავრბივარ
ჩრდილის გვერდზე.
შენი ნაჩუქარი შარვალი
დღემდე მაცვია,
უკვე ლაქებში...
ცის დნობას
ვერაფერი შეაკავებს,
მხოლოდ ღამე.
რკალზე დავდივართ,
ის თვალებით გვანიშნებს
და ჩვენ გავრბივართ,
ჩავდივართ ზღვაში,
რომ დავივიწყოთ ყველა მიწიერი,
დავიწვათ,
ვარსკვლავებთან
და ცალ-ცალკე.

## შორ, დაღლილ ტბასთან

ძონსიფერი ქარავანი
უსასრულობამ დაღალა...

ამ რეაქტიულ,
უაზრო დროში,
ვიწყებთ სვლას,
დაღლილ ტბისკენ.
გზაში ვეცემით
ხეების ჩრდილზე.
ხელის ცეცებით,
ვიწყებთ ძებნას
ჩვენი ტერფების,
როგორ სუნთქავენ
სიარულისას
ფოთლებთან ერთად.
ზღვის მდუმარება
ჩვენში შემოდის,
ჰაერის ტალღა.

მტვრიანი ქოლგა
უჭირავს ხელში,
ჩუმად გვიყურებს.
იბადებიან,
იცინიან,
შემდეგ კვდებიან
და ჩვენ გავრბივართ
დაქსაქსულ გზაზე,
თან ისე სწრაფად,
რომ უკან გვრჩება
ჩვენი ჩრდილები,
მგელივით მოგვდევს.
აქ არც დედები არ მოდიან
დასამშვიდებლად,
და იკერებენ
დასიებულ თვალის ქუთუთოს,
რომ დაგვანახონ,
გვიყვირონ ჩუმად:
"ჩვენ ცრემლებს ვმალავთ."
ამ წარმოდგენის მაყურებლები
მხოლოდ სკამები არიან,
მაგრამ გავრბივართ,
რომ ვიპოვოთ
ჩვენი ნაწილი
მცირედი სივრცე.
უცებ ვშეშდებით,
ვხედავთ ნაივურ,
ლამაზ პეიზაჟს.
ახლა ტბასთან ვართ!
ის მოგვიყვება,
როგორ დასვარეს,
მობანავე
მკაცრმა კაცებმა.
ჩვენ მშვიდად ვუსმენთ
და ვიკარგებით
ჩვენ-ჩვენ სიღრმეში,
ვფიქრობთ ამბებზე,
რომ მოვისმინეთ შორს,
დაღლილ ტბასთან.

## ქალაქს დახედე

*ეძღვნება 90-იანებში დაბადებულებს*

ქალაქს დახედე,
ზემოდან,
ხედავ კუბოკრულ პეიზაჟს,
სახლებს.
გამვლელის სუნთქვა
დარაბებს,
სიჩუმეს არხევს.

ასოებს შორის
ვკითხულობთ კაცებს,
ქალებს.
ბოლო ჩვენამდე
ნელ-ნელა აღწევს,
სუნთქვაში ვკარგავთ,
დროგასულ საზღვრებს.
მტვრიან გულებზე
სისხლი გვაშანთავს სევდას.
დახედე ღრუბელს,
როგორ დაადგა
დაღლილ ქალაქს.
ქოლგის რიგები,
მოდიან სწრაფად,
ქალაქს დახედე,
ნაჭუჭში კვდება
ღამის პეპელა
და სიცოცხლისთვის
მზადაა თავისუფლება
მიჰყიდოს ეშმაკს.
ცხვრების ფარები,
კვერცხისებრი ბაქტერიები,
გაეკვრნენ მთაზე,
ქალაქს დახედე,
მე და შენს შორის დიალოგია,
დიალოგს შორის ჰაერი,
ჰაერს ჩახედე,
მთებს არ გახედო,
შორსაა ჩვენგან.

და ეს ლექსი,
ვიცით მოხდა
ჩვენ ორის დაბადებამდე,
მაშინ როდესაც
ტყვიებმა დროით დაგვღალეს.
მაშინ როდესაც
ასოებს შორის
ქარი ანგრევდა
წითელ დარაბებს.

### მთვარის შეხება

ჩვენ გვჯეროდა, თუ მთაზე ავალთ
მთვარეს შევახებთ დაღალულ ხელებს.
მაგრამ როდესაც დავდექით მთაზე
და ავიწიეთ თითის წვერებზე,
ჩვენ შეგვრჩა მხოლოდ
სიცარიელესავით
ცარიელი
სიცარიელე.
მაშინ გავბრაზდით,
ვაგინეთ ზეცას
და არარსებულ
        ღმერთს გავუბრაზდით...
როგორც ედება ნამგალს თავთავი,
ისევე მთვარეს ღრუბელი ედო
და აგზავნიდა სხივებს ჩვენამდე,
მისი შეხება ოდნავ რომ გვეგრძნო.

### როცა თამამი მეცნიერი და თამამი შემოქმედი ერთსულ და ერთხორც სულდგმულობენ და ოცნებობენ

გამოხმაურების ამგვარი დასათაურება ჩამაგონა სახელოვანი მთარგმნელის, კულტუროლოგიისა და ქართული და ევროპული ლიტერატურული აზროვნების საურთიერთო სანყისთა ჩინებული მაძიებლის გურამ გოგიაშვილის დროულმა ნააზრევმა **„მივიწყებული წარსულის საიდუმლო, ანუ შეიძლება თუ არა, რომ შექსპირს სცოდნოდა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის არსებობა"**, რომელიც „ჩვენი მწერლობის" წლევანდელ მე-2 ნომერში დაიბეჭდა. ჩემი აზრით, ეს თითქმის ორგვერდნახევრიანი ნაშრომი, მეტად მნიშვნელოვანია და დიდად წაადგება იმ ისტორიული მეხსიერების გაცოცხლება-გაღრმავებას, რომელსაც მრავალი საუკუნის წინათ, ჯერ დიდი ათონელები სწავლობდნენ და შემდეგ ბატონმა სიმონ ყაუხჩიშვილმა ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობით გააფართოვა და გააღრმავა... გმადლობთ, ბატონო გურამ, დროული და აუცილებლად საჭიროების სულიერი ძალის სასიცოცხლო ძარღვის გაცოცხლებისათვის, მადლობა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" რედაქციას აკადემიური და მსოფლმხედველობით-ესთეტიკური დონის სისტემატური ამაღლების მცდელობისათვის... რომლის თვალსაჩინო ნიმუშად გვესახება ბატონი გურამ გოგიაშვილის ზემოთ აღნიშნული ნააზრევიც:

ჩნდება კითხვები: მაინც რითი ეხმიანება და ემსახურება ბატონი გურამის ნააზრევი ქართველი მკითხველის სულიერების გამდიდრებას და რა მნიშვნელოვანი სიახლე წამოსწია სახელოვანი რუსთველოლოგის პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის ნაშრომიდან ვეფხისტყაოსნის საძიებო პრობლემატიკასთან დაკავშირებით? ბატონი გურამი წერს: „ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფიაში გამოთქმული და შეძლებისდაგვარად დასაბუთებულია ქართული კულტურისათვის სრულიად ახალი აზრი: ვეფხისტყაოსანი გამოყენებულია XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისურ ლიტერატურაში... ჩანს, ეს აღმოჩენა სრულიად ახალი სიტყვაა ინგლისურ სალიტერატურო კრიტიკისათვის".

იქვე, მომდევნო კონტექსტში ვკითხულობთ: „შექსპირის თანამედროვე და უშუალო მემკვიდრე დრამატურგების – ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ორი პიესა („მეფე და არამეფე" და „ფილისტერი", რომელთა სიუჟეტური წყარო უცნობად ითვლებოდა, ვეფხისტყაოსნის ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობის ამბის გადამუშავების შედეგად არის შექმნილი".

დაინტერესებულმა მკითხველმა რომ ცხოველად ირწმუნოს ეს მოსაზრება, ნააზრევში საგანგებოდ აღნიშნულია: „მართალია, ინგლისელ „ავტორთა ერთ-ერთი პიესის, კერძოდ, მეფისა და არამეფის მოქმედება იბერიაში მიმდინარეობს" და ეს იბერია „ნამდვილად ჩვენი კავკასიის იბერიაა და არა პირინეის იბერია... ეს იქიდანაც ჩანს, რომ პიესის მთავარი პერსონაჟი-იბერიის ახალგაზრდა მეფე-მეზობელი არმენიის მეფეს ამარცხებს".

ვიზიარებ იმ მოსაზრებასაც, რომ „...ვეფხისტყაოსანსაც თითქმის ოთხასი წლის შემდეგ მიუღწევია შექსპირის სამშობლოსათვის. ალბათ, ევროპელი დიპლომატების, მოგზაურებისა და ვაჭრების ხშირი მიმოსვლის საშუალებით და მჯერა, „წინ ჯერ კიდევ ბევრი, ბრძენთა ბრძენი ფილოსოფოსთათვისაც დაუსიზმრებელი ამბები გველოდება".

**შოთა ქურდაძე**

# ცოტა რამ შირლი ჯეკსონის შესახებ

„XX საუკუნის ამერიკული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, იდუმალი, საშინელებათა მოთხრობებისა და რომანების ოსტატი, მოულოდნელობის ეფექტისა და ზებუნებრივი მოვლენების გამოხატვის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული მწერალი ქალი“ – ასე ახასიათებენ შირლი ჯეკსონს მისი თანამედროვე კრიტიკოსები.

შირლი ჯეკსონი დაიბადა სან ფრანცისკოში 1916 წელს, 14 დეკემბერს. ბავშვობა კალიფორნიაში, ბერლინგების მახლობლად გაატარა. სწორედ აქ დაიწყო თინეიჯერმა შირლი ჯეკსონმა პოეზიისა და მოკლე მოთხრობების წერა. როცა შირლი ჩვიდმეტი წლისა გახდა, მისი ოჯახი აღმოსავლეთით გადავიდა და მან როჩესტერის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, მაგრამ 1936 წელს სწავლას თავი დაანება და მწერლობას მიჰყო ხელი. მთელი წელი ვარჯიშობდა წერაში და დღეში ათასამდე სიტყვას წერდა. 1937 წელს სირაკუზის უნივერსიტეტში შევიდა და იმავე წელს გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა „ჯენისი“, ხოლო პოეზიაში პირველი პრიზი დაიმსახურა.

სწორედ იქ, სირაკუზის უნივერსიტეტში შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, ახალგაზრდა კრიტიკოსს სტენლი ედგარ ჰაიმანს. ცოლ-ქმარმა ერთდროულად დაამთავრა უნივერსიტეტი და საცხოვრებლად სოფელ გრინვიჩში გადავიდა. მათ ოთხი შვილი შეეძინათ. მიუხედავად იმისა, რომ შირლი ბევრ დროს უთმობდა ოჯახის მოვლასა და ბავშვების აღზრდას, მაინც ახერხებდა წერას.

1944 წელს მისი მოთხრობა „წამო, მეცეკვე ირლანდიაში“, საუკეთესო ამერიკულ მოთხრობად აღიარეს, ამას მოჰყვა „ორაზროვნების შვიდი სახეობა“, სადაც პირფერი, ეგოისტი და ხარბი ადამიანები არიან გამოყვანილნი.

1945 წელს სტენლი ჰაიმანს შესთავაზეს ლექციების კურსის წაკითხვა ბენინგტონის კოლეჯში, ვერმონტში. შირლი იქაც განაგრძობდა ოჯახის მოვლასა და წერას. შირლი წერს: „ჩემი ცხოვრების ორმოცდაათი პროცენტი გატარებული მაქვს რეცხვაში, ბავშვების ჩაცმა-გახდაში, საჭმლის მომზადებაში, ჭურჭლის რეცხვასა და კემსვაში“-ო. აკი ნეკროლოგშიც ასეა მოხსენიებული: „ფაქიზი, მოწესრიგებული ქალბატონი, რომელიც თავისი ცისფერი თვალებით, რქის ჩარჩოიანი სათვალიდან უჭვრეტდა სამყაროს“.

1948 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ნოველა: „გზა კედელში გავლით“. იმავე წელს „ნიუ იორკერმა“ დაბეჭდა მისი სენსაციური მოთხრობა „ლატარია“. ლენემაია ფრიდმანი თავის კრიტიკულ ნარკვევში წერს: „ამ მოთხრობამ ისეთი გამოხმაურება ჰპოვა, როგორიც „ნიუ იორკერის“ არცერთ პუბლიკაციას არ ღირსებია. რედაქციას ნიაღვარივით მოაწყდა ასობით წერილი, რომლებშიც, როგორც თვითონ შირლი წერს, გამოხატული იყო „აღშფოთება, განსჯა და ძველმოდური შეურაცხმყოფელი მიდგომა“. მაგრამ ეს იქამდე იყო, სანამ ადამიანთა გონება ჩასწვდებოდა ამ მოთხრობის არსსა და მნიშვნელობას. შემდგომ კი „ლატარია“ მრავალ ენაზე ითარგმნა და ამერიკაში და მის გარეთაც დიდი პოპულარობით სარგებლობს და უმაღლესი სკოლების პროგრამაშიც არის შეტანილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს მოთხრობა მეოცე საუკუნის მკითხველთა ყურადღების ცენტრში მოექცა და მასზე უამრავი რეცენზია და ნარკვევია დაწერილი. მკითხველთა რეაქცია ურთიერთგამომრიცხავი გრძნობებით იყო სავსე. „დედაჩემიც კი მსაყვედურობდა“, – წერს შირლი. „მამაშენი და მე მაინცდამაინც არ გაგვახარა „ნიუ იორკერში“ გამოქვეყნებულმა შენმა მოთხრობამ“, სწერდა დედამისი მკაცრი ტონით. „მეჩვენება, ძვირფასო, რომ ეს პატარა შემაძრწუნებელი მოთხრობა დღევანდელი ახალგაზრდობის განწყობას გამოხატავს. რატომ არ შეგიძლია ისეთ მოვლენებზე წერა, რაც ხალხს გაამხნევებს და გაახალისებს?“

მაგრამ შირლის სწამდა, რომ ეს მოთხრობა დაამსხვრევდა ჯერ კიდევ შემორჩენილ ძალმომრეობით ტრადიციებს და ადამიანებს თავიანთ შავბნელ საქციელსა და ახლობლისადმი გულგრილობის მავნე გამოვლინებაზე დააფიქრებდა. რა თქმა უნდა, მოვლენები ამ მოთხრობაში შეიძლება ზედმეტად ჰიპერბოლიზებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ ბევრი რამ საცნაური და საგულისხმოა. განა ის ენითაუწერელი სისასტიკე და მოძმისადმი დაუნდობლობა, რაც ოცდამეერთე საუკუნეში მომხდარა და ხდება, ქვით ჩაქოლვაზე ნაკლებია? რა განსხვავებაა, რითი მოკლავ უდანაშაულო და ღირსეულ ადამიანს – ცილისწამებით, დევნით თუ ჩუმად, მიპარვითა და ტყვიის დახლით?

შირლის იდუმალებით სავსე რომანებმა (სულ ოთხი რომანი აქვს დაწერილი: „გზა კედელში გავლით“, „ჰენგსამენი“, „ჩვენ ყოველთვის სასახლეში ვცხოვრობდით“, „დევნა“ და ერთი დაუმთავრებელი რომანი „წამოდი ჩემთან ერთად“) და მოთხრობებმა დიდი გავლენა მოახდინეს ისეთ ცნობილ მწერლებზე, როგორებიც არიან: ნედ გაიმანი, სტივენ კინგი, ნიგელ კნაელი და რიჩარდ მეტისონი.

1949 წელს შირლის ოჯახი გადადის უესტპორტში, კონექტიკუტში. იმავე წელს გამოდის მისი მოთხრობების მეორე კრებული „ჯეიმზ ჰარისის თავგადასავალი“. უესტპორტში ჰაიმანების ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ მწერლები, კომპოზიტორები და ხელოვნების სხვა წარმომადგენლები. მათ შორის რალფ ელისონიც, რომელმაც მათთან სტუმრობისას დაასრულა თავისი შესანიშნავი რომანი „უჩინარი კაცი“, „ნეშენალ ევორდი“ რომ დაიმსახურა.

1951 წელს გამოდის შირლის რომანი „ჰენგსამენი“ და მოთხრობა „ზაფხულის ხალხი“. ორივე წლის საუკეთესო ნაწარმოებად აღიარეს. იმავე წელს ჰაიმანები ბრუნდებიან ნორთ ბენინგტონში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე რჩებიან.

გარდა საშინელებათა რომანებისა და მოთხრობებისა, შირლი საბავშვო, მხიარულ ნაწარმოებებსაც წერდა. იგი დიდი იუმორის გრძნობით აღწერდა ოჯახური ცხოვრების სახალისო და მღელვარე მოვლენებს (მაგ: ნოველა „ჩარლი“).

1952 წელს მოთხრობა „ლატარია“ გადაიღეს რამდენიმე სატელევიზიო ვერსიად. ერთ-ერთი, მეტად საინტერესო ვერსია ახლაც შეიძლება ნახოს დაინტერესებულმა მკითხველმა ინტერნეტში. დამდგმელი რეჟისორია ლარი იუსტი და ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი აღიარებულ იქნა „დაუვიწყარ სანახაობად“.

1997 წელს ენთონი სპინსერის მიერ გადაღებულმა ფილმმა „ლატარია“, მიიღო „სატურნის ჯილდო“.

2007 წელს აგუსტინ კენედი კიდევ ერთხელ მიუბრუნდება „ლატარიას“ და იღებს თერთმეტწუთიან ფილმს. ასე რომ, ინტერესი შირლი ჯეკსონის „ლატარიის“ მიმართ არც ახლა განელებულა.

1965 წელს ჯეკსონმა მიიღო „არენტ ფაილონის“ ჯილდო და მიწვეულ იქნა სირაკუზის უნივერსიტეტში დაჯილდოების ცერემონიაზე, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო მას.

შირლი მთელი ცხოვრება ნევროზული და ფსიქოზური დაავადებით იტანჯებოდა. ამ დაავადებებმა და დიდი რაოდენობით სამკურნალო პრეპარატების მიღებამ კიდევ უფრო შეარყია მისი ჯანმრთელობა და ნაადრევი გარდაცვალება გამოიწვია.

1963 წლის 8 აგვისტოს, 45 წლისა, მისთვის ჩვეული შუადღის ძილისას, შირლი ჯეკსონი გულის შეტევით გარდაიცვალა.

**მთარგმნელი**

**შირლი ჯეკსონი**

# ლატარია



ოცდაშვიდი ივნისის ნათელი და მზიანი დილა იდგა. ჰაერში შუაზაფხულის დღის საამო სითბო ტრიალებდა, ყვავილები უხვად ყვაოდნენ და ბალახი მუქმწვანედ ბიბინებდა. დაახლოებით ათ საათზე საფოსტო განყოფილებასა და ბანკს შორის მდებარე მოედანზე სოფლის მოსახლეობამ დაიწყო თავმოყრა. ზოგ ქალაქში იმდენი მოსახლე იყო, რომ ლატარიას ორი დღე მოანდომეს და ოცდაექვს ივნისს მოუხდათ დაწყება, მაგრამ ამ სოფელში, სადაც მხოლოდ სამასი ადამიანი ითვლებოდა, მთელმა ლატარიამ ორ საათზე ნაკლებს გასტანა. ასე რომ, მისი დაწყება შეიძლებოდა დილის ათ საათზე, რათა სწორედ იმ დროისათვის დამთავრებულიყო, როცა სოფლელები შუადღის სადილისთვის უბრუნდებოდნენ სახლებს.

რა თქმა უნდა, უპირველესად ბავშვებმა მოიყარეს თავი. ის-ის იყო ზაფხულის არდადეგები დაწყებულიყო და მათი უმეტესობა თავისუფლების შეგრძნებას ჯერ ვერ შეჩვეოდა. ერთხანს წყნარად იყრიდნენ თავს, ვიდრე ხმაურიან თამაშს წამოიწყებდნენ და ჯერ კიდევ გაკვეთილებზე, მასწავლებლებზე, წიგნებზე და დამსახურებულ საყვედურებზე ლაპარაკობდნენ. ბობი მარტინს ჯიბეები უკვე გამოეტენა ქვებით და მის მაგალითს მალე სხვა ბავშვებმაც მიბაძეს. არჩევდნენ ყველაზე გლუვ და მომრგვალებულ ქვებს. ბობი და ჰარი ჯოუნსებმა და დიკი დელაკრუამ, – სოფლელები ამ სახელს „დელაკროიდ" წარმოსთქვამდნენ, – მოედნის ერთ კუთხეში კარგა ბლომად ქვები დაახვავეს და სხვა ბიჭების შემოსევისგან იცავდნენ. გოგოები განზე იდგნენ, ერთმანეთში საუბრობდნენ და თან ბიჭებს მხარსიქით გაჰყურებდნენ, ყველაზე პატარები კი მტვერში იგუნგლებოდნენ ან უფრო ძმების და დების ხელებს ჩასჭიდებოდნენ.

მალე კაცებმაც იწყეს თავმოყრა, თან თვალი თავიანთი ბავშვებისკენ ეჭირათ და თან ნარგავებზე, წვიმაზე, ტრაქტორებსა და გადასახადებზე საუბრობდნენ, კუთხეში დაგროვილი ქვებისგან მოშორებით შექუჩებულიყვნენ, ჩუმად ოხუნჯობდნენ და უფრო ილიმებოდნენ, ვიდრე იცინოდნენ. ქალები კაცების შემდეგ მალევე მივიდნენ გამოხუნებული საშინაო კაბებით და სვიტრებით. ერთმანეთს მიესალმნენ, ცოტა წაიჭორავეს და თავიანთ ქმრებს შეუერთდნენ. მალე ქმრების გვერდით მდგომმა ქალებმა ბავშვებს მოუხმეს და ისინიც, სამჯერ თუ ოთხჯერ დაძახების შემდეგ, უხალისოდ მივიდნენ მათთან. ბობი მარტინი დაიხარა, დედის ხელს გაუსხლტა და სიცილით გაიქცა ქვების გროვისკენ. მაგრამ, მამის მკაცრი ხმის გაგონებისთანავე უმალ დაბრუნდა და მამასა და მის უფროს ძმას შორის ჩადგა.

ლატარიას წარმართავდა, – ისევე როგორც მოედანზე გამართულ ცეკვებს, თინეიჯერთა კლუბს და ჰალოუინის* პროგრამას, – მისტერ სამერსი, რომელსაც დროც და ენერგიაც ხელს უწყობდა, რომ თავი სამოქალაქო საქმიანობისთვის მიეძღვნა. მისტერ სამერსი, მრგვალი პირისახის კაცი, ქვანახშირის ბიზნესს მართავდა. ხალხს მასზე გული შესტკიოდა, რადგან უშვილო იყო და ცოლად ანჩხლი დედაკაცი ჰყავდა. როცა მისტერ სამერსი მოედანზე ხის შავი ყუთით გამოჩნდა, სოფლელებმა ერთმანეთს ჩურჩულით გადაულაპარაკეს. ის კი ხელის ქნევით მიესალმა და დაიძახა: „ხალხო, დღეს ცოტა შემაგვიანდა". ფოსტის უფროსი, მისტერ გრეივზი უკან მისდევდა ხელში სამფეხა ტაბურეტით, რომელიც მოედნის ცენტრში დადგეს და მისტერ სამერსმა ზედ შავი ყუთი შემოსდო. სოფლელები დისტანციას იცავდნენ, სივრცეს სტოვებდნენ ტაბურეტსა და მათ შორის და, როცა მისტერ სამერსმა თქვა, – „რომელიმე ხომ ვერ დამეხმარებითო?" – ხალხი შეყოყმანდა, ვიდრე ორი კაცი, მისტერ ბაქსტერი და მისი უფროსი ვაჟი გამოეყოფოდნენ ბრბოს, რომ ყუთი მყარად სჭეროდათ ტაბურეტზე, ვიდრე მისტერ სამერსი შიგ ჩაყრილ ქაღალდებს აურევდა.

ლატარიისთვის განკუთვნილი თავდაპირველი აღჭურვილობა დიდი ხნის წინათ იყო დაკარგული და ტაბურეტზე მოთავსებულ შავ ყუთს, ჯერ კიდევ ბებერ უორნერის, ქალაქის უხუცესი კაცის დაბადებამდე იყენებდნენ. მისტერ სამერსი ხშირად სთავაზობდა სოფლის მოსახლეობას ახალი ყუთის შექმნას, მაგრამ არავინ იწონებდა იმ ტრადიციის დარღვევას, რომელსაც შავი ყუთი განასახიერებდა. ხმა დადიოდა, რომ ახლანდელი ყუთი მის წინამორბედთა ნარჩენებისაგან იყო შეკრული, იმ ყუთისა, რომელიც იმ პირველ მოსახლეთა მიერ იყო შექმნილი, რომლებიც აქ სოფლის გასაშენებლად დასახლდნენ. ყოველ წელს, ლატარიის შემდეგ, მისტერ სამერსი ისევ წამოიწყებდა საუბარს ახალი ყუთის შესახებ, მაგრამ ყოველ წელიწადს ეს საკითხი უშედეგოდ ამოიწურებოდა ხოლმე. შავი ყუთი კი ყოველ წელს უფრო და უფრო ცვდებოდა. ახლა ის მთლად შავიც აღარ იყო, ერთ მხარეს გვერდი საკმაოდ ჩამოსტეხოდა და პირვანდელი ხის ფერს აჩენდა. ზოგან კი ფერი გაცრეცოდა და დალაქავებოდა.

მისტერ მარტინს და მის უფროს ვაჟს ბაქსტერს შავი ყუთი მყარად ეჭირათ ტაბურეტზე, ვიდრე მისტერ სამერსი გულმოდგინედ ურევდა ქაღალდებს. რადგან რიტუალი კარგა ხანია მივიწყებული და უკუგდებული იყო, მისტერ სამერსმა ხის ფირფიტები, რომელსაც მთელი თაობები წარმატებით იყენებდნენ, ქაღალდით შეცვალა. როცა სოფელი ძალიან პატარა იყო, – მსჯელობდა მისტერ სამერსი, – ხის ფირფიტებს კარგად იყენებდნენ, მაგრამ ახლა, როცა სამასზე მეტი კომლი გახდა და სავარაუდოდ უფრო გაიზრდებოდა, აუცილებელი იყო ისეთი რამის გამოყენე-

---

* შოტლ. ამერ. ყოველ წმიდათა დღის წინალამე, 31 ოქტომბრის საღამო.

ბა, რაც უფრო ადვილად მოთავსდებოდა შავ ყუთში. ლატარიის წინა ღამეს მისტერ სამერსმა და მისტერ გრეივზმა ქაღალდები გრძლად დაჭრეს და ყუთში ჩაყარეს, მერე კი წაიღეს მისტერ სამერსის ქვანახშირის კომპანიის სეიფში და ჩაკეტეს, ვიდრე მეორე დილით მისტერ სამერსი ყუთს მოედანზე წასაღებად მზად იქნებოდა. წლის დანარჩენ დროს ყუთს განზე გადასდებდნენ ხან სად და ხან სად. ერთ წელს მისტერ გრეივზის ფარდულში და მეორე წელს საფოსტო განყოფილების სარდაფში და ხანდახან მარტინის სასურსათო მაღაზიის თაროზე შემოდებდნენ და იქ ტოვებდნენ.

ერთი ფაცი-ფუცი ატყდებოდა ხოლმე, ვიდრე მისტერ სამერსი ლატარიას გახსნილად გამოაცხადებდა. თითოეული ოჯახის წევრის, ოჯახის თავკაცის, მთელი ჯალაბობის სიები უნდა შემდგარიყო. ვიდრე მისტერ სამერსი ლატარიის წამმართველი ოფიციალური პირი გახდებოდა, შესატყვისი ფიცის დადება მოუხდა ფოსტის მმართველის წინაშე. ზოგიერთებს ახსოვთ, რომ ერთ დროს რაღაცა სადეკლამირებაც ტარდებოდა ლატარიის თავკაცთა მიერ. მისტერ სამერსს ყველაფერი კარგად გამოსდიოდა, ქათქათა, თეთრ პერანგსა და ლურჯ ჯინსებში გამოწყობილი, შავ ყუთზე უზრუნველად ცალხელდაყრდნობილი მისტერ სამერსი სწორედ ამ საქმის შესაფერისად და მნიშვნელოვან პიროვნებად გამოიყურებოდა, როცა მისტერ გრეივზს და მისტერ მარტინს შეუჩერებლად ელაპარაკებოდა.

სწორედ მაშინ, როდესაც მისტერ სამერსმა ბოლოს და ბოლოს შეწყვიტა ლაპარაკი და თავშეყრილ სოფლელებს მიუბრუნდა, ბილიკზე გამოჩნდა მხრებზე სვიტრმოსხმული მისის ჰატჩინსონი, მოედნისკენ ნაჩქარევად გაეშურა და ბრბოს უკანა მწკრივს შეერია. „სულ ამომვარდა თავიდან თუ რა დღე იყო", უთხრა მის გვერდით მდგომ დელაკრუას და ორივემ ჩუმად ჩაიცინა. „მეგონა ჩემი ბერიკაცი სახლის უკან შეშას აწყობდა", განაგრძო მისის ჰატჩისონმა. „მერე ფანჯრიდან გამოვიხედე და, ბავშვებსაც რომ ვერ მოვკარი თვალი, მაშინ გამახსენდა, რომ დღეს ოცდაშვიდი იყო და სირბილით წამოვედი". მისის ჰატჩინსონმა ხელები წინსაფარზე შეიმშრალა. მისის დელაკრუამ თქვა: „დროულად მოხვედი. ჯერ კიდევ ლაპარაკობენ".

მისის ჰატჩისონმა ბრბოს შესათვალიერებლად კისერი მოიღერა და წინამწკრივთან ახლოს თავისი ქმარ-შვილი დაინახა. მისის დელაკრუას დასამშვიდობებლად მკლავზე ხელი მოუთათუნა და ბრბოში გზის გაკვლევას შეუდგა. კეთილგანწყობილი ხალხი გზის დასათმობად შუაზე იყოფოდა. ერთმა თუ ორმა კაცმა წამოიძახა, „აი, მისის ჰატჩისონიც მოდის", „ბილ, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა". მისის ჰატჩისონმა ქმრამდე მიაღწია და მისტერ სამერსმა, რომელიც აქამდე იცდიდა, ხალისიანი ხმით უთხრა: „მეგონა უშენოდ მოგვიწევდა დაწყება, ტესი". მისის ჰატჩინსონმა ფართოდ გაიღიმა. „გასარეცხ ჭურჭელს ხომ არ დავტოვებდი ნიჟარაში, არა, ჯოუ?" ჩუმმა სიცილმა გაირბინა ბრბოში. მისის ჰატჩინსონის მოსვლის შემდეგ ხალხმა უკან დაიხია.

„კეთილი, ახლა კი", – თქვა მისტერ სამერსმა დინჯად. „ვგონებ, უმჯობესია დავიწყოთ, ყველაფერი დროზე მოვათავროთ და სამუშაოს დავუბრუნდეთ. ვინმე გვაკლია?"

„დანბარი", თქვა რამდენიმე კაცმა, „დანბარი, დანბარი".

მისტერ სამერსმა სიას ჩახედა. „კლაიდ დანბარი", თქვა მან. „მართალია, მგონი, ფეხი მოიტეხა, არა? მის მაგივრად ვინ ამოიღებს ქაღალდს?"

„ვფიქრობ, მე", – თქვა ქალმა. მისტერ სამერსი შეტრიალდა, რომ შეეხედა. „მისი ცოლი ამოიღებს მის მაგივრად", თქვა მისტერ სამერსმა. „ზრდასრული ბიჭი არ გყავს, რომ შენს მაგივრად ამოიღოს, ჯეინი?" თუმცა მისტერ სამერსს და ყველა თანასოფლელს კარგად მოეხსენებოდა პასუხი, მაგრამ ლატარიის თავკაცის მოვალეობა იყო ასეთი შეკითხვა ფორმალურად მაინც დაესვა. მისტერ სამერსი მისის დანბერის პასუხს სახეზე აღბეჭდილი თავაზიანი ცნობისმოყვარეობით დაელოდა.

„ჰორასი ჯერ თექვსმეტისაც არ არის", თქვა მისის დანბერმა დანანებით. „ვფიქრობ, ამ წელს ბერიკაცის ნაცვლად მე მომიწევს ამის გაკეთება".

„კეთილი", თქვა მისტერ სამერსმა, სიაში, რომელიც ხელში ეკავა, რაღაც ჩაინიშნა. შემდეგ კი იკითხა, „ამ წელს უიტსონის ბიჭი იღებს მონაწილეობას?"

ბრბოში მდგომმა მაღალმა ბიჭმა ხელი ასწია. „აქა ვარ", თქვა მან. „მე ვიღებ დედაჩემის და ჩემს მაგივრად". ბიჭი ნერვიულად ახამხამებდა თვალებს და თავს ხრიდა, როცა ბრბოდან მოისმოდა, „კარგი ყმაწვილი ხარ, ჯეკ", „სასიხარულოა, რომ დედაშენს ასეთი კაცი მოესწრო".

„კეთილი", – თქვა მისტერ სამერსმა. „მგონი, ყველანი ვართ. ამას ბებერი უორნერი გააკეთებს?

„აქ ვარ", გაისმა ხმა და მისტერ სამერსმა თავი დაიქნია.

როცა მისტერ სამერსმა ყელი ხველებით ჩაიწმინდა და სიას ჩახედა, ბრბო უცებ გაისუსა. „ყველანი მზად ხართ?" – დაიძახა მან. „ახლა გვარებს ამოვიკითხავ. პირველად ოჯახის თავკაცებს. კაცებო, მოდით და ამოიღეთ ქაღალდები ყუთიდან, ხელში დაკეცილი გეჭიროთ და, ვიდრე ყველას რიგი მოვიდოდეს, არ დახედოთ. ყველაფერი ნათელია?"

ხალხს ეს იმდენჯერ ჰქონდა გაკეთებული, რომ მითითებებს ცალი ყურით უსმენდა. უმეტესობა მშვიდად იყო, ტუჩებს ილოკავდა და ირგვლივ არც იყურებოდა. მერე მისტერ სამერსმა ცალი ხელი ასწია და თქვა, „ადამს". ბრბოს კაცი გამოეყო და წინ წამოვიდა. „მოგესალმები, სტივ", თქვა მისტერ სამერსმა და მისტერ ადამსმა უპასუხა, „მოგესალმები, ჯოუ". ერთმანეთს იუმორნარევი ნერვიულობით შეჰღიმეს. მერე მისტერ ადამსმა ხელი შავ ყუთში ჩაყო და გაკეცილი ქაღალდი ამოიღო. როცა შებრუნდა და ბრბოში თავისი ადგილის დასაკავებლად ნაჩქარევად გაეშურა, გაკეცილი ქაღალდის კუთხე მტკიცედ ეკავა, თავისი ოჯახიდან ოდნავ მოშორებით დადგა და ქაღალდისთვის არც დაუხედავს.

„ალენ", თქვა მისტერ სამერსმა. „ანდერსონ... ბენთემ".

„როგორც ჩანს, ლატარიიდან ლატარიამდე დრო ისე გარბის, თითქოს ბოლო ლატარია გასულ კვირას ჩატარებულიყოს", უთხრა მისის დელაკრუამ მის უკანა მწკრივში მდგომ მისის გრევზს.

„დრო მართლაც სწრაფად გარბის", თქვა მისის გრეივზმა.

„კლარკ... დელაკრუა".

„აი, ჩემი ბერიკაციც მიდის", თქვა მისის დელაკრუამ. მისის დელაკრუა სუნთქვაშეკრული უყურებდა მიმავალ მეუღლეს.

„დანბარ", თქა მისტერ სამერსმა და მისის დანბარი მყარი ნაბიჯით გაემართა ყუთისკენ. ერთ-ერთმა ქალმა მიაძახა, „მიდი, ჯეინ", და მეორემ კი მიადევნა, „აი, ისიც მიდის".

„ახლა ჩვენი ჯერია", თქვა მისის გრეივზმა. მისის გრეივზი თვალს ადევნებდა, როცა მისტერ გრეივზმა ყუთს გვერდიდან მოუარა, დარბაისლურად მიესალმა მისტერ სამერსს და ყუთში ქაღალდი შეარჩია. ახლა უკვე ყველა მამაკაცს, რომელიც ბრბოში იდგა, თავიანთ დიდრონ ხელებში პატარა გაკეცილი ფურცელი ეკავა და ნერვიულად ატრიალებდა. მისის დანბარი და მისი ორი ვაჟი ერთად იდგნენ. მისის დანბარს ხელში გაკეცილი ქაღალდი ეკავა.



მხატვარი აივენგო ჭელიძე

„ჰარბერტ... ჰატჩინსონ".

„გამოფხიზლდი, ბილ", თქვა მისის ჰატჩისონმა. გვერდით მდგომ ხალხს გაეცინა.

„ჯოუნს".

„ამბობენ", უთხრა მისტერ ადამსმა მის გვერდით მდგომ ბებერ უორნერს. „რომ ჩრდილოეთ სოფელში ლატარიის გაუქმებაზე ლაპარაკობენ".

ბებერმა უორნერმა ჩაიფრუტუნა, „შეშლილი ბრიყვების ჯოგი", თქვა მან. „ცინგლიანებს უსმენენ. ეს მათ კარგ ვერაფერს მოუტანს. იცი შემდეგ რა მოხდება? მოითხოვენ, საცხოვრებლად გამოქვაბულებში დავბრუნდეთო. მუშაობა არავის უნდა, უქმად სურთ ცხოვრების გატარება. ხომ გაგიგია გამოთქმა, „ივნისში ლატარია, უხვ მოსავლის მომტანია"; უპირველესად ის უნდა იცოდე, რომ ლატარია რომ არა, მოშუშულ ჟუნჟრუკის და რკოს ჭამა მოგიწევდათ. ლატარია იყო და იქნება", დაუმატა გაფიცხებით. „განა ის იქნება სასიამოვნო, რომ უყურებდე თუ აქ მდგარ ახალგაზრდა ჯოუ სამერსს დრო ოხუნჯობაში როგორ გაჰყავს?"

„ზოგან უკვე შეაჩერეს ლატარია", თქვა მისის ადამსმა.

„ეგ სიდუხჭირის მეტს არაფერს მოიტანს", თქვა ბებერმა უორნერმა ჯიუტად. „ცინგლიანი ბრიყვების ჯგრო".

„მარტინ". ბობი მარტინმა წინ გამოსულ ძმას თვალი გააყოლა.

„ოუვერდაიკი... პერსი".

„ნეტავი იჩქარონ", უთხრა მისის დანბარმა თავის უფროს ვაჟს. „ნეტავ ჩქარა დამთავრდებოდეს ყველაფერი".

„თითქმის მთავრდება", თქვა მისმა ვაჟმა.

„მოემზადე, რომ მამაშენთან გაიქცე და უთხრა", თქვა მისის დანბარმა.

მისტერ სამერსმა თავისი გვარი ამოიძახა, წინ გამოვიდა და ყუთიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო. მერე დაიძახა: „უორნერ".

„სამოცდაჩვიდმეტი წელია ლატარიაში ვმონაწილეობ", თქვა ბებერმა უორნერმა ბრბოში გავლისას. „სამოცდაჩვიდმეტჯერ მიმიღია მონაწილეობა".

„უოტსონ". მაღალმა ბიჭმა უხერხულად გაიარა ბრბოში. ვიღაცამ უთხრა, „ნუ ნერვიულობ, ჯეკ". მერე მისტერ სამერსმა თქვა, „შვილო, მოიცადე".

„ზანინი".

მერე ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა, სუნთქვაშეკრული პაუზა, ვიდრე მისტერ სამერსი თავის ქაღალდს ჰაერში ასწევდა და იტყოდა, „კეთილი, მეგობრებო", ერთი წუთის განმავლობაში არავინ განძრეულა და მერე ყველა დაკეცილი ქაღალდი გაიხსნა. უცებ ქალები ერთხმად ალაპარაკდნენ, „ვინ არის?" „ვის შეხვდა?"

„დანბარებს?" „უოტსონებს?" მერე ხმები გაისმა „ეს ჰატჩინსონია. ეს ბილია". „ბილ ჰატჩინსონს შეხვდა".

ხალხი თვალებით ეძებდა ჰატჩინსონებს; მათ დანახვას ცდილობდა. ბილ ჰატჩინსონი მშვიდად იდგა და ქაღალდს დაჰყურებდა. უცბად ტესი ჰატჩინსონმა შეუყვირა მისტერ სამერსს, „დრო არც კი მიეცი, რომ თავისი ნებით აერჩია. მე ყველაფერი დავინახე. ეს უსამართლობა იყო".

„ტესი, გონებას მოუხმე", გასძახა მისის დელაკრუამ და მისის გრეივსმა დაუმატა, „ყველას თანაბარი შანსი გვქონდა".

„ხმა ჩაიწყვიტე, ტესი", თქვა ბილ ჰატჩინსონმა.

„კეთილი, ყველამ მისმინოს", თქვა მისტერ სამერსმა. „ყველაფერმა საკმაოდ სწრაფად ჩაიარა. ახლა ყველაფრის დროულად დასრულება მოგვიწევს". მისტერ სამერსმა სათადარიგო სიას ჩახედა. „ბილ", თქვა მან. „შენ ჰატჩინსონების ოჯახისთვის ამოიღე ქაღალდი. კიდევ ვინმე გყავს ჰატჩინსონების გვარიდან?"

„აქ დონი და ევა არიან", წამოიძახა მისის ჰატჩინსონმა. „მათაც მიეცით შესაძლებლობა".

„ქალიშვილებმა თავიანთი ქმრების ოჯახებთან ერთად ამოიღეს ქაღალდი, ტესი", წყნარად თქვა მისტერ სამერსმა. „შენ ეს სხვებზე უკეთ იცი".

„ეს უსამართლობაა", თქვა ტესიმ.

„მე ვფიქრობ, რომ არა, ჯოუ", თქვა დამწუხრებულმა ბილ ჰატჩინსონმა. „ჩემი ქალიშვილი თავისი ქმრის ოჯახ-

თან ერთად მონაწილეობს, მხოლოდ ეს არის სამართლიანი და ამ ბავშვების გარდა სხვა ოჯახი არ გამაჩნია".

„მაშინ ოჯახის და შენი საგვარეულოს სახელით ქაღალდის ამოღება შენი საქმეა, სწორია თუ არა?"

„სწორია", თქვა ბილ ჰატჩინსონმა. „უმცროსი ბილი, ნენსი, პატარა დეივი, ტესი და მე ერთი ოჯახი ვართ".

„მაშ კეთილი", თქვა მისტერ სამერსმა. „ჰარი, უკან დააბრუნე მათი ბილეთები".

მისტერ გრეივზმა თავი დაუქნია და ბილეთები ასწია. „ახლა ყუთში ჩაყარე", მიუთითა მისტერ სამერსმა.

„ბილისაც გამოართვი და ყუთში ჩააგდე".

„ვფიქრობ, ხელახლა უნდა დავიწყოთ", თქვა მისის ჰატჩინსონმა, რამდენადაც შეეძლო წყნარად. „მე გეუბნებით, რომ უსამართლობა იყო. ამორჩევის დრო არ ჰქონდა. ყველამ დაინახა".

მისტერ გრეივზმა გადათვალა ხუთი ქაღალდი და ყუთში ჩაყარა. ისინი კი რაც მიწაზე დაიყარა, ნიავმა აიტაცა და თან წაიღო.

„ყველამ მომისმინეთ..." მისის ჰატჩინსონი მიმართავდა ირგვლივ შემოკრებილ ხალხს.

„მზად ხარ, ბილ?" ჰკითხა მისტერ სამერსმა და ბილ ჰატჩინსონმა ცოლ-შვილს სწრაფად გადაავლო თვალი და თავი დაიქნია.

„გახსოვდეთ", თქვა მისტერ სამერსმა. „თითო-თითო აიღეთ და, ვიდრე ყველა აიღებდეს, დაკეცილი გეჭიროთ. ჰარი, მიეხმარე პატარა დეივის". მისტერ გრეივზმა აიღო პატარა ბიჭის ხელი, რომელიც მასთან ხალისიანად მივიდა და ყუთს მისწვდა. „ამოიღე ქაღალდი ყუთიდან, დეივი", უთხრა მისტერ სამერსმა. დეივიმ ხელი ყუთში ჩაყო და გაიცინა. „მხოლოდ ერთი ამოიღე", უთხრა მისტერ სამერსმა. „ჰარი, შენ დაუჭირე ქაღალდი". მისტერ გრეივზმა მაგრად მომუჭული ხელიდან ქაღალდი გამოაცალა და ასე ეკავა, ვიდრე პატარა დეივი მის გვერდით იდგა და განცვიფრებული სახით შეჰყურებდა.

„შემდეგი ნენსია", თქვა მისტერ სამერსმა. ნენსი თორმეტი წლისა იყო და როცა წინ გამოვიდა, მის თანაკლასელებს სუნთქვა შეეკრათ. ნენსის, როცა ქაღალდი ყუთიდან ამოიღო, ცალი ხელი კაბის ქვედა ბოლოზე ჰქონდა ჩაბღაუჭებული. „უმცროსი ბილი", თქვა მისტერ სამერსმა და სახეალეწილმა ბილმა, რომელსაც უზომოდ დიდი ტერფები ჰქონდა, ქაღალდის ამოღებისას კინაღამ ყუთი გადააყირავა. „ტესი", თქვა მისტერ სამერსმა. ტესი ერთი წამით შეყოყმანდა, გამომწვევად მიმოიხედა, მერე ტუჩები მტკიცედ მოკუმა, ყუთთან მივიდა, ლამის ქაღალდი ყუთიდან ამოგლიჯა და ზურგს უკან დაიჭირა.

„ბილ", თქვა მისტერ სამერსმა და ბილ ჰატჩინსონიც მისწვდა ყუთს, ხელები მოაფათურა და ქაღალდი ამოიღო.

ხალხში სიჩუმე ჩამოწოლილიყო. ერთ-ერთმა გოგომ წაიჩურჩულა, „იმედია, ეს ნენსი არ იქნება". და ჩურჩულის ხმა ბრბოს ბოლო რიგებს მისწვდა.

**ლეოპოლდ ბლუმის დღე**

16 ივნისს ირლანდიასა და მთელს მსოფლიოში ბლუმსდეი (ბლუმის დღე) აღინიშნება. ეს დღესასწაული ჯეიმზ ჯოისის რომანის – „ულისე" – გამო დაწესდა. 1982 წელს, როდესაც ჯოისს 100 წელი შეუსრულდა, სწორედ მაშინ აღინიშნა პირველად ოფიციალურად პლუმის დღე. მას შემდეგ დღესასწაული ყოველწლიურად იმართება.

„ასე არ უნდა მომხდარიყო", გარკვევით თქვა ბებერმა უორნერმა. „ხალხი თავისთავს აღარა გავს".

„კეთილი", თქვა მისტერ ჰარისმა. „გაშალეთ ქაღალდები. ჰარი, შენ დეივის ქაღალდი გაშალე".

მისტერ გრეივზმა გაშალა დაკეცილი ქაღალდი და როცა ხელი ასწია, ყველამ ერთხმად შვებით ამოისუნთქა. ყველამ დაინახა, რომ ფურცელი სუფთა იყო. ნენსიმ და უმცროსმა ბილმაც ერთდროულად გაშალეს ფურცლები და ორივეს სახე გაუბრწყინდა, გაიცინეს, ხალხისკენ შებრუნდნენ და ფურცლები თავსზემოთ ააფრიალეს.

„ტესი", თქვა მისტერ სამერსმა.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ მისტერ სამერსმა ბილ ჰატჩინსონს შეხედა. ბილმა გაშალა თავისი ქაღალდი. ქაღალდი სუფთა იყო.

„ეს ტესია", თქვა მისტერ სამერსმა და ხმა თითქოს ჩაეხშო. „გვაჩვენე მისი ქაღალდი, ბილ".

ბილ ჰატჩინსონი მივიდა ცოლთან, ხელიდან ძალით გამოგლიჯა ქაღალდი. ზედ შავი ნიშანი იყო, ის შავი ნიშანი, რომელიც მისტერ სამერსმა წინადღით დაასვა მუქი ფანქრით თავისი კომპანიის ოფისში. ბილ ჰატჩინსონმა ხელი ასწია და ბრბოს თრთოლვამ გადაუარა.

„კეთილო ხალხო", თქვა მისტერ სამერსმა, „დროზე მოვათავოთ საქმე".

თუმცა სოფლელებს აღარც რიტუალი ახსოვდათ და აღარც თავდაპირველი შავი ყუთი, მაგრამ ქვების გამოყენება არ დავიწყებოდათ. ბიჭების მიერ დახვავებული ქვების გროვა მზად იყო. ქვები, ყუთიდან ამოყრილ ქაღალდებთან ერთად, მიწაზეც ეყარა.

მისის დელაკრუამ იმხელა ქვა შეარჩია, რომ ორივე ხელით მოუწია აღება და მისი დანბარს მიუბრუნდა. „წამოდი", თქვა მან. „იჩქარე".

მისის დანბარს მომცრო ქვები ეკავა ორივე ხელში და აქოშინებულმა თქვა, „სირბილი სულ აღარ შემიძლია. შენ წინ წადი და მე დაგეწევი".

ბავშვებს ქვებისთვის მაგრად ჩაეჭიდათ ხელი და ვიღაცამ პატარა დეივი ჰატჩინსონს ხელში რამდენიმე კენჭი ჩაუდო.

ახლა, ტესი ჰატჩინსონი მოედნის შუაში, მოსუფთავებულ ადგილას იდგა და ხელები სასოწარკვეთით გაეწვდინა, როდესაც სოფლელები მისკენ დაიძრნენ. „ეს უსამართლობაა", ამბობდა იგი. თავის ერთ მხარეს ქვა მოხვდა.

ბებერი უორნერი იძახდა, „მოდით, ყველანი მოდით". სოფლელებს სტივ ადამსი ედგა თავში, გვერდით კი მისის ადამსი ამოსდგომოდა.

„ეს უსამართლობაა. ეს არასწორია", დაიკივლა მისის ჰატჩინსონმა და მერე ყველა ერთად შეესია.

ინგლისურიდან თარგმნა

**მედეა ზაალიშვილმა**

## ელჩი ღალატობს სამშობლოს

არავის აღარ უკვირს, როდესაც, საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმის თანახმად, მსხვილ-მსხვილი ვირთხები პირველნი ტოვებენ ხოლმე ჩასაძირად განწირულ ხომალდს.

ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 1945 წლის გაზაფხულზე, როდესაც ნაცისტური გერმანიის ფიურერს ურცხვად ღალატობდნენ მისი ბობოლა პალადინები: გერინგი, ჰიმლერი, ბორმანი, შელენბერგი, მიულერი...

მესამე რაიხი სულს ღაფავდა, წითელი არმიის ტანკებს მედგრად უმკლავდებოდნენ ჯარში გაწვეული თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ყმაწვილები, აღჭურვილნი „ფაუსტპატრონებით", ხოლო გაზულუქებული დიდკაცები, დასავლეთის მზის ქვეშ, ისევ ზედაპირზე ამოტივტივებასა და ძალაუფლების აღდგენას ლამობდნენ – უჰიტლეროდ, უნაციზმოდ.

ყოველივე ეს სავსებით გასაგებია როგორც პოლიტიკური, ასევე ადამიანური თვალსაზრისით, მაგრამ საკმაოდ გაუგებარი და განსაცვიფრებელია გერმანელი დიდმოხელის უანგარო ღალატი მისი სამშობლოს გაუგონარი აღზევებისას ანუ 1941 წლის გაზაფხულზე, როდესაც ჰიტლერის ფერხთქვეშ განფენილ იყო თითქმის მთელი ევროპა და „ბრიტანელი ლომი" იმასღა ოცნებობდა, რომ გერმანია აღმოსავლეთისკენ დაძრულიყო და ორი ურჩხულის სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებას დაეტკბო ანგლო-საქსთა მზერა.

ჰიტლერის მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე ვილა არ აფრთხილებდა სტალინს (თვით ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჩათვლით!), მაგრამ ამ გაფრთხილებათა ზვავში გამორჩეული ადგილი უჭირავს ეპიზოდს, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, მართლაც რომ უნიკალურია დიპლომატიის ისტორიაში. ეს იყო გაფრთხილება, რომლის ავტორი გახლდათ გერმანიის ელჩი მოსკოვში გრაფი ფრიდრიხ ფონ შულენბურგი, ხოლო ადრესატი – საბჭოთა კავშირის ელჩი ბერლინში ვლადიმერ დეკანოზოვი.

გერმანიის საელჩოს მრჩეველი გუსტავ ჰილგერი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ 1941 წლის აპრილის შუა რიცხვებში შულენბურგი ბერლინს გაემგზავრა, რათა დაერწმუნებინა ჰიტლერი საბჭოთა კავშირთან სამხედრო კონფლიქტის საფრთხეში. 28 აპრილს გაიმართა მისი აუდიენცია ჰიტლერთან. „მე არ ვაპირებ ომს რუსეთთან", – განუცხადებია ფიურერს.

30 აპრილს მოსკოვში დაბრუნებულმა შულენბურგმა გაუმხილა ჰილგერს: „წილი ნაყარია. ომი რუსეთთან გადაწყდა". მისი ღრმა რწმენით, ეს დამღუპველი იქნებოდა გერმანიისათვის, მაგრამ ელჩს რა უნდა ექნა, რა შეეძლო? ამასობაში ჰილგერი დიდად გაისარჯა, რათა დაერწმუნებინა ფრთხილი შულენბურგი, რუსები გავაფრთხილოთო.

და აი, 1941 წლის 5 მაისს გერმანიის ელჩმა თავის რეზიდენციაში საუზმეზე მიიწვია საბჭოთა ელჩი დეკანოზოვი, რომელიც იმავდროულად საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის (ანუ მინისტრის) მოადგილე იყო და იმჟამად მოსკოვში იმყოფებოდა.

შულენბურგმა და ჰილგერმა თავიდანვე ამცნეს დეკანოზოვს, რომ მათ ეს ნაბიჯი საკუთარი ინიციატივითა და თავიანთი ხელმძღვანელობის დაუკითხავად გადადგეს. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ეჩვენებინათ, თუ რაოდენ სერიოზული იყო ვითარება და დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ საბჭოთა მთავრობას ბერლინთან კონტაქტი დაემყარებინა მანამდე, ვიდრე ჰიტლერი გადაწყვეტდა დარტყმის განხორციელებას. მათ დაუსახელებიათ კიდეც ზუსტი თარიღი მოსალოდნელით თავდასხმისა. მაგრამ დეკანოზოვი ჯიუტად იმეორებდა ერთსა და იმავე კითხვას: თქვენი მთავრობის დავალებით ლაპარაკობთ თუ არაო?

არ უნდა გაგვიკვირდეს დეკანოზოვის გაოცება. გერმანიის ელჩი ხომ სამშობლოს ღალატობდა! ასე იოლად ვინ დაუჯერებდა?!

აღნიშნული საუბრის დოკუმენტური მტკიცებულება არ არსებობდა.

და აი, XX საუკუნის დამლევს ყოფილი სსრკ საგარეო პოლიტიკის არქივში აღმოაჩინეს ამ შეხვედრის ანგარიში, შედგენილი პასუხისმგებელი დიპლომატის ვლადიმერ პავლოვის მიერ, რომელიც ესწრებოდა ელჩების შეხვედრას.

პავლოვის ჩანაწერის მიხედვით, შულენბურგმა დეკანოზოვს დაწვრილებით უამბო თავისი აუდიენცია ჰიტლერთან. გერმანიის ფიურერი თურმე უკმაყოფილო იყო საბჭოთა მთავრობის მოქმედებით – მხედველობაში ჰქონდა საბჭოთა კავშირის მიერ იუგოსლავიასთან მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება 1941 წლის 5 აპრილს (6 აპრილს გერმანია თავს დაესხა იუგოსლავიას) და სხვა მოქმედებანი საბჭოეთისა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

შულენბურგის სიტყვით, იგი ცდილობდა გადაერწმუნებინა ჰიტლერი, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. შემდეგ მიუთითა ფიურერს, რომ მითქმა-მოთქმა მოახლოებულ ომზე აბრკოლებდა ელჩის მუშაობას მოსკოვში. ამაზე ჰიტლერმა განაცხადა, რომ „იგი, საბჭოთა მთავრობის ხსენებულ ქმედებათა გამოისობით, იძულებული იყო გაეტარებინა გამაფრთხილებელი ღონისძიებანი აღმოსავლეთ საზღვარზე".

დეკანოზოვი ეკითხება შულენბურგს მითქმა-მოთქმის წყაროს შესახებ.

შულენბურგი პასუხობს: „ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა. მითქმა-მოთქმას ანგარიში უნდა გაეწიოს, როგორც ფაქტს".

ეს იყო სრულიად აშკარა გაფრთხილება – სავსებით საკმარისი იმის მისახვედრად, რომ ომი კარზე აკაკუნებდა.

მაგრამ ყურად არ იღეს (ეს უკვე საგანგებო მსჯელობის თემაა).

დასასრულ, შულენბურგს უთქვამს: „ჰიტლერმა გადაწყვიტა, რომ 22 ივნისს დაიწყებს ომს. თქვენ მკითხავთ, ამას რატომ ვაკეთებ? მე აღზრდილი ვარ ბისმარკის სულისკვეთებით, ის კი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ომს რუსეთთან".

ომის დაწყების ცნობა შულენბურგმა პირად ტრაგედიად აღიქვა. გერმანიაში დაბრუნებული უსაქმოდ დარჩა, მერე კი შეუერთდა 1944 წ. შეთქმულებას, რომელსაც სათავეში ედგნენ პოლკოვნიკი კლაუს ფონ შტაუფენბერგი და სოციალ-დემოკრატი იულიუს ლებერი. შეთქმულთა გეგმით, შულენბურგი ახალი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა გამხდარიყო. მაგრამ, როგორც ცნობილია, შეთქმულებამ კრახი განიცადა.

1944 წლის 10 ნოემბერს შულენბურგი სიკვდილით იქნა დასჯილი. ასეთი იყო მწარე ხვედრი სამშობლოს მოღალატისა.

ნ 125

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოზაიკა

### დამთხვევანი და პარალელები

მოსკოვში აკრედიტებული გერმანელი დიპლომატები 1941 წლის გაზაფხულზე სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი მომწიფებული მოვლენებით. ერთმანეთთან საუბრისას ისინი არაერთხელ იხსენებდნენ ნაპოლეონის ლაშქრობას რუსეთში და მის ტრაგიკულ დასასრულს. იხსენებდნენ მარკიზ კოლენკურს, რომელიც ელჩად იყო რუსეთში და აღმოჩნდა ერთადერთი კაცი ნაპოლეონის უახლოეს გარემოცვაში, რომელმაც გაბედა გაეფრთხილებინა იმპერატორი იმ დიდ საფრთხეზე, საფრანგეთს რომ ელოდა, თუკი ომს გააჩაღებდა რუსეთთან.

როგორც ცნობილია, კოლენკურმა დატოვა მემუარები, სადაც ყველაზე საინტერესო უნდა იყოს მონათხრობი მისი საუბრებისა ნაპოლეონთან, როგორც რუსეთზე ლაშქრობის სამზადისის პერიოდში, ასევე თავად ლაშქრობის დროს. ფრანგი დიპლომატის მოგონებათა წიგნი თურმე მაგიდაზე ედოთ ჰიტლერის გენშტაბისტებს, როდესაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმას („ბარბაროსა" რომ უწოდეს) ამუშავებდნენ, მაგრამ დიდად არ გაუწევიათ ანგარიში ამ თავისებური სახელმძღვანელოსათვის.

სამაგიეროდ გერმანიის საელჩოში (მოსკოვში) აღმოჩნდნენ ფხიზელი და დაკვირვებული ადამიანები, რომლებმაც კოლენკურის მემუარებში შენიშნეს მრავალი რამ, რისთვისაც ყური უნდა დაეგდო იმას, ვისაც ჯერ არს.

გერმანიის საელჩოს მრჩეველი გუსტავ ჰილგერი შემდგომში წერდა:

„კოლენკურის მოგონებათა კითხვისას განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმ ადგილმა, სადაც ავტორი აღწერს, თუ როგორი შეუპოვრობით ცდილობდა იგი ნაპოლეონის დარწმუნებას, რათა ის დამდგარიყო მის თვალსაზრისზე რუსეთთან დაკავშირებით და ჯიუტად ჩასჩიჩინებდა საფრანგეთსა და რუსეთს შორის კეთილი ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობას. ამ ადგილმა ისე ცოცხლად გამახსენა შულენბურგის თვალსაზრისი, რომელსაც იგი მუდამ გამოხატავდა, როდესაც კი ეძლეოდა საშუალება ელაპარაკა ჰიტლერთან საბჭოთა კავშირზე, რომ გადავწყვიტე გამომეყენებინა ეს დამთხვევა და გამეთამაშებინა ელჩი.

ერთხელაც, როცა შულენბურგი შემოვიდა ჩემთან, მოვახსენე, რომ ახლახან ჩემმა მეგობარმა ბერლინიდან გამომიგზავნა კონფიდენციალური წერილი და იქ არის დამოწმებული ელჩის ბოლო საუბარი ფიურერთან. შულენბურგმა გაოცება გამოთქვა, რამდენადაც საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ეს საუბარი ბერლინში ბევრისთვის არ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

– ასეა თუ ისე, აი, ინებეთ ტექსტი.

ესა ვთქვი და დავიწყე კითხვა კოლენკურის წიგნის ნაწყვეტისა, რომელიც გულდასმით დავუმალე შულენბურგს – დოკუმენტთა საქაღალდეში ჩავდე. მშვიდად ვკითხულობდი. ერთი სიტყვაც არ ჩამიმატებია და არც გამომიტოვებია კოლენკურის ტექსტში. მხოლოდ შევცვალე მოქმედ პირთა სახელები: ნაპოლეონის ნაცვლად – ჰიტლერი, კოლენკურის ნაცვლად – შულენბურგი.

ელჩი ვერ მალავდა თავის გაოცებას.

– თუმცა ეს, როგორც ჩანს, ის ჩანაწერი არ არის, რომელიც მე გავაკეთე ჩემთვის ჰიტლერთან შეხვედრის შემდეგ, – წამოიძახა მან, – მაგრამ მიუხედავად ამისა, ტექსტები თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთიმეორეს. მაჩვენეთ, გეთაყვა, ეს თქვენი წერილი...

შულენბურგს გავუწოდე კოლენკურის მემუარები. დამთხვევა მართლაც განსაცვიფრებელი იყო. ჩვენ ორივემ ჩავთვალეთ ეს ავბედით ნიშნად".

ნაცისტური გერმანიის გენერალი გიუნტერ ბლიუმენტრიტი რამდენიმე საინტერესო პარალელს ავლებს ნაპოლეონისა და ჰიტლერის რუსეთში ლაშქრობებს შორის.

ბლიუმენტრიტის სიტყვით, ნაპოლეონსაც და ჰიტლერსაც სჯეროდათ, რომ მათი ომები რუსეთში ისევე სწრაფად და წარმატებით დასრულდებოდა, როგორც მრავალი სხვა ომი, მანამდე რომ გადაუხდიათ. ორივეს უმართებულო წარმოდგენა ჰქონდა რუსეთის შინაგან ძალებსა და სივრცეებზე. ორივე ჯეროვნად არ მომზადებულა ომისათვის და არ გაუთვალისწინებიათ მათი არმიების მომარაგების სიძნელენი ამ უზარმაზარ ქვეყანაში.

გერმანელი გენერალი, სხვათა შორის, იმოწმებს ერთ საგულისხმო თქმულებასაც:

ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ სახელგანთქმული ფრანგი კავალერისტი, მარშალი მიურატი საყვედურობს თავის გენერლებს, კავალერისტთა იერიშებს ენერგიულობა აკლდაო. ერთ-ერთი ხელქვეითი პასუხად მიუგებს: „ყველაფერი ცხენების ბრალია, პატრიოტიზმი აკლიათ. ჩვენი ჯარისკაცები, თუნდაც ულუკმაპუროდ, ბრწყინვალედ იბრძვიან, მაგრამ ცხენები, თუკი თივით არ გაძღე, ადგილიდან ფეხს არ მოიცვლიან".

თურმე ტანკებსაც ასე სჩვევიათ...

## ქრონიკა

30 ივნისს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა" მწერალმა **ირაკლი ლომოურმა** წარმოადგა მის მიერ შედგენილი და გამოცემული ლიტერატურული კრებული **„ხვამლი"**, რომელიც უდროოდ დაღუპულ არქეოლოგ **გურამ გაბიძაშვილს** ეძღვნება.

კრებულის პირველ ნაწილში დაბეჭდილია ინტერვიუ გურამ გაბიძაშვილთან (ჩაწერილია 2009 წელს), მეორე ნაწილი შედგება მოგონებებისგან, მესამე კი მხატვრული ტექსტებისგან. წიგნში 38 ავტორია: **გია აბაზაძე (ბოცმანა), დათო ალელიშვილი, ნუცა ალექსი-მესხიშვილი, თამარ ამზაშვილი, ნოდარ არონიშიძე, დათო ასათიანი (აშოტა), თამაზ ბაძაღუა, თორნიკე ბერიშვილი, მიხეილ ბერუაშვილი, მაია ბოჭორიშვილი, მარინა გეორგაძე, რუსა ვარშალომიძე, ნონა თადუმაძე, ზაზა თვარაძე, კოტე კაკიტაძე, ლადო კილასონია, თაკო ლაშაური, მამუკა ლეკიაშვილი, ირაკლი ლომოური, ბიძინა მინდაძე, ივა მინდაძე, მიხო მოსულიშვილი, დავით მჭედლური, ზურაბ ნარმანია, გაგა ნახუცრიშვილი, ნინო სადღობელაშვილი, ამირან სვიმონიშვილი, ჯუანშერ ტიკარაძე, ალექსანდრე ქურხული, ბექა ქურხული, მიხეილ ჩიკვილაძე, ირმა ჩუბინიძე, ვანო შატბერაშვილი, ნუგზარ შატაიძე, თეა შურღაია, მარიამ წიკლაური, დათო ჭელიძე, კოტე ჯანდიერი.**

ავტორთა შორის მკითხველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახელებიცაა და სრულიად უცნობიც, ისინი, ვინც ჯერ არ დაბეჭდილან, თუმცა, ძალზე საინტერესოდ წერენ.

გურამ გაბიძაშვილი ხვამლის მთის კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო. ქართველ მეფეთა განძსაცავი, ლეგენდარული, მისტიკური ხვამლი, მისი გატაცებაც გახლდათ და მეცნიერული კვლევის ობიექტიც. თუმცა გურამი უფრო მეოცნებე, რომანტიკოსი არქეოლოგი იყო, ვიდრე მშრალი, აკადემიური მეცნიერი.

როდესაც გურამი შარშან უეცრად, გულის შეტევით გარდაიცვალა ექსპედიციაში, მის გვერდით ვიყავი, აღნიშნა ირაკლი ლომოურმა, გამიჩნდა მოთხოვნილება გურამზე დამეწერა, მეგობრებს ყველას დაგვეწერა. რაც გამოვიდა, ამ კრებულში მოვუყარე თავი.

ჩემი მეგობრების ერთობლივი ლიტერატურული კრებულის იდეა კი ადრევე მქონდა გურამის ტრაგიკულმა ამბავმა ორივე იდეა გააერთიანა.

საღამოზე წიგნის პრეზენტაციასთან ერთად გაიმართა ხვამლის არქეოლოგიური ექსპედიციის შესახებ გადაღებული მეორე ფილმის ჩვენება (რეჟისორი **დავით გოგუაძე**).

# ქართული პოეზიის უფლისწული

**დავით წერედიანის** წიგნიდან ორიოდე ლექსი სტუდენტებს წავუკითხე.
თვალებზე შევატყვე, რომ ეუცნაურათ, მოეწონათ, ან როგორ შეიძლება არ მოგეწონოს:
ვცვლი უკანასკნელ სინანულზე ოქტომბრის დამდეგს,
მოლებულ სარკმელს, ორიონის ვერცხლოვან დარანს.
მოგვიანებით კი მითხრეს, განგვიმარტეთო. ვერ გაიგეს ზოგი რამ, ლექსიკა და სიტყვათწყობა ეუცხოვათ, არა თუ მხოლოდ „აიდო ბაიდებს, ილმოდი ალვილთა პირას", ან „რისთვის იბრძოდნენ ვაჟები, არ გადიოდნენ ბერას", არამედ, ვთქვათ „ნუ რჯულზე მელაქარდები, შენი მოყვასი არ ვარ", ან თუნდაც „ორიონის ვერცხლოვან დარანს".
და რაღა სტუდენტები, ამ პატარა წიგნის კითხვისას, თქვენ არ გკადრებთ და, მეც ხომ ჩავიხედე ლექსიკონში, თუმცა თავი მომაქვს რომ ქართული ვიცი.
გვეუცხოვება იმიტომ, რომ ტელევიზორის ენით ვლაპარაკობთ;
დავით წერედიანის პოეზია კი წიგნიერია და, ამ ჩვენს ნიველირებულ გარემოში, გამორჩეულად ქართულია, იმდენად ქართულია, რომ თავი და ბოლო ვერ გაუგეს და არქაულობა დასწამეს.
ეს კაცი თითქოს ყველასათვის მისაწვდომია, აგერაა, დაელაპარაკები, ხელს შეახებ, გაუშინაურდები, მოგისმენს, გეტყვის და, როცა უკვე შენი ტოლი გგონია, წიგნსაც აიღებ მისას, ჩაჰხედავ, მოგეწონება, აღიარებ, შეგშურდება, გაეჯიბრები ან ფიქრში, ან ახდილად, და გგონია, რომ გაუტოლდი, და სწორედ ამ დროს ხელიდან დაგისხლტება და წავა მაღლა, იქ, სადაც პოეზიიის საუფლოა, იქ, სადაც ინტელექტის საუფლოა, იქ, სადაც არაორდინარული აზროვნების საუფლოა, იქ, საიდანაც მისი პოეზიის მაცოცხლებელი წყარო მოედინება, სადღაც სულ მაღლა, თეთნულდისა თუ შხარას მწვერვალებისაკენ.
და ალბათ სწორედ ამიტომ ჩნდება აზრი, რომ უკარებაა, გაჰდეგილია ან სულაც არქაულია.
პოეზია ენის წიაღში არსებობს და არსობს. ქართული ლექსი ქართული ენის ზღვაში უნდა ლივლივებდეს, მასში უნდა ყვინთავდეს.

დავით წერედიანის ქართული მოჩქეფს როგორც მთის ანკარა წყარო, მოჰქუხს ვიწრო ხეობაში მოქცეული, მოედინება მდორედ ველზე გაშლილი და უხვი შენაკადით შედის ქართული პოეზიისა და ენის ზღვაში. მისი სინტაქსი დახვეწილია, რთული, და ამავე დროს სადა ისე, როგორც ყველაფერი გენიალური. მისი ლექსიკა ისეთი მრავალფეროვანი და უხვია როგორც საქართველოს მთა-გორები და მინდვრები წელიწადის სხვადასხვა დროს. მის ლექსში ყველა სიტყვა თავის ადგილას ზის, ყოველი ფრაზა ზუსტია, ყველა მარცვალი აზრითაა დატვირთული, ამაღლებული აზრით. დავით წერედიანი შინაური კაცია ქართული ვერსიფიკაციის სახლში, იგი იცნობს ყველა მეტრს, ყოველ ჰანგს და ოსტატის შეჩვეული ხელით მოიხელთებს, მოიმარჯვებს, მოითანიებს როგორც პოეზიის ნამდვილი მეტრი.
დავით წერედიანის **„ორიონი"** ძვირფასი შენაძენია თანამედროვე და არა მარტო თანამედროვე ქართული პოეზიისა, ისევე როგორც მისი თარგმანებია ძვირფასი შენაძენი კლასიკური ქართული მწერლობისა, და მისი ნააზრევია ძვირფასი შენაძენი ქართული ლიტერატურათმცოდნეობისა და ფილოსოფიისათვის.
დავით წერედიანი არისტოკრატია ქართულ ლიტერატურაში, არისტოკრატულია მისი წერის მანერა, მისი აზროვნება, მისი პოეზია და თუნდაც მისი ქცევა: მორიდებული, ჩუმი, თავმდაბალი, განრიდებული სოფლის ხმაურსა თუ ბრბოს მდაბალ ეჭვიანობას.
ვინც მიცნობს, იცის, რომ ეპატაჟი არა მჩვევია, არ მიყვარს მსმენელთა გაკვირვება, გაღიზიანება ან სახტად დატოვება და რის თქმასაც ახლა ვაპირებ, არ მინდა იაფფასიანი, დემოკრატიული სადღეგრძელოს სახე ჰქონდეს, აი ისეთი, გაუმაააარ-ჯოს როა...
**როსტომმა დავით წერედიანის წიგნი ნიკოლოზ ბარათაშვილისას შეადარა. ნიკოლოზ ბარათაშვილი მეფის შთამომავალი იყო.**
ამიტომ მინდა ყველამ, ვინც მეთანხმება, გულში დამიდასტუროს და დღეიდან ვიცოდეთ, რომ ქართული პოეზიისა და ენის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ბატონი დავით წერედიანი ღირსია ეწოდოს ქართული პოეზიის უფლისწულის სახელი!

**პაატა ჩხეიძე**



მაია წერედიანის ფოტოარქივიდან

დავით წერედიანი



ალექსანდრე ციხელაშვილი

ილუსტრაცია ილია ჭავჭავაძის მოთხრობისათვის „კაცია-ადამიანი?!“

ISSN 1987-7730